ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 19 აპრილი 2013 №8(190)



მუხტი გულახდილობისა

32 წლის შეთქმულების იუბილე

ეთერ თედიაშვილის მოთხრობა

„დედა ენა“ — კულტურის ძეგლი

რეზო ჭეიშვილის გროტესკული სამყარო

მაია ჯალიაშვილი იულია ფრანკის რომანზე

კარლო ღლონტის სკოლის მეგობრები

საუბარი გურამ ოდიშარიასთან

მირიან ებანოიძის ლექსები

ჰაიფა ბიტარის ფატიმა

შინაარსი

წარსული მომავლისათვის	2	**იოსებ ჭუმბურიძე ისეთი მოკავშირის წყალობით...** (ღია წერილი როსტომ ჩხეიძეს)
ერი და ბედისწერა	2	**თამარ ყალიჩავა მაშ რაისათვის ცოცხალ ვართ!** (32 წლის შეთქმულების 180 წლის იუბილე თბილისის 210-ე საჯარო სკოლაში)
ახალი წიგნები	5	**ნინო გულუაშვილი მეგზური XIX საუკუნეში** (ნინო ვახანიას მონოგრაფია „ჩვენი XIX საუკუნე“)
ექსპრეს-ინტერვიუ	6	**გიორგი ხორბალაძე „არ მოკვდე სიკვდილამდე!“** (მოამზადა ნატა ვარადამ)
ეპისტოლე	7	**ნათელა ძულიაშვილი მოუთმენლად ველით მუზეუმის გახსნას** (ვეზირიშვილების სახლ-მუზეუმის თაობაზე)
პროზა	8	**ეთერ თედიაშვილი ქვაზე დადებული**
პირველი შთაბეჭდილება	21	**მაკა ჯოხაძე უანტრაქტოდ...**
პოეზია	22	**მირიან ებანოიძე სამზარეულოს საგა და სხვა ლექსები**
პოეტის ერთი ლექსი	26	**ემზარ კვიტაიშვილი თინათინ სიხარულიძის სამყაროში**
უცხოეთის ცხოვრებიდან	28	**ალბერ კამიუ: სოლიდარული და მარტოსული** (რასელ ვილკინსონს ესაუბრება ალბერ კამიუს ქალიშვილი, კატრინ კამიუ)
ახალი რომანი	30	**მაია ჯალიაშვილი როცა დღეები ღამეებს ემსგავსებიან** (იულია ფრანკის „შუადღის ალქაჯი“)
დიალოგი	34	**„ყველაფერს ზღვის კარნახით ვწერდი“** (მაკა ჯიბლაძეს ესაუბრება გურამ ოდიშარია)
მოგონებათა სკივრი	38	**კარლო ღლონტი სკოლის მეგობრები**
რეპორტაჟი	42	**ნინო დეკანოიძე მუხტი გულახდილობისა** (განხილვა იკა ქადაგიძის პუბლიცისტურ-ესეისტური კრებულისა „ქართული კორიდა“)
კრიტიკა	46	**როსტომ ჩხეიძე საფლავი, კვამლი, ზეცის თავანი** (რეზო ჭეიშვილის სატირულ-გროტესკული სამყაროს ანარეკლები)
გამოხმაურება	54	**დავით ჩხეიძე ჩინებული მასალა ფილმის გადასაღებად** (მანანა გაბაშვილის „ქართული მეცნიერების 20 წელი“)
სპორტი	55	**ქეთევან დოლიძე მწვერვალები მხოლოდ რჩეულთა ხვედრია...** (ივანე ჯაფარიძის მონოგრაფია „მყინვარწვერიდან ევერესტამდე“)
უცხოური ნოველა	57	**ჰაიფა ბიტარი ფატიმა**
ნაკვესები	61	**მახვილსიტყვაობის ნიმუშები**
მოზაიკა	63	**სადღეგრძელოები**

ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი **„ილიონი“**

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – **(995 322) 96_20_62**

რეკლამა – **(995 93) 65_93_68**

გავრცელება – **(995 92) 25_94_94**

ფაქსი: **(995 322) 96_20_62**

E_mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**

პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**

პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**

მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია** დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი**

სტილისტ-კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **თენგიზ რობიტაშვილი**

ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**

გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**

გარეკანზე: **ალბერ კამიუ**

პეიზაჟი, მხატვარი ჰანს ვაგნერი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 3 მაისს

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი" სარაჯიშვილი, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი: 00 995 322 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

ისეთი მოკავშირის წყალობით...

(ღია წერილი როსტომ ჩხეიძეს)

მინდა, გახარო და მოგილოცო: „დედა ენას“ — **ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შექმნის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს — არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.**

ვაპირებდი ასე დამეწყო: „შეუძლებელია, მოიძებნოს წიგნიერი ქართველი, ვისაც ეს ფაქტი არ გაახარებს“, მაგრამ გამახსენდა,რომ მთლად ასეც არ არის. მაგრამ არა უშავს. მთავარია, რომ დღესაც ძალაშია იაკობის სიტყვები: **„ისეთი მოკავშირის წყალობით, როგორიცაა სიმართლე, არასოდეს დავმარცხებულვარ“.**

ამისთვის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ვიბრძოდით: იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება — **მამა კონსტანტინე** (გიორგაძე), **გიორგი გოგოლაშვილი, მარიამ ცაცანაშვილი,** სხვებიც, მეც...

იბრძოდი შენც, ოღონდ, შენ — უფრო მთავარისთვის. ამ ბრძოლაში, რა თქმა უნდა, ჩვენც შენს გვერდით ვართ.

პარადოქსია, რომ ამისთვის ბრძოლა გვჭირდება. ბრძოლა გვჭირდება იმის დასაცავად, ვისზეც **ილიას** სიცოცხლეშივე ამბობდა **აკაკი: „ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე“.**

ღმერთო, რა სიდიადეა!

ეს გამარჯვება კი ორმაგად არის სასიხარულო: ჯერ — თავისთავად, შემდეგ კი იმიტომ, რომ მთავარი მიზნის მიღწევას გაგვიადვილებს.

მთავარი მიზანი კი **იაკობის** წმინდანად შერაცხვაა.

...ბრძოლა ძეგლის სტატუსის მოსაპოვებლადაც დიდი დაგვჭირდა. ფაქტობრივად, ყრუ კედელს ვეჯახებოდით.

მაგრამ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. უფალი ხომ ხედავდა, რომ წრფელი იყო „სურვილი და განზრახვა ჩვენი“.

ჰოდა, ამასობაში ვითარება შეიცვალა და მიზანსაც მივაღწიეთ.

ამითაც ასრულდა იაკობ გოგებაშვილის ნატვრა: **„იქნება როგორმე გადავრჩეთ, თუ უფალმა სრულიად ხელი არ აიღო ჩვენზედ“.**

ჩანს, არ აიღო.

მჯერა, იმ მთავარ მიზანსაც აუცილებლად მივაღწევთ, რისთვისაც ასე თავგამოდებით იბრძვი, რასაკვირველია, ჩვენთან, უპირველესად კი ბატონ გიორგი გოგოლაშვილთან ერთად, ვისაც ამის გამო ბევრი დაუმსახურებელი ლაფი ერგო, მაგრამ ამასაც არა უშავს — იაკობისთვის თავის გადადება ნამდვილად ღირს.

რა ბედნიერებაა, რომ ჩვენს გვერდით დგას სულიერი მოძღვარი და თვით მწყემსმთავარიც ჩვენი მოკავშირეა, მოკავშირეა სიმართლე და ასეთი მოკავშირის წყალობით, არასოდეს დავმარცხდებით.

იოსებ ჭუმბურიძე

თამარ ყალიჩავა

მაშ რაისათვის ცოცხალ ვართ!

(32 წლის შეთქმულების 180 წლის იუბილე თბილისის 210-ე საჯარო სკოლაში)

საქართველოს ისტორიაში მშვიდსა და წინააღმდეგობათაგან თავისუფალ ეპიზოდს ვერ ვნახავთ და, რა გასაკვირია, თუ XIX საუკუნეც განსაკუთრებული მოვლენებით აღინიშნა. ამ ეპოქას უდიდესი მამულიშვილნი გამოუჩნდნენ, რომელთაც თავიანთი მხრებით ზიდეს ურთულესი ჟამის ქარტეხილიანი ბედისწერა და მოახერხეს, რომ მსოფლიო ორბიტას მოწყვეტილი საქართველო კვლავ მოექციათ მის ეპიცენტრში.

დავით აღმაშენებელს დამოუკიდებლობის მოპოვებაში ძალიან შეუწყო ხელი ჯვაროსანთა ლაშქრობამ. თავის მხრივ, ჯვაროსნების ბრძოლებზეც მოახდინეს გავლენა დიდგორმა და იმ ბრძოლებმა, რომლებიც ჩვენმა დიდებულმა მეფემ საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად გადაიხადა. დავით აღმაშენებლის ბრძოლები უშუალოდ იყო ჯვაროსანთა ბრძოლასთან გადაჯაჭვული და ურთიერთგავლენაც თვალსაჩინოა. მას შემდეგ რაც მონღოლებმა საქართველო დაიპყრეს, იგი ამოვარდა საერთაშორისო მოვლენებიდან. გამოიკეტა და ვერანაირ გავლენას ვეღარ ახდენდა საერთაშორისო ყოფაზე, აღარ იყო დასავლური ცხოვრების მონაწილე... მონღოლთა, შემდგომ კი უკვე ოსმალთა და ყიზილბაშთა შემოსევებმა აღგავა ჩვენი დიდი კულტურის ნაწილი, გაწყდა ის რგოლიც, რომელიც საქართველოს დანარჩენ მსოფლიოსთან აკავშირებდა.

და აი, 1832 წლის შეთქმულებმა საქართველო ხელახლა მოაქციეს ევროპულ ორბიტაში. რაც ევროპასა და მაშინდელ მსოფლიოში ხდებოდა, ზუსტად განმეორდა საქართველოში — აჯანყებათა, შეთქმულებათა სერიამ მოიცვა ევროპა და ამ ჯაჭვის ნაწილად იქცა საქართველოც. შეთქმულთა დამსახურებაა, რომ მსოფლიო ისტორიული მოვლენების დიდ რკალში — ევროპისა და სამხრეთ ამერიკის გვერდით — მოვექეცით...

1832 წლის შეთქმულების 180 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით 210-ე საჯარო სკოლაში გამართულ ღონისძიებაზე ამ შეთქმულების მნიშვნელობაზე ვიდრე **როსტომ ჩხეიძე** მოსწავლეებს ლექციას წაუკითხავდა, სკოლის დირექტორი, **ნუგზარ მოლაშვილი** შეკრებილთ მიესალმა და შესავალ სიტყვაში ამ ისტორიული თარიღის მნიშვნელობა აღნიშნა. მანვე ისაუბრა **ნინო ვახანიას** ახალგამოცემულ წიგნზე **„ჩვენი XIX საუკუნე“**, რომელიც სწორედ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს, XIX საუკუნის უმთავრეს ისტორიულ მოვლენებს წარმოაჩენს. მოსწავლეებს ამცნო კონკურსზე — **„მზით დაფერილნი“** — რომლის სახელწოდება **ალექსანდრე**

ბატონიშვილზე დაწერილ **როსტომ ჩხეიძის** ბიოგრაფიულ რომანს, **„მზის რაინდი“**, შთაუგონებია:

— რა ფასი აქვს სიცოცხლეს, თუ წინაპართა საქმეს ვერ აგრძელებ. შეიძლება იმ ხარისხით, იმ სიფიცხით, იმ ნიჭით, ან იმ სიმშვიდით ვერა, მაგრამ მთავარია ის ნაპერწკალი გქონდეს, სურვილი სიკეთის კეთებისა.

ამ სკოლაში რომ სწორი ორიენტირები ჰყავთ, მოსაწავლეებმა **ქეთი კოწოწაშვილმა**, **ეკა ნიკოლაიშვილმა, ნინო ალიმბარაშვილმა** და **მარიამ თეგეთაშვილმა** დაადასტურეს. მათ ნიკოლოზ **ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა** და **სოლომონ დოდაშვილის** ბიოგრაფიის უმთავრესი პასაჟები, მათი შემოქმედება შეუსწავლიათ. მასალების მოძიებისას სწორედ ნინო ვახანიას წიგნს დაყრდნობიან, როგორც უტყუარსა და მდიდარ წყაროს. ამიტომაც კვლევა ძალიან გაადვილებიათ, რადგანაც წიგნი ერთად უყრის თავს XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეთა ბიოგრაფიებსა თუ შემოქმედებას.



ნუგზარ მოლაშვილი

ნინო გულუაშვილს, 210-ე სკოლის ქართულის მასწავლებელს, ეამაყება, რომ სოლომონ დოდაშვილი სწორედ ქართულის მასწავლებელი იყო. XIX საუკუნეში ისტორიული პროცესები ისე ღრმად შეჭრილა, ისტორიკოსებსა და ლიტერატორებს ერთნაირად აღძვრიათ ინტერესი ამ საუკუნის მიმართ:

— „ჩვენი XIX საუკუნე“ ერთნაირად ძვირფასია ორივე საგნის მასწავლებელთათვის... რთულია გაარკვიო განათლებით ისტორიკოსია ავტორი თუ ფილოლოგი.

მოვლენები დანახულია ისტორიული რაკურსით, ფაქტებისა და წყაროების კარგი ცოდნით, საჭირო აქცენტებით. სწავლებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოწოდებით გამოირჩევა ეს ვეება ნაშრომი... მოსწავლეებს მეტ ინტერესსა და სურვილს გაუჩენს პარალელები გაავლონ ქართველ და უცხოელ მოღვაწეებს შორის, გაერკვნენ რას ნიშნავს „გადმოქართულება“ „გადმოკეთება“, ზოგადსაკაცობრიო პრობლემის ეროვნულზე „მორგება“, რა საერთო და განმასხვავებელი აქვთ მსოფლიო მოღვაწეებს.

ქალბატონო ნინო, „თქუენ ახალ მოძღუარ იქმენით“ ჩვენთვის XIX საუკუნის ისტორიული რეალობის შესწავლაში“.

ნინო ვახანიას XIX საუკუნის ისტორიული და ლიტერატურული მოვლენების ზედმიწევნით ცოდნა არაერთგზის წარმოუჩენია, 1832 წლის მოვლენებს რომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, ეს ადრინდელ გამოკვლევებშიც გააცხადა. მკვლევარს ახარებს, რომ ჩვენს სინამდვილეში ისეთი მასწავლებლები არსებობენ, რომლებსაც ეამაყებათ, სოლომონ დოდაშვილი ქართულის მასწავლებელი რომ იყო. მართალია ხშირად ესმის ახალგაზრდების მისამართით გამოთქმული საყვედური, მაგრამ სჯერა, რომ ისინი, უფლის წყალობით, სწორედ წინაპართა გზის გამგრძელებელნი არიან:

— მთელი ქართული მწერლობა იმის გაცნობიერებაა, რომ სამშობლოსათვის ვცოცხლობთ, კეთილი საქმეებისთვის, მაგრამ ის კეთილი საქმეები უპირველესად სამშობლოა, რასაც რომანტიკოსები — გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი გვეუბნებიან.

იყო დრო, როდესაც ქართული ლიტერატურის მკვლევარები ცდილობდნენ გრიგოლ ორბელიანის ცხოვრება და შემოქმედება რაღაცნაირად გაეხლიჩათ. არსებობს მის ბიოგრაფიებში ისეთი ეპიზოდები, რაც თითქოს არ შეეფერება. ერთი შეხედვით ასე ჩანს, და ეს არც უნდა დავმალოთ, არამედ ვთქვათ — რატომ მოხდა ასე და არა სხვანაირად.

ერთადერთი ადამიანი, რომელიც არანაირ ბრალდებას არ იმსახურებს, გახლავთ ალექსანდრე ორბელიანი, რომელმაც არ შეიცვალა 32-იანური მრწამსი. იყო დისიდენტი და ბოლომდე დარჩა იმ პრინციპზე, რომ რუსეთი მტერია და ჩვენგან უნდა წავიდეს. ამბობდა, მაბრალებენ, რომ რუსები არ მიყვარს, მაგრამ მე ისინი აქ არ მიყვარს, ჩემს სამშობლოში, თორემ იქ უკეთესი რა გინდა, ისეთი ხალხიაო. სიცოცხლის ბოლომდე ამ შეხედულების ერთგული დარჩა.

60-იანელებმა, რომლებმაც გადაარჩინეს ეროვნული იდეალები და საქართველო, ბევრი რამ სწორედ ალექსანდრე ორბელიანისგან ისწავლეს. ალექსანდრე ორბელიანი იყო ის ადამიანი, რომელიც მათ სიმართლეს ეუბნებოდა. აი, ამათ, რომანტიკოსებმა და მათ შორის ალექსანდრე ორბელიანმა საფუძველი ჩაუყარეს 60-იანელთა მოვლინებას. ამიტომაა, რომ ჩვენში რეალისტები და რომანტიკოსები არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, არის განმასხვავებელი ნიშნები, მაგრამ ძალიან ბევრი საერთოც აქვთ. ევროპული სალიტერატურო პროცესების თანამონაწილენი ვართ, ერთი ჯაჭვის რგოლები, რა თქმა უნდა, რომანტიზმი აქაც ისაა, რაც ევროპასა და ამერიკაში, მაგრამ არის რაღაც განსხვავებაც, ისევ გამომდინარე ჩვენი ეროვნული ცხოვრებიდან.

ვისურვებდი, რომ ყველა სკოლაში იყოს ინტერესი ამ საკითხებისადმი. ეს მოვლენები შევისწავლოთ არა როგორც წარსული, თავისთავადი წარსული, არამედ წარსული აწმყოსთვის და, რასაკვირველია, წარსული მომავლისთვის. ყოველთვის გახსოვდეთ ეს დევიზი, რომელიც გიწერიათ დაფაზე: რაისთვის ვცოცხლობთ, რისთვისაა მოსული ადამიანი.

ნუგზარ მოლაშვილი:

— მწერლობა რომ გმირობაა, ყველას მოგეხსენებათ, სინდისისა და პატიოსნების შენარჩუნება, ბოლომდე დარჩე ისეთი, როგორიც ხარ, ადვილი არცერთ ეპოქაში არ ყოფილა. ეს ნამდვილად შეძლო ბატონმა როსტომმა. მისი ნაწე-

რები იმდენად ქართულია და იმდენად სულიერი, რომ ამოსუნთქვა გიჭირს, წაკითხვა გიჭირს ერთი ამოსუნთქვით, იმიტომ, რომ დატვირთულია, ძალიან ბევრი რამის გააზრებას მოითხოვს, დაფიქრებას მოითხოვს, შემდეგ გკარნახობს გზებს — სად წახვიდე, როგორ წახვიდე, რა მოიძიო.

ბოლო 20 წელი მაინცაა, იმდენად გაგვაბედნიერა ეროვნულ გმირებსა და სულიერებაზე წერით, ყველას სახელით დიდი მადლობა მინდა ვუთხრა.

როსტომ ჩხეიძის არაერთ მხატვრულ-დოკუმენტურ რომანში გამოიკვეთა 1832 წლის შეთქმულების გამორჩეულობა. მწერლის აზრით, 180 წლის იუბილე უნდა აღინიშნებოდეს, რადგანაც ხშირად გახმიანების გარეშე ეს თარიღები საზოგადოებრივ ცნობიერებაში, მის აზროვნებაში კარგავენ განმსაზღვრელ მნიშვნელობას და ძალიან ცუდია, როცა საქმე ერისათვის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება.

— სახელმწიფო მოვალეა არ დაივიწყოს ასეთი თარიღები, ის კი არა, ყოველ წელიწადს უნდა ვსაუბრობდეთ ამ თემატიკასა და პრობლემატიკაზე, მაგრამ განსაკუთრებით, როცა საიუბილეო, მრგვალი თარიღია. როცა სახელმწიფოს არ ახსოვს თავისი ნამდვილი ისტორია და ისტორიული მოვლენები, მაშინ ასეთ, თითქოს პატარა ადგილას ხდება გახსენება. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. გავა ხანი და, იცოდეთ, ახალგაზრდებო, რომ თქვენ ხართ ისტორიული წუთების მომსწრე: როცა ცოტასღა ახსოვდა 32 წლის შეთქმულება და მისი მნიშვნელობა, გახსოვდათ თქვენც და გახსოვდათ იმიტომ, რომ თქვენი მასწავლებელი, თქვენი ხელმძღვანელია ნუგზარ მოლაშვილი, რომელიც მართლაც ძველი თაობის პედაგოგია, სულაც XIX საუკუნიდან მოდის და... არამარტო XIX საუკუნიდან — თავისი გარეგნობით, თავისი სულიერებით ძალიან დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ყოფაზე. არამარტო ახალგაზრდებზე. მინდა იცოდეს, მისი გავლენა ძალიან შორს ვრცელდება და სწორედ ასეთი ადამიანების გავლენა უნდა ვრცელდებოდეს რაც შეიძლება შორს. ეს უკეთესი იქნება არამარტო ჩვენი საგანმანათლებლო ყოფისთვის, არამედ ჩვენი ქვეყნისთვის საერთოდ. სწორედ ასეთი ისტორიული წუთების მომსწრენი ხართ დღეს.

ხათუნა მაჭარაშვილს უხარია რომ ბავშვებთან ურთიერთობის საშუალება მიეცა, რადგანაც 7 წელია პედაგოგიურ საქმიანობას ჩამოშორებია და ფაქტობრივად დაუკარგავს ის ძაფი, რაც ბავშვებთან აკავშირებდა.

— ლიტერატურა ნებისმიერი ერისა და ქვეყნის გენეტიკასა და საქმელს გამოხატავს. ზოგადად ქართული ლიტერატურა გვაქვს საამაყოდ ქართველებს... უნდა ვიცოდეთ, რა გავიარეთ, რა განგვიცდია, რა გაგვივლია, რა ყოფილა მნიშვნელოვანი ჩვენს ცხოვრებაში. ეს XIX საუკუნე, 32 წლის შეთქმულება რატომ იყო მნიშვნელოვანი. ვინ იყო სოლომონ დოდაშვილი, რა გავლენა მოახდინა ნიკოლოზ ბარათაშვილზე, რა კვალი დაამჩნია ნიკოლოზ ბარათაშვილმა შემდგომ თაობებს და ა.შ. თუ ეს ყველაფერი არ შევიცანით, არ გავიგეთ არა ამბად, ვერ ვიქნებით ღირსეული ქართველები და ზოგადად მოქალაქეები.

დღევანდელი დღე იმედი მაქვს დაგეხმარებათ ამ ყოველივეს უკეთ შეცნობაში. დარწმუნებული ვარ, ქალბატონი ნინოს წიგნი აუცილებლად დაგეხმარებათ საკუთარი თავის შეცნობასა და ადგილის დამკვიდრებაში.

XIX საუკუნე ძალიან დატვირთულია და ის საკითხები, რაც მაშინ იყო აქტუალური, დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ეს წიგნი უდავოდ იქნება ერთი რგოლი არამხოლოდ ლიტერატურის შესასწავლად, არამედ საკუთარი ქვეყნისა, საკუთარი როლის შესაცნობად ამ დიდ სამყაროში.

ნუგზარ მოლაშვილი:

— მართლაც ძალიან ძნელია ყველაფრის ერთ საათში ჩატევა. სიყვარულიც ასე იწყება... მე ახლა XIX საუკუნეში ვიმყოფები და ნიკოლოზ ბარათაშვილს, ჩემს მეგობარს, მინდა ვუთხრა: — არა, არ ჩაივლის ცუდად, შენი სულისკვეთება, არ ჩაივლის.

* * *

210-ე საჯარო სკოლის შენობა გამორჩეულია, ისეთი მასშტაბური, რომ მის დირექტორს, ნუგზარ მოლაშვილს, ბევრი საინტერესო წამოწყების, ახალ პროექტთა განხორციელებისაკენ უბიძგებს. მითუმეტეს, როცა თანამშრომელთა თანადგომისა და გულისხმიერების იმედიც აქვს...

მცირე ტრაპეზისას, წინაპართა მიბაძვით — უფალს, სამშობლოსა და მამულიშვილებს დალოცავს ნუგზარ მოლაშვილი. ლოცვის სიწმინდეს აღრეულ ღირებულებათა გაუფასურების გამო აღძრული სევდა შეერევა, გულისტკივილი, რომელიც აუცილებლად უნდა გაცხადდეს. გულითადი მასპინძელი ჩვენს მედიასაშუალებათა (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა!) კონფორმიზმსა და ეროვნული მნიშვნელობის საკითხებისადმი დაუდევრობას ამ სიტყვებით ამხელს:

— ტელევიზიებს ვერაფერს შეასმენ, თუნდაც უახლოესი ნათესავი ხელმძღვანელობდეს. ვის აღარ ვარწმუნებდი, ვცდილობდი შემეგონებინა, რომ ამ თარიღისათვის გადაცემა მიეძღვნათ. მითხრეს, ქვეყანაში იმდენი ახალი, საინტერესო ამბავი ხდება, 1832 წლის შეთქმულება და მისი მონაწილენი რატომ უნდა გვახსოვდესო...

სამწუხაროა, რომ საქართველოში ინერციით გრძელდება გულგრილობა საკუთარი კულტურისა და სახელმწიფო მოღვაწეთა მიმართ და ხშირად შეამჩნევთ, რომ ისინი რაღაც მითიურ, ბუნდოვან ლანდებად მიიჩნევიან. პატივის მიგებასაც ალბათ ამიტომ ჰგონიათ მეორეხარისხოვანი საქმე. მართლაც, რატომ შეაწუხებთ ამ უზარმაზარ, სიახლეებით გაჯერებულ 21-ე საუკუნეში ჩაკარგულ ადამიანებს 1832 წლის შეთქმულთა განწირული სულისკვეთება? როცა ათასი ჯურის უმცირესობათა წარმოჩენა, ტრადიციათა, ადათ-წესების მგმობელთა ტირაჟირება-გაპიარება, უზნეობის წახალისება გამხდარა აუცილებელი. აბა მათთვის 32 წლის შეთქმულება რატომ უნდა იყოს საინტერესო?

თუკი გული და გონება მამულის აღქმას არ ეძიებს, ამაოა მისი ცხოვრება, ვისაც ქართველობა ეთაკილება, ის კომფორტულად ვერ იგრძნობს თავს თუნდაც ნინო ვახანიას წიგნთან — „ჩვენი XIX საუკუნე“ — შეხებისას, ვერც სარგებელსგამოდევნებულთათვის გათვლიდა ნაშრომს ავტორი. პირიქით, სწორედ მამულის ცნების გათავისების, მამულიშვილობის მაგალითის მიმცემთა მკითხველამდე მიყვანით ახერხებს ნინო ვახანია იმის გაცხადებას თუ რაისათვის ცოცხალ ვართ!

1832 წლის 180 წლის იუბილე, მთელი დღის ნაფიქრალი, იმ სულიერი წესრიგის მიღწევის სურვილს გვიმძაფრებს, რომელიც მოდუნებას არ დაგვანებებს და მარადი-

ნინო გულუაშვილი

მეგზური XIX საუკუნეში

XIX საუკუნე განსაკუთრებული სიმძაფრით შემოიჭრა ქართველთა ცხოვრებაში. ბობოქარმა ეპოქამ უხვად „მოიტანა სისხლი და ცხედრები“, აჯანყებები, შეთქმულება, ბრძოლები. ვაებდნენ რომანტიკოსები, ხალხს ეროვნული ენერგიის შეერთებისკენ მოუწოდებდნენ თერგდალეულები.



ისტორიული პროცესები თავისთავად ჩაიწნა და განსხეულდა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში, ამგვარად, ეს საუკუნე განსაკუთრებული ინტერესის საგანი შეიქნა ისტორიკოსებისთვისაც და ლიტერატორებისთვისაც. სწავლებისას ძნელია ზღვარი გაავლო ისტორიასა და მწერლობას შორის, ერთი მეორეს გულისხმობს და საჭიროებს, ამიტომაც ნინო ვახანიას წიგნი „ჩვენი XIX საუკუნე“ ერთნაირად ძვირფასია ორივე საგნის მასწავლებელთათვის... და მოსწავლეთათვისაც.

ეს არის უაღრესად ღრმა და საფუძვლიანი კვლევა ლიტერატურული და ისტორიული პარალელებით, რთულია გაარკვიო (და არც ვიცი) განათლებით ისტორიკოსია ავტორი თუ ფილოლოგი.

მოვლენები დანახულია ისტორიული რაკურსით, ფაქტებისა და წყაროების კარგი ცოდნით, საჭირო აქცენტებით. სწავლებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოწოდებით გამოირჩევა ეს ვეება ნაშრომი. ამავე დროს ყოველმხრივაა განხილული თითოეული ქართველი მწერალი: **სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე, მიხეილ თუმანიშვილი, გრიგოლ რჩეულიშვილი, გიორგი ერისთავი, ზურაბ ანტონოვი, ლავრენტი არდაზიანი, რაფიელ ერისთავი** — ბიოგრაფიული უზუსტესი მონაცემებით, ოჯახური გარემოთი, ახლობელთა წრით, ხასიათის შტრიხებით — ანუ ყველაფერი ერთადაა თავმოყრილი — ის, რასაც წლების მანძილზე სხვადასხვა წყაროებიდან ფრაგმენტულად ვაგროვებდით და ვკინძავდით, მზამზარეულად მოგვეწოდა, დახვეწილად, გამართული ქართულით, ანალიტიკურად.

ნინო ვახანია

უნდა აღვნიშნო, რომ ცალკეული მწერლის შემოქმედების დეტალური განხილვის პარალელურად მოცემულია ლიტერატურულ მიმდინარეობათა განმარტება, განზოგადება, სად, როდის, როგორ ან რატომ ჩაისახა ესა თუ ის სამწერლო მიმართულება, როგორ ვითარდებოდა ევროპასა და რუსეთში, ვინ იყვნენ მათი წარმომადგენლები, რჩეული თხზულებები, მათი ანალიზი. შემიძლია ვთქვა, რომ მოსწავლეებს ეს ნაშრომი ძალიან წაადგებათ სწავლის პროცესში, მეტ ინტერესსა და სურვილს გაუჩენს პარალელი გაავლონ ქართველ და უცხოელ მოღვაწეებს შორის, გაერკვნენ — რას ნიშნავს „გადმოქართულება“, „გადმოკეთება“, ზოგადსაკაცობრიო პრობლემის ეროვნულზე „მორგება“, რა საერთო და განმასხვავებელი აქვთ მსოფლიო მოღვაწეებს.

მოაზროვნეთა სიუხვით ნამდვილად გვაქვს „სატრაბახო“ ქართველებს, განსაკუთრებით XIX საუკუნის მოაზროვნეთა სიუხვით, „სატრაბახო“ ფაქტებს კი მოწადინებული მკითხველი თვითონვე მოიძიებს ამ წიგნში, ანუ დაინტერესდით და „იტრაბახეთ“, „იამაყეთ“, რადგანაც რუსეთს „შიშის ზარს სცემდა პოეზია, უფრორე მეტად, ვინემ ფერმკრთალი შეთქმულება აჯანყებისთვის“.

მე კი თავს მოვიწონებ (და ვიტრაბახებ) იმით, რომ ჟურნალ „ომეგას“ ერთგული მკითხველი ვიყავი და ყოველი თვის პირველ რიცხვს მოუთმენლად ველოდებოდი, რადგან ამ დღეს „ომეგას“ ახალი ნომერი გამოდიოდა, ყველა შენახული მაქვს და მინდა ვთხოვო ბატონ როსტომს — ნინო ვახანიას მონოგრაფიის „ჩვენი XIX საუკუნე“ რედაქტორსაც — აღადგინოს ეს გამოცემა.

მინდა პირველ რიგში ჩვენს თავს მივულოცო ამ წიგნის გამოსვლა (როგორც აუცილებელი ისტორიულ-ლიტერატურული შინაარსის შემცველი სახელმძღვანელოს არსებობა) და შემდგომ ავტორს მივულოცო წიგნის დაბეჭდვა.

ქალბატონო ნინო, „თქუენ ახალ მოძღუარ იქმენით“ ჩვენთვის XX საუკუნის ისტორიული რეალობის შესწავლაში.

დამსწრეთა სახელით გილოცავთ წიგნის, კიდევ ერთი „შვილის“ დაბადებას და „მრავალშვილიანობას“ გისურვებთ ჩვენს საკეთილდღეოდაც.

გიორგი ხორბალაძე

„არ მოკვდე სიკვდილამდე!“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როდესაც ადამიანს ბრძოლის უნარი აქვს დაკარგული და მომავლისაკენ აღარ ისწრაფის.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— თუ ქვეყანას გულისხმობთ, საქართველოს გარდა ვერცერთ ქვეყანაში ვერ ვიცხოვრებ, უფრო კონკრეტულად კი, სადაც ვცხოვრობ — ჩემი ქალაქი გორი — ჩემთვის იდეალური ნავსაყუდელია.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ბედნიერებაა, როცა შეგიძლია ყველასთან სიყვარულით ურთიერთობდე და საკუთარი საქმიანობით სხვაზეც ზრუნავდე.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— დათა თუთაშხია.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟი?

— დავით აღმაშენებელი, ქართველთა უმრავლესობისა არ იყოს.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ფიროსმანი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— გიორგი ცაბაძე.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— პატიოსნება, პატრიოტიზმი და პასუხისმგებლობა.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— არსებობს ასეთი სიტყვა ქალურობა და ამაში ბევრი რამ იგულისხმება.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე მომხიბლავი?

— მადლიერება.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— მომავალ თაობაზე ზრუნვა და მათთვის ხელშეწყობა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ამაზე არ მიფიქრია, მირჩევნია საკუთარი შრომით მივიდე სასურველ მდგომარეობამდე.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— სიკეთე.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულება და თანაგრძნობის ნიჭს.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— აფექტურობა გაბრაზებისას.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ჩემს სამშობლოში საკუთარი საქმის კეთება და საყვარელ ადამიანების გარემოცვაში ცხოვრება.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— რომ არ მჯეროდეს ჩემი სამშობლოს მომავლისა — საშინელება იქნებოდა.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— სიმართლე გითხრათ ჩემი თავი სხვანაირი ვერც წარმომიდგენია, ასე ხომ ის მე აღარ ვიქნებოდი?!

— თქვენი საყვარელი ფერი?

— წითელი, თუმცა ეს ბავშობიდან მომდევს და რომ გითხრათ რატომ, ვერ გიპასუხებთ.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— გვირილა.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— არწივი.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ნოდარ დუმბაძე.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ვერ ვიქნები ორიგინალური, მაგრამ, მაინც, გალაკტიონი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— მაია წყნეთელი.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— საბედნიეროდ რეალურ ცხოვრებაშიც გვყავს გმირები, რომლებმაც სამშობლოსთვის ნასროლ ტყვიას საკუთარი მკერდი გადააფარეს, ზოგი მათგანი დღესაც ცოცხალია, ზოგი შეეწირა ბოლომდე, თუმცა ყველა რეალური გმირია და მათი კაცობისა და ხსოვნის წინაშე ყოველთვის ქედს მოვიხრი.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— თამარ მეფე.

— საყვარელი სახელები?

— დიანა.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ვერ ვიტან, როდესაც ვინმე ცდილობს რომ მომატყუოს.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— სამწუხაროდ, მოღალატენიც უხვად გვყავდა ქართველებს: ყორღანაშვილი, ფალავანდიშვილი, ორჯონიკიძე და მათი სწორფერები.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?

— საომარი მოქმედებით და პროცესებით არა, მაგრამ სამშობლოს თავგანწირვით ანუ იმ იდეით, რაზეც შეიძლება ომი მიმდინარეობდეს — აღტაცება შეიძლება.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ქართულ რეალობაში ეს, ჩემი აზრით, პოლიციის რეფორმაა, მე მახსოვს ჩემი სტუდენტობის წლები, როცა განუკითხაობა და შავი სამყარო მძვინვარებდა, არ იყო უსაფრთხო ცხოვრების არანაირი გარანტია; ჩვენ ამ თვალსაზრისით, მაშინ, ნულოვან კონდიციამდეც კი ბევრი გვაკლდა და სადღაც მინუს უსასრულობაში ვიყავით, იქიდან დღევანდელობაში მოსვლა კი საოცრად დიდ მონდო-

მებისა და შრომის შედეგი შეიძლება იყოს მხოლოდ, რაც ძალიან მნიშვნელოვან ქმედებათა ერთობლიობას უნდა ეფუძნებოდეს, საბედნიეროდ, დღეს კრიმინალის თარეში აღკვეთილია და მშვიდ, კანონზე აგებულ რეალობაში ვცხოვრობთ.

— **ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— ზოგჯერ ძალიან მომდომებია რამე დამეხატა, მიცდია კიდეც მაგრამ სულ ამაოდ.

— **როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?**

— მართალი და ამაგდარი.

— **თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— იმედიანი და ოპტიმისტური.

— **ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— გასაჭირში მყოფის თანაგრძნობა.

— **თქვენი დევიზი?**

— არ მოკვდე სიკვდილამდე!

— **თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— ხშირად ის უფრო მნიშვნელოვანია, ვინ გეუბნება, ვიდრე ის, რასაც გეუბნებიან. უფლის სიტყვა ყველა მისაღებია და შესამეცნებელი.

მოუთმენლად ველით მუზეუმის გახსნას

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
მთავარ რედაქტორს
ბატონ როსტომ ჩხეიძეს

ბატონო როსტომ! მოგახსენებთ, რომ ხაშურის რაიონის მოსახლეობა და სოფელი ოსიაურელები ძალიან გაგვახარა თქვენს ჟურნალში ახლახან გამოქვეყნებულმა „კრწანისის უცნობი გმირი და მისი შთამომავლნის“ წაკითხვამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ პირადად თქვენ და პუბლიკაციის ავტორებს ვაჟა შუბითიძესა და შადიმან ბიწაძეს.

ვეზირიშვილების ოჯახის შესახებ ჩემი დედამთილისაგან ასეთი ამბავი მსმენია: რამდენიმე გლეხი მისულა ჩემს მამამთილთან — სანდრო ძულიაშვილთან — და უთქვამთ, ვეზირიშვილებს თავს უნდა დაესხან და შენც წამოდიო. როგორც ჩანს, გლეხებს თავისი ხელმძღვანელი ჰყავდათ და დავალება მისგან მიიღეს. სანდრო ძულიაშვილის უფროსი შვილი, მანია, ბატონების ნათლული ყოფილა. თვითონ სანდრო მეჯინიბე გახლდათ, ხოლო მისი მეუღლე პურის მცხობელი ყოფილა ბატონების ოჯახში. ბატონი თურმე მარტო სანდროს ანდობდა თავის ცოლ-შვილს, როცა სადმე წასვლას ინებებდნენ ან სეირნობა მოუნდებოდათ, სანდროს უნდა წაეყვანა ეტლით.

ერთგულ გლეხს შორს დაუჭერია თანასოფლელების წინადადება, დაუშლია მათთვისაც: დაეხსენით მაგ საქმეს, ცოდვაში არ ჩადგეთო. ამავე ღამეს მისულა ბატონებთან და უთქვამს: წადით აქედან, ამაღამ თავს უნდა დაგესხანო. ბატონებს არ დაუჯერებიათ: ჩვენ ვინ რას დაგვიშავებს, ვინ რას გვერჩისო. მართლაც, ვეზირიშვილები ძალიან კარგი ხალხი ყოფილან, გლეხებთან კარგი ურთიერთობა ჰქონიათ და სიავეს მათგან არ ელოდნენ.

სანდროსთვის მარტო თავის ნათლია ბატონს დაეჯერებინა და გაჰყოლია თავის ცოლ-შვილით. სანდროს ისინი საიმედო ადგილას გადაუმალავს სურამში, იქ მოკეთეები ჰყავდა და იქ შეუფარებია. იმავე ღამეს ვეზირიშვილების ოჯახში დიდი ტრაგედია დატრიალებულა — ოჯახში დარჩენილი ვეზირიშვილები მხეცურად ამოუწყვეტიათ. გლეხობას, პატიოსან და მშრომელ ხალხს, მაშინაც და შემდგომ ათეული წლების განმავლობაში ახსოვდა და ეცოდებოდა თავიანთი კეთილი ბატონები. არ უყვარდათ და ეზიზღებოდათ მკვლელობის მონაწილეობაში ეჭვმიტანილი თანასოფლელები.

როგორც სოფელ ოსიაურის, ისე ხაშურის რაიონის მოსახლეობა მოუთმენლად ელოდება ვეზირიშვილების სასახლეში მუზეუმის გახსნას, სადაც როგორც მეზობლების სახლებში შემორჩენილი ნივთები, ისე ვეზირიშვილების მემკვიდრეების ოჯახებში დაცული ისტორიული მასალები დაიდებს ბინას.

ღრმა პატივისცემით

ნათელა ძულიაშვილი
პედაგოგი, სოფელი ოსიაური

ჩიტა ბუხრიკიძე, კოტე მჭედლიშვილი, სანდრო ძულიაშვილი

ეთერ თედიაშვილი

ქვაზე დადებული

პატარძეულის ჩასახვევში მდებარე პირველი კორპუსის განაპირა სადარბაზო, ცალი კოჭის ამარა დარჩენილი, კედლებდაბზარული და დაქანებული, დროებით საყრდენად მარჯვენა მხრიდან ყავარჯენივით ბოძი რომ შეედგათ და მაინც ბარბაცებდა, მშველელის მოლოდინში, დაბრეცილი, ელამი ფანჯრიდან წლების განმავლობაში ამაოდ იმზირებოდა.

კომატოზურ მდგომარეობაში მყოფმა, ხელოვნური სუნთქვის აპარატს მიერთებულმა უშველებელმა მონსტრმა — საბჭოთა კავშირმა, უკანასკნელად მოანერა ხელი საქართველოში ახალაშენებულ კორპუსში ბინების განაწილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომლის სიაშიც ჩვენი ყავარჯნიანი ბინაც მოხვდა.

მართალია, ეს დედისეული ბინა ბევრ მოგონებასთან იყო დაკავშირებული და ძალიან გვიჭირდა მისი დატოვება, მაგრამ ცხინვალიდან ახალგამოდევნილები ვიყავით, ჩემი ძმა ახალდაქორწინებული გახლდათ და ამდენად, ჩვენთვის დიდი ჯილდო იყო ახალ, ფართო ბინაში გადასვლა.

სიხარული ნაადრევი გამოდგა, რადგან რამდენიმეთვიანი ცხოვრების შემდეგ დავადგინეთ, რომ ქალაქის გარეუბანში აშენებული ეს ჩვენი ახალი კორპუსი, ყოფილ ნაგავსაყრელზე იდგა და კვირაში ერთი სანტიმეტრით მიწაში ეფლობოდა. ჩივილსა და პროტესტს აზრი არ ჰქონდა, რადგან ვიცოდით, რომ ამით არაფერი შეიცვლებოდა. ამიტომ, ვიდრე ცოცხლად დავიმარხებოდით, ჩემმა იმერელმა სიძემ, რომელიც პირდაპირ პროტოტიპი გახლავთ კირილე მიმინოშვილისა, უხმო მის იმერულ გამჭრიახობას და სულ ცოტა ხანში მოახერხა ამ ბინის გაყიდვა. ბარგი ისედაც დიდი არაფერი გვქონდა და ამ ფულით მივადექით სამხედრო ნაწილთან მდებარე კორპუსს, სადაც ბინები შედარებით იაფად იყიდებოდა.

ქუჩა იმდენად დაზიანებული იყო, რომ იფიქრებდით, ამ ქუჩის მოსახლეობას საომარი პოზიციების დასაკავებლად სანგრების გათხრა დაუწყიაო. მანქანის მძღოლები საგონებელში ვარდებოდნენ, არ იცოდნენ, როგორ აექციათ გვერდი აუარებელი ღრმულებისათვის ისე, რომ მანქანა არ დაეზიანებინათ.

ერთადერთი, ვინც ამ ქუჩის მზეს ფიცულობდა და ღმერთს მადლობას სწირავდა იმის გამო, რომ სწორედ ამ ქუჩის წყალობით დაფრთხა მის წასაყვანად უცნობი სიშორიდან მოსული მიქელგაბრიელი, გახლდათ ამ კორპუსის ბინადარი, ყველაზე ცნობისმოყვარე, ენაგესლიანი და ცხვირწამახული ჟენო, რომელსაც თავში გზააბნეული ბუშტების ქაოტური მოძრაობა, ხოლო თირკმელებში კენჭების გაუფრთხილებელი შემოტევა აწუხებდა. ერთ-ერთი ასეთი შეტევის დროს სასწრაფო დახმარების ექიმებმა მომაკვდავი ჟენო საოპერაციოდ საავადმყოფოში გააქანეს.

სასწრაფო რის სასწრაფოა, თუ სწრაფად არ იარა. ჰოდა, ამ ჩვენს დაღმართზე რომ დაეშვა, მანქანამ ერთი კი არა, ზედიზედ რამდენიმე ბუქნი გააკეთა. თანაც მხოლოდ ზევიდან ქვევით კი არა, მარჯვნიდან მარცხნივაც. მძღოლი იქით იგინებოდა და იფურთხებოდა, ჟენო აქეთ კიოდა. ამასობაში იმშობიარა კიდეც. დაღმართის ბოლოში კი მანქანიდან ხტებოდა, სახლში გამიშვით, აღარაფერი მაწუხებსო და „ახალშობილს“ მანქანაში ტოვებდა.

— როგორ, ზომები მაინც არ გაინტერესებსო? — მიაძახეს ექიმებმა.

როგორ არ აინტერესებდა, ცხვირსახოცში გამოხვეული სახლში წამოიღო, წყლიან ჭიქაში ჩასვა და კომოდის თავზე შემოსკუპებულ მის წინამორბედ, შედარებით მომცრო ზომის დედმამიშვილს მოუსვა გვერდში. ამის მერე, როგორც კი შეტევა დაეწყებოდა, კორპუსთან დადარაჯებული, მანქანას ელოდებოდა, რომ ეგება ვინმეს დამგზავრებოდა და გზაში ემშობიარა.

ამ ქუჩას მელაანისა ერქვა, მაგრამ იმის გამო, რომ სომხეთიდან სპიტაკის მიწისძვრის დროს დაზარალებული უსახლკარო ლტოლვილები ჩამოასახლეს და ამ სახლებში შეასახლეს, ჩემმა ძმამ ქუჩას სახელი შეუცვალა და მათ პატივსაცემად მელოიანი დაარქვა.

ვინაიდან ძირძველი თბილისელები არ იყვნენ, ამ სომხებმა ქართული ჯერ კიდევ არ იცოდნენ, მაგრამ ჩვენს მიმართ პატივისცემას ყოველთვის ავლენდნენ. განსაკუთრებით, ფეხზე ადგომითა და მოწიწებით გვესალმებოდა ახალგაზრდა, ფიწალივით ხმელი ჯული, რომელიც ერთთავად დიდი ქვის ლოდზე იჯდა და მზესუმზირას ყიდდა. საცოდავი, მიწისძვრით დაშინებული, მთლად თავის ჭკუაზე არ იყო და ღამეც კი არ შედიოდა სახლში.

ჩვენი ოროთახიანი ბინა რუსი სამხედროების მიერ მათივე ოფიცრებისთვის აგურით ნაშენ გრძელ კორპუსში მდებარეობდა. ვინაიდან ეს ბინები საუწყებო იყო, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, ქვეყანაში არასტაბილური და ფაქტობრივად საომარი მდგომარეობის გამო, ეჭვქვეშ დგებოდა საქართველოში მათი გაჩერების საკითხი. ამან განაპირობა ამ ბინების სასწრაფო წესით გაყიდვა. მთავარი იყო, აქედან ხელცარიელები არ წასულიყვნენ. ვინც საბუთების მოგვარება ვერ მოასწრო, დაბალი ფასების საზღაურად დატოვეს ეს საუწყებო ბინები და გაემგზავრნენ.

აფხაზეთის ომიდან ახალდაბრუნებული, დემორალიზებული ჩვენი ჯარი სწრაფი ტემპით ითვისებდა რუსების მიერ მიტოვებულ სამხედრო ნაწილს, უფრო სწორად ნარჩენებს, სადაც ცარიელი, დანგრეული კედლებისა და აუარებელი ნაგვის გარდა, სხვა არაფერი დახვდათ. დღე და ღამე არ წყდებოდა ამ დანგრეულ გვერდაზე ტანკების, ბეტეერებისა თუ სხვა მძიმე ტექნიკის გრიალი. ქვემოთ ნაგავს, ხოლო ზემოთ საბრძოლო მასალას ეზიდებოდნენ. მას შემდეგ კი, რაც უბნის უპატრონო ძაღლი ნაღმზე აფეთქდა, საფუძვლიანად შეუდგნენ განაღმვით სამუშაოებს. კიდევ ბევრი ნაღმი აღმოაჩინეს და დაიწყეს მათი გაუვნებელყოფა, ანუ აფეთქება. საცოდავ მოსახლეობას თავი ფრონტის წინა ხაზზე ეგონა.

დღეში ორჯერ კი მწყობრი ნაბიჯით, უფრო სწორად ბუქნით (ქუჩის ღრმულების გამო), მიმავალი, წაგებული,

ფეხშიშველი და ჩაუცმელი ჩვენი ჯარი პატრიოტული მარშით: **„სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინებაო“,** მოკოჭლაობდა და ვერც რიტმში ჯდებოდა და ვერც ტონალობაში.

გამწარებული ბატალიონის უფროსი კი ღრიალებდა და ხან ერთს უთავაზებდა თავში და ხან მეორეს. მათი ცოდვით დამწვარი სპიტაკელები აქეთ-იქიდან გაუბედავად ხმებს აწვდიდნენ, ტონალობა რომ მაინც გამოესწორებინათ. ხოლო მას შემდეგ, რაც ბატალიონის უფროსი იარაღმომარჯვებული შემოუტრიალდა და უღრიალა: — ეხლა ამოიღეთ ხმა? სად იყავით აფხაზეთში თქვენი თანამოძმეები ჩვენს სისხლს რომ ღვრიდნენო და როგორც კი მოღალატე ბაგრამიანი ახსენა და ავტომატი შემართა, ხსენებული ენთუზიასტები ადგილზე ისე აორთქლდნენ, რომ დიდხანს გარეთ ცხვირს ვეღარ ყოფდნენ.

უმუშევრობის, უშუქობის, უწყლობის, შიმშილისა და განუკითხაობის დრო იდგა. შუქი და წყალი გრაფიკით მოგვეწოდებოდა. პური კი ტალონებით. ჩვენ, როგორც ლტოლვილებს, ჰუმანიტარულ დახმარებას: ფქვილს, ბრინჯსა და ზეთს დროდადრო გვაძლევდნენ. ხომ არ გგონიათ, სახლში გვირიგებდნენ, არა, ბატონო, ამ განძის მოპოვება ცხრათავიან დევთან შერკინებაზე უფრო რთული იყო, რადგან დევს იმ ცხრა თავს როგორღაც მოაჭრიდი და ბოლოში გახვიდოდი, მაგრამ ასობით გამწარებულ და დამშეულ ლტოლვილთა მასაში საკუთარი რიგის მოლოდინში საათობით გარეთ დგომას დარსა თუ ავდარში, და ურიგოდ წინ წასულთა მისამართით ლანძღვა-გინების მოსმენითა და ყველა მხრიდან მუჯლუგუნებისაგან დასაცავად შემართული, ერთთავად დაძაბული და დაღლილი სხეული ჰუმანიტარული ფქვილისა და ბრინჯის სათრევად უკვე უძლური იყო. ძალას მაცლიდა კიდევ იმ ისტორიების მოსმენა, რაც იმ შვილმკვდარი დედებისა თუ სხვა გაუბედურებული ადამიანებისაგან მესმოდა. უმეტეს მათგანს ბრინჯი კი არა, სიცოცხლე აღარ უნდოდა, მაგრამ სიკვდილის უფლება არ ჰქონდა, რადგან ოჯახში დამშეული ბავშვები და მოხუცები ელოდებოდნენ...

ტაქსისთვის ფულს ვინ გაიმეტებდა, მეტროთი მგზავრობა კი უფასო გვქონდა, მაგრამ აქ უნდა შევგუებოდი იმას, რომ ყიზილბაშებივით შემოსეული ხალხის მასის ჭყლეტაში უფორმო მასად ვიქცეოდი. იმ სადგურში გამიტანდნენ, სადაც ჩამოსვლას სულაც არ ვაპირებდი. ან პირიქით, ყიზილბაშების ახალი ტალღა გამოსვლას არ მაცლიდა, ისევ უკან შემომიტანდა. ამას ისიც თუ დაემატებოდა, რომ რომელიმე მუტრუკის ღიპზე ტკიპასავით აკრული აღმოვჩნდებოდი, რომელიც ვითომ კიდევაც განიცდიდა, ჭყლეტაში რომ მოვყევი და ზემოდან ნეტარი თანაგრძნობით დამყურებდა, ღიპს უფრო მეტად გამობზეკდა და წინა ღამის ნალოთავებ ოხშივარს ზედ მაფრქვევდა, პატივაყრილი და უბედური ადამიანის შეგრძნებას უფრო მიმძაფრებდა. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ ეს ყველაფერი ბრინჯისა და ფქვილის ტომრების თანხლებით.

მერე, გოლგოთააღმართამოვლილი, ამ ჩვენს დანგრეულ კორპუსთან წუთშესვენებას ვიღებდი ახალი ძალების მოსაკრებად. აქ კი ბავშვები მოცვივდებოდნენ დასახმარებლად. კარგად იცოდნენ, შინ ხელცარიელს არ გავუშვებდი. თითო ჭიქა ფქვილსა და ბრინჯს მათაც ვუწილადებდი.

ამ ბრძოლაგამოვლილი ბრინჯის ტომარა პირველად რომ გავხსენით, დიდხანს ვარკვევდით, ნამდვილად ბრინჯი იყო თუ არა. მერე სამეზობლო კონსილიუმი მოვიწვიეთ და დავადგინეთ, რომ ის გაურკვეველი ნაწილაკები, რომლებიც წესით ბრინჯი უნდა ყოფილიყო, დიდი ხნის გარდაცვლილი, აწ უკვე მუმიად ქცეული მატლები იყვნენ და ბევრად ჭარბობდნენ ე.წ. ბრინჯის მარცვლებს. ჩემმა ძმამ თავისი უტყუარი ალღოთი დაასკვნა, რომ ევროპიდან შემოტანილი ეს ჰუმანიტარული ტვირთი უეჭველად აუსტერლიცთან დამარცხებული ნაპოლეონის ჯარის გამოსაკვებად გათვალისწინებული იმ დიდი მარაგის ნაწილი იყო, რომელიც დღემდე შემორჩა და ჩვენთვის გამოიმეტეს.

უმუშევრად დარჩენილი, უსაქმურობისაგან მახათმომარჯვებული ჩემი სიძე საქათმეში შემთხვევით მოხვედრილ სირაქლემასავით დაალაჯებდა ოთახებში და ყოფნა-არყოფნის შექსპირისეულ ფრაზას, დრამატიზმისათვის შეუფერებელი ცინიკურ-ირონიული ინტონაციით, განგებ ხმამაღლა, მთელი კორპუსის გასაგონად ჭექდა. სხვა მსახიობებისაგან განსხვავებით, ჰამლეტის როლზე არასოდეს უოცნებია, მისი ბუნებისა და ჰაბიტუსიდან გამომდინარე, კომიკურ როლებს უფრო არგებდნენ. თუმცა ერთხელ ოტელო ითამაშა და კარგად მიახრჩო კიდეც დეზდემონა. ის კი არა, ისე შეიჭრა როლში, რომ საცოდავი დეზდემონა ხელიდან ძლივს გააგდებინეს. ახლა კი ოცნებობდა, ეს ფრაზა ხმამაღლა, სცენიდან წარმოეთქვა. ვერ ვიტყვი იმას, რომ სცენაზე სიკვდილზე ოცნებობდა. არა, სიკვდილისა სიკვდილივით ეშინოდა, დღე და ღამე იმაზე ფიქრობდა, სიცოცხლე როგორ გაეხანგრძლივებინა. იცოდა, რომ ამისათვის კარგი კვება აუცილებელი იყო. კარგ კვებას კი კარგი ფული სჭირდებოდა. ფული მანამდე ჰქონდა, ვიდრე მემკვიდრეობით დატოვებულ უძრავ ქონებას თანდათანობით ყიდდა. მერე, როცა აღარაფერი დარჩა გასაყიდი, საგონებელში ჩავარდა. ორმოცი წლის კაცი პროფესიას ვერ შეიცვლიდა, რომ შეეცვალა კიდეც, არაფრის გარანტია არ ჰქონდა, ქვეყანაში განუკითხაობა იყო... არადა, ცხოვრება თავიდან უნდა დაეწყო. მშენებლობაზე შავ მუშად ვერ წავიდოდა, მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ხელობა არ ეხერხებოდა, არა ბატონო, მუშაობაში თავადური წარმომავლობის ეპოლეტებიანი მუნდირი უშლიდა ხელს. მუნდირს კი ცოცხალი თავით არ იხდიდა. მთავარი კი ის იყო, რომ მაინც გულუბრყვილოდ სჯეროდა — ეს ყველაფერი დროებითი იყო და მალე ცხოვრება ისევ თავის ძველ კალაპოტს დაუბრუნდებოდა, მანამდე კი ჟურნალ-გაზეთების კითხვაში, ეზოში ნარდის თამაშსა და, ზოგჯერ, მოგებულით ტკბობაში გაჰყავდა წუთისოფელი.

ერბოკვერცხი ყელში ამოუვიდა და ნაღველი გაუღიზიანდა (საცოდავ ქათმებს გახრწნილი თევზის ნარჩენებით კვებავდნენ და ეს კვერცხის გემოზე აისახებოდა), ლობიოს კი ძნელად ინელებდა, მუცლის შებერილობა აწუხებდა. ბოლოსდაბოლოს, ხორცი მოენატრა.

მეზობელ ჯემალას ეს საკითხი მოგვარებული ჰქონდა. რამდენიმედღიანი შიმშილის შემდეგ გონება ერთბაშად გაეხსნა (ეტყობა აგონიაში იყო). დაიწყო თბილისის ქუჩებში ბორიალი. საიდანაც წიოკისა და ტირილის ხმა მოესმოდა, დაადგენდა გარდაცვლილის ვინაობას, დაესწრებოდა პანაშვიდებსა და გასვენებას, ბოლოს კი ქელეხშიც ამოყოფდა თავს. ყოველ კვირას ხაშლამასა და შილაფლავს მიირთმევდა. მიცვალებულს კი რა გამოლევდა, მითუმეტეს იმ ავადსახსენებელ დროს.

დიდ, საკუთარ სახლსა და ბაღ-ბოსტანს მიჩვეულებს, გაგვიჭირდა ოროთახიან ბინასთან შეგუება. ერთმანეთს ვეჯახებოდით და ადგილს ვერ ვპოულობდით. გულს მხოლოდ იმით ვიმშვიდებდით, რომ ეს ყველაფერი დროებითი იყო, სამართალი გზას იპოვიდა და მალე დაგვაბრუნებდნენ ჩვენს მშობლიურ კუთხეში. მართალია, ჩვენს დაკარგულ ნივთებს არავინ დაგვიბრუნებდა და დამწვარ სახლსაც ძველის, ტრადიციულის აღარაფერი დაეტყობოდა, მაგრამ ახალს აგვიშენებდნენ და ვეცდებოდით, კვლავ ბედნიერები ვყოფილიყავით.

ღამით არცერთს არ გვეძინა, ჰაერი არ გვყოფნიდა, თანაც მეზობლებთან საერთო კედლები ძალიან თხელი იყო და ჩურჩულიც კი ისმოდა. განსაკუთრებით აუტანელი იყო მეზობელ მაშას საძინებელი, სადაც ეს საეჭვო საქციელის ქალბატონი, პროფესიით მამაკაცთა სტილისტ-პარიკმახერი და მასაჟისტი, სამხედროთა — და არა მხოლოდ მათი — მთავარი მკრეჭავ-მჭმუჭნავი იყო. მთელი ღამე კლიენტების მიღება-გასტუმრებისას სხვადასხვა რეგისტრში აბღუილებდა ელექტროსამართებელს. საოცარი ის იყო მხოლოდ, რომ ამ უშუქობაში საიდან მიეწოდებოდა ამ ქალს იმდენი ენერგია, მთელი პოლკის მომსახურება რომ შეეძლო. შიგადაშიგ წამოკივლებები და ალიყურის ხმაც გაისმოდა. ეტყობა, მაკრატელი კრეჭვისას გზიდან უხვევდა და ხან ყურს წამოედებოდა და ხან რა ვიცი კიდევ რას, რაც გამოშვერილი იყო ალბათ იმას. დილით კი სახემოღრეცილი და დალურჯებული სვეტა მეფოდიჩის ძაღლს ეხუტებოდა და ალერსის ადამიანურ მოთხოვნილებას მასთან ისრულებდა. აბა რა ეგონა, იმ გაქანებულ უხორცობაში თუნდაც ერთი გრამი ხორცის დაკარგვას და დაზიანებას ვინ შეარჩენდა. ისე, საკმაოდ პროფესიონალური თვალი კი ჰქონდა. მაშინვე ამჩნევდა, ვის ჰქონდა გასაკრეჭი თავი. ჩემს ქოჩრიან სიძეს დაადგა თვალი და მალ-მალე ახსენებდა, რომ თმა ძალიან მოეზარდა და დრო იყო, მასთან ვიზიტზე ეფიქრა. თან ცდილობდა, თმაში ხელი წაევლო, მაგრამ ჩემს აყლაყუდა სიძეს ვერ სწვდებოდა. ის კი სულაც არ ცდილობდა, სვეტასთვის თავი დაეხარა. წარბაწეული ირონიულად იღიმებოდა და მასთან ანგარიშის გასწორებას, უძილო ღამეებისა გამო, შესაფერისი დროისთვის სწევდა.

მეფოდიჩი იმ მცირედთაგან ერთ-ერთი იყო, ვინც ამ სახლს ძველი, რკინის საბჭოთა სამხედრო ძლიერებიდან, უკანასკნელი აფეთქებული ნაღმის ნამსხვრევივით შემორჩა. ეს ჭაღარა, გრძელწვერა ჭარმაგი კაცი, ღრმად ჩამჯდარი, მოკვასკვასე თვალებით, რაღაცით რასპუტინს მოგაგონებდათ. თავაზიანი და მოღიმარი, მუდამ ცდილობდა, ახალ მეზობლებთან კეთილი კონტაქტის დამყარებას.

ჩვენს ქვეყანაზე იყო დიდად შეყვარებული თუ აქ ყოფნით გარკვეულ მისიას ასრულებდა, არავინ იცის... ფაქტი იყო, რომ აქედან გადაბარგებას არ აპირებდა. უბანში კიდევ მოიძებნებოდა ერთი-ორი ისეთი ადამიანი, ვისაც კარგად ახსოვს მეფოდიჩის ძველი იერი, პოლკოვნიკის ფორმაში გამოწყობილი, რა მედგრად დააბიჯებდა ამ არემარეზე.

მეფოდიჩის ფერიცვალება კი მას შემდეგ გახდა შესამჩნევი, რაც ამ რამდენი წლის წინ კგბ-ს პოლკოვნიკი ეკლესიაში გაამწესეს. ეტყობა, ამავე უწყების მაღალჩინოსნებს დასპირტული, დაუმარხავი ლენინის მოჩვენება არ ასვენებდათ და ღამით ძილს უფრთხობდა, რომელსაც მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი ეკლესიისკენ ჰქონდა გაშვერილი, ხოლო მარჯვენათი პირჯვარს იწერდა. ანდა, სულაც ბიბლიის გასაშიფრად და საიდუმლო კოდის ამოსაცნობად მიავლინეს ეკლესიაში, თორემ ვინ დაიჯერებს, რომ ამ ფოლადისთავიან ათეისტებს ათი მცნების დაცვა ან მისი ქადაგება მოუვიდოდათ აზრად.

როგორც მელაანის ქუჩის მემატიანეები იხსენებენ, მას შემდეგ მეფოდიჩი საგრძნობლად შეიცვალა. სიარული, სახის გამომეტყველება სხვანაირი გაუხდა. როგორც ჩანს, საფუძვლიანად შეისწავლა ბიბლია და ის საიდუმლო კოდიც გაშიფრა, რაც ადამიანს სიკვდილის შემდეგ ისევ სიცოცხლის კარის გასაღებს აპოვნინებს. ამის შემდეგ ყველაფერს სხვა თვალით შეხედა. მის შფოთიან თვალებში სადღაც შორს, სიღრმეში, საოცარი სიმშვიდე ჩაიკირა. მაშინაც კი, როცა მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი, საყვარელი მეუღლე ასია გარდაიცვალა და ყველას ეგონა, რომ თან გადაჰყვებოდა, მშვიდსა და გარინდულ მეფოდიჩს სახიდან რაღაც განსხვავებული, ყველასათვის ამოუცნობი ღიმილი არ მოშორებია.

ჩაცმულობით ერთი ბეჩავი მოხუცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ზაფხულში ტილოს ფართხუნა შარვალ-ხალათი, ხოლო ზამთარში მოძველებული სამხედრო ჯუბა ეცვა. ფინანსურად კი სულაც არ უჭირდა, რადგან ძველი სამსახურიდან ღებულობდა მაღალ პენსიას, შიგადაშიგ ამანათებსაც და იმ აუტანელ შიმშილში, კარაქი და შაქარი რომ გვენატრებოდა, ხოლო ბრინჯიდან გამორჩეულ მატლებს შავი დღისათვის ვინახავდით, მას ყოველთვის მაძღარი სახე ჰქონდა და თავისი ძაღლისთვის ხორცსაც კი იმეტებდა.

რამდენიმე წლის შემდეგ კი, ცოტა სული რომ მოვითქვით და შავი დღისთვის შემონახული მატლები გადავყარეთ, მარტოდ დარჩენილ მეფოდიჩს საყვარელი ძაღლიც რომ მოუკვდა და ხმის გამცემი აღარავინ დარჩა, ერთგვარი შიში ჩაუდგა თვალებში. შიში იმისა, ვაითუ ქრისტიანული წესით არ დაემარხათ საყვარელი მეუღლის გვერდით. და აღარავისთვის საჭირო, გამოუსადეგარი მისი ლეში, სადღაც ნაგავსაყრელზე არ მოესროლათ. გამალებულმა სამეზობლოში დაიწყო სანდომიანი ხალხის ძებნა. მეტწილად ეზოში იყო და ხან ვის გამოელაპარაკებოდა და ხან ვის. მერე არჩევანი ჩვენზე შეაჩერა, რადგან გამუდმებით გვეპატიჟებოდა თავისთან ჩაიზე. ამისთვის რომ არავის გვეცალა, მერე თვითონ დაიწყო ჩვენთან მურაბის ქილებით სიარული.

მეორე ნამსხვრევი ძველი ძლიერებისა გახლდათ სტანისლავ ბორისოვიჩ კუჩერი. თუმცა ნამსხვრევს სულაც არ ჰგავდა, პირიქით — ეს ორმოც წელს გადაბიჯებული, ათლეტური აღნაგობის სიმპათიური კაცი, ასაფეთქებლად გამზადებული ნაღმივით ავისმომასწავებლად გამოიყურებოდა და მოჭუტული წაბლისფერი თვალებიდან მოგიზგიზე ცეცხლს აფრქვევდა. პირველ სართულზე მდებარე მისი ბინა რკინის ჯავშანში იყო ჩასმული და როგორც მერე გავიგეთ, ამ სამოთახიანი ბინის ქვეშ მდებარე უშველებელი ბუნკერი დიდძალი სამხედრო არსენალით იყო სავსე. კუჩერი მეფოდიჩივით არ მოშინაურებულა და აზრადაც არ მოსვლია გენერლის ფორმის გახდა.

ისეთ დროს მოგრიალდებოდა თავისი სამხედრო ჯიპით, როცა ეზოში არავინ იყო. ისეთი სწრაფი და მყარი ნაბიჯით შევიდოდა თავის ბინაში და იქიდანაც ისე სწრაფად გამოვიდოდა და გაქრებოდა, რომ თვალის შევლებასაც ვერ ვასწრებდით. ღამით კი, როცა ზავჩამოწოლილ (ზავზე ქვემოთ

მოგახსენებთ) სიჩუმეში გულისცემა ძველ რიტმს დაუბრუნდებოდა, ქუთუთოებს საწონები ჩამოეკიდებოდა და ყურებს სვეტას სამართებლის კრაჭუნი იუპიტერის სიშორიდან ჩაესმოდა, სწორედ მაშინ გამალებულად იტვირთებოდა კუჩერის ეტლ-კამაზი მისივე ბუნკერიდან გამოზიდული საბრძოლო იარაღით, რომელიც მძიმედ დაეშვებოდა გვერდზე და ჩვენთვის გაურკვეველი მიმართულებით გაჭენდებოდა.

იმ განუკითხაობასა და უმუშევრობაში ერთ პროვინციელ მუსიკოსს სამსახურს ვინ მაღირსებდა, მაგრამ ლტოლვილობამ მიშველა და ყოველგვარი მოსმენის გარეშე (რომ მოესმინათ, მოცარტი სულ ცოტა სამჯერ გადაბრუნდებოდა საფლავში, ბახი კი, დარწმუნებული ვარ, ყოველ გადაბრუნებაზე წყევლასაც შემომითვლიდა) მუსკომედიის თეატრში თანამშრომლად ამიყვანეს. მართალია, ხელფასი გზის ფულად არ მყოფნიდა, მაგრამ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან მუსიკალური ატმოსფერო ჩემს ყოველდღიურ მძიმე და გაუსაძლის ცხოვრებას რაღაცნაირად აფერადებდა. ცუდი ის იყო მხოლოდ, რომ ჩემი ჩელო თან უნდა მეტარებინა, რადგან ხომ გითხარით, განუკითხაობა იყო და ეს ჩვენი შენობაც არ იყო დაცული, ყველაფერი იკარგებოდა. სავსებით შესაძლებელი იყო, ჩემი ძვირფასი ინსტრუმენტი ღამის დარაჯს ჩაის ასადუღებლად ან ხელების გასათბობად ცეცხლისთვის შეეკეთებინა. ჩვენმა ტრომბონისტმა ელიზბარმა ბათუმის საბაჟოზე შემთხვევით მიაგნო თურქეთის გზას გაყენებულ, მეტალურგიული ქარხნის ძვირფასი მანქანა-დანადგარების ჯართად დაფასოებულ ნაწილებს შორის ოქროსფრად მოელვარე ძვირფას ინსტრუმენტს.

მხატვარი თამარ მინაშვილი

— შენ მანდ რას აკეთებო? — შეუღრინეს ქვემოდან მანქანაზე ამძვრალ ტრომბონისტს, რომელიც გაოგნებული ატრიალებდა ხელში დაჭყლეტილ ტრომბონს და ვერ გაეგო, სად თავი იყო, სად ბოლო, ან საერთოდ რა უნდოდა ამ ინსტრუმენტს ჯართში. გაოგნება არ აცალეს, სტაცეს ხელი და მანქანიდან ჩამოათრიეს. მისდევდა დაძრულ მანქანას ჩვენი ელიზბარი და ყვიროდა — ეს ჩემი ტრომბონია და იცოდეთ, გიჩივლებთო, — თან მანქანის ნომერს ხმამაღლა იმეორებდა.

— ტრომბონი კი არა, ქარხნის რუპორიაო, — ხითხითებდნენ რეგვენები და ჩვენი ტრომბონისტის ცრემლიან თვალებში სულ უფრო და უფრო პატარავდებოდნენ იქამდე, ვიდრე სულ არ გაქრნენ.

ზამთრის ცივი, სუსხიანი, ერთი ჩვეულებრივი სამუშაო დღე იდგა. მეორადი მოხმარების ლამაზი, უცხოური პალტო ცოტათი დიდი კი მქონდა, მაგრამ მაგას ვინ ჩიოდა, თბილად მეცვა და მეტროთი მგზავრობაც უფასო მქონდა. ჩემი თანამშრომლების უმეტესობა ფეხით დადიოდა, რადგან ტრანსპორტის ფული არ ჰქონდათ. ეს ჩვენი მწირი ხელფასი კი თვეობით იყინებოდა (ანუ დაგვიანებით გვაძლევდნენ), ამაზე პასუხისმგებელი კი არავინ იყო. ერთი საუკუნის წინ აშენებული შენობის ცალფა ფანჯრები სიცივეს ვერ აკავებდა. ანტრაქტის დროს დარბაზის კუთხეში მიყუჟულ გაუბედურებულ რეფლექტორს მისეული ოცდაათამდე ადამიანი შთაგონებით უფრო თბებოდა, ვიდრე ამ ინვალიდი რეფლექტორით, რომელიც საცოდავად ზუზუნებდა და საკუთარ თავს ძლივს ათბობდა.

უფრო რთული მდგომარეობა წარმოდგენის დარბაზში, სცენის ქვემოთ მდებარე საორკესტრო ორმოში იყო, სადაც ქარი ყველა მხრიდან, განსაკუთრებით კი კულისებიდან უბერავდა. აქ კი ქუდებსა და პალტოებში ჩაფუთნულები, თითებთან გადაჭრილი ხელთათმანებით ვუკრავდით. მართალია, თითებს სხარტად ვეღარ ვამოძრავებდით და ტემპსა და რიტმში დაბრკოლება გვქონდა ისე, რომ საწყალი დირიჟორი მთელი ტანით ირხეოდა და ლამის მენჯებიდან ამოვარდნილიყო, როგორმე თანაბარი ტემპი რომ მიეღო, მაგრამ ამაოდ ირჯებოდა. რა გვექნა, ეს ნაქსოვი ხელთათმანები თითების წინა ორი ფალანგის კიდეზე იყო გადაჭრილი და ხელის მტევნის ზურგსა და გულს მაინც გვითბობდა.

სპექტაკლის დროს კი დირიჟორი მუდარით გვთხოვდა, რომ ქუდები მოგვეხადა. მართალია, ორმოში ვეყარეთ, მაგრამ თავები მაინც გვიჩანდა და უხერხული იყო.

სპექტაკლისათვის — „მევიოლინე სახურავზე“ — ვემზადებოდით და მთელი დღე მხოლოდ ვოკალისტებთან ვმუშაობდით. ამ ცივ ორმოში ჩაყრილი მუსიკოსები სახურავზე ამძვრალ სოლისტ მევიოლინეს აკომპანიმენტს ვუკეთებდით. ყველაზე დიდხანს პიესის ფინალურ სცენაზე მუშაობა გაგრძელდა, რომელსაც მთელი გუნდი ასრულებს. ეს გულისამაჩუყებელი სცენა, ებრაელ მოსახლეობას მშობლიური ანითევკიდან რომ ასახლებენ, ჩემს ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა. მახსენდებოდა ცხინვალიდან ჩვენი გამოძევების ამბები. პოკო-ა-პოკო კრეშჩენდომდე (თანდათან გაძლიერებას ნიშნავს) კიდევ ვუძლებდი, მხოლოდ ტუჩები მებრიცებოდა, ხოლო კრეშჩენდოზე კი ცრემლები ღვარად მომდიოდა და დაკვრას ვეღარ ვახერხებდი.

ჩემს მოპირდაპირედ, მეორე ვიოლინოებში მდგომი ედიკას ზიზღნარევი, გულგრილი სახის შემყურეს, ცოტათი მინელდებოდა მოზღვავებული ემოცია. ამ კაცს ანათევკელი ებრაელებისა კი არა, მხოლოდ იმის ჯავრი ჰქონდა, რო-

დის ჩაუკრავდნენ ვიზას პასპორტში, რომ აქედან საბოლოოდ გაეღწია.

— რაშია საქმე, მინდიაშვილო, ცუდად ხომ არა ხართ? — მკითხა დირიჟორმა და ორკესტრი შეაჩერა.

— მაპატიეთ, მაესტრო, ალერგია მაქვს, — ვიმართლე თავი და ცრემლები ღიმილით მოვიწმინდე.

დირიჟორმა კიდევ დიდხანს მატირა, რადგან მეცოსოპრანოთი უკმაყოფილო იყო და ერთსა და იმავეს უანგარიშოდ იმეორებდა. მე კი მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემი ემოციების გასაფანტად, ცრემლიან თვალებს არ ვაშორებდი ჩემი მზერით გაოგნებულ ედიკას, რომელიც აშკარად საგონებელში იყო ჩავარდნილი, უჩემოდ წასულიყო საზღვარგარეთ თუ არა, და ან საერთოდ წასულიყო კია?

ისე მშიოდა, ერთი სული მქონდა, ჩემს წიწიბურიან ფრიკადელებს როდის შევჭამდი. ხორცის გემო თითქმის დავიწყებული გვქონდა. დაბეგვილი ხორცის ნაცვლად, მწვანილებში შეზავებულ წიწიბურას ვბრაწავდით და ფრიკადელის გემოზე მივირთმევდით.

მეტროში, ჩემდა გასაოცრად, ხალვათობა იყო და დასაჯდომი ადგილიც კი შემხვდა. მეორე გაჩერებაზე ორი მათხოვარი შემოვიდა — ახალგაზრდა, უსინათლო ქალი და პატარა ბიჭი. ბიჭი დოლზე უკრავდა, ხოლო ქალი ლამაზი ხმით მღეროდა და ხელში ამობრუნებული ქუდი ეჭირა, სადაც ძალიან ცოტა ხურდა ფული ეყარა. რამდენიმე სადგური ერთად გავიარეთ. აკომპანიმენტი აკლდა, თორემ ისე მშვენივრად, აწყობილად, ორ ხმაში მღეროდნენ. მათი საცოდაობით ვიწვოდი, რადგან ფულს არავინ აძლევდა. რა მექნა, მეც უფულოდ ვიყავი. ჩემს სადგურზე გამოვიდნენ, მეტროდან ამოსასვლელ კიბესთან გაჩერდნენ და იქ განაგრძეს სიმღერა. რა ბზიკმა მიკბინა, არ ვიცი, უცბად გადავწყვიტე, რომ დავხმარებოდი და აკომპანემენტი გამეკეთებინა. ეგება ხალხი მოგვეზიდა და ფულიც მიეცათ. გავხსენი ეს ჩემი ბუდე, ამოვიღე ჩელო და მათთან ერთად შევუბერე. უნდა გენახათ ჯერ მათი გაოცება, უცბად შეწყვიტეს მღერა და გაოგნებულნი მომაჩერდნენ. მე თავით ვანიშნე, რომ არ გაჩერებულიყვნენ და მღერა განეგრძოთ. ჩემი აკომპანემენტი ძალიან მოუხდა მათ სიმღერას. ხალხიც ჩერდებოდა და ქუდიც ხურდა ფულით ივსებოდა.

— თქვენც უსინათლო ხართ? — მკითხა დედამ, რომელსაც თავი ჩემსკენ ჰქონდა მოტრიალებული, ხოლო თვალებით სადღაც იყურებოდა.

— სამწუხაროდ, არა. — ვუპასუხე მე.

— რა გქვია? — მკითხა ბიჭმა.

— მზია.

— ხვალაც მოხვალ? ჩვენ აქ ვიქნებით, — და დედას ხელი გაჰკრა.

— ააარა... არ ვიცი... — დაბნეულად ვუპასუხე.

— მოდი რა, — შემომევედრა ბიჭი.

ამასობაში ჩამობნელებულიყო. აწყურის ქუჩაზე ვიგრძენი, რომ ვიღაც ჩემივე ნაბიჯით უკან მომდევდა, მაგრამ არ მიმიხედავს, როგორც კი ლიანდაგს მივუახლოვდი, უცნობმა ხელი სტაცა ჩემს ჩელოს — ქალიშვილო, მომეცით, მოგეხმარებითო, — არც კი დაელოდა ჩემს რეაქციას, ისე ჩამომართვა ინსტრუმენტი და ხელიც კი შემაშველა ლიანდაგზე გადასასვლელად.

სპორტული აღნაგობის, კარგად ჩაცმულ ახალგაზრდას არაფერს დაუწუნებდით, მაგრამ შევხედე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ საშიშ კრიმინალთან მქონდა საქმე. შეშინებული წავეტანე ჩემს ინსტრუმენტს, მაგრამ — ნუ სწუხართ, სახლამდე მიგაცილებთო — და ნარკომანებს რომ სჩვევიათ, ისე გამიღიმა.

— არ არის საჭირო, აქვე ვცხოვრობ, დიდი მადლობა-მეთქი, — და ისევ წავეტანე ინსტრუმენტს.

ჩელო მარჯვენა ხელში გადაიტანა, მარცხენა ჩემს ხელს ჩაავლო და ასე ხელჩაკიდებული მომდევს.

— გამიშვით ხელი და დამიბრუნეთ ჩემი ინსტრუმენტი! — გავამკაცრე ტონი და ხელი როგორც იქნა გამოვგლიჯე, მაგრამ ჩელოს არ მიბრუნებს.

— ხომ გითხარი, სახლამდე მიგაცილებ-მეთქი, — შენობაზე გადმოვიდა.

— ჰოდა, ჩათვალეთ, რომ უკვე მომაცილეთ. მე აქვე ვცხოვრობ, — და კვლავ წავეტანე ჩემს ინსტრუმენტს.

— კარგი, აი იმ შენობასთან მოგცემ, — და მიმითითა ერთ მიტოვებულ, დანგრეულ შენობაზე, — იქ დაუკრავ, აბა გარეთ ხომ არ დაგაკვრევინებ, ცივა. მე კი მაინტერესებს, როგორ უკრავ, — თქვა და საეჭვოდ გაიღიმა. შიშმა მთელ ტანში დამიარა. არც არავინ ჩანდა მშველელი, ან ვინ უნდა ყოფილიყო ამ სუსხიან ამინდში, ძაღლი არ გაიგდებოდა გარეთ. ახლა უკვე მუდარაზე გადავედი:

— ძალიან გთხოვთ, დამიბრუნეთ, ეს ერთადერთია, რაც გამაჩნია, სხვა არაფერი გადამირჩა ცხინვალიდან, ლტოლვილი ვარ, სხვა არაფერი გამაჩნია. — ვემუდარებოდი და მზად ვიყავი, ისიც მომეყოლა, როგორ დაარბიეს ჩვენი სახლ-კარი ბარბაროსებმა და შემთხვევით გადარჩენილი ჩემი ჩელო, ნამდვილი ხელნაკეთი ანტიკვარული, ტიროლური ინსტრუმენტი, უსახური ბუდის გამო უმნიშვნელო საგნად მიჩნეული, უკანასკნელი ფულით მოსყიდულმა რუსმა სამხედროებმა ერგნეთის საზღვრამდე ბეტეერით როგორ გამომიტანეს. მოტირალი სახით შევცქეროდი და ვფიქრობდი, გულს ავუჩუყებდი, მაგრამ დარწმუნდა რა იმაში, რომ ჩელოს გარეშე გზას არ გავაგრძელებდი, შებრუნდა და გაემართა იმ დანგრეული შენობისაკენ, საითაც ცოტა ხნის წინ მე მეპატიჟებოდა. აქ კი არ შეიძლებოდა, არ დავთანხმებოდი ალ კაპონეს გამონათქვამს, რომ ძალადობისას მხოლოდ ტკბილი სიტყვებით ვერაფერს გახდები, თუ თოფიც არ მიაშველე.

სასოწარკვეთილი გავეკიდე. ერთი რამ კი ნამდვილად ვიცოდი, რომ არაფრით არ უნდა მიმეტოვებინა ჩემი ძვირფასი ინსტრუმენტი, მაგრამ აქ უკვე საფრთხე ემუქრებოდა არა მარტო ჩემს ლიახვ და ერგნეთგადმოლახულ პატიოსნებას, არამედ ჩემს სიცოცხლესაც. თავდაცვის არანაირი შანსი არ მქონდა. მართალია, ამასობაში ტომრების თრევითა და მეტროში ჭიდაობით, კუნთების გარკვეული მასა დამიგროვდა, მაგრამ ამას მაინც ვერ მოვერეოდი. განწირულმა დავიყვირე — დამიბრუნეთ ჩემი ინსტრუმენტი-მეთქი — და ხელში ვწვდი.

ხელი ისე სხარტად ამომიტრიალა და თავისკენ მიმიზიდა, რომ შევკივლე.

უცბად ვიღაცამ ჩემი სახელი დაიძახა და აქ რა ხდებაო, — რუსულად იკითხა.

მოვიხედე და რას ვხედავ — ეს ჩვენი წვერებიანი მეფოდიჩი ჩანთებით დატვირთული დგას და ბრაზნარევი, გაკვირვებული სახით გვიყურებს.

— მეფოდიჩ, მიშველეთ, ჩელოს არ მიბრუნებს, — შევტირე და იმედმოცემულმა ხელის გათავისუფლება ვცადე, მაგრამ ის

სულაც არ აპირებდა ჩემთვის ხელის გაშვებას, ისევ მარწუხივით მიჭერდა და უფრო აგრესიულადაც, ვიდრე მანამდე.

მეფოდიჩმა ჩანთები ძირს დადო და მოგვიახლოვდა. ამ ავაზაკმა ტანგოს მომაკვდინებელი ილეთით დამაბზრიალა, მეორე იღლიის ქვეშ მომიქცია და ის ხელი, მე რომ მიჭერდა, მეფოდიჩს მკერდზე მიადო და მძლავრად უბიძგა. თან დააყოლა, — წადი, შე ბებერო, შენს გზას დაადექიო. მეფოდიჩი ცოტა კი გადაქანდა, მაგრამ უკან ისეთი მოქნეული ხელით წამოვიდა, რომ ეს ტიპი დარტყმისგან მუხლებში ჩაიკეცა. მე და ჩელოს ხელი გვიშვა და ქვემოდან ავად ამოიხედა, მაგრამ მეფოდიჩი, კარატეს მეორე ილეთით, ახალი დარტყმისათვის შემზადებული იდგა.

თვალებს არ ვუჯერებდი. ბეჩავი მოხუცი სულ სხვა ადამიანად იქცა. ისე ბზრიალებდა და ისეთ სხარტ მოძრაობებს აკეთებდა ხელებით თუ ფეხებით, რომ ოცი წლის ბიჭი გეგონებოდათ. მოწინააღმდეგე კი წამოდგომას ვერ ასწრებდა, რომ ისევ ძირს ეცემოდა.

— აიღე შენი ჩელო და გაეცალე აქაობას! — მომმართა მეფოდიჩმა და ჰაერში ახალი ნახტომი გააკეთა.

ისეთი გაოგნებული ვიყავი, რომ ჩელო აღარც კი მახსოვდა. მერე, როცა დავრწმუნდი, რომ ის ნაძირალა ცოცხალი გადარჩა და გასისხლიანებული თავპირით გინებითა და მუქარით თავქვე დაეშვა, მხოლოდ მაშინ გავემართეთ სახლისკენ.

— გვიან არასოდეს არ უნდა დაბრუნდეთ სახლში. ხომ იცით, ქალაქში განათება არ არის და უამრავი დანაშაული ხდება, — მითხრა მეფოდიჩმა და მძიმე, ათრეული ნაბიჯით ჩემთან ერთად შეუდგა აღმართს.

— მეფოდიჩ, თქვენ რომ არ ყოფილიყავით, არ ვიცი, რა მეშველებოდა, — ჯერ კიდევ გაოგნებული, ბედნიერი სახით მივჩერებოდი მეფოდიჩს და არად ვაგდებდი ქუჩის იმ ღრმულებს, მალ-მალე ფეხი რომ მივარდებოდა.

— ჰოო, ამას ნურავის მოუყვებით, საჭირო არ არის. მე თქვენ დიდ პატივს გცემთ, — თქვა მეფოდიჩმა და პატარა პაუზის შემდეგ გამიმეორა:

— თქვენ და მთელ თქვენს ოჯახს — შემდეგ გაჩერდა, სახე ახლოს მომიტანა და მითხრა:

— რადგან თქვენ არ იკადრეთ სხვის კუთვნილ ბინაში შეჭრა, თუმცა შეგეძლოთ ეს გაგეკეთებინათ.

— მობრძანდით ჩვენთან ჩაიზე, როცა გენებოთ.

— გმადლობთ.

* * *

საწოლების უკმარისობისა და ადგილის სიმცირის გამო, ორ შეტყუპებულ სავარძელზე მეძინა. არანორმალური, აფორიაქებული ცხოვრებიდან გამომდინარე, ჩემი შფოთიანი ძილის გამო, სავარძლები ყოველ გადაბრუნებაზე ერთი სანტიმეტრით განზე იწეოდა და დილაობით ჩემი სიმძიმის ცენტრი იატაკს ათბობდა. დაახლოებით სამ სანტიმეტრზე იქნებოდა სავარძლები გაწეული, როცა საშინელი აფეთქების, გასროლისა და მსხვრევის ხმა გაისმა. გულგახეთქილი წამოვხტი. ეს სიზმარი არ იყო, ხშირად რომ მესიზმრებოდა ცხინვალის ომის შემდეგ, როგორ ცვიოდა ჩვენს სახლში ტყვიები, ეზოში ყუმბარები ფეთქდებოდა და იმსხვრეოდა ჩვენი ფანჯრის მინები. არა, ეს ცხადი იყო, მაგრამ ეს ხომ ცხინვალი არ იყო, რა ხდებოდა, ვერაფერი გამეგო. ჩემი ძმა სახლში არ იყო, იმ ღამეს სასწრაფოში მორიგეობდა.

— ფანჯარასთან არ მიხვიდეთ! — იღრიალა ჩემმა სიძემ და თავად შუშაბანდს მიაწყდა.

— გამოდით, თუ კაცები ხართ, დაგვენახეთ, თქვენი დედა!.. — ისმოდა ქვემოდან ჩახრენწილი ხმით ბილწსიტყვაობათა მთელი კორიანტელი, რასაც აკომპანიმენტად ავტომატის ჯერი ახლდა თან. აქეთ-იქიდან კი ბრაუნინგის სინკოპირებულ რიტმში მოქცეული მთელი უბნის პატრონიანი თუ უპატრონო ძაღლების ფორტისიმოზე აწეული ქორალი აპოთეოზში გადადიოდა.

რეტდასხმული ჩემი სიძე პატარა პაუზის შემდეგ აზრზე მოვიდა და იმავე სიძლიერით, ოღონდ სხვა ტონალობაში (ტენორში) დასჭექა:

— რა ხდება, თქვენი დედა, — და მთელი ტანით სარეცხივით გადაეფინა აივანზე. იქიდან ისეთი კანონადა წამოვიდა, რომ მთელი კაპელა ძაღლების ხმა ერთბაშად შთანთქა და ჟენოს შუშაბანდის შუშები რომ ჩაიმსხვრა, მხოლოდ მაშინ აიკრიფა ჩვენი „სარეცხი“ აივნიდან. ჩემი აყლაყუდა სიძე, განრისხებული ერთ ადგილზე იდგა და კბილებს აკრაჭუნებდა. ხმას არ იღებდა, მაგრამ ხელის მტევნებს ერთმანეთს ისე აჭდობდა და კრუნჩხავდა, რომ ვიცოდით, იმ ბნელ სიცარიელეში საცოდავ დეზდემონას როგორ ახრჩობდა.

ის ღამე თეთრად გავათენეთ. მეორე დღეს კი გავიგეთ, რომ ჩვენი სამხედრო ნაწილის მეთაური კარგა გვარიანად დამთვრალა, ეს ჩვენი კორპუსი აფხაზების ციტადელად მოსჩვენებია და იერიშზე ბრძანება გაუცია.

მთელი ეზო გარეთ იყო გამოფენილი და წუხანდელ ამბავს არჩევდა. ყველაზე მეტს ჩვენი კარის მეზობელი, თენგოს ცოლი ბელა ქოთქოთებდა.

— კიდევ კარგი, რომ თენგო არ იყო სახლში, თორემ ის აჩვენებდა მაგათ, თუ როგორ უნდა ავტომატიდან სროლა. ხომ არ დაავიწყდათ, რომ თენგო „თეთრი არწივის“ ბიჭია, ჰაა?

თუმცა ამ ზღაპრისა, ბელას გარდა, სხვას არავის სჯეროდა. იმიტომ კი არა, რომ თვალებგადმოკარკლული შავტუხა თენგო, დიდი, კეხიანი ცხვირითა და შავი ულვაშებით, თეთრ არწივს კი არა, ყვავის ბიძაშვილს უფრო ჰგავდა, არამედ მისი არასერიოზული, ცანცარა საქციელის გამო. ის შავი ვოლგაც, რომლითაც ღამღამობით ვითომ ტაქსაობდა, არავინ იცის, სადაური წარმომავლობისა იყო.

როგორც იქნა, დაწყნარდა ეზო. იმ ღამემ მშვიდად ჩაიარა. ღამენათევ ძაღლებს ყეფის თავი აღარ ჰქონდათ. გვეგონა, მსგავსი აღარაფერი განმეორდებოდა, მაგრამ დადგა მომდევნო ღამე და ფრონტის ახალი ცეცხლის ხაზი შუაღამით გაიხსნა.

მორიგეობიდან დაბრუნებული, ორი ღამის გამოუძინებელი ჩემი ძმა, ღრმად ჩაძინებული — გიჟივით წამოვარდა.

— გაწექით იატაკზე! — იღრიალა, ატირებული პატარა სანდრო მკერდზე აიკრა და წელში მოხრილმა იმ სიბნელეში რაღაცას გამალებული ძებნა დაუწყო. ცხინვალის ომიდან სწრაფი რეაგირების გამოცდილება უკვე მიღებული ჰქონდა. იმ ტაბელური იარაღით კი, რომელსაც მხოლოდ თავდაცვის მიზნით ინახავდა, მტერიც კი არ მოუკლავს! მოუკლავს კი არა, პირიქით, დაჭრილი გადაურჩენია კიდეც. მხოლოდ ჰიპოკრატეს გამო კი არა, ერთ დროს რო შეჰფიცა, ჰიპოკრატე რა შუაშია, ის დაბადებიდან საკუთარ სინდისთან შეფიცული კაცი იყო.

— კიდევ არ ჩერდებიან ეს ნაძირლები?! — იღრიალა ჩემმა სიძემ. შარვალი წამებში ამოიცვა, „დახრჩობაში“ გან-

ვრთნილი ხელის მტევნები საზარლად დაკრუნჩხა, კბილები დააკრაჭუნა და სადარბაზოში კიბეზე გინებით დაეშვა.

— დაბრუნდი უკან! — იყვირა ჩემმა ძმამ, ბავშვი მეუღლეს მიაჩეჩა და ტყვიების პირველმა ნაკადმა რომ ჩაიარა, აივანზე გავარდა.

— არ გახვიდე! — ამოიკნავლა დედაჩემმა და სავარძელზე გადაესვენა.

— გამოდით გარეთ, თუ კაცები ხართ, თქვე ქვეშაფსიებო თქვენა!.. — ღრიალებდა ქვემოდან ჩვენთვის უკვე ნაცნობი ხრინწიანი ბარიტონი.

ცხინვალის ომმა ჩვენს ოჯახს დიდი დაღი დაასვა. ყველას რაღაცა დაგვიტოვა. მე პირადად — შეშინებული სახის გამომეტყველება. მშიშარა არა ვარ, მაგრამ ელდისგან კონცენტრაციას ვკარგავ, გული ფეხებში მივარდება, ხოლო გულისცემას გლანდებთანა ვგრძნობ. ახლაც ასე დამემართა.

მესამე სართულის სამოთახიანი ბინის აივნიდან გადმოფენილი მეფოდიჩის საცვლები, სამშვიდობო ზავის მაუწყებლად, თეთრად ფრიალებდა. თავად ხმაგაკმენდილი მეფოდიჩის სათქმელს კი მისივე ძაღლი მთელი ხმით, მოურიდებლად და ავად ყეფდა.

ჩვენი დროის გმირებმა, კიდევ კარგი, არ იცოდნენ ძაღლის ენა, თორემ რომ სცოდნოდათ, რასაც ის მათ ეუბნებოდა, ხომ მაშინვე ჩააძაღლებდნენ.

არც კუჩერის ბინიდან ისმოდა ჩამიჩუმი. ჩვენ თუ არა, თავად ხომ მაინც იცოდა, რომ მისი ბუნკერი სავსე იყო საბრძოლო იარაღითა თუ სხვა ასაფეთქებელი ნივთიერებებით, მაგრამ შესაძლოა სახლში არ იყო, ანდა ცეცხლის გახსნის თაობაზე ოფიციალურ ბრძანებას კრემლიდან ელოდა.

ამ უკუნეთ სიბნელეში კორპუსზე მოშვერილი ტანკის ლულა მხოლოდ მაშინ გამოჩნდებოდა ხოლმე, როცა უდანაშაულო და უმანკო ცას მიშვერილი ავტომატის ჯერი ზემოდან ცეცხლის ენებად უკან ბრუნდებოდა და ღმერთის რისხვაც თან მოჰყვებოდა.

მეფოდიჩის ძაღლმა ახალი ძალების მოსაკრებად და სალანძღავ სიტყვათა მარაგის შესავსებად, ხანმოკლე პაუზა გააკეთა. სწორედ ამ დროს გაისმა ჩემი სიძის რიხიანი ტენორი (მთელ პარტერს რომ ეყოფოდა, ისეთი).

— ვინ არის, ბიჭო, ქვეშაფსია, რა გინდათ, რას გვაწიოკებთ ამ შუაღამეზე, თქვე ნაძირლებო თქვენა, — და ეტყობა გაიწია დასარტყმელად, რადგან ჩოჩქოლისა და გაწევ-გამოწევის ხმა გავიგეთ, აივნიდან კი ჩემი ძმის ხმამაღალი მუქარა და ჰაერში გასროლა.

— ამ ქვეშაფსიებმა ხომ უნდა გაიგონ, ომი რა არის, ამათი დედა!.. ჩვენ იქ ვომობდით და ესენი აქ თბილად ისხდნენ, თავის ბიზნესზე ფიქრობდნენ! — ღრიალებდა ბარიტონი.

— მე შენ ვინმეში ხომ არ გეშლები, აბა კარგად შემომხედე! — არ ცხრებოდა ჩემი სიძე.

— შენ კაკო არა ხარ, ბიჭო? თქვენ ვინ გერჩით, ძმაო, შედით სახლში და მშვიდად იყავით, — იცნო ვიღაცამ ჩემი სიძე და მხარზე ხელიც კი მოუთათუნა.

— მშვიდად როგორ ვიყო, ბიჭო, შენ ჭკუაზე როგორა ხარ?!

— როგორია, ძმაკაცს რომ თვალწინ მოგიკლავენ, ნაწლავებს რომ ხელში დააჭერინებენ, ჰა? მე ამათი დედა, არ დაგაძინებთ, თქვე ქვეშაფსიებო თქვენა, თქვე კურდღლებო თქვენა, გამოდით, თუ კაცები ხართ! — არ ცხრებოდა ხრინწიანი ბარიტონი და ჩახმახს ათამაშებდა.

კაცები როგორ არ იყვნენ, მაგრამ კბილებამდე შეიარაღებულ, გონებაარეულ სამხედროებთან შიშველი ხელებით რომელი ჭკუათმყოფელი გამოვიდოდა. ისიც კარგად დაინახეს, გვიან ღამით ქელეხიდან დაბრუნებული ჯემალა, ფეხებში ავტომატმიშვებული ტყვიების კაკანში, ცეცხლოვან ჰილზებზე როგორ ახტუნავეს და აცეკვეს... ცეკვისას სულ იმას გაიძახოდა:

— თქვენ რა იცით, ომის დროს მე სად ვიყავიო... ლტოლვილებს სამშვიდობოზე გამოსვლაში ვეხმარებოდიო...

— ვიცით, ვიცით, ყველაფერი კარგად ვიცითო, — და ცეცხლს უფრო და უფრო უკეთებდნენ. მხოლოდ მაშინ შეეშვნენ, როცა ცეკვისას, ქელეხიდან შვილებისთვის წამოღებული ხაშლამის ნაჭრები ჯიბიდან ამოუცვივდა. ყურში ხელი წაავლეს და ასე, ოროსანი ბავშვივით ყურაწეული სადარბაზომდე მიაცილეს. მაშინ გაუსკდა ჯუმბერას ფეხქვეშ მიწა და სიმწრის ცრემლებიც მხოლოდ მაშინ წასკდა, როცა ამ ყველაფრის შემსწრე მეუღლემ თანაგრძნობით, უხმოდ გაუღიმა.

განა მართლა არ იყვნენ ისეთები, ვინც ომს თავი აარიდა, საკუთარ ბიზნესზე იზრუნა, ანდა სულაც ამ ომიდან ისარგებლა, მაგრამ ისინი სახლიდან წასულები და თავიანთ ბიზნეს-ქსელებში გახლართულნი ოჯახს შორიდან არ ჩენდნენ. მათი მისამართით ნასროლი ტყვიები კი სხვის შუშებს ამსხვრევდა. იმ საწყალ ჟენოს რა უნდა ექნა, თავს დამნაშავედ კი გრძნობდა, რომ ომში არ წავიდა, მაგრამ არც ავტომატის ხმარება და არც არანაირი საბრძოლო ილეთი არ იცოდა, გარდა ენამწარე წყევლისა, რომელიც მტრის ყურს ან მისწვდებოდა, ან არა. და კიდევ ბევრი-ბევრი, კენჭები დაეშინა, სხვა აბა რა შეეძლო.

* * *

— მობრძანდით, მეფოდიჩ, — ღიმილით შევეგებე და სანთელი მივანათე. თუმცა სულაც არ მეღიმებოდა, რადგან ცუდ ხასიათზე ვიყავი იმის გამო, რომ გაზის ბალონი დაიცალა, ნავთიც გამოილია, ფითილი საშინლად ხრჩოლავდა, ჰაერის გასანიავებლად კი ფანჯრებსაც ვერ ვაღებდით, რადგან გარეთ ცივი ქარი ქროდა.

მეფოდიჩი ჩვენს ვიწრო შემოსასვლელში მხრებაწურული იდგა და შიგნით შემოსვლას ერიდებოდა.

— აი, ინებეთ, მოცვის მურაბაა, ძალიან სასარგებლოა, — თქვა და ქილა გამომიწოდა.

— დიდი მადლობა. რატომ შეწუხდით?

— აჰ, არაფერია. ჩემმა ასიამ შარშან ნაირნაირი მურაბები გააკეთა, — თქვა ღიმილით და რაღაცნაირად ქილას მიეფარა.

— ვაიმე, ჩაისთვის ადუღებული წყალიც რომ არა გვაქვს, გაზის ბალონი დილას გამოილია, ნავთის რიგის დასაკავებლად კი კაკო ეხლა წავიდა, დილისთვის რომ მაინც შეხვდეს, — შეწუხებულმა ვთქვი და მეფოდიჩი ოთახში შემოვიპატიჟე, — ადუღებულ წყალს ახლავე ამოვიტან, — თქვა და მარდად გაეშურა კარებისაკენ.

ჩაიდნით უკან მობრუნებულმა მეფოდიჩმა სავარძელში მჯდომი, ხელებში თავჩარგული დედაჩემი რომ დაინახა, შეწუხებულმა იკითხა:

— კონსტანტინოვნა, ისევ წნევა ხომ არ გაწუხებთ, იქნებ ცუდ დროს მოვედი?

— არა მეფოდიჩ, თქვენ რა შუაში ხართ, ეს ცხოვრებაა? ადუღებული წყალიც არა მაქვს, რომ სტუმარს ჩაით მაინც

გავუმასპინძლდე, — თქვა დედამ და ცრემლები ჩუმად მოიწმინდა.

— აჰ, მაგას მოევლება. მთავარია, სხვა არაფერი გაწუხებდეთ, — თქვა მეფოდიჩმა და დასაჯდომად სკამი თამამად გამოსწია.

— სხვა როგორ არ მაწუხებს, რა ცხოვრება დავკარგე, რა ქონება, სახლ-კარი, ავეჯი, ჭურჭელი, ჩემი წიგნები, ძვირფასი ბიბლიოთეკა, უნიკალური გამოცემები, ჩვენი საოჯახო ფოტოალბომი, ძველი ავსტრიული როიალი, — უმატა ხმას დედამ და ხელები თავში წაიშინა.

— აბა, აბა, დედა, გეყოფა ახლა, რა დროს ეგ არის, დაივიწყე ერთხელ და სამუდამოდ. ხომ არ შეიძლება ყოველდღე მიცვალებულივით დასტიროდე დაკარგულ ქონებას. მადლობა ვთქვათ, ცოცხლები რომ გადავრჩით.

— როგორ უნდა შერჩეთ, შვილო, მთელი ცხოვრების მანძილზე ტანჯვითა და წვალებით დაგროვილი ჩვენი ქონება, როგორ? ეჰ, რა ძვირფასი ჭურჭელი მქონდა, ახლა რითი ვსვამთ ჩაის. მიირთვით, მეფოდიჩ, თქვენ ჩემს აღელვებას ყურადღებას ნუ მიაქცევთ, — თქვა დედამ და მეფოდიჩს მისივე მოტანილი მურაბა შესთავაზა.

— ეს მოცვის მურაბა ძალიან სასარგებლოა, განსაკუთრებით თვალებისათვის. კონსტანტინოვნა, თქვენ ხომ თვალებიც გაწუხებთ?

— რა აღარ მაწუხებს, მეფოდიჩ, რა თქმა უნდა, თვალებიც. ამ მარცხენა თვალით თითქმის ვეღარ ვხედავ, მაგრამ ყველაზე მეტად სული მაწუხებს, სული. ამათ ტანჯვას რომ ვუყურებ, როგორ ეწვალებიან ჩემი შვილები, სული მეტანჯება. რას ვიფიქრებდი, ასე უკან-უკან თუ წავიდოდა ჩვენი ცხოვრება, რომ ამ ვითომდა ცივილიზაციის ეპოქაში ისევ ნავთქურას და სანთელს დავუბრუნდებოდით. მეორე მსოფლიო ომის დროს, ჭრაქის შუქზე რომ ვამზადებდი გაკვეთილებს, მაგას რა დამავიწყებს. განა არ გვქონდა სინათლე, მაგრამ იმის გამო, რომ ფაშისტებს ქალაქი არ დაებომბათ, საგანგებოდ ვაბნელებდით ფანჯრებს, რომ სინათლე გარეთ არ გასულიყო. შიშის კანკალით ვათენებდით ღამეებს. მეორე დღეს კი გვიხაროდა, ცოცხლები რომ გადავრჩით. ამას კი რა მომაფიქრებდა, რომ ამდენი წლის შემდეგ უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით.

მეფოდიჩი ყველაფერზე თავს უკანტურებდა დედას და ჩაის სიამოვნებით წრუპავდა.

— ხედავთ, კონსტანტინოვნა, ხომ ყველაფერი კარგად იყო. რა გვაკლდა, რა საჭირო იყო ეს არეულობა, ვცხოვრობდით ჩვენთვის ტკბილად, თბილად, უპრობლემოდ. რა საჭირო იყო ეს ნაციონალური მოძრაობა. ხომ ხედავთ, სადამდე მიგიყვანათ ამ თქვენმა ეროვნულმა სიამაყემ — აჭარხლდა მეფოდიჩი და მწარედ დამარცვლილი ბოლო სიტყვა მურაბით გაანეიტრალა.

— ახ, მეფოდიჩ, თქვენ კარგად იცით, რომ საბჭოთა კავშირი ჩვენ არ დაგვინგრევია. ეს ისტორიული პროცესი თავისით მომწიფდა. ნაციონალური მოძრაობა კი ამ პროცესმა გამოიწვია. ბუნებრივია, რომ დამოუკიდებელ ქვეყანას თავისი კუთვნილი საზღვრები უნდა ჰქონდეს. თუკი ბალტიისპირეთის ქვეყნებმა დაიბრუნეს დამოუკიდებლობა და დაიბრუნეს იურისდიქცია საკუთარ სახელმწიფოში, ჩვენც ხომ გვაქვს იგივეს უფლება? — ვთქვი, ცოტა არ იყოს, საყვედურნარევი ინტონაციით.

— ბალტიისპირეთის ქვეყნები გვიან შემოვიერთეთ — ასე, ორმოციან წლებში, თქვენ კი ჩვენთან დიდი ხანია ხართ. თითქმის ორი საუკუნეა. სულ ტყუილია ყველა მცდელობა. ჩვენ ერთნი ვართ. თქვენ ჩვენგან არსად არ უნდა წახვიდეთ. უბრალოდ საწყენია, რომ ვიდრე ამ დასკვნამდე მიხვალთ, კიდევ ბევრს იზარალებთ.

— თქვენ ფიქრობთ, რომ საბჭოთა კავშირი ისევ აღდგება? — ვიკითხე გაოცებულმა.

— საბჭოთა ერქმევა ამას თუ არა, ეს მე არ ვიცი, მაგრამ თქვენ ჩვენი ორბიტიდან ვერსად ვერ წახვალთ, ეს გამორიცხულია. ან სად უნდა წახვიდეთ, მუსულმანური სამყარო შთანგთქავთ. დაგავიწყდათ, რომ მათგან ჩვენ გიხსენით?

— კი, მართალია, რომ მათგან სარწმუნოებრივი გადაგვარება გვემუქრებოდა, მაგრამ თქვენ, თავად კომუნისტებმა არ უარყავით ღმერთი? (აქ მეფოდიჩი უხერხულად შეიშმუშნა და თავჩაქინდრულმა ხელი ჩაიქნია) უმოწყალოდ წაშალეთ ჩვენი ისტორიული კვალი და ღვაწლი ქრისტიანობის წინაშე, თეთრად გადაღებეთ ჩვენი საუკუნოვანი ფრესკები, დაანგრიეთ და შეურაცხყოფდით ჩვენს საუნჯეს, მუსულმანები თუ კომუნისტები. ასე, რომ მეფოდიჩ, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თქვენს აზრს ჩვენი გადარჩენის თაობაზე, ვერ დავეთანხმები, — ვთქვი გულმოსულმა და მივხვდი, რომ სტუმარი გავანაწყენე.

— მაგრამ ბუნებრივია, რომ ევროპისაგან ნასაზრდოებმა რუსულმა კულტურამ ჩვენზეც გარკვეული გავლენა მოახდინა. როგორ შეიძლება ტოლსტოი, დოსტოევსკი, ჩეხოვი, გონჩაროვი და სხვები არ აღიარო. არა მხოლოდ ლიტერატურის დარგში, არამედ საერთოდ, ხელოვნების ყველა სფეროში — ვთქვი და მეფოდიჩს ჩაი კიდევ შევთავაზე.

— იცით, მეფოდიჩ, მთელი რუსული ლიტერატურა ორიგინალში მაქვს წაკითხული, — თქვა დედამ და „ევგენი ონეგინიდან“ ნაწყვეტის ციტირება დაიწყო.

მეფოდიჩი ღიმილით მისჩერებოდა დედას და თავისთვის ჩუმად ბუტბუტებდა: „საოცარია, საოცარი“.

— თქვენ არ იცით, მეფოდიჩ, ჩვენ როგორ გვიყვარს უბრალო რუსი ხალხი, რუსული კულტურა, რუსული რომანსები — გურილიოვის, ლიადოვის რომანსები. ეჰ, როგორ საღამოებს ვმართავდით ცხინვალში... მიდი, შვილო, გვიმღერე, — მომმართა დედამ მუდარით.

— დედა, შენ გავიწყდება, რომ ცხინვალში არა ვართ, არც გიტარა მაქვს, — და ყურში ჩავჩურჩულე, — აღარც მემღერება.

— გიტარა? — წამოხტა მეფოდიჩი, — გიტარას ახლავე გავაჩენ, — თქვა და გაუჩინარდა.

მეფოდიჩმა გიტარას სომხური კონიაკიც მოაყოლა.

ჩემმა ძმამ კი მაშინ შემოაღო კარი, როცა რომანსის ბოლო სტროფს ვიმეორებდი, ხოლ მეფოდიჩი აღტაცებული სახით მეუბნებოდა:

— საოცარია, არ მეგონა, თუ ასეთი მღერით ანა გერმანის შემდეგ, ვინმე ჩემში მსგავს ემოციებს კვლავ გამოიწვევდა. მე თქვენ გეთაყვანებით, მზია.

— გეტყობათ, კარგად ერთობით, სიმღერის ხასიათზეც კი დამდგარხართ, — ღიმილით თქვა ილომ, მაგრამ მის მზერაში სარკაზმი გაკრთა.

— სულ ხომ არ ვიტირებთ, შვილო, ზოგჯერ გართობაც ჰაერივით გვჭირდება. თანაც, რომ იცოდე, ჩვენი მასპინძელი მეფოდიჩია. ადუღებული წყალიც კი მან მოგვიტანა.

— ჰო, ამ გაზის ბალონმა ერთ კვირასაც ვერ გაუძლო. ეტყობა, ბოლომდე არ ავსებენ, — ვთქვი და ილო სუფრასთან მოვიხმე.

— სინათლის გრაფიკიდანაც ამოგვაგდეს, თორემ ამ დროს დენს ორი საათით მაინც გვაძლევდნენ, — თქვა დედამ და მშიერი ილოსთვის ცივი ვახშმის გასაწყობად პური გამოიღო.

— ჩვენი ელექტროსადგურის მორიგის ნომერი ზეპირად არ მახსოვს. ისე კი დავადგინე, რომ ჩვენი კორპუსი მეექვსე ფიდერზეა, — თქვა მეფოდიჩმა.

— კი, ეგ ნომერი ჩვენცა გვაქვს, — თქვა ილომ, — მაგრამ იმ საცოდავმა მორიგემ რა ქნას, ჩვენნაირი რამდენი ურეკავს.

მეფოდიჩმა კონიაკი ილოსთან ერთად დალია და წასასვლელად წამოდგა. ჩვენც აღარ დაგვიძალებია დარჩენა, რადგან ილოს შევატყვეთ, რომ ძალიან გადაღლილი, დამძიმებულ ხასიათზე იყო და მეფოდიჩი კარებამდე მივაცილე.

— მზია, მე ძალიან კარგი ბიბლიოთეკა მაქვს. მინდა რამდენიმე წიგნი გაჩუქოთ, ოღონდ თავად უნდა ამოირჩიოთ. ასე რომ, მესტუმრეთ. იცოდეთ, ნებისმიერ დროს გელოდებით, — მითხრა მეფოდიჩმა და ცარიელი ჩაიდნით კიბეზე მძიმედ დაეშვა.

* * *

კორპუსს ღრმა ძილით ეძინა, მაცივარმა გრუხუნით რომ გაიღვიძა და ადგილზე ძიგძიგი დაიწყო (ეს იმას ნიშნავდა, რომ დენი ჩაგვირთეს). ცოტა ხანში ცოცვას დაიწყებდა და ისეთ ხმაზე აროხროხდებოდა, რომ მაშას სამართებელი მოგუდულში დარჩებოდა. თუ შემთხვევით დენს არ გამორთავდნენ, ეს ჩვენი დენიკინის დროინდელი ჯაბახანა დილით სამზარეულოსა და ლოჯის გასასვლელში გაჩხერილი დაგვხვდებოდა. ჯერ ვიფიქრეთ, რომ აწყობისას ძრავი შეეშალათ და, შემთხვევით, ავტომობილის ძრავი დაუყენეს. სპეციალისტიც მოვიყვანეთ, მაგრამ ძრავის გამოცვლაში იმდენი ფული მოგვთხოვა, რომ იმ ფულით ახალ მაცივარს ვიყიდდით. ფული კი არც ახლისა გვქონდა და არც ძველის. ისღა დაგვრჩენოდა, რომ ეს ჩვენი მცოცავი მაცივარი, ყურაწეული, ისევ კუთხეში დაგვეყენებინა და დასასჯელი თითიც კარგად დაგვექნია. ყველაზე კარგად ეს მუქარა ჩემს სიძეს გამოსდიოდა, რადგან სხვას ვეღარავის ემუქრებოდა. ვისაც დაემუქრა, ყველამ ხელი შემოუბრუნა, მაცივარს კი ხელები არ ჰქონდა.

იმის შიშით, რომ დენი არ გათიშულიყო და ადამიანურად მებანავა, ახალჩაძინებული წამოვხტი და აბაზანაში შევვარდი.

ტანს ვიმშრალებდი, საქალაქთაშორისო, გაბმული ზარი რომ გაისმა.

— გისმენთ, — ვუპასუხე გულგახეთქილმა მოგუდული ხმით.

— ვერა ვარ, ვერა წაბლაძე პეტერბურგიდან. რომელი ხარ?

— მზია ვარ, რა ხდება? — ვკითხე შეშფოთებულმა.

— დიდი ბოდიში, ასე გვიან რომ გაწუხებთ, მაგრამ ძალიან დიდი დარდი მაქვს ჩემების, ტელეფონზე არ მპასუხობენ. დღეს გადმოფრინდნენ თბილისში და ეტყობა, რაღაც უჭირთ, თორემ თვითონ მაინც დარეკავდნენ. ძალიან გთხოვ, იქნებ გადახვიდე და ამბავი გამიგო, ცოტა ხანში ისევ დავრეკავ, — თქვა და გათიშა.

რამდენიმე წამი დამჭირდა, ვიდრე გონს მოვეგებოდი. ეს ის წაბლაძეა, გვერდით სადარბაზოში ოროთახიანი ბინა, გაყიდვამდე, მინდობილობით ჩვენ რომ დაგვიტოვა.

სიბნელეში ტანსაცმელს ვერ მივაგენი, სინათლე რომ ამენთო, ყველა გაიღვიძებდა. თან ვიფიქრე, ამ შუაღამეზე ვინ დამინახავს, რა მაცვია და რა არა, ამიტომ მხოლოდ ხალათი გადავიცვი და ჯერ კიდევ სველი თმით ჩავირბინე კიბეზე.

პირველივე სართულზე შევნიშნე, რომ ვერას ბინიდან სინათლე გამოდიოდა. ნაბიჯი შევანელე, რადგან ფართოდ გაღებული კარიდან, სიგარეტის კვამლთან ერთად, მამაკაცების ხმაც გამოდიოდა. ერთი ხანობა ვიფიქრე, უკან გავბრუნებულიყავი, მაგრამ ვერას რომ დაერეკა, რა უნდა მეპასუხა, არ ვიცოდი. გული გავიმაგრე და თამამად შევედი ბინაში. ერთი თვალის შევლებით დავინახე ვიწრო შესასვლელში, ჩემოდნის კიდეზე ჩამომჯდარი შეშინებული და პირგამეხებული ხანშიშესული ქალი და მის მუხლებთან ჩაცუცქული, არანაკლებ შეშინებული, ასე ცამეტი-თოთხმეტი წლის ავადმყოფი გოგონა, რომელსაც გამოკვეთილი დაუნის სიმპტომები აღენიშნებოდა. ხოლო სიღრმეში, ოთახის შუაგულში, სიგარეტის კვამლში გახვეული, რბილ დივან-სავარძლებში ჩასვენებული, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი სხვადასხვა ასაკისა და გაბარიტის ჩინოსნები. ზოგიერთი მათგანი კი, ავტომატგადაკიდებული, სიგარეტის წევით ოთახში ბოლთას სცემდა.

ჩემს დანახვაზე ჩემოდანზე მჯდომი ქალი წამოდგა და ვედრებით შემომხედა.

— უი, ეკატერინა სერგეევნა, როდის ჩამობრძანდით? — ვკითხე გაღიმებულმა და შეშინებული უცნობი ქალი გადავკოცნე. საცოდავმა ღრმად ამოისუნთქა და თვალებში ნაპერწკალი გაუკრთა.

— სახლიდან მაგდებენ, — მითხრა ჩურჩულით.

— ეს ვიღაა? — გაისმა შუა ოთახიდან.

მე პასუხი არ გამიცია. ის კი დავინახე, რომ ბურუსიდან ვიღაცა გამოვიდა და თავზე დამადგა. მე შიში არ შევიმჩნიე და გულდასმით ვუსმენდი ეკატერინა სერგეევნას ათრთოლებულ მონოლოგს იმის თაობაზე, რომ საცოდავ ქალს, ამ ბინის ოფიციალურ მფლობელს, საკუთარ სახლში არ უშვებენ და თანაც ემუქრებიან.

გასამხნევებლად მხარზე ხელი მოვუთათუნე და დასამშვიდებლად წყლის მოსატანად სამზარეულოსაკენ გავემართე. აქ კი, ლოჯიაში, კომოდის თავზე მომდგარი ღრუბლიდან ავტომატიანი „ანგელოზი“ დაეშვა და ცხვირწინ ამეტრუნჭა.

— შენზე იკითხეს, ვინა ბრძანდებაო? — თქვა პრანჭვით და თვალები ცუდად დაატრიალა.

ახლაღა გამახსენდა, რომ საცვლები არ მეცვა. უნებლიეთ უკან დავიხიე და ხალათის ღილები შევამოწმე. თუმცა შიში არ შევიმჩნიე და ჭიქა წყლით ავავსე.

— თქვენ თვითონ ვინ ხართ და აქ რა გინდათ? რას აშინებთ ამ საცოდავ ქალს, არა გრცხვენიათ? — თავისი უბედურება არ ეყოფა? — და გოგონაზე მივანიშნე.

— ვინ არის-მეთქი! — უფრო ხმამაღლა იყვირა იმავე ხმამ.

ახლა უკვე ორივე მხრიდან ამომიდგა ავტომატიანი „ანგელოზი“ და ბურუსში შემიძღვა.

— მე მეზობელი ვარ და ვადასტურებ, რომ ეს ბინა ამ ქალბატონისაა, — ვთქვი უშიშრად, მაგრამ ქვემოთ რომ დავიხედე, ჩემი ხალათის კაბის ბოლოები საეჭვოდ ცახცახებდა.

— მე აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი! — თქვა ჩემი გამოსვლით გამხნევებულმა ეკატერინა სერგეევნამ და მუხლზე მუშტიც დაირტყა.

— ეს ის არ არის, ყოველდღე კუბოს რომ დაატარებს აქეთ-იქით? — ჩაიხითხითა ერთმა სავარძელში ჩასვენებულმა ღიპიანმა. ღრმა ნაფაზი დაარტყა და იმ ბურუსში მეც გამხვია.

— გაჩერდი, ბიჭო! — მუჯლუგუნი გაჰკრა გვერდით მჯდომმა და იმ მახვილგონიერს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა (ეტყობა ჩემი ძმა ან სიძე ახსენა), მე კი გამიღიმა და უცნაურად მომაშტერდა.

— მერე დაკეტილი რატომ არის ეს ბინა? თუ ამ სახლს პატრონი ჰყავს, ხომ ვერ მეტყვით, სად ბრძანდებიან ამდენ ხანს? — ბრძანა მთლად უფროსმა. ადგილზე შეიშმუშნა და ხელით მანიშნა, — ახლოს მოდი და გვერდით მომიჯექიო.

სისხლი გამეყინა ძარღვებში. ისე მიყურებდნენ, თითქოს იცოდნენ, რომ შიშველი ვიდექი. თავბედს ვიწყევლიდი და გასაქცევად შესაფერის მომენტს ვეძებდი.

— ვერა დავიდოვნა ამ დღეებში ჩამოვა პეტერბურგიდან და საბუთებსაც ის გიჩვენებთ, მანამდე კი მინდობილობა ჩემი ძმის სახელზეა, ილო ამაღამ მორიგეა, ხვალ კი შეგვიძლია ეს მინდობილობაც გაჩვენოთ, — ვთქვი და უკან დავიხიე, რადგან მთლად უფროსი წამოდგა და ჩემკენ გამოემართა. ავტომატიანების დერეფანი მკვეთრად გავარღვიე და ის იყო ბინიდან გავდიოდი, რომ ზემოხსენებული უფროსი მკლავში მწვდა, შემომატრიალა, სახეში მომაშტერდა და...

— ამათ შენთვის ბევრი მადლობა ათქმევინე, აქ რომ ვტოვებ, თორემ ყველამ კარგად იცის, რომ ჩემზე არანაირი საბუთი არ ჭრის! — თქვა მკაცრად და მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა.

ისე სწრაფად ჩავირბინე სადარბაზო და ისე აღმოვჩნდი ჩემს ბინაში, რომ დარწმუნებული ვარ, სპიდომეტრი რომ ჩაერთოთ და დრო დაენიშნათ, სისწრაფეში მსოფლიო რეკორდს დავამყარებდი.

— გამარჯობა, მეფოდიჩ, მაპატიეთ ამდენ ხანს რომ ვერ მოგინახულეთ. თურმე ავად ყოფილხართ, მე კი გვიან გავიგე. ახლა როგორ ბრძანდებით?

— ოი, მზია, როგორ გამახარეთ, შემობრძანდით, შემობრძანდით, — აფორიაქდა აფაკლებული მეფოდიჩი, ხელჩაკიდებული შემიძღვა მისაღებ ოთახში და თითქმის ძალით ჩამსვა სავარძელში. ჩემი ალადებით სავსე თეფში მტვრიან მაგიდაზე დავდე და თვალი მოვავლე ოთახს, რომელსაც დიასახლისის ხელი აშკარად აკლდა.

— ახლა არა მიშავს, გამოვკეთდი. არც ღირს ამაზე ლაპარაკი. აი შენ კი ცოტა ფერმკრთალი მეჩვენები, თვალის უპეებიც ჩავარდნილი გაქვს, — მზრუნველად შემათვალიერა მეფოდიჩმა და ახლოს მოტანილი თავი უეცრად უკან გაწია, — უი, ჩემდაუნებურად შენობით მოგმართეთ, მაპატიეთ, — და შემცბარმა შემომხედა.

— ნუ სწუხართ, უფლებას გაძლევთ ასე მომმართოთ.

— ეს რა მოგიტანია, ალადები? როგორ მანებივრებ. ახლა შენ ეს მითხარი, თავად რას მიირთმევ, ჩაის თუ ყავას?

— ძალიან გთხოვთ, არაფერზე შეწუხდეთ, ჩაი უკვე დავლიე, ხოლო ყავას შეგნებულად აღარ ვსვამ, რადგან ისედაც ცუდად მძინავს და ყავა უფრო მეტად უწყობს ხელს უძილობას.

— ოო, ძილი ძალიან მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული მოვლენაა ადამიანის ცხოვრებაში. საოცარი რამ ხდება ძილის დროს. როგორ ფიქრობ, საიდან მოდის ის ძალები, რომელთაც ადამიანი დილიდან საღამომდე იყენებს? ისინი მოდიან ღამის ცხოვრებიდან, ძილის მდგომარეობიდან. თუ ჩვენ გვსურს მეხსიერებაში რამე შევინარჩუნოთ, ამაში ძალიან გვეხმარება ძილი, რომელშიც არჩეულ საგანზე ფიქრით შევდივართ. მაშინ იგი ჩვენი მეხსიერების მონაპოვარი ხდება. განცდები რომ უნარებად გარდაიქმნას, ისინი უნდა შეერწყას სამშვინველს. სამშვინველში მთელი ეს პროცესი ძილის დროს ხდება და დღის განცდები ღამის მანძილზე გარდაიღვრება უნარებსა და ძალებში. რადგანაც ჩაისა და ყავაზე უარი თქვი, მაშინ მე ვიცი, რასაც შემოგთავაზებ. ეს ჩემი ასიას საყვარელი ლიქიორია. დარწმუნებული ვარ, შენც ძალიან მოგეწონება, — თქვა მეფოდიჩმა და ბარიდან ქარვისფერი სითხით სავსე ბოთლი გამოიღო, — აბა, თუ გამოიცნობ რისი ლიქიორია, — ჩამოასხა და მაცდურად გაიღიმა.

— ძალიან გემრიელია, თაფლის გემო გამოკვეთილად იგრძნობა, — ვთქვი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ და ბოთლში ჩასხმული სითხე გულდასმით შევათვალიერე.

— გამოიცანი. ეს თაფლის ლიქიორია და ძალიან სასარგებლოა. სამწუხაროდ, მისი დამზადების საიდუმლო ჩემმა ასიამ თან წაიღო. ახლა იმასაც აგიხსნი, რომ ძილის დროს ადამიანის ასტრალური სხეული ყოველღამე ტოვებს თავის ფიზიკურ და ეთერულ სხეულს და შემდეგ მათ კვლავ უერთდება, — შეხედა რა ჩემს გაოცებულ სახეს, მეფოდიჩი კმაყოფილი ღიმილით ჩაეფლო სავარძელში და დინჯად განაგრძო, — როგორც გატყობ, შენ ბევრი არაფერი გსმენია ამის შესახებ.

ადამიანი არის არსება, რომელიც თავის ცხოვრებას ორ კოსმოსურ სფეროს შორის ავითარებს. თავისი სხეულებრივი განვითარებით იგი ჩართულია „ქვედა სამყაროში“. თავისი მშვინვიერი არსებით იგი ქმნის „შუალედურ სამყაროს“ და თავისი სულიერი ძალებით იგი „ზენა სამყაროსაკენ“ ისწრაფვის. სული არის შემოქმედი ამ სამ კოსმიურ სფეროში. ბუნების ყოფიერებაში სულს, როგორც მძინარეს პოულობენ. მაგრამ როგორც ძილს აქვს თავისი ამოცანა ადამიანის ცხოვრებაში — „მე“-მ გარკვეული დრო უნდა იძინოს, რათა სხვა რაღაცისათვის ფხიზელი იყოს — ასევე უნდა იძინოს სამყაროს სულმა „ბუნებაში“, რათა სხვა რამისათვის ფხიზელი იყოს.

სამყაროში ყველაფერი ემორჩილება სამთა კანონს. ყოველივე არსებული ამ კანონის თანახმად წარმოიშვა. პოზიტიური და ნეგატიური პრინციპების შეერთებას, დაკავშირებას, მხოლოდ მაშინ შეუძლია მოგვცეს ახალი შედეგი, ნაყოფი, როდესაც მათ მესამე ძალა დაემატება. იცოდე, ყველაფერი მათემატიკის კანონებს ემორჩილება.

უმაღლესი — ეს აბსოლუტია.

ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა.

ეს ყველაფერი თვითონ აბსოლუტშია თავმოყრილი.

ზოგჯერ ეს სამი ძალა ადგილს იცვლის. აქედან გამომავალმა ძალებმა შექმნეს მზეთა დიდი უმრავლესობა. ამათ ემანაციები აქვთ ანუ განმსჭვალვის უნარი. ისინი ყველგან და ყველაფერში შეიჭრებიან და წარმოშობენ ახალ ქმნილებებს. ჩვენ, როგორც ღვთის ხატება, სამგვარი ვართ, რადგანაც სამ ნივთიერებას ცნობიერად აღვიქვამთ და ვავითარებთ. შემდეგ კი გარეთ წარვმართავთ. ამიტომ შეგვიძლია, ჩვენს გარეთ განვახორციელოთ ის, რაც გვსურს. ეს არის შექმნა, წარმოქმნა. მაგრამ როდესაც ეს პროცესი ჩვენში

გარედან გამჭოლი შესვლით, შეჭრით ხორციელდება, მაშინ ეს შემოქმედის, შემქმნელის ქმედებაა. ამ შემთხვევაში სამი ძალა ჩვენში ვლინდება და ჩვენს გარეთ ერთდება.

მეფოდიჩმა, შეამჩნია რა ჩემი უნებლიე მოძრაობები (რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა იმ ორი, თვალით უხილავი ჩემივე ეთერული და ასტრალური სხეულების რამენაირად დანახვა თუ შეგრძნება, რომელთაც თურმე თან ვატარებ და აქამდე მათ შესახებ არაფერი ვიცოდი), ჩათვალა, რომ ამდენი უაზრო ლაპარაკით ძალიან გადამღალა და სასწრაფოდ მომიბოდიშა.

— რას ბრძანებთ, მეფოდიჩ, ასეთ საინტერესო ლექციას ანტროფოსოფიაზე სხვაგან უფასოდ სად მოვისმენ. მართალია, ამ საღამოს წარმოდგენაზე ვუკრავ და დროულად წასასვლელი ვარ, მაგრამ ცოტა ხანს კიდევ დავრჩები, — ვთქვი და გაფაციცებული სმენად ვიქეცი.

— ძალიან მიხარია, რომ დაინტერესდი. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა დროსაც მესტუმრები. დიდხანს არ დაგაყოვნებ, მაგრამ ამ საკითხებში გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნი.

ადამიანი რთული არსებაა. გარეგანი ადამიანი შედგება ფიზიკური და ეთერული სხეულებისაგან, ხოლო ადამიანური არსების მესამე წევრს ასტრალურ სხეულს უწოდებენ. ეს ასტრალური სხეული მატარებელია სიხარულისა და ტანჯვის, ნეტარებისა და ტკივილის, ლტოლვების, ვნებების და სურვილების, ყველაფრის, რაც ამოიმართება და ბობოქრობს მღვიძარე სამშვინველში. ამ ასტრალურ სხეულშია დავანებული ჩვენი არსების ჭეშმარიტი ბირთვი: „მე“.

ღამით, როცა ადამიანი იძინებს, საწოლში რჩება ფიზიკური და ეთერული სხეულები. ასტრალური სხეული გამოიყოფა იმასთან ერთად, რასაც გრძნობადი ვუწოდეთ. ასტრალური სხეული და „მე“ ძილის დროს მთელი თავისი არსებით სულიერ სამყაროში იმყოფებიან. ეს სწორედ ის განცდებია, რომლებიც ჩაძინებისას არაცნობიერის წყვდიადში ეფლობა. მიუხედავად ამისა, ასტრალური სხეული, „მე“-სთან ერთად, სულიერ სამყაროში იმყოფება. ძილის მდგომარეობიდან ღვიძილის მდგომარეობაში გადასვლისას სამშვინველს საკუთარი სულიერი სამშობლოდან თითქოსდა თან მოაქვს ძალები, რომლებიც უნდა გამოიყენოს დღის განმავლობაში იმ მშვინვიერი ცხოვრების აშენებისთვის, რომელიც თავის ჯადოსნობას ჩვენ თვალწინ ქმნის. ასე რომ, მშვიდ და ნორმალურ ძილს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის წონასწორობისათვის დედამიწაზე.

ახლა კი დიდხანს აღარ დაგაყოვნებ, ჩემო მზია, და ამაღამ მშვიდ და ლამაზსიზმრიან ძილს გისურვებ. იმედი მაქვს, მალე ისევ მესტუმრები.

* * *

ეჰ, თითქოს საფიქრალი საკმარისი არ მქონდა, რომ მეფოდიჩის ფილოსოფიისაგან გაბრუებული, მთელი ღამე ჩემივე ასტრალურ სხეულს ჩავსაფრებოდი იმის მოლოდინში, თუ ჩემს ფიზიკურ სხეულს როდის მიატოვებდა და სულიერ სამყაროში გაუჩინარდებოდა. გათენებამდე თვალი ვერ მოვხუჭე, მაგრამ ვერაფრით ვხვდები, როგორ აღმოვჩნდი მამაჩემის საფლავზე. მერე სულ საფლავებს შორის დავდიოდი და უშველებელი გველები მხვდებოდნენ გზაზე, რომლებიც ჩემსკენ მოიკლაკნებოდნენ. საოცარი კი ის იყო, რომ სულაც არ მეშინოდა მათი. როგორც იქნა, იქიდან გამოვაღწიე, მაგრამ სწორ გზაზე მაინც ვერ გამოვედი, სულ ტალახიან ბელტებზე მიწევდა სიარული. მერე ზღვის ტალღასავით მოვარდნილ ხალხის მასის შუაგულში აღმოვჩნდი, რომლებიც ჩემი ნების საწინააღმდეგოდ სადღაც მიმარბენინებდნენ. წარმოდგენა არა მაქვს, როგორ აღმოვჩნდი მატარებლის ვაგონში, რომელიც ხან ვერტიკალურად და ხანაც ჰორიზონტალურად სადღაც მიექანებოდა. ვიღაც თვალებგადმოკარკლული უშნოდ მეტმასნებოდა. უკნიდან კი ვიღაცა, ყელზე გამობმული ნაჭრით, ჩემს დახრჩობას ლამობდა. ყვირილი მინდოდა, მაგრამ ვერ ვყვიროდი, ხმა არ ამომდიოდა. ჩემს ტანჯვას მხოლოდ მაშინ მოეღო ბოლო, როცა ბოლო გაბრძოლებაზე ჩემი „საწოლის“ მეორე ნახევარი მთელი ძალით მაგიდის კუთხეს მიენარცხა და ზედ მდგარი წყლიანი ჭიქა იატაკს დაასკდა.

როგორც იქნა, თავი გავითავისუფლე კისერზე შემოხვეული ჩემივე ზეწრისაგან და გახლეჩილ სავარძლებს შუა ჩახერგილი ჩემი ტანჯული სხეულის ნაგვემი ნაწილები სათითაოდ წამოვკრიფე.

სიზმარი რომ პირდაპირ და ზოგჯერ გადატანითი მნიშვნელობით მიხდება, ამაში თავად არაერთხელ დავრწმუნებულვარ.

სამსახურიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი და ის იყო, უნდა მესადილა, რომ საიდანღაც უჩვეულოდ მაღალ ტონალობაში გაბმული საყვირის ხმა გაისმა. აივანზე გავედი, მაგრამ ეს ხმა გარედან არ მოდიოდა. ცოტა ხნის შემდეგ იგივე ხმას კარზე მუშტების ბრახუნი მოჰყვა. გავაღე სადარბაზოს კარი და მეზობლის მოპირდაპირე კარიდან შეშლილი ბელა წინ და უკან კივილით დარბოდა. მივხვდი, რომ რაღაც საშინელება მოხდა. ჩემი რძალი გულში ჩაკრული ატირებული ბავშვით გამომეკიდა. მას კი უკან შეშფოთებული დედაჩემი მოჰყვებოდა. უცბად შემოვირბინე ყველა ოთახი, მაგრამ ვერსად ვერავინ ვერ ვნახე. ბოლოს აბაზანას მივადექი და რას ვხედავ, ამ ჩემს მეზობელ თენგოს კანალიზაციის მილზე თოკი დაუხვევია და ზედ თავი ჩამოუხრჩვია. საცოდავი ბელა კი ქვემოდან შესდგომოდა, მთელი ძალით ზემოთ ექაჩებოდა და ხმადაკარგული — დანა, დანაო, — ძლივსღა ხაოდა.

წარმოვიდგინე რა, ამათ გარდა მისახედი და მოსაბრუნებელი დედაც გამიხდებოდა, სასწრაფოს გამოძახება დავავალე და დანის საძებნელად სამზარეულოში შევვარდი. დანა კი მოვძებნე და მოვიტანე, მაგრამ თოკი რომ გადამეჭრა, ამისათვის სიმაღლე არ მყოფნიდა. ბელამ გადმომილოცა ძვირფასი და სიკვდილისათვის არგასამეტებელი თენგო მთელი თავისი სიმძიმით, რომელსაც სხვა ცოდვებთან ერთად, თვითმკვლელობის ცოდვაც უფრო მეტად ამძიმებდა და დიდი წვალების მერე, როგორც იქნა, თოკი გადაჭრა. თავად კი, ძალაგამოლეული თუ გულწასული, იქვე ჩაიკეცა. ჩემმა სუსტმა სხეულმა ამდენ სიმძიმეს ვერ გაუძლო და... სასწრაფო რომ მოვიდა, ძირს გაშხლართული სამი გვამიდან თენგო იმიტომ გამოარჩია, რომ მხოლოდ ის არ სუნთქავდა.

სასწრაფოს ექიმებმა ძალიან იყოჩაღეს და სულ წამის მეათასედში გამოსტაცეს თენგო მიქელ გაბრიელს. დარცხვენილი თენგო თვალებში ვერ გვიყურებდა და თავს იმკვდარუნებდა.

ამ სენსაციური ამბის გარჩევას კორპუსის მობინადრეთა შორის მთელი თვის განმავლობაში არ დაუკარგავს აქ-

ტუალობა. რას აღარ ამბობდნენ, მაგრამ ყველაზე რეალურ ვერსიად მაინც ბელას ღალატი რჩებოდა, პირდაპირაც და ირიბადაც მის კარის მეზობელ მაშას რომ უკავშირდებოდა, რომელმაც მას თურმე თავისი ხელობის შესწავლა შესთავაზა და „მასტერ-კლასებს“ მაშინ უტარებდა, როცა თენგო შინ არ იყო. ვიღაცა არამზადას კი თენგოსთვის ამბავი მიუტანია, შენი ბინიდან სამართებლის კრაჭუნის ხმა გამოდიოდაო.

კი ჩაეხუტნენ ერთმანეთს ბელა და თენგო, მაგრამ ამ იდილიამ დიდხანს არ გასტანა. თენგო სახლიდან მაინც წავიდა.

თენგოს წასვლამდე ერთ მშვენიერ დღეს კი, საგულდაგულოდ გამოპრანჭული, პირველ პაემანზე წასვლას ვაპირებდი.

ეს ამბავი არავისთვის მითქვამს. გიგა მეტროში გავიცანი. რკინის ძელს ჩაჭიდებული ჩვენი ხელები შემთხვევით შეეხნენ ერთმანეთს. ხელი საითაც გავწიე, მის ხელს ვერსად ვერ გავექეცი. მოწებებულივით თან დამდევდა. მთელი თვის განმავლობაში აჩრდილივით დამყვებოდა და გასაქანს არ მაძლევდა. ცუდი ბიჭი არ ჩანდა, მაგრამ ოჯახიდან ვიცოდი, რომ ადამიანის გასაცნობად, მასთან ერთად სულ ცოტა ერთი ფუთი მარილი მაინც უნდა მეჭამა.

იმ აუტანელ გაჭირვებაში მარილმოსაყრელი საჭმელი არ იყო და ცარიელა მარილს რა შემაჭმევდა. გიგას კი საჭმელად ჩემი დაპატიჟება კი არა, მეტროს გარდა სხვა ტრანსპორტით მგზავრობაც კი არ შეეძლო.

ყოველდღე სამსახურთან მხვდებოდა და მერე სახლში მაცილებდა. მართალია, მომწონდა ასეთი ყურადღება, მაგრამ ამ ყველაფერს მაინც ზერელედ ვუყურებდი. დღევანდელ შეხვედრას კი გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა ჩვენს შემდგომ ურთიერთობაში. ისიც ვიცოდი, რომ ამ დღეს რაღაც სასიამოვნო მოულოდნელობას მიმზადებდა.

როგორც უკვე აღვნიშნე, ღია, ნათელ ფერებში გამოპრანჭული დავეშვი სადარბაზოს კიბეებზე და ის იყო ეზოში ფეხი გავდგი, რომ თენგოს ხმაც მომესმა:

— საით გაგიწევია, მზია, რა მშვენივრად გამოიყურები.

— აჰ, გამარჯობა, თენგო, თეატრში მივდივარ.

— მერე, შენი ჩელო სად არის?

— ამჯერად მაყურებლის როლში გახლავარ.

— ჰოდა, დღეს მე მიგაბრძანებ ჩემი მანქანით.

— არა, არა, რას ამბობ, რა საჭიროა. დიდი მადლობა.

— მადლობა მე უნდა გითხრა, ცოცხალი რომ ვარ, — თქვა თენგომ დარცხვენილმა და მანქანის კარი მოწიწებით გამოაღო.

ის იყო, თენგომ მანქანა დაძრა, რომ საიდანღაც გამწარებული ჟენო გამოხტა და თენგოს კარის სახელურს ჩააფრინდა.

— თენგოჯან, შენი ჭირიმე, მოიცადე, არ წახვიდე. მეც წამიყვანე, კენჭის გავლა მაქვს ეს ოხერი და სადღაც გაიჭედა, არც იქით მიდის და არც აქეთ მოდის. ოღონდაც ჩამისვი მანქანაში და ერთი ორ-სამ ორმოში რომ ჩაჰკრავ, ეგება გამოვარდეს, ოღონდ იცოდე, სწრაფად უნდა ჩაიქროლო, შენ გენაცვალოს ჩემი თავი.

— ქალო, აბა კარგად შემომხედე, ეგ შენი კენჭები შემთხვევით თავში ხომ არ აგივიდა, ჭკუაზე როგორა ხარ, მეტი საქმე არა მაქვს, შენი კენჭების გულისთვის მანქანა გავაფუჭო, — მიაძახა თენგომ და მანქანა ისეთი ბღუილით დაძრა, რომ გამწარებული ჟენოს წყევლა-კრულვა ერთბაშად სუბიტო პიანოში დარჩა.

ეს აგრესია, ლანძღვა-გინება და ბილწსიტყვაობა, თენგოს ანგრეული ქუჩის ბოლომდე გაჰყვა. მერე კი მთელი გზა თეატრამდე სულ მაღალფარდოვანი სიტყვებით მელაპარაკებოდა.

მანქანა დიდი მოწიწებით გააჩერა. სათნოებითა და კეთილშობილებით სავსე რევერანსებით დამემშვიდობა და...

ისეთი სისწრაფით მოწყვიტა მანქანა ადგილიდან, რომ ვერც კი შენიშნა, ტალახში როგორ ამომსვარა. გაოგნებული დავრჩი, სად მოძებნა ამ მშრალ ამინდში ის ერთადერთი გუბე, ბორბალი რომ ჩააბზრიალა და მთელი ტალახი ზედ შემომასხა.

ნირწამხდარი დავყურებდი ჩემს ერთადერთ გამოსასვლელ ტანსაცმელს, საგულდაგულოდ გარეცხილ-გაუთოებულს, და სიმწრის ცრემლები მახრჩობდა.

— ესეც შენი სამადლობელი საიქიოდან, — ჩავიფრუტუნე ჩემთვის და თავჩაქინდრულმა მალულად გადავკვეთე ქუჩა, პირველივე შემხვედრი ტაქსი გავაჩერე და სახლის მისამართი ვუთხარი. იქვე, კუთხეში კი კედელს მიყრდნობილი გიგა ჩემს მოლოდინში სულ სხვა მიმართულებით იმზირებოდა.

ამის მერე გიგა აღარასოდეს მინახავს.

* * *

— ვიცოდი, რომ მოხვიდოდი, გული მიგრძნობდა, — თქვა გახარებულმა მეფოდიჩმა და ოთახში შემიძღვა, — აბა მომიყევი შენი ამბები, როგორ ხარ, ღამით როგორ გძინავს. ჰო მართლა, მაშინ ბევრი ვიფიქრე შენზე, იმ სივიწროეში ან კი როგორ გძინავს. მე ამდენი ცარიელი ფართობი მაქვს, თქვენ კი იმ პატარა ბინაში ბევრნი ხართ. ხომ არ აჯობებდა, დასაძინებლად აქ გადმოსულიყავი? არა, არა, ცუდად არ გამიგო (შემატყო რა აფორიაქება და უხერხული მოძრაობები, თავადაც არანაკლებ აფორიაქებულმა, სავარძელში ძალით ჩამსვა), უბრალოდ შემეძლო ერთი ოთახი დამეთმო, ყოველგვარი ანგარების გარეშე. პირობას გაძლევ, ჩემი ყბედობით თავს არ შეგაწყენ.

— რას ბრძანებთ, მეფოდიჩ, უღრმესი მადლობა ასეთი შემოთავაზებისათვის, მაგრამ ამას როგორ ვიკადრებ, არავითარ შემთხვევაში, — და სავარძლიდან ისევ წამოვიწიე.

— კარგი, დაწყნარდი, ამას მეორედ აღარ გეტყვი, მაგრამ შემპირდი, რომ კიდევ მეწვევი.

— რა თქმა უნდა, თქვენთან საუბარს რა სჯობია. ხოლო ის, რაც ჩემი ცხოვრების პირობებს შეეხება, ალბათ ჩემი ბედისწერაა.

— ეგ მართალია, ჩვენ ვიმყოფებით კოსმიურ სფეროში, სადაც ბედისწერა მოქმედებს. ის, რაც ადამიანის ბედისწერის ფორმირებაშია ჩადებული, ძალზე უმნიშვნელო ნაწილით ვლინდება ჩვეულებრივ ცნობიერებაში, მისი უდიდესი ნაწილი არაცნობიერში მოქმედებს...

ეს ცხოვრება გამოცდაა. ყველა ადამიანს ახასიათებს სისუსტეები, რომლებიც ცოდვებსა და სხვადასხვა კომპლექსებში ვლინდება, მაგრამ არსებობს ძალა, რომელიც ჩვენ ყოველივე ამისაგან გვიხსნის. ეს ძალა იესო ქრისტემ უსასყიდლოდ და უანგაროდ დაგვიტოვა და მას სიკეთე და სიყვარული ჰქვია. ტანჯვისა კი ნუ შეგეშინდება. იცოდე,

რომ ბედნიერება ტანჯვით მიიღწევა, რომ მას კათარზისული მნიშვნელობა აქვს. იცოდე, რომ ტანჯვისა და ჯვარცმის ტკივილებს აღდგომისა და ამაღლების სიხარული და ამით მონიჭებული ბედნიერება აქარვებს.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შენ ძალიან ბედნიერი იქნები.

— როდის, მეფოდიჩ, — ვიკითხე ისე, რომ მისთვის არც შემიხედავს.

— ნათქვამია, „როდესაც სხვებს დაეხმარები. შენც გაგეწევა დახმარება, შეიძლება ხვალ, შეიძლება ასი წლის შემდეგ, მაგრამ მაინც მიიღებ დახმარებას. ბუნებამ ეს ვალი უნდა ზღოს. ეს მათემატიკური კანონია და მთელი ცხოვრება მათემატიკაა“.

სიყვარულს რომ გაიღებ, ეს ყველაზე დიდი დახმარებაა. ქვაზე დადებული სიკეთე კი ყველაზე დიდი სიკეთეა. შენ კი სიყვარულსა და სიკეთეს ასხივებ. მხოლოდ ერთ რამეს გირჩევ, თავჩაქინდრული ნუ დადიხარ. შეხედე ადამიანებს თვალებში და შენს თვალებშიც ჩაახედე. უკვე დროა, შენს ბედს ეწიო, — მითხრა მეფოდიჩმა, რაღაც უცნაურად შემომხედა და ბოლო ფრაზა სულ სხვა ტონალობაში გააჟღერა.

თავი უხერხულად ვიგრძენი, მეფოდიჩს მადლობა გადავუხადე და ნაჩქარევად დავემშვიდობე.

* * *

დრო გადიოდა, მაგრამ სასიკეთოდ არაფერი იცვლებოდა, პირიქით, ცხოვრება უფრო გაჭირდა. ჰუმანიტარულ დახმარებასაც აღარავინ გვაძლევდა. სამშობლოში ჩვენს დაბრუნებაზე დაპირებებიც ისტორიას ჩაბარდა. არსებულ მდგომარეობასთან შეგუების პროცესმა „წარმატებულად“ ჩაიარა. აუტანელი ერთფეროვნება და უპერსპექტივობა გაუსაძლისი გახდა. ქრონიკული უძილობისას მხოლოდ იმას ვნატრობდი, ჩემს ასტრალურ სხეულს ჩემთვის უცნობ სულიერ განზომილებაში, ეგება, ჩემი ეთერული სხეულიც თან წაეყვანა და ერთხელ და სამუდამოდ მომესვენა.

კიდევ ერთმა ცივმა და სასტიკმა ზამთარმა აიკრიფა გუდა-ნაბადი და ხალხიც ეზოში გამოეფინა. ერთი-ორჯერ მეფოდიჩსაც მოვკარი თვალი. ლოდად ქცეული ჯულის ქვის კათედრაზე გადმომდგარიყო და ანტროფოსოფიულ თეზისებს ჩვეული ოსტატობით აყალიბებდა. თვალებდახრილი, მოღიმარი ჯული კი მზესუმზირას ნაზად აკნატუნებდა და ხილაბანდიან თავს მორცხვად აკანტურებდა.

...მხოლოდ ასტრალური სხეულის მოცილებისა და ცხოვრების სრული განსჯის შემდეგ შედის ადამიანი სულიერ სამყაროში. აქ იგი წმინდად სულიერი სახის არსებებთან ისეთ მიმართებაშია, როგორშიც იყო დედამიწაზე ბუნების სამეფოთა არსებებსა და პროცესებთან. ყველაფერი, რაც მიწიერ ცხოვრებაში გარესამყარო იყო, სულიერი განცდისას გარდაიქმნება შინაგან სამყაროდ. მაშინ ადამიანი არა მარტო აღიქვამს ამ გარესამყაროს, არამედ განიცდის მას მის სულიერებაში, როგორც თავის შინაგან სამყაროს, რომელიც მისთვის დედამიწაზე დაფარული იყო.

მეფოდიჩს საუბრისას, გარდა სახის მრავალფერი მიმიკებისა, ხელებით განსაკუთრებული ჟესტიკულირებაც ახასიათებდა. ამ ყველაფრით მონუსხული ჯული კი, ხან ცაში იყურებდა და ხანაც საკუთარი თავის გარშემო უხილავ სხეულებს ათვალიერებდა:

დაღმართზე მიმავალს ყურში ჩამესმოდა მეფოდიჩის იდუმალი ხმა:

— ადამიანმა საკუთარი ქრისტიანული მისია რომ შეასრულოს, აუცილებელია ტანჯვის, გოლგოთის გზა განვლოს. ეს არის მაცხოვრის გზა. ამ გზაზე მიღებულ ტანჯვისა და ჯვარცმის ტკივილებს აღდგომისა და ამაღლების სიხარული და ამით მონიჭებული ბედნიერება აქარვებს...

...სიყვარულს რომ გაიღებ, ეს ყველაზე დიდი დახმარებაა. ქვაზე დადებული სიკეთე კი ყველაზე დიდი სიკეთეა...

ბევრი ვიარე თუ ცოტა, გზად ერთ დიდ ქვის ლოდს ჩავუარე. იქვე ერთი ლამაზი ლურჯთვალა ყმაწვილი მშიერი თვალებით იყურებოდა.

გავჩერდი, შემოვბრუნდი და თვალებში ჩავხედე.

ბავშვობაში მეგონა, ვისაც ცისფერი თვალები ჰქონდა, ყველაფერს ცისფრად ხედავდა და ვოცნებობდი — ნეტავი თვალის თხოვება შეიძლებოდეს, რომ ერთხელ მაინც გამახედა და სამყარო ცისფრად დამანახა-მეთქი.

ამოვიღე დანა, გავიჭერი გულმკერდი, ამოვიღე ჩემი გული, ქვაზე დავდე და გავიარე.

მერე ყოველ გავლაზე ხან ღვიძლს ვდებდი ქვაზე და ხან ჯიგარს. ლურჯთვალა კი ხარბად შეექცეოდა. ვურჩევდი, მოეხარშა ან შეებრაწა. უფრო გემრიელი იქნება-მეთქი, მაგრამ უმადაც კარგად მიირთმევდა.

მისგანაც ვლებულობდი საზრდოს ჟანგბადის სახით, რაც ჩემს უჰაერო ფილტვებს ძალიან სჭირდებოდა. ჩემი ფიზიკური სხეული, ჩემს ეთერულ და ასტრალურ სხეულებთან ერთად, სადღაც შორს, კოსმიურ უსასრულობაში დაფრინავდა.

ჩვენ, ორივე, საერთო ცისფერი თვალით ვუყურებდით ცხოვრებას.

ერთ მშვენიერ დღეს კი...
დავრჩი მხოლოდ,
მხოლოდ ჩემი შავი თვალების ამარა.
მერე?
მერე დიდ შარაგზას დავადექი.
გზად ბევრი,
ბევრი ლოდიც შემხვდა და ქვაც.
მაგრამ ზედ დასადები აღარაფერი,
აღარაფერი დამრჩა.

„ბუნებაში არაფერი იკარგება, როდესაც სხვებს დაეხმარები, შენც გაგეწევა დახმარება. შეიძლება ხვალ, შეიძლება ასი წლის შემდეგ, მაგრამ მაინც მიიღებ დახმარებას. ბუნებამ ეს ვალი უნდა ზღოს. ეს მათემატიკის კანონია და მთელი ცხოვრება მათემატიკაა“.

სამშაბათს, 23 აპრილს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
განხილვა

კობა ცხაკაიას
რომანისა

„გადააბიჯეთ მკვდრებს გაგედულად“

მომხსენებელი
ნინო ვახანია

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

უანტრაქტოდ...

ეთერ თედიაშვილი... ეს სახელი და გვარი პირველად 1986 წელს გამოჩნდა ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე. აკაკი მინდიაშვილის რეკომენდაციით არჩილ სულაკაურის ხელში მოხვედრილმა მოთხრობამ ერთბაშად მიიქცია ჩვენი დიდებული მწერლის ყურადღება. სრულიად ახალგაზრდა ქალი მოულოდნელი ფსიქოლოგიური სიღრმითა და იუმორით ჭვრეტდა ერთ პატარა ქალაქში განვითარებულ ამბავს.

მერე იყო 5-6-წლიანი პაუზა და 1992 წელს კვლავ „მნათობმა“ დაბეჭდა ეთერის მოთხრობა „დისჰარმონია“. ტექნიკის თვალსაზრისით, ეს მოთხრობა ახალგაზრდა მწერლის დაოსტატების გზაზე აშკარა ზრდის მაუწყებელი იყო. მერე ისეთი სოციალურ-პოლიტიკური მიწისძვრები მოხდა საქართველოში, რომ ხელოვნებისათვის აღარავის ეცალა. თვითონ ეთერიც ამასობაში სადღაც „დაიკარგა“.

მთელი ამ დრამატული, მძიმე წლების მანძილზე ეთერ თედიაშვილი შიდა ქართლიდან აყრილი ლტოლვილიც იყო და ქართველი ემიგრანტიც გერმანიაში. მრავალმხრივმა ნიჭმა მას ხელოვანის სახელიც შემატა უცხოეთში. საქართველოში უკრავდა თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრის ორკესტრში ვიოლინოზე, აგრეთვე ქალთა სიმებიან კვარტეტში. გერმანიაში შეისწავლა და აღმოაჩინა მინაზე ხატვის სრულიად ახალი, საკუთარი ტექნიკა. მოაწყო გამოფენები როგორც გერმანიაში, ისე საქართველოში. მისი აზრით, მუსიკალური განათლება და მხატვრობის ნიჭი ეხმარებოდა მოთხრობების წერაში. ფილოლოგიური ფაკულტეტი კი მხოლოდ იმიტომ დაამთავრა, რომ ლიტერატურა უყვარდა და როგორც თვითონ ამბობს, იმდენად უყვარდა, რომ საკუთარი თავი არასოდეს ჰყვარებია ლიტერატურაში. იქნებ მისი უკომპრომისო, უაღრესად თვითკრიტიკული ბუნებაც იყო იმის მიზეზი, რომ როგორც პროზაიკოსი, კარგახნით გაუჩინარდა ლიტერატურული სივრციდან.

სიყვარული არ ქრება, სიყვარულს ზოგჯერ სასტიკ გამოცდას უწყობს ცხოვრება, რომ გადარჩეს, როგორც მოთხრობაში „ანაკორდა“.

იგივე გამოცდის წინაშე დგანან ორკესტრის წევრები „დისჰარმონიაში“. ალეგროს ტემპში დაწერილი ეს ხალისიანი მოთხრობა სავსეა მუსიკითა და ადამიანების სიყვარულით. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკოსები, ფელინის ორკესტრანტებისა არ იყოს („ორკესტრის რეპეტიცია“), თავიანთი ლექსიკით, მეტყველების მანერით, ერთმანეთის განკითხვით, პოლიტიკური დებატებითა და ერთგვარი ეგზალტაციითაც ხშირად დამინებულადაც გამოიყურებიან, დგება წამები როდესაც ერთსულ და ერთხორც ერთიანდებიან ღვთაებრივი ჰარმონიის წყალობით. როდესაც თითოეულისათვის საკრალური და ახლობელი ხდება საკუთარი ინსტრუმენტი, როდესაც ეს საკრავები — სასულე, სიმებიანი თუ დასარტყმელი ინსტრუმენტები — მთელი სისავსით გადმოსცემენ „პატრონთა“ სულისკვეთებას. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ინსტრუმენტთა სახელებით მოიხსენიებიან მოთხრობის პერსონაჟები.

გაფანტულობით, დაუდევრობით, მოუსმენლობით არა მხოლოდ ერთმანეთს ვკარგავთ, არამედ იმ საყვარელ ქალაქებსაც, ქუჩებსა და კუთხეებსაც, სადაც ვიბადებოდით და ვიზრდებოდით, სადაც ვცხოვრობდით და ვხუცდებოდით. ღრმა და მრავლისმთქმელი ფინალით მთავრდება მოთხრობა „ანტრაქტი“:

„ჭეშმარიტად სჭირდება ჩემს ქალაქს დირიჟორი და ორკესტრი, ოღონდ ჭეშმარიტი დირიჟორი და ჭეშმარიტი ორკესტრი. ცოცხლებსაც სჭირდებათ, მკვდრებსაც. ამ აღმართზე მიცვალებულები აჰყავთ, დაღმართზე კი ჭირისუფლები ჩამოდიან. მე ორივე ვარ — აღმართიც და დაღმართიც. ახლა შუა ხიდზე ვარ გაჩერებული და ლიახვს ჩავყურებ, რადგან ანტრაქტი მაქვს. ლიახვი კი მიედინება უსასრულოდ, გამუდმებით, უანტრაქტოდ“.

სრულიად სხვა კამერტონზეა აწყობილი მოთხრობა „ბერგ ჰაილ!“ გერმანიის ალპიურ ზონაში ევროპელ მთამსვლელთა გუნდს, მწვერვალის დალაშქვრა რომ გადაწყვიტეს, ქართველი დებიც ურევია. ერთი რძალია გერმანელებისა, მეორეს ჯერ არ შეუქმნია ოჯახი (ამ პერსონაჟებში ავტორის და და თავად ავტორი იგულისხმება). მთელი შინაგანი პათოსი დებისა, ისე რომ თვითონაც არა აქვთ ბოლომდე გაცნობიერებული, სამშობლოზე ფიქრი და დარდია. უკანასკნელი ძალების სრულ მობილიზებას ერთი სანუკვარი მიზანი ამოძრავებს — სამშობლოს გაერთიანების, წართმეული ტერიტორიების დაბრუნებისა და გამარჯვების სურვილი.

„ცოტაცა, თამრო, ცოტაცა და მალე დავიბრუნებთ ჩვენს კუთხეებსა — გზადაგზა ასე, ჩვენებურად, ქართლურად ვუქცევდი და ვამხნევებდი. პასუხის გაცემის თავი რომ არ ჰქონდა, გალურჯებული ტუჩებით საცოდავად მიღიმოდა... ჩვენი მაგარი ბიჭები უკვე მწვერვალზე, ჯვართან იდგნენ და ჩვენ გველოდებოდნენ, რათა მთამსვლელთა ტრადიციული რიტუალი ყველას ერთად შეგვესრულებინა, ანუ ერთმანეთისათვის მოგველოცა მწვერვალის დაპყრობა და ერთ ხმაში გვეყვირა: „ბერგ ჰაილ!“ — რაც მთამსვლელთა ენაზე გამარჯვებას ნიშნავს.

თამრომ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და... უკაცრიელ სიჩუმეში მეხივით გავარდა — „ბერგ ჰაილ!!!“

მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცოდით, რატომ ვყვიროდით ყველაზე ხმამაღლა და რატომ ჩამოგვდიოდა ღაპაღუპით ცრემლები“.

გამარჯვების უტყუარ დასტურად კი არაჩვეულებრივი ფინალი შეარჩია ავტორმა. აგვისტოს ომით გაჩენილი ჭრილობების მოსაშუშებლად ეთერ თედიაშვილმა ბიბლიური სიტყვები გამოიხმო (მესამე ეზრა, 22, 37-46). მთელს ამ განცდებსაც თარიღად სწორედ 2009 წლის 16 აგვისტო აქვს მიწერილი.

ეთერ თედიაშვილის მოთხრობები, რომლებიც ჯერჯერობით მის ერთადერთ წიგნშია შესული, ზედმიწევნით გამოხატავს ავტორის, როგორც პროზაიკოსის პატიოსნების — წეროს იმაზე, რაც ძალიან კარგად იცის და რაც ყველაზე მეტად აწუხებს.

შესანიშნავი ამერიკელი ფერმწერი ენდრიუ უაიესი მთელი ცხოვრება მხოლოდ იმ პეიზაჟებს ხატავდა, რომლის წიაღშიც დაიბადა და გაიზარდა. მხოლოდ იმ ადამიანების, მეზობლების პორტრეტებს ქმნიდა, რომლებიც მის გვერდით, მის თვალწინ ცხოვრობდნენ და ხუცდებოდნენ.

ეთერ თედიაშვილის პერსონაჟებიც ამიტომ არიან ასეთი ნამდვილები და ახლობლები ჩვენთვის.

მჯერა, რომ ამაში წინამდებარე მოთხრობის — „ქვაზე დადებული“ — პერსონაჟებიც დაგარწმუნებთ. პერსონაჟები, რომელთა ღრმა ადამიანური სევდა და ხშირ შემთხვევაში ტრაგიკული ხვედრი საოცარი იუმორის გრძნობითა და ერთგვარად უჩვეულო სიმსუბუქითაც კია გადმოცემული.

მაკა ჯოხაძე

მირიან ებანოიძის ლექსებს რომ კითხულობ, არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციო ორი საწყისის — რეალურისა და ირეალურის, არსებულისა და არარსებულის — მუდმივ ურთიერთდაპირისპირებას. ცოცხალ, ცხოვრებისეულ სურათებს ენაცვლება მეტაფიზიკური ხილვები, რაც არაჩვეულებრივი სიმკვეთრით წარმოაჩენს როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს.

„ყველაფერი იმით დაიწყო, რომ აღარაა დასაწყისი...“ შესაძლოა, ეს დაპირისპირება კი არა, სულაც სინთეზი იყოს, მაგრამ ამას არ აქვს დიდი მნიშვნელობა. მთავარია, რომ საინტერესოა, საგულისხმოა, დამაფიქრებელია ის ეფექტი, რასაც ქმნის სინამდვილისა და წარმოსახვის დუალისტური კავშირი.

ირეალური რეალურში იბადება. სინამდვილე, ყველაზე პრაქტიკული, ყოველდღიური საგანი თუ მოვლენა თავის თავში ატარებს არარეალურის სრულ პოტენციას.

სინამდვილიდან წარმოსახვაში ისე გადავდივართ, როგორც ალისა სარკისმიღმა ქვეყანაში. თავისთავს ვხედავთ იმაში, რაც არა ვართ.

საბოლოოდ ყველაფერი ეფემერული, წარმავალი და მოჩვენებითია, ერთადერთი რეალობა — ეს არის დრო, რომელშიც თანაარსებობს საგანი, მოვლენა, სივრცე.

უცნაური კიდევ ის არის, რომ აქ ადამიანი მთლიანად, სრული სახით კი არ ჩანს, არამედ დეტალებად, მორალურ-ზნეობრივ ფრაგმენტებად. ერთი სიტყვით, პოეტური დისკურსი გარანტირებული მთლიანობის გარეშე — დროის სულისკვეთება.

მირიან ებანოიძე

ომი

ყველაფერი იმით დაიწყო რომ აღარაა დასაწყისი —
უკვე შიგნით ვართ
რამოდენიმე ხეივანი, ვაგზლის ხედები და მაგისტრალი
წინ უკან მარჯვნივ მარცხნისაკენ ნაბიჯებით
ადგილზე სვლისას
ჩვენივე თავს გავუღიმებთ ხელს ჩამოვართმევთ
ეს არის ომი მაგრამ მტერი არსად არა სჩანს...

ატლასის ფარდას მოედო ცეცხლი.

პარკში სძინავს მოხუცს — მისი პულსი სუსტია და
ძალიან მშვიდი
პატარა ბიჭი თამაშობს ფეხბურთს და ამ დროს უცებ
დაიწყო ომი
მოულოდნელად, წვიმასავით...

ჩვენ ვსვამთ ჩაის და ვათვალიერებთ გამოფენას...

მხედველობას არასოდეს ვენდობოდი. ვერ გხედავდი,
მაშინ როცა
შენი ხელი მიჭირავს ხელში — შენ კი ომში ხარ
გავიმარჯვებთ თუ დავმარცხდებით?
შენს თვალებში ზიგზაგებით იელვებს ცეცხლი სიხარულის.

სიზმრებში ჭიშკარს გამოვაღებ და კვლავ დავხურავ...

მას პარკში უკვე დაეძინა. ვარსკვლავების ფერფლი აქვს ქუდზე
იქ წარსულში სკოლის კედლებში
გაკრთება ლანდი მისი კლასის დამრიგებელის —
ფეხისწვერებით მოაქვს ტანი, ისწორებს კაბას
დაფაზე ხატავს წრეებს წრფეებს რომბებს წრეწირებს
კაბაშეხსნილი, მარცხენა ქუსლით
ვარსკვლავისკენ მიიწევს მაღლა.

გრძელდება ომი... სადგურიდან სადგურამდე,
ბნელიდან ბნელში
ხელისცეცებით ვაგნებთ გასასვლელს.
ისევ თავიდან ვიბადებით...

ვიმეორებთ საკუთარ სახელს — იქნებ დედას არ დავავიწყდეთ
ფეხები კართან გაიწმინდე, დადევი ბურთი, ჩაი დალიე...
ჩვენი სურვილი მარტივია და დაშაქრული

კარები გამოაღე. უჯრა ზევითაა და მარცხნივ.

ტელევიზორი ჩართულია — სადღაც გკლავენ, მე შურს ვიძიებ
თუმცა არ მახსოვს რომელ არხზე. ვეღარ ვიხსენებ:
გვქონდა სექსი და სადილად კიბორჩხალები თუ პირიქით —
კექსის ნამცხვარი. პურის გულს ვღეჭავთ უხალისოდ...

განმკლავი, ზემკლავი, მიმკლავი... ქვემკლავი.
ნახევარღმერთივით ბედნიერი შევდივარ ომში

ღრუბლებამდე ვრცელდება ცეცხლი...
მოხუცო სწორდი, ნაბიჯით იარ! დაფისაკენ,
ვარსკვლავებისკენ,
ჩვენ ვტკბებით ნატიფ ხელოვნებით... და ვსვამთ სიფხიზლეს
შენ რატომ ხარ პატარავ გარეთ, შედი, ომია...
ცისა და მიწის...

სველი ფეხებით ვაწვებით მიწას...
ისევ იწყები — ისევ ისე — სამშობიარო ტკივილები,
გვირაბები, ლიანდაგები...

მტერი არასდროს შემხვედრია ასე, პირისპირ
უბრალოდ რომ გველაპარაკა ინტიმურად, აუღელვებლად
როგორც შენ... ან თქვენ... მივმართავდი...
ომი ჩვენია? — მეკითხები. გტკივა. მშორდები...

შენი ხელი ისევ მიჭირავს...

ცეცხლი მოედო მის გრძელ კულულებს,
ტანსაცმელიც ცეცხლმა მოიცვა
აღარ ისმის არაფერი... ქარი სიტყვებს ღრუბლებში ფანტავს
ველურ ყვავილებს მოაქვთ ფერფლი. ჩვენ ვგავართ ტყეებს —
სიარული არ შეგვიძლია.

ჩაი მიირთვი...

ამას ღიად არ აცხადებენ, მაგრამ უკვე დაიწყო ომი...
აქ, ნახატში — ასკილის ბუჩქი ამოძრავდა

ჯერ აწმყოში, მერე წარსულში...
ჩემი სახელი ეომება შენს გვარს და სახელს
მოხუცის ქუდი ნაგავშია, ქარმა წაიღო, მას კი კვლავ სძინავს...
მთვარე, მზე და პროჟექტორები უსიცოცხლო
სახეს დაჰყურებს
მხოლოდ ქარი ეთამაშება, აღიმებს და ათრთოლებს კუნთებს.
ადექ, მოხუცო, შენი სკოლის დამრიგებელი ქალი მოვიდა
ტირის და მოსთქვამს, რადგან გიცნო პატარა ბიჭი,
ვინც ცდილობდა გამოეცნო — ზედაპირის მიღმა სარჩული...
ვიხრები, თითქოს სახაზავი გადამივარდა, წითელ ატლასს
რომ მოვკრა თვალი.

იქ, სიღრმეში, იხსნება ზეცა თეთრ რკალებად...
იმალები და ისევ ჩნდები... ფერფლის გემო რომ დამიტოვო...
ღრუბლებს მიღმა გრძელდება ომი...
ჭიშკარს ჭრიალით გამოვაღებ — ეს სიზმარია...
იქ შენ დგახარ მორცხვი და მშვიდი

ნახატზე კი ინგრევა ზეცა...
ჭრელ მინდორზე ჩიტები და ბეღურების ნაფეხურები
დაფარა წვიმამ.
ნისლში კივილი იგუდება, თავის თავს კოცნის...
ტელევიზორი ჩართულია, ცომი ფუვდება,
ჩვენ განვაგრძობთ ჰაერის სუნთქვას.

სათვალის მიღმა ნაზია და აქეთ კი მკაცრი
აბა, გამოდი დაფასთან და შეხედე რუკას,...
იქ კი წითელი ატლასია ყველაფრის მიღმა —
ვგრძნობ როგორ იწვის, როგორ ზღუდავს, როგორ აკავებს..
ჩავისუნთქოთ, ამოვისუნთქოთ, მოადუნეთ თქვენი სხეული.

ვუყურებდით ნახატში მიწას...

წმინდა გიორგი გვეხმარება მივუახლოვდეთ — ეს ქმნილებაა
შენს წინ დგას და სიკვდილთან მიდის...
ის არასოდეს ამბობს — გუშინწინ
ხელოვნური ნათურის შუქზე საკუთარ სისხლს
წვალებით და ზეიმით აქცევს
ის აქაა ზედაპირით, ხელებით და უცვლელი მკერდით —
რასაც აკეთებ, რამაც დაგთმო, ის, რაც ცეცხლშია

აჰა, გვირგვინი მორთმეული ნაზი ხელებით –
პატარა გოგო ლოკავს ნაყინს... იქექება ნაგავში ვიღაც...
ნახატში კი ომი გაჩერდა...

მასწ. ჩვენ აქ ვზივართ, ამ სურათში. დაგვინახე, როგორ
დავბერდით... ენას ურცხვად არ ვატრიალებთ...
ეს ჩვენა ვართ — ნაოჭები გაუჩნდა ტილოს,
ჩარჩოს — ბზარები...

იის სურნელი შეიცვალა ბერგამოტით,
ჩეფირს ვადუღებთ... და ცეცხლს
ვუცქერთ...

თავდამსხმელი გამორბის უკან — წინ, მარჯვნივ, მარცხნივ
ფლანგებისკენ ყველგან ომია,
საკუთარ კარში გააქვს გოლი...

თავდასხმა ყველგან თავდასხმაა, დაცვა კი დაცვა,
თუმცა ერთხელ
ადგილები შეცვალა ყველამ როცა ომი წამით გაჩერდა
მე ამით მყისვე ვისარგებლე და გავიტანე — გოოლ...
თუმცა არავის დაუნახავს, რადგან
გაშეშდა მაყურებელი, გაიყინა მსაჯის სასტვენი.
ვიცი, ხედავდი პატივცემულო, ის თვალის ჩაკვრა ამად ღირდა...

ის იღუპება განუწყვეტლივ, შეუჩერებლად — მოედანზე,
შენს მზერაში
ღმერთის რჩეული მაწანწალა, უსახელოდ, თეთრი პერანგით...
თოვლის ბაბუას სძინავს მერხზე, მაჯა უღონოდ ჩამოუვარდა...
პატარა გოგო ლოკავს ნაყინს და თან კისკისებს...

გულებში ადგილს მოძებნის თოვლი... ეშვება ფარდა...
საგამოფენო დარბაზებში თოვს სინათლეზე ირიბად, ნაზად
მოხუცმა პლედი შეიბერტყა, ნელა წამოდგა, გაუყვა ქუჩას...
ომი გრძელდება ვარსკვლავებში, უხმაუროდ, ჩუმად,
ფარულად...

ყვავი

ყვავი
ზის თავის თავთან
ცის რომელიღაც წერტილში
გლოვობს იმ ადგილს, სადაც ის არის
შენ ფიქრობ ყვავზე და იმაზე, თუ რაა ფიქრი
იქნებ ყვავია?
ყვავების ჩხავილს ზეცა მოაქვს
იმ წერტილამდე, სადაც შენ ხარ ფიქრისაგან თავისუფალი
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, რათა ვიყო ყვავი
და სიგარეტს ვეწეოდე.
ჩვენ ამ ჩხავილში სამშობლოს დუმილს ვაყურადებთ
ცა ერთ წერტილში შეგუბდა და ჩამოყალიბდა.
აყვავდი, ტურფა ქვეყანავ.
ფიქრების ლეშზე ზამბახები და ენძელები თავს ჩუმად ხრიან
იწყება ყვავი სადაც ფიქრი სცილდება სხეულს
იქცევა ლეშად. უსხეულო აბსტრაქციად...
გვამი კი უცქერს მანძილს ზეცამდე.
ცა + ყვავი უდრის სიყვარულს
მარტოობის კედლებიდან აივანზე გადარბის კატა
ჰაერი უკვე ლპობას იწყებს, იქცევა ექოდ
ზეცა მუქდება სადაც აზრია...
ყვავები ცაში ჩაიღვარა, ვწრუპავთ კოქტეილს
გვიბრუნდება სხეული და ჩვენ ვხდებით მკვეთრნი
როგორც ტყვია, უმისამართო.
გალიაში ბულბულები ზიან.
წერტილი, ტირე, უამინდობა, მრავალწერტილი.
გადმოიღე თოფი და... მოკალი ყვავი.
მაინც იჩხავლებს.
...
სიზმარში გეძებთ სტრიქონებს შორის და გიზეპირებთ...
ტექსტებია ყვავის სამშობლო. სხვა სამშობლო არ გააჩნია,
არცერთი წვეთი არაყვავის, არა ჩრდილის ან უარყოფის.
ზეცამდე მანძილს ანაწილებ კვადრატებად, სამკუთხედებად
გამრავლებული უჯრედები — უკვე სივრცეა.

გაყოფისას გამოჩნდა ნაშთი და დაიჩხავლა.
გკითხულობთ, გხედავთ, გამარჯობა ყვავო. ჩვენა ვართ.
საკუთარ ჩრდილში შემეშალე, ვეღარ გიცანი.
თვალს გარიდებ — ვერა, ვერ ვხედავ. არც არსებობ —
სხვა თავის თავთან, არაფერი, უმნიშვნელო,
როგორც სამყარო...
თავი აიღო და მიყურებს:
არავითარი ირონია,
ის გვიყურებს ორი თვალის ჭუჭრუტანიდან:
პირდაპირ მზერა, უძველესი, უინტერესო
ხურდა ფულების ჩხრიალში გხედავ, როგორ ანათებ,
როგორც ვერცხლი.
და თვალებს ნაბავ
ის უჯიშო, ჟანგბადისფერი
შეუმჩნევლად დადის ჩვენს შორის
ცივილიზაცია მიდის ფეხებთან
ნარჩენების, ნაგავსაყრელის
საბოლოო მეპატრონე ჩვენი ყვავია.
...
მედიდურობის მიღმა არის მისი სხეული
ფრენის სიმძიმე ამხელს ქარის უფერო სხეულს
იგი ვერ იქცა ბედისწერად, ყორნად ვერ შედგა
გმირი ვერ გახდა, ისტორია არსად ახსენებს
მხოლოდ ჰაერი, მხოლოდ ქარი...
მწვანე არის მთელი სამყარო.
იქროლე ყვავო, ღმერთს არ ჭირდები
იგი მარტოა ტრიალ ველზე, არავინ არ ჩანს
არ ჰყავს მეწყვილე, მაგრამ ქარში ედება ვნება
მხოლოდ ჰაერი ეალერსება, იგი კი მიჰქრის
სასურველი თავის თავისთვის. სიზმარში ხედავს:
შემზარავია, ეროვნული, საბედისწერო
მზის ფონზე ყვავი
ზურგს უკან მალავს ტატოს მერანს,
ყვეთელ მინდვრებს, ცისფერ განთიადს.
და უცებ
თოვლით იფარება ირგვლივ ყოველი
...
იქროლებს ქარი, პროგნოზებო, იქროლებს ქარი.
იგი ასცდა საკუთარ სახეს სარკეებში —
მსხვრევად ძაფებად განაწილდა
სიცილი მაინც ვერ ისწავლა —
მისმა მარცხენა ყვრიმალმა
სინანული შემოგვთავაზა.
მითხარით, ისევ ქრის ქარი, ისევ ქრის ქარი?
დარბაზებში დაცვენილ ფოთლებს დღე შეეცვალათ —
დასავლეთში წვიმა წავიდა.
ვიმეორებ ყველა ფანჯარას, ყველა მახეს, ყველა
გაქცევის ტრადიციას, აღარ ვბრუნდები
დავამთავროთ ლაპარაკი. და აი, სეტყვა!
ყოველ სტრიქონში რევოლუცია ნიშნავს იმას, რომ
იქ ქარი ქროდა, იქ ქარი ქროდა? წერილებში
მეხი და ჭექა და ელჭექი. იქ კი ღრუბლებში
არარსებული ჩხავილის ექო, ოდნავ სიცივე.
ჩვენ გვახრჩობს წყალი ამ სიტყვებში ნაბიჯს
ვერსად ვდგამთ.
ისევ ქრის ქარი...ნუ დამალავთ. ძალიან გთხოვთ.
ის ხომ ქარია. საკუთარი არყოფნით სავსე
ვიტრინებში. თავის თავს კოცნის.
ლუდი აიას სარეკლამო აბრაზე ვჯდები
და მლაშე ცრემლებს შენს სახეზე გადავაგორებ —
არხებს შევუცვლი და ნაკადებს.
ამისთვის მხოლოდ სარეკლამო აბრა მჭირდება —
რომელზეც შენი სურათია.
შევიარაღდე: ნისკარტით, ბრჭყალით, პინცეტებით და
დოლბანდებით.
პირობას გაძლევ —
იქროლებს ქარი საქართველოს ყველა ტექსტებში.
შენი მზერა დაისერება ტყის უთვალავი ბილიკებით და
ნანგრევებში
ისტორია ამოიჩხავლებს.

სამზარეულოს საგა

დუმილი კარგი მზარეულია
პურზე დანით წაუსმევს კარაქს
და ლაპარაკობს, განუწყვეტლივ ლაპარაკობს.
საღამოს სკამზე ჩამოჯდება თავად ელენე
და ტროას ამბებს გაიხსენებს ჭიქა ყავაზე.
გვერდით ოთახში უკრავს ანა
ონკანიდან იღვრება წყალი.

საღამო ფანჯრებს შეღებავს ლურჯად.
განათებული ოთახიდან შევრბივართ ბნელში
ვასლოკინებთ და გამალებით გული გვიცემს შიშისაგან
იქ ვიღაც არის ჩასაფრებული —
ვიღაც უცხო, თუმცა ნაცნობი...

ჭაღის სინათლე ნალექივით დარჩა სიზმრებში
ყრუ სიცილი ჩაიმალა წითელ ლარნაკში
მოხვედი შვილო?

ყველა აქაა ოღონდ ვერ ვხედავთ...
ხედავ პაპას უჭირავს კოვზი
შვილიშვილი კი ჯიუტია და პირს არ აღებს.
ეს დიდი სარკე გაიტანეთ — ამბობს მამა
დედა კი დუმს როგორც მთვარე
ჩვენ კი ვქეიფობთ ამ სურათში —
გიტარაზე მღერიან ერთად, იცინიან, უპეები ჩასწითლებიათ.

დედმამიშვილებს გაუმარჯოს, სადაც არიან,
გამონაკლისი არავის არ გვყავს
ბებიის მული დაიღუპა.
ამ ზამთარს სტუმრად როცა გვეწვია
მეზობლის კატა მოვრთეთ ბაფთით, მერე გავუშვით
მაისის თაფლი და თვალები ამოაყოლა...
მოვიგონეთ, ჭიქა ავწიეთ... გარეთ კი თოვდა
პირადად ჩვენთვის, ჩვენ გვეძღვნებოდა...

პატარა ბიჭი და ბებია მოსჩანს ფოტოზე
ბიჭი წავიდა სურათიდან, ბებია კი იგივე დარჩა
ამისი შიში ჰქონდა ბებოს, ხშირად ტუქსავდა,
ამგვანებდა ხან ვის და ხან რას.
ჩვეულებრივი ბიჭი იყო ბაბუაჩემი, ოინბაზი,
სიცოცხლეზე უარი ვერ თქვა.

მსოფლიო პატარებს გაუმარჯოს ამ პატარა ბიჭის სახით
(სადა მაქვს სახე...) იტყოდა ბიძა
ახლა მე ვამბობ
მაგიდასთან მობორიალე ბავშვებისკენ წელში მოხრილი
და თოვლს ვუცქერ ალმაცერად, ოღონდ პირდაპირ...

ბუხრის კვამლი აღწევს ჯამში, ჯამიდან სისხლში
გიზგიზებს სუფრა, თვალს ვარიდებთ, ბევრს ვლაპარაკობთ
ვეღარ ვარჩევთ უკვე ერთმანეთს,
ვჩხუბობთ, ვკოცნით, მერე ვიშლებით...
და ზედ სუფრაზე წვება დუმილი...

განჯინის კარებს შორის დუმილი
ჩაეჭედა და მოვიყვანეთ ხელოსანი რათა აეხსნა
ხმა როგორ უნდა ამოგვეღო
ისე, რომ არსად გამქრალიყო რასაც ვიტყოდით
კარადა რომ არ დაერღვია უსარგებლოდ გაღებულ ბგერას
ტრადიცია რომ არ დაგვმხობოდა.
და სწორედ მაშინ ჩვენ ვიპოვეთ მურაბები გადამალული.

ზაფხულში ფანჯრებს გამოვაღებთ
იქიდან კი მოვიდა მგზავრი
მტვერი ნელნელა დაიწმინდა და თანდათან გამოიკვეთა
დაღლილია, ოფლი აქვს შუბლზე
ქუდი და პალტო ჩამოკიდა შემოსასვლელში.
მერე მიამბო, აქ ცხოვრობდა დიდი ხნით ადრე,
ახლა მოვიდა, რადგან მხოლოდ ბავშვია სახლში.
მან მიამბო ისტორია, სინამდვილეში როგორც იყო...
ეს ამბავი როგორ დაიწყო... დიდი ხნით ადრე...
მუხის ხის კოვზით ვიღებ წვნიანს, ვუმასპინძლდები
აღარავის ვუმხელ ამ ამბავს. მეც სამუდამოდ დავივიწყე...
მოსახვევში მიიმალა, ისტორია სადაც მთავრდება
ან სულაც გაქრა — მიხაკის და დარიჩინის სუნი დატოვა

სურნელება ხან გვეძლევა, ხან არ გვეძლევა.
სხვაგან ყოფნა, სხვაგან, სხვაგან, სრულიად სხვაგან...
გამხმარ პიტნას სძინავს უჯრაში, სადღაც ჩირია სიბნელეში
ფუვდება ცომი, ვარსკვლავებით გაივსო ზეცა
იქ, ზარდახშაში ღამეს ათევს ვერცხლის კოვზები
კერძი მზადაა, თუმცა აწმყომ ჩაიარა და ვერ მივირთვით.

მიდიხარ შვილო?
სარკეს ფარდა ჩამოაფარე, რომ აღარ ვჩანდე.

ორმხრივი თევზაობა ზევით და ქვევით

მეზღვაურთა გულგრილობაში წყლის ვერცხლის წვეთებს
გაანაწილებ
იღებენ ბადეს და აშკარაა
მზე აქ უფრო მწველია და ვერ მოიცილებ:
წყალში ვერ გახსნი,ვერ ჩააქრობ, ვერ დაადუმებ
იგი შენგან, თევზისაგან ლაპარაკს ელის.
თუნდაც მეთევზეს აუსრულო სამი სურვილი
დუმილის ნებას მაინც არ დაგრთავს
მეზღვაურთა ენას გასწავლის,
გასწავლის, როგორ უნდა იყო წყალთან... გულგრილი.
და ერთხელ ყველა შენი სურვილების საპირისპიროდ
ამოისვრის ბადეს ჰაერში.

რას იტყვი,თევზო, ღმერთის შესახებ
დანების ან გემების ფონზე,
რუხი ფოლადის, სიყვარულის ან სამკაულის?
რასაც იტყვი, იმით რას იტყვი.
დუმილი ძლიერ დამღლელია თევზის ყბებისთვის
ორმხრივ დუმილი უფრო მეტად
აქედან-იქით, იქედან-აქეთ
გაუთავებლად ითხოვს ლაპარაკს.
წყლის სიღრმე ზურგში
სხვებთან ერთად წასვლა და მოსვლა,
წრეზე ტრიალი, ნამცეცების თვალებით ლოკვა
ეს შენა ხარ, თუ უკვე სხვაა
მხოლოდ წყალი გყოფთ, სხვა არაფერი
ზევით კი ცაა, რომლის კონტური
სხვისგან განსხვავებს და იტანჯები.
ლაპარაკობ და თითქოს ესმით
და თავს გიკრავენ
თითქოს სიტყვა უკვე შიგნით აქვთ
სხეულში, სისხლში, ნაწლავებში,
იქ კი წყალია
იმ სიტყვებში, გაურკვევლობა, და ლუღლუღი.
ასე ვლოცულობთ... და ჟანგბადს ვეძებთ.

დასცინე წარსულს, წყალს წაჰყევი, და ამოგვძახე...
მე ვარ-ვიყავი,
ახლა აღარ,
ახლა ისევ ვარ...
თვალი ჩაგვიკრა, ამოიღე, დროზე ასწიე
ნემსკავი როგორ ტკბილია და როგორ ნატიფი.

ჩამოდი,კაცო, დაგვაბიჯე, გადაგვიარე.
მათრახი,შოლტი, ვიცი, გტკივა, როცა გვიმეტებ
შენ რომ მანდ ხარ, ჩვენ აქ უფრო ვართ
უფრო გახრჩობთ, უფრო გაწამებთ.
უფრო გისხლტებით
და აჰა, გვესმის,
ამოხეთქა ჰაერში წყლიდან
გამყინავმა უხმო კივილმა.

დედავ, მე აქ ვარ...
მე მივეჩვიე ასე სუნთქვას, გაუხეშებას
ლექციასაც ასე ვატარებ, გარეთ ზღვა მოჩანს...
საკუთარ თავს ვღალატობ ცოლთან
მეგობრები მიდიან მთაში.
სამყარო თურმე სასრულია
ვიხდი ფეხსაცმელს, შევდივარ წყალში.

კარლო ფაჩულია
რიონის სანაპირო

საქართველოშიც და სხვაგანაც მრავლად არიან პიროვნებები, რომელთა გაცნობა სიამოვნებას მგვრის. გული მწყდება, რომ იმათგან ბევრნი კვლავაც უცნობებად დარჩებიან: სამწუხაროდ, ეს ქვეყანა ასეა მოწყობილი, მცირე ნაწილსაც ვერ ასწრებ იმისა, რისი სურვილიც გაქვს.

მედიკოსმა და პოეტმა, მთარგმნელმა, უთუოდ ნიჭიერმა ადამიანმა ᲓᲘᲜᲐᲠᲐ ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲔ, რომელიც ამავე დროს ძალზე თავისებური ფერმწერიცაა, დამპატიჟა თავის ბინაში, საბურთალოზე, რესპუბლიკური საავადმყოფოს მახლობლად, სადაც იგი ასაკოვან დედასთან, ქალბატონ ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ ერთად ცხოვრობს. დედამისი არანაკლებ საყურადღებო შემოქმედი აღმოჩნდა. პროფესიით მათემატიკოსია. ოცი წლის წინ დაუწყია ნაირფერი თოჯინების შეკერვა. ამისკენ, როგორც მითხრა, ლიტვაში მცხოვრები შვილიშვილების მონატრებამ უბიძგა. გატაცება ჩვევად ექცა. ბინის კედლები სხვადასხვა მასალისგან (მეტწილად ნაჭრები, ქსოვილებია გამოყენებული და საკმაოდ მარჯვედაც) დამზადებული თოჯინებითაა დაფარული. გარდა რეალური ადამიანებისა, აქ წარმოდგენილია ზღაპრებისა თუ მითების პერსონაჟები, სხვადასხვა ცხოველები და ფრინველები. ჭარბობს ქართული სინამდვილე. ძვირფასი საგამოფენო ნამუშევრებია, და თვითშემოქმედ ხელოვანთა თუ ფოლკლორის ეროვნული ცენტრის მესვეურთა ყურადღებაც მაშინვე მიიპყრო. არაერთი სატელევიზიო სიუჟეტი თუ საჟურნალ-გაზეთო მასალა მომზადდა ქალბატონ თინათინზე. იგი მრავალი საერთო თუ პერსონალური გამოფენის მონაწილეა, მიღებული აქვს ჯილდოები; არის ეროვნული თუ საერთაშორისო ფესტივალების არაერთგზის ლაურეატი. ორი წლის წინათ თინათინი აირჩიეს ევრომეცნიერებათა აკადემიის ბორდის წევრად – სახელოვნებო მეცნიერების განხრით.

დასანანია – წლების მანძილზე უაღრესად მორიდებული ადამიანის არსებაში თურმე მშვენიერი ხელოვანი იმალებოდა და ამ ბუნებრივმა ნიჭმა მოგვიანებით იჩინა თავი. ასეთი რამ არც ისე ხშირად ხდება.

ქალბატონი თინა ოთხმოც წელს არის გადაშორებული, მაგრამ მხნედ გამოიყურება. თბილისში, აბანოთუბანში, გზის პირას კოხტა ორსართულიანი სახლი, სადაც თინათინი დაბადებულა, ახლაც დგას. მის ძმას, ᲒᲣᲠᲐᲛ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔᲡ, ასევე ზედმიწევნით ორიგინალურ თვითშემოქმედს, სახლის შესყიდვა სდომებია, რათა მუდმივ საოჯახო საგამოფენო კერად ექცია, მაგრამ... ოცნებად დარჩენილა ეს. ვფიქრობ, ღირსია თინათინი მუდმივმოქმედი საჯარო ექსპოზიციის მოწყობისა. ჩემი ორსაათიანი სტუმრობა ლექსად გამოვხატე. ლექსი სახელდახელოა, მცირე დროში დაწერილი. სრულყოფილებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ უშუალობა არ უნდა აკლდეს. ნაუცბათეობას ნაკლთან ერთად, ერთი ღირსება უთუოდ გააჩნია. ასეთ დროს სტრიქონებში ხალასი შთაბეჭდილებაა არეკლილი. ჩემზე უკეთ ამას მკითხველი მიხვდება, თუ, რა თქმა უნდა, ბოლომდე ჩაიკითხა.

ემზარ კვიტაიშვილი

ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

კვირა საკვირველს მახვედრებს ზღაპარს,
თვალწინ გადიხსნა უცხო კალათა...
ჩიხტიკოპები, ჩოხა თუ კაბა —
ზღვა ფიტულების, დედოფალათა.

ასევე იყო მანამდეც, უწინ —
მთელისკენ ლტოლვა მომდგამს ნაწევარს;
მოვეფერები ანგელოზს ფუძის,
საით მომიწევს, წვეულს, გაწევა.

ყველგან სუფევდა სული ქართული,
ვთქვი: ეს რა ფერი და რა ხაზია!
ერთურთზე იყო გადახლართული
იქ სინამდვილე და ფანტაზია.

გაღებულია კარები ფართოდ,
შესასვლელ ბილეთს არავინ ყიდის...
ამ სამოთხეში არა ვარ მარტო,
ოქროსთმიანი დამყვება გიდი.

მასპინძელს მშვიდი ღიმილი შვენის,
აქ არ ჭაჭანებს ეშმა კაპასი;
შემომანათა თვალებმა ბრძენის,
სპეტაკი წვერი მეცნო საბასი.

აღარსად ჩანდა განი და კიდე,
უცხო ნათელი მზერას ბინდავდა;
გაოგნებული, კარგა ხანს ვიდექ,
ვერ ვშორდებოდი კრებულს წმინდანთა.

როგორ არ შეგძრავს და გეამება,
ხომლს, ჩაუქრობელს, იხილავ რაჟამს;
ბარათაშვილთან დიდი სამება
ელავს: ილია, აკაკი, ვაჟა.

ფუჭად, ამაოდ აჭმევ და აცმევ,
რა უნდა არგოს ჯილაგს, დასაბამს?!
გაჩანაგების იგულვე მაცნედ,
გაჩენილია ვინც ლუარსაბად.

გადაგვაყოლა უძღომელ წადილს,
მიწყივ კარგავდა,
არას იძენდა;
აქაც იგრძნობა სიმრავლე მათი —
არ ვიქცეთ ქვეყნად თათქარიძეთა!

სიმსუქნით ლოყა რომ ეფაკლება,
ახუტებია დონ კიხოტს სანჩო,
რაინდობაზე ფიქრობს ნაკლებად,
მთავარი მისთვის კუჭია, სარჩო.

გმირებს ქაჯეთის ციხე მიელით,
ნესტანი უსტარს უგზავნის ფატმანს...
ძმადნაფიცებთან დგას ტარიელი,
შვება მომგვარა დანახვამ მათმა.

მიჰქრის მხედარი შეუსვენებლივ,
რა ცეცხლი ახლავს მეომრის ძახილს!..
მეფეთა მეფის,
აღმაშენებლის,
გვერდით დამდგარა პატარა კახი.

წურბლების, მუქთახორათა რისხვას —
გზაზე არსენას ვხედავ, მარაბდელს;

თინათინ სიხარულიძე და ემზარ კვიტაიშვილი

სხვა ცეცხლი ახლავს გამყივარ მის ხმას,
ყველა უკეთურს უნდა ზარავდეს.

მიმინოსავით მარდი, ფრთალაღი,
იქაც უკვდავთა მკვიდრობს სიაში —
ერთგან ნაბადი და ყაბალახი
ფრიალებს დათა თუთაშხიასი.

ის გახლავთ, ქართლში იცნობდნენ ვისაც,
მამულის შავ ბედს ვეღარ ივიწყებს;
ადრეც ზარავდა მონობა მტრისა,
ლეკო თათაშელს ამხელს სიფიცხე.

არ თავდებოდა მწკრივი და მწკრივი,
თითქოს ყიჟინა მესმოდა გმირთა,
მოოქროვილი მოსავდათ სხივი,
გულში ვამბობდი:
აქ მოსვლა ღირდა!

შინ, ძმებისაკენ მიუხარია,
ნაცარქექია ვინ თქვა ჯანჯალად?!
კუთხეში, კომბლეს გვერდით არიან —
ხუთკუნჭულა და ადიხანჯალა.

ცეკვავს ცანგალა,
შევკრთი ხმაურზე,
ვხედავ ცას, ვარსკვლავებით დასვრეტილს;
ულვაშებზე ვცნობ მიუნჰაუზენს,
ხალათზე, ჭრელზე, მოლა ნასრედინს.

როგორ გაბრწყინდი, ჯადოქრის ბინავ,
რა სასწაულებს, თურმე მალავდი...
ალი-ბაბას ხომ არასდროს ძინავს,
ალადენილსაც, ვხედავ ალადინს.

აფრიალებენ მოსასხამს, ცისფერს,
ჩალმებიანი როკვენ ჯინები...
მონუსხულს, თავბრუ მესხმება მყისვე,
თითონ არ ვიცი, რას ვებჯინები.

თუკი გაბრაზდა, წრიპინებს, ჭყვირის,
გვინახავს სცენაზედაც, კინოშიც;
სასაცილოა, ქვას ბურღავს ცხვირი,
ხისგან გამოთლილ ბურატინოსი.

ცხოველებს ცალკე ეთმობათ ლოჯი —
პლატერო მინდვრის პეპლებს შეჰხარის;
გამოქცევია მგელს სამი გოჭი,
ბაგირას გვერდით უწევს შერხანი.

ინაბება და ყელს იღერს ლამაზს,
ყველაზე მეტად მის თავს ვინ იქებს?!
დიდი მიხვედრა არ უნდა ამას,
მელაკუდაა — თვით რაინიკე.

ნუმც მოკლებია სითბო, ალერსი,
დაობლებული, კანკალებს ნუკრი...
ღვთიური შუქი უკრთის თვალებში,
მისი აქ ყოფნა ნურავის უკვირს.

მშვენიერების ვჭვრეტდი ბინადართ,
მათია ყველა კედელი, სვეტი...
ბოლო არ უჩნდა რიგს თოჯინათა,
თავად დავთვალე ხუთასზე მეტი.

არ გავიკარებ ნათქვამს, ობიანს,
რა საჭიროა ფილოსოფია!
მოდით, ესტუმრეთ ქალბატონს, გრძნეულს,
მონაყოლს, ბევრად, ნახვა ჯობია.

ვრცელი დარბაზი ჭირდება ამათ,
დაედებოდათ იერი სულ სხვა...
მივხედოთ,
ნურვინ დამიწყებს კამათს —
შედგენა უნდა კატალოგს, ნუსხას!

შემცბარს, ბოდიშის მოხდაც მწყურია
(თავს არ ვაკუთვნებ რიცხვს გამბედავთა!),
იმდენად სუსტი, უსუსურია —
ეს მკრთალი ასლი ცხადთან, დედანთან.

1960 წლის 4 იანვარს ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი, ალბერ კამიუ ავტოკატასტროფაში დაიღუპა თავის მეგობარ და გამომცემელ მიშელ გალიმარდთან ერთად. მანქანაში იპოვეს კამიუს დაუმთავრებელი რომანის, *პირველი ადამიანი,* ხელნაწერი (1957).

***პირველი ადამიანი* პირველად 1995 წლის ოქტომბერში, ინგლისში გამოსცეს, ავტორის სიკვდილიდან 35 წლის შემდეგ. მისმა ქალიშვილმა, კატრინ კამიუმ, არჩია ხელნაწერი შეუსწორებლად გამოექვეყნებინა. რომანი ავტობიოგრაფიულია, აღწერილია ავტორის ღარიბი ბავშვობა და უმამო ოჯახი XX საუკუნის დასაწყისის ალჟირში. დაუმთავრებელი ტექსტი კარგად გადმოსცემს კამიუს ხასიათს, მის მტკიცე და მგრძნობიარე ბუნებას. ეს მისი საუკეთესო ნამუშევარი უნდა ყოფილიყო, ტრაგიკულ და უდროო სიკვდილს რომ არ შეეშალა ხელი 47 წლის ასაკში.**

ინტერვიუ ჩაწერილია 1995 წელს, ლონდონში, სასტუმრო ბაზილში. კატრინ კამიუმ და მისმა პარტნიორმა, როგერ გალიმარმა *პირველი ადამიანის* ქვეტექსტები განიხილეს და ისაუბრეს კამიუს, როგორც მწერლისა და პოლიტიკური ფილოსოფოსის, როლზე.

ალბერ კამიუ: სოლიდარული და მარტოსული

(რასელ ვილკინსონს ესაუბრება ალბერ კამიუს ქალიშვილი, კატრინ კამიუ)

— *პირველი ადამიანის* შესავალში თქვენ აღნიშნეთ, რომ სწორედ ახლა არის ყველაზე შესაფერისი დრო კამიუს ნამუშევრების მიღებისა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ბოლო წლებში კამიუ უარყოფილი იყო?

— თავის მკითხველებს კამიუ არასოდეს მიუტოვებიათ. ის უსაზღვროდ პოპულარულია და მისი წიგნები ყველაზე მოთხოვნადია. ვიცოდი, რომ *პირველი ადამიანი* კრიტიკის საგანი გახდებოდა, მაგრამ კამიუს პუბლიკისა კი არ მეშინია, არამედ იმის, თუ რა დაიწერება გაზეთებში.

არსებობს მოსაზრება, რომ ინტელექტუალები უბრუნდებიან კამიუს. ამის მიზეზი მათ ისტორიამ მისცა კომუნიზმის დანგრევით. ანტიპატიები მის მიმართ პოლიტიკის ბრალი იყო, რადგან კამიუ ენინააღმდეგებოდა გაგულაგებას და სტალინურ სასამართლოს. დღეს ჩვენ დავრწმუნდით, რომ იგი მართალი გახლდათ. ადრე იმის თქმა, საბჭოთა კავშირში საკონცენტრაციო ბანაკებიაო, მკრეხელობად ითვლებოდა. ახლა როცა საბჭოთა კავშირზე ვფიქრობთ, ბანაკების არსებობა სრულიად დასაშვებია, თუმცა მაშინ ამის გაფიქრებაც კი წარმოუდგენელი იყო, თუკი მემარცხენე იყავი. კამიუ ყოველთვის ამტკიცებდა, რომ ისტორიული კრიტერიუმები არ იყო ერთადერთი რამ, რისთვისაც ანგარიში უნდა გაგეწია. და რომ ისტორია შეიძლება ცდებოდეს პიროვნებების შეფასებაში. ჩვენ ახლაღა დავიწყეთ ასე ფიქრი და მსჯელობა.

— ხომ არ გგონიათ, რომ კამიუს ნამუშევრები მისი ინტელექტუალური იზოლაციის შედეგად შენარჩუნდა?

— ეს ყველაფერი მისი მუშაობის ხანაზეა დამოკიდებული. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კამიუს სცნობდა და პატივს სცემდა სარტრი და იმ თაობის ყველა ინტელექტუალი. როცა სარტრთან ინტერვიუ ჩაწერეს შეერთებულ შტატებში და ჰკითხეს — რა არის ფრანგული ლიტერატურის მომავალიო, მან მიუგო: ეს კამიუაო.

დრო გადის, კამიუ წერს *შურისძიებას,* რომელიც უფრო პოლიტიკური გავლენებით შეიქმნა, ვიდრე ლიტერატურულით. ამის შემდეგ სარტრსა და კამიუს შორის ბზარი ჩნდება. ყველა მემარცხენე ინტელექტუალი უპირისპირდება კამიუს, მას მემარჯვენედ მოიაზრებენ, რის გამოც სრულიად მარტო რჩება.

მოგვიანებით, 80-იან წლებში ახალგაზრდა ფრანგი ფილოსოფოსები, ბერნარდი და გლუქსმანი, აღმოაჩენენ, რომ კამიუ ამბობდა იმას, რისი გაგებაც არავის სურდა პოლიტიკურ არენაზე. მათი აზრით, კამიუ გახლდათ მართალი და არა ისინი, ვინც სარტრის გავლენის ქვეშ ექცეოდა (ის კი კომუნიზმის იდეის უეჭველ ერთგულებას უჭერდა მხარს; სწორედ ისეთისა, როგორიც საბჭოთა კავშირში იყო). ფილოსოფოსთა აღიარების მიუხედავად, საბჭოთა კავშირის დაშლამდე კამიუს სწორად ვერ აფასებდნენ. ინტელექტუალები, რომლებსაც თავის დროზე არ მოსწონდათ კამიუ, ახლა აღმერთებენ; აქედან კი დასკვნა — დიახ, კამიუ ყოველთვის დიდი მწერალი იყო.

— რა უშუალო შედეგი მოყვება *პირველი ადამიანის* გამოქვეყნებას და რას შეცვლის ჩვენს დამოკიდებულებაში კამიუს ნამუშევრების მიმართ?

— უნდა გვახსოვდეს, რომ კამიუმ იმის მესამედიც კი ვერ მოასწრო, რისი დაწერაც სურდა. ეს წიგნი არის მისი სიკვდილის შემდგომ გამოქვეყნებული პირველი ნამუშევარი. თითქოს თავს ვალდებულად გრძნობდა ესაუბრა იმათ ნაცვლად, ვინც საკუთარ თავზე ვერ ლაპარაკობს.

— წერილებში, რომელსაც კამიუ თავის ალჟირელ პროფესორს, ჟან გრენიეს სწერდა, ჩანს მისი უკმაყოფილება *პირველ ადამიანზე* მუშაობის პროცესში. ნობელის პრემიის მიღება ხომ არ გახდა მიზეზი, რომ ეს ნაშრომი შეექმნა?

— იგი ნობელის პრემიის გავლენით არ წერდა. ნობელის ჯილდო გარედან მოდის, ეს სოციალური აღიარებაა. მე კი მგონია, რომ ჭეშმარიტი შემოქმედი მის შინაგან საჭიროებათა მიხედვით მოქმედებს. ჩვენ არ შეგვიძლია ვისაუბროთ წიგნზე, რომლის დაწერაც მას სურდა, რადგანაც ამ წიგნის მხოლოდ დასაწყისი გვაქვს. *პირველ ადამიანს* თუ წაიკითხავთ, მიხვდებით, როგორი ადამიანი იყო კამიუ, ეს რომანი მამას მაგონებს.

— შეგვიძლია გავიგოთ მისი უფრო ზუსტი შეხედულებანი *პირველ ადამიანზე?*

— სავარაუდოდ — არა, იმიტომ, რომ ნაწერი ძალიან ნედლ მდგომარეობაშია. მგონი ჩვენ მოგვიწევს იმის ახსნა, თუ ვინ იყო იგი და რამდენად განსხვავდებოდა იმ ეპოქისგან, რომელშიც ცხოვრობდა. ბევრი კამიუს უხეშ მორალისტად მიიჩნევდა. მისი მორალურობა უკიდურესად ცხოვრებისეული იყო და არასოდეს აბსტრაქტული. ეს მისი ცხოვრებისეული გამოცდილებითაა განპირობებული. არიან ისეთები, ვინც მის ნამუშევრებს აბსურდულად ჩათვლიან, და ისინი, ვინც მისი შემოქმედების ნათელ მხარეს დაინახავენ, ალჟირზე, სიცხეზე და ასე შემდეგ.

— ხომ არ გგონიათ, რომ იგი, მამის უყოლობის და ორმაგი კულტურული აღზრდის გამო, თავს ფესვებს მოწყვეტილად გრძნობდა?

— არა პოლიტიკური თვალსაზრისით. იგი პირველი ადამიანია, იმიტომ, რომ ღარიბია და გარშემომყოფთათვის ბევრს არაფერს ნიშნავს. იგი მართლაც კარგად იცნობდა ალჟირს. თავისი ქვეყნიდან გადასახლებული იყო, მაგრამ თავის ენაზე ლაპარაკობდა. იყო მარტოსული, მაგრამ სოლიდარული. არა სჯეროდა, რომ რამე შეიცვლებოდა, მაგრამ სურდა შეცვლილიყო. ალჟირში ძალადობა ისე მომძლავრებულიყო, რომ მისი ასახვაც კი უჭირდა, მითუმეტეს, შეუძლებელი იყო შუამავლის პოზიცია დაეჭირა. თუ აკვირდებით, რა მდგომარეობაში არიან დღეს ხორვატები, ბოსნიელები და სერბები? მათ შექმნეს ეს კოშმარი, ახლა კი აღარავინ ინტერესდება, როგორ იცხოვრებს ეს ხალხი ერთად. ძალადობამ ისეთ ხარისხს მიაღწია, რომ ყველა სიძულვილში ცხოვრობს. ამ ყველაფრის ასახვა რთულია, აქ შუამავლების ადგილი აღარ რჩება. ვეღარ გაარჩევ, ვინ მართალია და ვინ მტყუანი, არადა ამ ყველაფრის გაანალიზება შეაძლებინებს ხალხს ერთად ცხოვრებას. პრობლემების გადაჭრა მხოლოდ ჩვენი განსხვავებულობის მიღებით შეიძლება.

ალბერ კამიუ

— გამოდის, კამიუ ცდილობდა ეცხოვრა ისეთი პარადოქსული მდგომარეობით, როგორიც არის, ერთი მხრივ, მარტოსულობა და, მეორე მხრივ, სოლიდარულობა?

— ვფიქრობ, კამიუ თავს მარტოსულად გრძნობდა, ეს მის ყველა წიგნში ჩანს. *უცხო* არ არის კამიუ, მაგრამ ამ მოთხრობაში არის კამიუს ნაწილი. ეს არის გადასახლების შთაბეჭდილებანი. მაგრამ იგი გადასახლებული არ არის პარიზში ან სადმე სხვაგან, იგი გამოძევებულია ინტელექტუალური სამყაროდან მის შეხედულებათა გამო. მისი არ ესმოდათ, რადგანაც ჯერ გრძნობდა, შემდეგ კი გონებით განსჯიდა. კამიუ ხშირად არის სივრცეში, საიდანაც გაქცევა უნდა. ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა იცოდეთ, რას ნიშნავს სისხლი. ყველაფერი რაციონალური გახდა, კამიუ გრძნობს რომ გადაასახლეს, მარტო...

ერთი რამ ცხადია, კამიუს არასოდეს შეეძლო ყოფილიყო ნეიტრალური ადამიანი. ამაზე მისი ქმედებანი მეტყველებდა. ყოველთვის ფიზიკურად ერთვებოდა წინააღმდეგობის მოძრაობაში, მონაწილეობდა ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. კამიუ მართლაც რეალურად უპირისპირდებოდა ტოტალიტარიზმს. მაგალითად, ხშირად ავიწყდებათ, რომ კამიუ საშინლად ეწინააღმდეგებოდა ფრანკოს რეჟიმს. უარი განაცხადა ესპანეთში მოგზაურობაზე და დატოვა იუნესკო, რადგან იუნესკომ აღიარა ფრანკოს ესპანეთი და ნება დართო ფრანკოს სიტყვის წარმოთქმისა. კამიუ შეურიგებელი გახლდათ, და ამ ყველაფერს არ შეიძლება ნეიტრალურობა უწოდო. ეს ბრძოლაა. ის არ ყოფილა ეგზისტენციალისტი, მაგრამ იყო მებრძოლი ადამიანი. ამიტომაც აქვეყნებდა წინააღმდეგობის ჟურნალს სახელად *ბრძოლა*.

— რატომ არ შეიძლება მისი მიზნები *ეგზისტენციალურად* ჩავთვალოთ?

— ერთდროულად წარმოთქვამენ: იგი არ ყოფილა ეგზისტენციალისტი! ის ამას ყოველთვის უარყოფდა!

— სოლიდარულისა და მარტოსულის თემას გავაგრძელებ. არის თუ არა კიდევ ერთი მაგალითი, რომ კამიუ მეგობრობდა სარტრთან, მაგრამ მაინც განცალკევებული რჩებოდა მისი ეგზისტენციალური კრედოსაგან?

— ყველას აქვს უკეთესი კაცობრიობის არსებობის იმედი. ამიტომ ბევრი, სარტრის ჩათვლით, თავდაპირველად კომუნიზმს ემხრობოდა. ხალხი იმედით უყურებდა მოვლენებს. მაგრამ კამიუ ხვდებოდა, რომ ბევრი რამის გადალახვა მოგვიწევდა. რათა რაიმეს გამოსწორება შეძლო, ჯერ ეს რაღაც უნდა მიიღო. როცა სარტრს ჰკითხეს, იცხოვრებდა თუ არა კომუნისტურ რეჟიმში, მან განაცხადა: „არა, სხვებისთვის ეს მშვენიერია, მაგრამ ჩემთვის არა“. მან ეს თქვა! როგორ შეიძლება ფიქრობდე, რომ არასოდეს წახვალ საბჭოთა კავშირში საცხოვრებლად და ამის მიუხედავად ამბობდე რომ ეს ყველასთვის შესანიშნავია? რთული სათქმელია, მაგრამ სარტრს ეს გამოუვიდა.

კამიუმ ეს ვერ შეძლო. დღეს კი მის ამ წინააღმდეგობას ყველა ვიზიარებთ. ვგულისხმობ იდეოლოგიას, რომელიც არ ითვალისწინებს კაცობრიობის კონტექსტს. იგივე შეიძლება ითქვას ეკონომიკაზეც, რომლის თეორიაც სრულიად უგულებელყოფს ადამიანურ კრიტერიუმებს. აი, რატომ არის კამიუ უფრო პოპულარული ახლა — იმიტომ, რომ ყოველთვის ამბობდა: „კი მაგრამ, აქ ხომ ადამიანია, ეს არის მთავარი, რადგან მეც ადამიანი ვარ“. აი, რას ნიშნავს სოლიდარობა.

— არის თუ არა *პირველი ადამიანი* ხიდი გამოცდილებასა და ფილოსოფიას შორის?

— სტატიებში, რომელიც დაიწერა *პირველი ადამიანის* შესახებ, ამბობენ, კამიუ გვთავაზობს მორჩილებასა და იმ აზრს, რომ წინააღმდეგობის გაწევა და განმარტებათა ძიება სიკვდილიაო. კამიუსთან კი სიკვდილი ტყუილია. ამიტომაც კვდება მის პიესაში *გაუგებრობა* შვილი, მას დედა და და კლავენ, იმიტომ, რომ მან იცრუა. არ გაამხილა თავისი ვინაობა და მოკლეს, რადგანაც ვერ იცნეს. მაგრამ კამიუს აზრით, არ არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება. საჭიროა მიიღო წინააღმდეგობანი, თუ არ გინდა, რომ უარყო ჭეშმარიტებანი ცხოვრების შესახებ. თუ შენ შექმნი სისტემას და იტყვი, „აი, აქ არის სიმართლე“, ამ გზაზე შენ მოსპობ ყველა სხვა ალტერნატიულ გზას და მოკლავ სიცოცხლეს. ეს ყველა ინდივიდს ეხება. თუმცა იგი ყველა კანონს არ ეწინააღმდეგებოდა. ამბობდა, „თუ კარგია, მით უკეთესი“. მისი მიზანი იყო, დახმარებოდა ადამიანებს, რათა ეცხოვრათ. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, ხელოვანმა უნდა მოახერხოს, რაც შეიძლება მეტ გულს შეეხოს.

— მან წიგნი დედისთვის დაწერა, როგორ ფიქრობთ, *პირველი ადამიანი* იძლევა ნათელ სურათს მის შეხედულებებზე ქალურობის შესახებ?

— მართალია, ქალები მის სხვა ნაწარმოებებში ნაკლებად გვხვდებიან. ვფიქრობ, კამიუსთვის დედა მეტი იყო, ვიდრე ქალი. იგი სიყვარულია, აბსოლუტური სიყვარული. აი, რატომ ეძღვნება წიგნი დედას: „გეძღვნება შენ, ვინც ვერასოდეს წაიკითხავ ამ წიგნს“. ამ წიგნში სიყვარულის თემა ძალიან მნიშვნელოვანია, აქ კამიუს უყვარს საგნები, რომელიც მას სულაც არ აურჩევია, უყვარს თავისი ბავშვობის გამოცდილება. სიღარიბე ნიშნავს, რომ მათ მხოლოდ იმაზე უწევდათ ფიქრი, რა ეჭამათ, რა ჩაეცვათ. მის ოჯახში სხვა რამისათვის სივრცე არ რჩებოდა. სხვებისათვის რთულია წარმოიდგინონ ის ვითარება, რომელშიც იგი აღმოჩნდა. მათ ცხოვრებაში წარმოსახვითი არსებობის ადგილი არ რჩებოდა.

ფრანგ ინტელექტუალთა უმეტესობა პატარა ბურჟუები არიან, თუმცა ძნელია თქვა, არის თუ არა მათ ფონზე კამიუს ნაშრომები გამორჩეული; ვიტყოდი, რომ ეს სხვა საკითხია. კამიუს განცდილი აქვს ის, რასაც წერს. იმ ინტელექტუალთათვის, რომელთაც მსგავსი გამოცდილება არ ჰქონიათ, ეს რთული გასაგებია. ვფიქრობ, ამან კამიუ მეტად ტოლერანტული გახადა, რადგან მას საგანთა ორივე მხარე ჰქონდა ნანახი, როცა სხვები ცხოვრების მხოლოდ ერთ ასპექტში ერკვეოდნენ. მათ შეეძლოთ წარმოედგინათ სიღარიბე, მაგრამ ვერასოდეს გაიგებდნენ, რას ნიშნავდა ეს. მათ მუშათა კლასზე ცუდი წარმოდგენა ჰქონდათ, რადგან მათ ყოფაში არასოდეს ყოფილან. კამიუს კი ეს ყველაფერი საკუთარ თავზე ჰქონდა გადატანილი. კამიუ ძალიან ახლოს იყო სიღარიბესთან.

— ეს სიახლოვე ხომ არ წარმოშობდა იმ თავმდაბლობას, რომელიც ჩანს *პირველი ადამიანის* ბოლო წერილებში ბატონ ჟერმანის, მისი ძველი სკოლის მასწავლებლის მიმართ?

— ეს იმიტომ, რომ მასწავლებელს *პირველ ადამიანში* მთავარი ადგილი უჭირავს. კამიუ გვიჩვენებს თავის მასწავლებელს ზუსტად ისეთს, როგორიც სინამდვილეში იყო. *პირველი ადამიანი* ავტობიოგრაფიაა. დედა, რომელსაც წიგნში აღწერს, არის ქალი, რომელსაც მე ვიცნობდი. მისი მასწავლებელიც ნამდვილად არსებობდა. ამას გარდა, ეს იმის დადასტურებაცაა, რომ ადამიანები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ „ცნობილ პიროვნებებს“, და კამიუმ, ნობელის პრემიის მიღების დროს, სამადლობელი სიტყვა სწორედ თავის მასწავლებელს მიუძღვნა. აღიარება და მადლიერება ამაღელვებელია. ამით კამიუმ აჩვენა, რომ არა მისი მასწავლებელი, იგი ასეთი ვერ გახდებოდა. და საერთოდაც, მუსიე ჟერმანებს მთელ მსოფლიოში შეხვდებით. წერილებიც სწორედ იმიტომ გამოვაქვეყნე, რომ მას დაეკავებინა ადგილი კამიუს ნაწერებში. მაგრამ ვერასოდეს მოვიქცევი ისე, როგორც მამა იქცეოდა, ისე ვერ ვიფიქრებ, თავს ისე ვერ დავიჭერ. იგი შემოქმედი გახლდათ, თავს მიიჩნევდა შემოქმედად. და ამიტომაც გრძნობდა პასუხისმგებლობას, ელაპარაკა იმათ მაგივრად, ვისაც ამის შესაძლებლობა არ მიეცა.

„ონლაინ ჟურნალ სპაიკ მაგაზინ“, 1997

ინგლისურიდან თარგმნა
ლიზა ზუბაშვილმა

მაია ჯალიაშვილი

როცა დღეები ღამეებს ემსგავსებიან

მსოფლიო ლიტერატურაში დედაშვილობის თემაზე უამრავი ნაწარმოებია დაწერილი. მაინც შეუცნობელია და იდუმალია სამყარო, რომელიც დედისა და შვილის სიყვარულსა თუ სიძულვილს, ერთმანეთისთვის თავგანწირვას, ხან ფარულსა თუ ცხად მეტოქეობას იტევს.

სწორედ დედაშვილობის მრავალწახნაგოვანი ფენომენის არსია წარმოჩენილი თანამედროვე გერმანელი მწერლის, ИУЛИА ФРАНКИС, რომანში „ШУАДЦИС АЛ'ДАЖИ“. ნაწარმოები უკვე 18 ენაზეა თარგმნილი, რაც მის საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს. ახლა კი ქართველი მკითხველიც გაეცნობა გერმანულენოვანი ლიტერატურის გამოცდილი მთარგმნელის, მაია მირიანაშვილის წყალობით.

როგორც იულია ფრანკის ერთი ინტერვიუდან ირკვევა, რომანის შექმნას რეალური ფაქტი დასდებია საფუძვლად, კერძოდ ის, რომ ჯერ კიდევ მცირეწლოვანი მამამისი 1945 წელს დედამ მატარებლის ბაქანზე მიატოვა და აღარასდროს მოუძებნია. ეს ტკივილი მამას მოუშორებლად გაჰყოლია სიკვდილამდე. რაც შეეხება „გაქცეულ“ ბებიას, ის 1996 წელს გარდაცვლილა მარტოხელა, დასთან ერთად საზოგადოებას სრულიად მოწყვეტილი რომ ცხოვრობდა თურმე.

ქართველ მკითხველს არაერთი მხატვრული ნაწარმოები წაუკითხავს მეორე მსოფლიო ომის თემაზე, მაგრამ ამ წიგნში აღწერილი გარემო მაინც უცხო იქნება მისთვის. რომანის პირველსავე ფურცლებს გადავყავართ 1945 წლის გერმანიაში, დამარცხებულ, დანგრეულ, გაუბედურებულ, გაღატაკებულ ქვეყანაში. ეს ნაცრისფერი გარემო პატარა ბიჭის, პეტერის, თვალით დანახული შემოიჭრება მკითხველის ცნობიერებაში.

ეს ის დროა, როცა რუსმა ჯარისკაცებმა გერმანიის სხვადასხვა ქალაქი, მათ შორის, შტეტინი დაიკავეს. პატარა პეტერისთვის სამყარო ულამაზესი დედით შემოიფარგლება, მისი ოქროსფერი კულულების შუქით არის განათებული ყოველივე, დედის ხელების სითბო კი აქრობს ყოველგვარ ტკივილს, შიმშილსა და გაჭირვებას. დანგრეულია პეტერის სკოლა, დანგრეულია სახლები, მაღაზიები, მაგრამ პეტერი მაინც ბედნიერია, რადგან დედის თვალებში, მის სიტყვებში პოულობს ყოველივე იმას, რაც სასიცოცხლოდ სჭირდება.

მწერალი კარგად ახერხებს მკითხველს შეაგრძნობინოს, რომ ბავშვობა, მართლაც, როგორც ნოვალისი იტყოდა, ოქროს ხანაა და მის ლაჟვარდოვან მზიან დღეებს ვერანაირი ომი და სისხლისხღვრა ვერ დააბნელებს.

პეტერის დედა, ალისა, მედდად მუშაობს, მამა ორი წლის წინათ ნახა, ომი კი დამთავრდა, მაგრამ აღარ გამოჩენილა. დედის მორიგეობის გამო ხანდახან შინ მარტო დარჩენილი პეტერი, საბანში გახვეული, შიშის ოფლში

იწურება და ფიქრობს ათასნაირ საფრთხეზე. მის შიშს ამძაფრებს გარედან შემოღწეული აფეთქებებისა და სირენების ხმა. პეტერი ბავშვია, მაგრამ უკვე საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი ომის საშინელება. წინა ზამთარს მას საზარელი ამბავი შეემთხვა. მეგობართან, რობერტთან, ხელიხელჩაკიდებული მიდიოდა და მოულოდნელად რაღაცამ იფეთქა, ღობის მესერს გადაევლო და თხრილში ჩამხტარს ხელში მეგობრის ხელიღა ეჭირა, ტანს მოწყვეტილი თბილი ხელი. ეს ეპიზოდი საშინელი კოშმარივით ეწერება მკითხველის მეხსიერებაშიც.

არის სხვა ეპიზოდებიც, რომლებიც ომის შემზარაობას წარმოაჩენს. შინ დაბრუნებული პეტერი თავისი ბინის ღია კარიდან დაინახავს მაგიდაზე ნახევრად წამოწოლილ დედას, ჯარისკაცებს, მას ხელებს რომ უკავებენ, და ტანს ქვემოთ შიშველ კაცს. შენიშნავს დედის ფართოდ გახელილი თვალების უაზრო მზერას და შეშინებული დაუძახებს, მაგრამ მის ძახილს ჯარისკაცის წიხლი ჩაახშობს და კარიც ბრახუნით მიიკეტება. ამის შემდეგ შენიშნა პეტერმა დედის თვალებში გაჩენილი სულისგამყინავი ყინული.

ეს საშინელი ხმები: რუსი ჯარისკაცების ჩექმების ბრახუნი, კარის გამოგლეჯა, საკეტის დამტვრევა, ქვაბების რახარუხი — წიგნის ფურცლებიდან მკითხველის გონებაშიც შემოიჭრებიან და სამუდამო კვალს ტოვებს.

ამ ბოლო შემთხვევის შემდეგ იყო, რომ დედამ პეტერს თბილი პალტო ჩააცვა, მცირე ჩემოდანი ჩაალაგა და სადგურზე გააქანა. პეტერისთვის ეს საოცნებო ქვეყნებში მოგზაურობის დაწყებას ნიშნავდა და გული გამოუცნობი სიხარულით უთრთოდა. მწერალი აღწერს მატარებლის მოლოდინში ბაქანზე მორიალე დაღლილსა და დატანჯულ ხალხს, მათ შორის, ახალგაზრდა თევზის გამყიდველ ქალს, დამწვრობისაგან სახეგადაშლილს. ყველა აქედან სადღაც გადაკარგვას ცდილობს, ამიტომაცაა, რომ მატარებელში ასასვლელად ზედახორა იმართება: „ხალხის ტალღამ პეტერის დედა მატარებელში შეტენა. პეტერმა დედას ხელები შემოხვია. აღარასოდეს გაუშვებდა“.

ერთ გაჩერებაზე დედამ ხის სკამზე დასვა, ჩემოდანი დაუტოვა და თვითონ ბილეთების საშოვნელად გაემართა, ხალხის ტალღას შეერია.

მწერალი ხატავს, როგორ ჩაუბღუჯავს პატარა ბიჭს გაყინული ხელებით ჩემოდანი და გასცქერის შორეთს, საიდანაც დედა უნდა გამოჩნდეს. მაგრამ დედა არა ჩანს, პატარას შემკრთალ ფიქრებში ღამე იპარება და ძილსმიცემული დილამდე ივიწყებს ტკივილს. დილას კი ცხადი ხდება, რომ ამ სამყაროში სულ მარტო დარჩა.

ამის შემდეგ რომანში დრო იცვლება, თხრობა წარსულში გადაინაცვლებს. მწერალი ცდილობს გამოჩხრიკოს ის ფესვები თუ ძირები, რომელზედაც გაიზარდა ალისა, პეტერის დედა, რომელმაც შვილი ბაქანზე მიატოვა.

მწერალი ფიქრობს, რომ ადამიანის გულცივობასა და გულგრილობას უპირველესად ოჯახური გარემო განაპირობებს. ბავშვობაში ილექება ქვეცნობიერში მშობელთა სასტიკი ქცევა, შეცდომები და მერე უკვე მოზრდილ ადამიანში იჩენს თავს. ამიტომაცაა, რომ ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს იმ გარემოს, რომელშიც პეტერის დედა იზრდებოდა. თავში, რომელსაც „სამყაროს კარი ჩვენთვის ღიაა“ ჰქვია, მწერალი ხატავს ერთ ჩვეულებრივ ოჯახს, რომელშიც ორი ქერათმიანი, მაღალკანჭება ლამაზი გოგონა იზრდება: უფროსი მარტა და უმცროსი ელენე. თუმცა ეს მთლად ჩვეულებრივი ოჯახი არ არის, რადგან გოგონების მწვანეთვალება დედა ნერვიული აშლილობის ზღვარზეა, ხშირად ღრიალებს დუჟმორეული, ეჩხუბება შვილებს, ლანძღავს და სცემს უმიზეზოდ. დედას ოთხი შვილი ჰყავს მკვდარი, ორი მუცლადყოფნისას, ორი კი დაბადებისთანავე. მან ბოლო დაღუპულ ბავშვს ერნსტ იოზეფი დაარქვა. მკვდარი ბავშვი აიყვანა და რამდენიმე დღე ხელიდან აღარ უშვებდა.

სწორედ მას, სელმას, ეძახდა შინამოსამსახურე შუადღის ალქაჯს, ამგვარად, მას ძველი ზღაპრისა თუ თქმულების პერსონაჟს ადარებდა. რომანსაც „შუადღის ალქაჯი“ დაარქვა მწერალმა და ამგვარად თითქოს უბედურების მთავარ წყაროზე მიანიშნა. ალქაჯები ღამის ბოროტი სულები არიან, მაგრამ თუ ისინი შუადღესაც ჩანან, მაშინ მათი ბოროტების ჯადოსა და მაგიის ძალა იზრდება.

თუმცა შუადღის ალქაჯობა შეიძლება სიმბოლურადაც გავიაზროთ, ის თვითონ ცხოვრებაა, რომელიც არ ერიდება სინათლეს, არ მალავს თავის ბასრ კლანჭებს და დღისით, მზისით, ყველას დასანახავად დაუნდობლად ფატრავს და ანადგურებს ადამიანთა სულებს, მაგრამ მისი გამარჯვება თვითონ ადამიანზეა დამოკიდებული, მის სულში გაჩენილი სიბნელით საზრდოობს და ერთ დღესაც მასვე მოევლინება, მისი სისხლითა და ხორცით, მისივე სიძულვილით, გულგრილობითა და სისასტიკით გამოკვებილი და გააცამტვერებს „მშობელს“. მწერალი ამ რომანით თითქოს აფხიზლებს ადამიანებს, გაუფრთხილდნენ სულს და ეშმაკთა სათარეშოდ არ აქციონ.

მწერალი ხატავს, დედის სითბოსა და მზრუნველობას მოკლებული გოგონები ერთმანეთთან როგორ პოულობენ თავშესაფარს. ელენესთვის 9 წლით უფროსი და, მარტა, ის შეუცნობელი სამყაროა, რომლისკენაც მძაფრად მიილტვის. მარტა დიდია, უცხო წიგნებს კითხულობს, ელენე კი ჯერ პატარაა, თუმცა მწერალი ხაზგასმით წარმოაჩენს მის მიდრეკილებას ანგარიშისადმი, ის ყველაფერს ითვლის, ნაბიჯებს, ჩიტებს, შემხვედრ ადამიანებს, კიბეთა საფეხურებს და სხვ.

მამამისს, ერნსტ ლუდვიგ ვიურზიხს, სტამბა აქვს და საზოგადოებაში გარკვეული პატივისცემით სარგებლობს. ელენემ ბავშვობაშივე შეამჩნია, რომ თუ მამას ქედს უხრიდნენ, დედას გამვლელნი ზედაც არ უყურებდნენ. ხალხის ამრეზას განაპირობებდა მშობელთა მხოლოდ სამოქალაქო ქორწინება, დედა არც ტაძარში დადიოდა და უღმერთოს სახელი ჰქონდა ხალხში. ის ებრაელი იყო. რომანში ებრაელობა ამ გარემოში წარმოჩნდება,

როგორც ერთგვარი დამღა, თუმცა მშვენიერი მარტა, რომელიც უკვე იქცევს კაცების ყურადღებას თავისი გამომწვევი, მიმზიდველი გარეგნობით, ებრაელ არტურ გოჰენს შეიყვარებს.

დედას ერთი უცნაური ჩვევა ჰქონდა, აგროვებდა: ღილებს, მონეტებს, ძველ ფეხსაცმელს, ფერად კერამიკას, ბუმბულებს, მაშინაც თუ არაფერში გამოადგებოდა. ბუმბულები შეკრა და თავისი საწოლის თავთან დაკიდა სულის დასაცავად. დედა შვილებს უმტკიცებდა, რომ არსებობდა სხვა სამყარო, სადაც სულები დახეტიალობდნენ. დედა იმუქრებოდა, როცა დავიხოცებით, ისევ შევხვდებით სხვა სამყაროში, ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებითო. მარტას აზრით, მათი დედა გულით ბრმა იყო, ის საგნებს ამჩნევდა და ადამიანებს — ვერა.

ასე იზრდებოდნენ გოგონები და სამყაროც თავისი მრავალფეროვნებით იჭრებოდა მათ სულსა და გონებაში. მწერალი თვალს მიადევნებს მათ ფიზიკურსა და სულიერ ზრდას და ცდილობს მკითხველმა დაიმახსოვროს ის „ჩანაწერები“, რომლებსაც მათ ცნობიერებაში ცხოვრება აკეთებს. ასე წარმოგვიდგებიან ისინი, როგორც პალიმფსესტები, რომელთა ყველა ფენის წარწერა მხოლოდ უზენაესისთვის არის ხელმისაწვდომი. ადამიანები ხომ ერთმანეთის მხოლოდ ზედაპირებს ამჩნევენ.

მწერალი წარმოაჩენს დების უცნაურ დამოკიდებულებასაც, მარტას მოსწონს, როცა ელენე შიშველ ზურგზე ხელებით ვარსკვლავებს უხატავს. ელენესთვის მარტას საწოლი, სადაც ის მის თბილ ტანს ეკვრის, ზურგზე ჭორფლს უთვლის, ხერხემალზე ხელს უსვამს, ყველაზე საყვარელი ადგილია. აქ არ ისმის გარესამყაროს ხმაური. თუმცა მოზრდილ მარტაში ერთგვარი ღესბოსური ვნება იღვიძებს და მწერალი ამის გამომხატველ დეტალებსაც ხატავს. მაგალითად, მარტასა და ლეონტინეს ურთიერთობას. რომანში მათი სასიყვარულო ურთიერთობის არაერთი ეპიზოდია აღწერილი.

მწერალს ხაზგასმით სურს ელენეს ბავშვობის ისეთი დეტალები შეთხზას, რომლებიც ნათელს გახდიან შემდგომ მის მიერ შვილის მიტოვების ფარულ მიზეზებს.

ელენე ნიჭიერი გოგონა იყო, თუმცა მამა თვალს ხუჭავდა ამაზე და უნივერსიტეტში გაგზავნის ნაცვლად საკუთარ სტამბაში საბუღალტრო საქმეებს აკეთებინებდა. ელენეს კი მედიცინა იტაცებდა.

თხრობაში შემოიჭრება პირველი მსოფლიო ომის ამბები. აქ მისი სახე უშუალოდ ადამიანთა ჩვეულებრივ ყოფაში ირეკლება. ომი საზოგადოებაში მძლავრ მიმოქცევებს იწვევს და თავის სასტიკ ტალღებზე ადამიანებს სათამაშოებივით ათამაშებს, ამტვრევს და სანაგვეზე მოისვრის. ამ ომმა ოჯახს მარჩენალი მამა გამოსტაცა, ფეხი მოგლიჯა და დაავადებული მიაგდო გაუცხოებული სახლის ერთ ოთახში, სადაც დახეიბრებული მალე გამოეთხოვა წუთისოფელს. დედას, რომელმაც არ აპატია მას ომში წასვლა, ექვსი წლის განმავლობაში ერთხელაც არ შეუხედავს მის ოთახში და არც მის დაკრძალვაზე წასულა.

გოგონები სასტიკი ცხოვრების წინაშე დაუცველნი აღმოჩნდნენ. 14 წლის ელენე, დედის სურვილით, მამის სტამბაში საბეჭდ მანქანებთან მუშაობს იწყებს, მარტა მედდაა. მწერალი ახერხებს მკითხველს იმგვარად მოუთხროს ამ ოჯახის ამბავი, რომ ისიც უშუალო მონაწილედ აქციოს.

გოგონები ბერლინში მიდიან დეიდასთან საცხოვრებლად. იწყება ახალი ეტაპი მათი სულიერი განვითარებისა. მარტამ ვერ გაუძლო ყოველდღიურობის რუტინას და ნარკოტიკით იყუჩებდა ტკივილებს. ელენე ქალაქმა ქალად აქცია. მწერალი ხატავს გოგონების ცხოვრებაში შემოჭრილ სხვადასხვა ადამიანებს, რომლებიც თავიანთ კვალს ტოვებენ. მკითხველს ისეთი განცდა აქვს, თითქოს ღმერთს მიუტოვებია სამყარო და ადამიანებიც თავბრუდახვეულნი ეხლებიან ერთმანეთს სასიცოცხლო ძალების ძიებაში გასაძლებად და გადასარჩენად.

„საკვამურებიდან ამომავალი კვამლი მთელ ქალაქს ნისლში ბურავდა. ამ ნისლში მხოლოდ პეტრეს ტაძრის კოშკი ამოწვდილიყო ბაუცენის ქალაქის რიჟრაჟზე“, — ეს ნისლი სიმბოლურად გამოხატავს ამ ქალაქის მცხოვრებთა გონებისმიერ სიბნელესაც, რომლის გაფანტვასაც ამაოდ ცდილობს ტაძარი, დავიწყებული ღვთის სახება. ელენე ეუბნება თავის ახალგაცნობილ მეგობარს: „ახლა აღარ მრცხვენია, ესაა, რაც ასე მაშფოთებს. გესმით? მრცხვენოდა, როცა გავიფიქრებდი, რომ ეკლესიაში არ დავდივარ, დავივიწყე ღმერთი, მაგრამ ახლა აღარც მრცხვენია“.

კარლ ვერტჰაიმერთან სიახლოვისას წარმოჩნდება ელენეს სკეფსისით გაჟღენთილი სულიერი სამყარო. მას უყვარს პოეზია, ფილოსოფია, მაგრამ ყოველივე ეს თითქოს სხვა განზომილებაშია და ვერ ეწინააღმდეგება ნაცრისფერ ყოველდღიურობას. ყურადღებას იქცევს ეპიზოდები, რომლებშიც პერსონაჟები ცნობილ პოეტთა სტრიქონების მოხმობით ხატოვნად, ლამაზად აგებინებენ ერთმანეთს გულის სათქმელს. პოეზია ხომ სიყვარულის ენაა, მასთან ერთად ჩნდება და მასთან ერთადვე ქრება. პერსონაჟებს სტანჯავთ უღმერთობის ტკივილი, რაც მათ საუბრებში მჟღავნდება. ისინი ხედავენ ტექნიკური ცივილიზაციის ახალ მიღწევებს და ამ ფონზე ადამიანური ტკივილის არამცთუ შემცირებას, არამედ მატებას. თანამედროვე კატასტროფებში, უპირველესად, ომში — ისინი ადამიანურ უგუნურებას ხედავენ. მათ ომში გმირობაც აეჭვებთ, აოცებთ ხალხის სწრაფვა, გაზეთებიდან შეიტყონ ფრონტის ამბები. ლეონტინე ამბობს: „ასე რომ რემარკი დაიტაცონ და სულმოუთქმელად წაიკითხონ, აჯობებდა“. ამგვარად, ამ ახალგაზრდებს სჯერათ, რომ ხელოვნებას აქვს ძალა, ადამიანი სულიერად გადაარჩინოს, მაგრამ ეს „გადარჩენა“ ადამიანს თითქოს არ სურს. თუმცა იმასაც გრძნობენ, რომ ღმერთის მონატრებას მხოლოდ ადამიანური ტკივილი იწვევს. მისი დაყუჩება კი მადლსა და სიყვარულს გააქრობს დედამიწიდან.

მწერალი ხატავს, როგორ იქცა კარლი ელენესთვის საყრდენად და სამომავლო პერსპექტივად, მაგრამ კარლი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. მწერალი ფსიქოლოგიურად ზუსტი ნიუანსებით ხატავს ელენეს სულში უცებ მოვარდნილ ტკივილს, რომელიც სულს უცარიელებს. ის კვლავ მარტოა სამყაროში, თითქოს ერთ ადგილს გაყინული, ირგვლივ კი ყველაფერი მოძრაობს და მიედინება თავისი ჭუჭყითა და სისუფთავით, ყვავილებითა და ბავშვებით, მაგრამ: „ღმერთი აქ არ იყო, ელენეს არ ესმოდა მისი ხმა, მისი მინიშნება“. ელენე ცდილობს ყოველი ფიქრი და

ვნება მედდას სამუშაოში ჩაკლას, სასოწარკვეთილი თვითმკვლელობაშიც ხედავს გამოსავალს, მაგრამ რაღაც აბრკოლებს, ისევ და ისევ კარლის სიყვარული, რომელმაც სიცოცხლის საზრისი შეამეცნებინა. მისთვის ერთადერთი ნუგეში კარლის მოგონებაა, ეს ანიჭებს სასიცოცხლო ძალას, რომ დღეებს გაუმკლავდეს. ერთ დღეს ეკლესიაში შეიარა და ლოცვის მძლავრმა სურვილმა იფეთქა მასში, ცრემლები გადმოსცვივდა: „საკუთარი თავის სიბრალულისა და ტანჯვისაგან მიხსენი, გთხოვ.“ „რამდენ ხანს უნდა დავრჩე კიდევ ამქვეყნად?“ — არავინ პასუხობდა, ელენემ ყური მიუგდო ეკლესიაში გამეფებულ დუმილს. ელენემ სირცხვილი იგრძნო ღვთის წინაშე, რომ აქამდე არ ახსოვდა, ახლა კი თხოვნას ბედავდა. „ელენეს უნდა ესწავლა იმედით ცხოვრება, უნდა ერწმუნა, რომ მიიღებდა არარსებულ ნიშანს“. მას საოცრად გაუმძაფრდა ინტუიცია, გრძნობდა, რომ გულით თუ ისწავლიდა დანახვას, მაშინ კარლსაც შენიშნავდა სადმე: „იქნებ ნიშანი მზე იყო, ასე რომ ანათებდა“. „იქნებ ეს ყველაფერი, რასაც ახლა ხედავდა, ხის ფესვებიც, იდუმალი მინიშნებები იყო?“ ამგვარი ფიქრი ამხელს მწერლის სურვილს, რომ მან დაიჯეროს ადამიანში ღვთიური მადლის არსებობისა.

ელენეს სულიერ კრიზისს ეპოქის კრიზისი ამძაფრებდა. ირგვლივ ყველას უჭირდა, ყიდვა-გაყიდვა იყო ადამიანთა მთავარი საფიქრალი, დაუნდობლობა და სისასტიკე ადამიანთა გულებიდან სიყვარულს დევნიდა.

ერთ დღეს კი ვიღაც უცნობი ყმაწვილი გამოჩნდა, რომელმაც ელენეზე იფიქრა, რომ ალისა ერქვა. ასე „გარდაიქმნა“ ელენე ახალ ქალად — ალისად, მხოლოდ ამგვარად შეძლო ახალი ცხოვრების დაწყება ახალი სახელით. დრო კი ისევ თავისი გზით მიედინება: ხელისუფლება იცვლება, კომუნისტებს დევნიან, ვილმესდორფში მწერლებსა და მხატვრებს იჭერენ, მათ წიგნებს წვავენ. დაიწყო ანტიებრაული კამპანია, წმინდა სისხლის გერმანელობის უპირატესობის აღიარება. ელენეს 10 წლის წინათ მიტოვებული სულიერად დაავადებული დედა გაახსენდა და დანაშაული იგრძნო მის წინაშე. გულისშემძვრელია დედა-შვილის შეხვედრა სულით დაავადებულთა საავადმყოფოში. დედა უფრო გაუცხოებულია და ელენეს მცდელობა, რაიმეთი დაეხმაროს, ამაოა.

ინჟინერი ვილჰელმი არ უფრთხის იმას, რომ ელენეს დედა ებრაელია, ახალ საბუთებს უმზადებს და მასზე ქორწინდება. „მისი გვარი და სახელი ახლა ალისა შულცი იყო, მამამისი — ბერტრამ ოტო შულცი დრეზდენიდან, დედა კი აუგუსტა კლემენტინე ჰედვიგი, დაბადებული შროდერად“. ამან ელენე ფიზიკურად გადაარჩინა, მაგრამ სულიერად მოსპო და გაანადგურა. იგი საკუთარ თავს გაუუცხოვდა. ელენეს ამ ქორწინებამ ბედნიერება ვერ მოუტანა, პირიქით, ჯოჯოხეთად ექცა. ვილჰელმი, ფიურერის ერთგული, ახალი გერმანიის ერთ-ერთი მშენებელი, უხეშად ეპყრობოდა და ემუქრებოდა, რომ მის ნამდვილ წარმოშობას გაამხელდა. ქმარი ბავშვის გაჩენასაც გულგრილად შეხვდა, თითქოს მისი არ იყო. როცა ქმარმა საავადმყოფოში წაიყვანა, რათა მედდად ემუშავა, იქ უთხრეს: „ახლახან ერთი გავათავისუფლეთ, პოლონელი იყო, მეორეხარისხოვანი რასისა, მან თავის მსგავსთ უნდა მოუაროსო“. ამ სიტყვებში კარგად ირეკლება ეპოქა, არაადამიანური იდეოლოგიით მოწამლული. ამასობაში დაიწყო მეორე მსოფლიო ომიც. ელენე მუშაობდა, ბავშვის მიმართ გულგრილობას გრძნობდა, თითქოს მისი სისხლი და ხორცი არ იყო. ერთ დღესაც პეტერის სიტყვები გაიგონა: „ებრაელი კი ძაღლია“. როცა აღშფოთებული ბავშვს ამ თემაზე დაელაპარაკა, მან იკითხა: „რა სახის ადამიანები არიან ებრაელები?“ ასე შემოიჭრება რომანში კოშმარული სახება ფაშისტური იდეოლოგიისა, რომელიც, უპირველესად ბავშვის უმანკო სულს ალაქავებს და სამომავლოდ დემონური ბრძოლის ასპარეზად აქცევს. ელენე კი კვლავ ცხოვრებას ეჭიდება, გაუცხოებისა და სიცარიელის მღრღნელ ტკივილს საავადმყოფოში ომში დაჭრილების მოვლით ივიწყებს.

მწერალი ხატავს ეპიზოდებს, რომლებიც ირეკლავენ მეორე მსოფლიო ომის სისასტიკეს. ყოველივე თითქოს ყარს და უპირველესად ეს ადამიანთა გახრწნილი სულის სუნია. ხიდი ააფეთქეს, „ქალაქში უკვე შემოიჭრა წითელი არმია; უკვე აღარც გადასახვევი მასალა ჰქონდათ, აღარც წამლები. რამდენი ხანი იყო, რაც შინ არ ყოფილა? ერთი, თუ ორი დღე?“

და იკვრება თხრობის წრე. მწერალმა დაიწყო აწმყოდან, შემდეგ წარსულში გადაინაცვლა და ნელი, დაბეჯითებული თხრობით კვლავ „დასაწყისის“ აწმყოში დაგვაბრუნა: ჩვენ უკვე ვიცნობთ ამ ალისას და მის ბიჭუნას, პეტერს: „ყველა გერმანელს მოუწოდეს ქალაქი დაეტოვებინათ, რადგან აქ აღარაფერი არსებობდა, აღარც სკოლა, აღარც თევზი პეტერისთვის. სად გააგზავნოს?“ ელენე ბავშვის გადარჩენაზე იწყებს ფიქრს და გამოსავალსაც პოულობს, სოფელში, ვილჰელმის ძმის ოჯახში აგზავნის. როცა ათეული წლის შემდეგ დედა 17 წლის შვილთან ჩადის, პეტერი დაიმალება და მის ნახვას არ მოისურვებს. „რა ეგონა დედას? ნახავდა და მერე? იქნებ უნდოდა მისთვის პატიება ეთხოვა? მიტევება? მაგრამ მას არ შეეძლო მისთვის მიეტევებინა, არასოდეს აპატიებდა.“

რა უნდოდა მწერალს ეთქვა მკითხველისთვის, რომელსაც ერთი ადამიანური ტრაგიკული ამბავი მოუთხრო?

იქნებ ის, რომ სიცოცხლე გრძელდება, თაობები თაობებს ცვლიან, ამოდის და ჩადის მზე, ქარები აღმა-დაღმა დაქრიან და ბოლოს ყველა ტკივილსა და სიხარულს ქვეყნიერებაზე ფანტავენ.

იქნებ ის, რომ უსიყვარულოდ სიცარიელის აუტანელი სიბნელე სულს სამუდამოდ წირავს მარტოსულობისთვის?

იქნებ ის, რომ ღმერთს უყვარს ადამიანები და მათ გამუდმებით მიანიშნებს ხსნის გზაზე, მაგრამ გულგაქვავებული და დაბრმავებული ადამიანები მის „ნიშნებს“ ვეღარ ამჩნევენ და ისე იხოცებიან, თითქოს არც არასოდეს ეცხოვროთ ამქვეყანაზე?

მწერალმა ცხოვრების დიდი ტილო დახატა ამ რომანში, თავისი ომითა და მშვიდობით, თავისი ბრძოლით, გამარჯვებითა და დამარცხებით, და კიდევ ერთხელ შეახსენა მკითხველს, რომ მან არასოდეს არ უნდა დახუჭოს თვალი სინათლეში, რადგანაც მზე მაშინვე გაქრება და საუკუნო წყვდიადი დაისადგურებს.

რომანის ფინალში, ვხედავთ თივაში ზურგზე გაწოლილ ყმაწვილ პეტერს, დედაზე შურისძიებით გამარჯვებულს. მას სიბნელე სიმშვიდეს ჰგვრის, მაგრამ ეს სიმშვიდე მხოლოდ მოჩვენებითია. მკითხველმა იცის, მას არასოდეს მოასვენებს განცდა, რომ დედას ვერ აპატია. და მაშინ ჩაქრება მზე და დღეები ღამეებს დაემსგავსა.

გურამ ოდიშარია მწერალი, საზოგადო მოღვაწე დაიბადა სოხუმში. 1975 წელს დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი.

საქართველოს კულტურის მინისტრად გახდომამდე სხვადასხვა დროს მუშაობდა სოხუმის რადიომაუწყებლობისა და აფხაზეთის საოლქო გაზეთის კორესპონდენტად, აფხაზეთის მწერალთა კავშირის ლიტერატურულ კონსულტანტად, ჟურნალ „რიწას“ მთავარ რედაქტორად, გამომცემლობა „მერანის“ აფხაზეთის ფილიალის დირექტორად. მისი პირველი ლექსი 1969 წელს გამოქვეყნდა. გამოცემული აქვს 9 პოეტური და 5 პროზაული წიგნი. მისი ნაწარმოები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, აფხაზურ, ინგლისურ, უკრაინულ, თურქულ, სომხურ, იტალიურ ენებზე. უკანასკნელი წლები სისტემატურად მონაწილეობს სახალხო დიპლომატიის ეგიდით წარმართულ ქართულ-აფხაზურ შეხვედრებში (სოჭი, მოსკოვი, ნალჩიკი, ნახკაძორი, კონობეევო და სხვა). დაჯილდოებულია საქართველოს სახელმწიფო პრემიით, გამომცემლობა „ლომისის“, საქართველოს თეატრალური საზოგადოების, ილია ჭავჭავაძისა და გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემიებით. ასევე ჩეხოვის ოქროს მედლითა და ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრემიით „ოქროს ფრთა“.

საქართველოს განათლებული და კულტურული ხალხი სჭირდება, ეს არის ჩვენი მამოძრავებელი ძალა და ღერძი. გურამ ოდიშარია ბევრს ფიქრობს, როგორ დაუბრუნოს საქართველოს საზღვარგარეთ გახიზნული კულტურის მოღვაწენი, რათა ასპარეზი მიეცეს ნიჭიერ ხალხს, აფიქრებს გახლეჩილი საქართველოს ბედი და მიაჩნია, რომ სწორედ კულტურა უნდა იყოს შემარიგებელი იმ ხალხთან, რომელთანაც დღეს დაპირისპირებულნი ვართ.მისი გამორჩეული ჰუმანურობა ბევრ კონფლიქტურ სიტუაციას აწესრიგებს. ბატონ გურამს სჯერა, რომ ქართულ კალამს, ფერწერულ ტილოს, სიმღერას, სპექტაკლს თუ კინოხელოვნებას ძლიერი იმპულსები აქვს და მსოფლიო სივრცეში მარეგულირებელ ძალადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

„ყველაფერს ზღვის კარნახით ვწერდი“

(მაკა ჯიბლაძეს ესაუბრება გურამ ოდიშარია)

— **ბატონო გურამ, აფხაზეთში მატარებლით დაბრუნდებით?**

— ალბათ უფრო გემით... (იცინის)

— **როგორ ფიქრობთ, შორეული ოცნებაა?**

— ყოველთვის ვიყავი დარწმუნებული, ეს ოცნება აუცილებლად ასრულდებოდა, დღესაც მჯერა, მაგრამ ამას დრო და სულ სხვაგვარი ნაბიჯების გადადგმა სჭირდება. ჩვენ ვიცით, ვინ რა დაგვიშავა, და ისიც ვიცით, საკუთარ თავს რაც დავუშავეთ. ასე რომ, ჩვენი შეცდომები კი ვიცით, მაგრამ სათანადოდ ვერ ვაანალიზებთ და არ ვიხსენებთ. საუბარი აუცილებლად გადადის კამათში. ხალხი მტრად ეკიდება ერთმანეთს. დროა საქართველოში ვისწავლოთ მრავალი აზრისაგან ერთი აზრის მიღება, ოღონდ უნდა ავაგოთ მშვიდი ანალიტიკური სივრცე, სადაც ყველა თავის მოსაზრებას გამოთქვამს. საბოლოოდ ერთ აზრამდე უნდა მივიდეთ, განსაკუთრებით ისეთ აზრამდე, რომელიც გულისხმობს საქართველოს მთლიანობას, ასევე ურთიერთობას აფხაზებთან, ოსებთან. ამისთვის ახალი ხედვაა საჭირო, ამის გარეშე ძველი პრობლემები ვერასოდეს გადაიჭრება.

— **პირველი ლექსი პირველ კლასში დაწერეთ, თუ გახსოვთ ეს ლექსი და საერთოდ როგორ მოხვდით ამ სამყაროში, რომელსაც ლიტერატურა ჰქვია?**

— ის ლექსი არ მახსოვს. დედა მასწავლებელი იყო და 5 წლისა უკვე ვწერდი და ვკითხულობდი. მესამე კლასში ვიყავი, როდესაც ჰიუგოს „კაცი, რომელიც იცინის“ წავიკითხე. დიდი და საკმაოდ რთული რომანია. დედა კარგი მთხრობელი იყო. ჩემთვის სამოთხისეული მოგონებაა, როდესაც დედა რაიმე ამბავს მიყვებოდა. მახსოვს, ერთ წვიმიან დღეს პატარა ვარ, საწოლში ვნებივრობ, გარეთ ცივა, ოთახში ნავთქურა დგას, ფანჯრიდან ზღვა ჩანს, დედა, ჩემი მამიდები და ბებია სოფლის ამბებს ჰყვებიან. ჩემს ბავშვობაში ტელევიზორი არ იყო და უფრო ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს. ის დაორთქლილი მინები ეხლაც მახსოვს. ეს არის ჩემთვის სამოთხე, ხშირად მინდა იმ დროში დავბრუნდე. ასეთმა ამბების მოყოლამაც ალბათ იმოქმედა ჩემზე. მამა სამხედრო იყო, ამიტომაც პირველი ლექსი ჯარისკაცს მივუძღვენი. მთელი ცხოვრება პაციფისტი ვარ. მამა სამხედრო რომ იყო, სხვადასხვა ადგილას გვიწევდა ცხოვრება და ის პირველი ლექსიც ალბათ ამიტომ დაგვეკარგა. სოხუმში დავიბადე, ბაღდათში ექვსი წელი ვიცხოვრეთ, შემდეგ წალენჯიხაში, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც მოგვიწია ცხოვრება, ამიტომაც განსაკუთრებით კარგად დასავლეთ საქართველო გავიცანი. ჩემს მწერლობას მოგზაურობებსაც ვუმადლი. ბევრი ამბავი გავიგე, უამრავი ადამიანი გავიცანი. მამაჩემს ხატვის ნიჭი ჰქონდა, თავისთვის ხატავდა. ლექსებს უცებ იგონებდა, ასეთ ლექსებს შემდეგ თანამედროვე მწერლებმა ლექსპრომტები შეარქვეს. მაშინ მივაქციე ყურადღება ლექსის გარითმვას. პირველი კლასიდან ვწერდი და ვხატავდი. ჯერ დაიბეჭდა ჩემი ნახატი. ჟურნალი „პიონერი“ აცხადებდა, დაასურათეთ ზღაპარი და გამოგვიგზავნეთ რედაქციაშიო. მეც არ დავიზარე და გავაგზავნე რედაქციაში. მე-5 კლასში ვიყავი, ეს ჩემთვის იყო რაღაც მაგიური, როდესაც ჟურნალში საკუთარი სახელი და გვარი დავინახე — სოხუმი პირველი საშუალო სკოლა მე-5 კლასი. მერე ნახატები აღარ გამოქვეყნებულა, ლიტერატურამ უფრო გამიტაცა. პირველი ლექსები მე-9 კლასში დაიბეჭდა. გალაკტიონის ტყვეობაში ვიმყოფებოდი და წერა მისი გავლენით დავიწყე. სოხუმის უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ გამოვიდა ახალგაზრდა პოეტების საერთო კრებული, რომელშიც შედიოდნენ 45 წლის პოეტებიც, მათ შორის პირველკურსელი პოეტი ყველაზე ახალგაზრდა გახლდით. კრებულში უკვე ვცდილობ სხვა ენით ვილაპარაკო, ეს არის ვერლიბრი, თეთრი ლექსი, რაც ბევრს არ მოსწონდა, შემდეგ ეს გზა განვავითარე და აფხაზეთის ომამდე სულ ვწერდი ლექსებს. მანამდე ცხრა კრებული გამოვეცი. აქედან ერთი ლიტერატურული ზღაპრებია, სახელწოდებით „სალამია“, ძალიან ეხმაურება უახლოეს წარსულს და დღევანდელობას, ვისაც წაკითხული აქვს, მეუბნებიან, უნდა გამოსცეო, მეც ძალიან მინდა დაიბეჭდოს ეს ზღაპრები. ყველაფერს ზღვის კარნახით ვწერდი. ეხლა რომ ვაანალიზებ, სოხუმის და გაგრის ბუნება მკარნახობდა ბევრ რამეს.

— ზღვა ახლოს იყო თქვენს სახლთან?

— დიახ, მე-10 სართულზე უზარმაზარი მანსარდა მქონდა, ყველა მხრიდან ზღვა ჩანდა. ეს იშვიათი ხედი იყო — მთელი სოხუმი თვალწინ მქონდა.

— თქვენი ნახატების შესახებ გვესაუბრეთ...

— ბავშვობაში ვხატავდი. წიგნები ჩემი ნახატებით არის გაფორმებული, სიურრეალისტები მიყვარდა, გამოფენა არასოდეს მომიწყვია, ჩემთვის ვხატავდი. ნახატები ესკიზების სახით მაქვს. ბოლო დროს ვერ ვხატავ. ჩემი წიგნი „პრეზიდენტის კატა“ მაქვს გაფორმებული, აქ სოხუმის ეგზოტიკაა აღწერილი.

— ბატონო გურამ, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ თქვენ პოლიტიკაში საქმიანობის წინააღმდეგი იყავით, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პარტიებიდან ბევრი მოწვევა გქონდათ, ამბობდით ეს ჩემი საქმე არ არისო, ასეთი განწყობის შემდეგ რამ განაპირობა პოლიტიკაში აქტიური ჩართვა?

— მართლაც ბევრი პოლიტიკური პარტია მეპატიჟებოდა. მეგობრები ყველგან მყავს, ჩემი ენერგია უფრო ლიტერატურისკენ გადაიხარა. დიდი ხანია საჯარო სამსახურზეც უარი ვთქვი. რვა წლის წინათ გამოვედი მწერალთა კავშირიდან, თითქოს სიმძიმისგან გავითავისუფლე თავი, უფრო მეტი დრო მინდოდა დამრჩენოდა ჩემი მოწოდებისათვის. მაშინ თემურ ჩხეიძესთან ერთად ვიმუშავე პიესაზე „ზღვა, რომელიც შორია“. წარმატებული სპექტაკლი გამოვიდა. დიდ მაესტროსთან მომიწია მუშაობა, ნამდვილი ბედნიერება განვიცადე. შემდეგ რომანები ჩავიფიქრე. ერთი რომანი ამჟამადაც დაწყებული მაქვს. პიესაზეც ვმუშაობ, ჩემი ცხოვრება მინდა გადმოვცე. ქვეყანაში ვაკვირდებოდი მოვლენებს, ბევრი რამ არ მომწონდა, პოლიტიკაში გულისტკივილმა მიმიყვანა. ბატონ ბიძინა ივანიშვილის სახელი ყველამ იცოდა, მაგრამ არ ვიცნობდით. ერთხელაც მთხოვა შეხვედრა, ისიც ჩემსავით წინაღმდეგი იყო პოლიტიკაში მოსვლის. კარგი ხანი ვისაუბრეთ და მივხვდი, რომ რაღაც უნდა გვეღონა. გახლეჩილი საქართველო ბევრ რამეს ვერ გააკეთებს, არც აფხაზეთი დაბრუნდება და არც შიდა დიალოგი მოხერხდება. დიალოგის კულტურა საერთოდ დაცემული იყო. ცოტა ხანი დეპუტატიც ვიყავი, შემდეგ მოულოდნელად მინისტრად დამამტკიცეს.

გურამ ოდიშარია და მაკა ჯიბლაძე

— ალბათ არ გინდოდათ მინისტრობა?

— არც მიფიქრია, არასდროს ვყოფილვარ კარიერისტი. აფხაზეთში მცხოვრები მწერლებიდან მე ვიყავი ერთ-ერთი, რომლებმაც აფხაზები კარგად იცოდნენ. ომის დაწყებისას „რიწას“ ვრედაქტორობდი ვიყავი. მანამდე მთავაზობდნენ საოლქო კომიტეტში, მინისტრთა საბჭოში, კულტურის სამინისტროში მუშაობას, ყველას უარს ვეუბნებოდი. სამი წელი მინისტრთა საბჭოში კულტურის განყოფილებაში მომიწია მუშაობა. ვნახე სამზარეულო, რაზედაც გარედან სტერეოტიპული წარმოდგენა მქონდა, მაშინ დავწერე „სალამია“, ვინ არის მთავრობა და ვინ არის ხალხი, მაშინ ვნახე. ამის შემდეგ გამოვიქეცი მინისტრთა საბჭოდან. თბილისში დიდ თანამდებობას მთავაზობდნენ, მაგრამ უარი ვთქვი, ვიფიქრე, გავხდებოდი ისეთი ჩინოვნიკი, რომელიც ლიტერატურისკენ ვეღარ მობრუნდებოდა, ძალა აღარ მეყოფოდა, როგორც თვითმფრინავი ტრიალებს ჰაერში და ვეღარ ბრუნდება მიწაზე, ისე მოხდებოდა. უარი ეწყინა აფხაზეთის ხელმძღვანელობას, მაშინ შემომთავაზეს ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ჟურნალის რედაქტორობა, რაზეც დავთანხმდი. ეს დიდი პატივი იყო ჩემთვის. მაშინ საქართველოში სულ ხუთი ჟურნალი გამოდიოდა: „ცისკარი“, „მნათობი“, „ჭოროხი,“ „რიწა“ და „განთიადი“. დევნილობისას აქაც მქონდა ბევრი შემოთავაზება, მმართველი პარტიის წარმომადგენლები მეუბნებოდნენ, არჩევნებისას ოცეულში ჩაგწერთ, პარლამენტში იყავიო. უარს ვამბობდი. ზოგიერთ ჩემს ნაცნობს ვისაც უნდოდა მსგავსი სამსახური, მეუბნებოდნენ: ჩვენ გვინდა და არავინ არ გვთავაზობს და შენ არ გინდა და ამდენი შემოთავაზება გაქვსო.

საბოლოოდ მაინც აქ აღმოვჩნდი და სხვანაირად არ ძალმიძს. დიდი სამინისტროა, ოთხი თვეა, უკვე აქ ვარ. ჩემთვის დიდი პატივია. მნიშვნელოვანი საქმეების გაკეთება შეიძლება. პირველი ორი თვე მიწისძვრის მსგავსი იყო. მიწა რომ ირყევა, მუხლი მგლის უნდა გქონდეს, რომ ამ დროს ფეხზე დადგე. სამინისტროში 2000 კაცი მივიღე. ათასი ნოემბერში და ათასი დეკემბერში, თან მოვუნდი გარკვევას, სად ვართ, რა იყო გაკეთებული და რა — გასაკეთებელი, რომელი პროექტის განხორციელება სჯობს ქვეყნისთვის. კულტურის სამინისტრო არ ნიშნავს, მარტო დაიცვა ძეგლები და თეატრებში მიმართულებები დააფინანსო. კულტურის სამინისტრო მაგალითი უნდა იყო ყველასთვის. ისე უნდა იმოღვაწო, რომ კულტურის დიალოგი ამაღლდეს. ვისურვებდი გაეროს მსგავსი ორგანიზაცია გვქონოდა. ამ კულტურით უფრო გაესაუბრები იმ ხალხს, ვისთანაც მძიმე ურთიერთობა გვაქვს. ხომ მართლაც ჩვენი ძმები არიან აფხაზები, ოსები. საუკუნეები ერთად გვიცხოვრია. კულტურული კაციაო, რომ იტყვიან, ეს არის კომპლიმენტი და ყველაფერს მოიცავს. ეს არის უპირველესი სამინისტრო. ამბიციაში არ ჩამომერთვას, უპირველე ყოვლისა ადამიანს განათლება და კულტურა სჭირდება. განათლებული ადამიანი ქვეყნის კარგი დამცველია. იცის ქვეყნის წარსული, იცის, საიდან მოდის, მებრძოლადაც კარგია, სპეციალისტადაც. სიტყვა „კულტურა“ ზნეობასთან, პატიოსნებასთან, დაუწერელ ზნეობრივ კანონებთან უფრო ახლოს არის. აქ უზარმაზარი სამყაროა. ჩვენ არ ვამზადებთ მერსედესებს, ჯიპებს, ცაში არც თვითმფრინავები შეგვიძლია ავაფრინოთ. ჩვენ ვართ კულტურისა და ხელოვნების ხალხი და ამით ვამა-

ყობთ. ეს არის ჩვენი შაუამავალი სამყაროსთან ურთიერთობისთვის. ეს მოწინააღმდეგესთან შემრიგებელი დარგია.

— თქვენ სოხუმი 1993 წელს დატოვეთ და კოდორის ხეობა ფეხით გადმოიარეთ. რას ფიქრობდით გზაში, მთელი სამყარო ნახეთ, თქვენს თვალწინ იღუპებოდა ხალხი, იმედით მოდიოდით თუ ფიქრობდით, ამდენი წელი დაბრუნებას რომ ვეღარ შეძლებდით?

— „დევნილთა უღელტეხილი“ ამ საშინელი ომის ნახვის შემდეგ დავწერე. სოხუმის ბუნება მანამდე ლექსებს თუ მაწერინებდა შემდეგ ეს რომანი დამაწერინა. ჩემს მშობლიურ ქალაქში როდესაც ვნახე გადამწვარი პალმები, ულამაზესი ეგზოტიკური მცენარეები, შენობები, ზღვაში მოტივტივე ცხედრები, რაც ლექსებს მაწერინებდა, ეს ყველაფერი მოკვდა ჩემში. საშინელება იყო. უღელტეხილზე გადასვლისას მეგონა ბიბლიურ სინამდვილეში მოვხვდი. უზარმაზარი გზა გავიარეთ, გზადაგზა იხოცება ხალხი, ალპური ზონით უნდა გადაიარო, უნდა ახვიდე მწვერვალზე და ჩამოხვიდე სვანეთში. ზოგი სიცივის, ზოგი სტრესის გამო ვერ უძლებდა ამ უღელტეხილს. უფალს ვესაუბრებოდი, ისე როგორც ბუნებას ესაუბრები. ვერ დავბრუნდებიო, არ მიფიქრია. რამდენჯერმე გადავურჩი სიკვდილს, უფალმა გადამარჩინა და ამიტომაც ღრმად მწამს მისი არსებობა. ექსტრემალურ ვითარებაში ყოველთვის ვგრძნობ უფლის სიახლოვეს, აგრეთვე წინაპრებისას. გამაფრთხილეს, ბევრი არ ილაპარაკო, ნელა იარე, ენერგია იხარჯებაო. ამ დროს ხედავ შენს თვალწინ როგორ იხოცება ხალხი. ეს აღწერილი მაქვს. ვიცოდი, დაბრუნება უფლის ნებაა, მალე დაბრუნებას არ ვფიქრობდი. ახლაც მაქვს ინტუიცია, რომ დავბრუნდები, იქ რომ დავიბადე, ესეც უფლის ნება იყო. უღელტეხილზე რწმენითა და სიბრძნით გადავდიოდით, მაშინ 40 წლისა ვიყავი, რაც უფრო მშვიდად უყურებ ამ ყველაფერს, ყოველგვარი ზედმეტი ემოციის გარეშე, უკეთესია. ემოციურიც ვარ, მაგრამ ახლა რომ ვუყურებ ჩემს თავს, უღელტეხილზე გაწონასწორებამ მიშველა. გადახვეული ფეხით და ჯოხით მოვდიოდი. ფეხი ფეხბურთის დროს მიღებული ტრავმის გამო მაწუხებს, შემდეგ ომში დაბომბვის დროს მივიღე ტრავმა, ძალაუნებურად ნელ-ნელა რომ გადმოვდიოდი, ამანაც მიშველა. ვინც ჩქარა იარა, ვერ გადავიდა. მაშინ სამყარო ვნახე, ომი არის ადამიანის რენტგენი, ამ დროს ჩანს ადამიანის სახე, ვინ როგორ იქცევა. თბილისში ჩამოსვლისას როსტომ ჩხეიძე და გივი ალხაზიშვილი შემხვდნენ, მითხრეს, ახლავე დაწერე ეს ყოველივე, თორემ შემდეგ ემოცია გაქრება ან განელდებაო. მართლაც განვმარტოვდი და ერთ კვირაში დავწერე ახალი შეგრძნებებით. ერთი წლის შემდეგ რომ დამეწერა, ბევრი ემოცია დამეკარგებოდა. ვინც წაიკითხა, ჩემი განწყობა გადაედო, ვინც გადაირა უღელტეხილი, ისინი ამბობენ, კითხვისას ჩვენ კიდევ თავიდან გადავიარეთ უღელტეხილიო. მაშინ გაზეთ „შანსში“ ვმუშაობდი და ამავე გაზეთში მთელი წიგნი დაიბეჭდა. ეს არის დოკუმენტურ-მხატვრული რომანი, რომელზედაც ბოლოთქმა — „სულის მოთქმა“ როსტომ ჩხეიძემ დაწერა. პატარ-პატარა ნოველებისგან შედგება. აღწერილი მაქვს, როგორია სოხუმი, ხშირად მეორდება — ჩვენ სოხუმში გემით დავბრუნდებით, ჩვენ სოხუმში მატარებლით დავბრუნდებით, ჩვენ სოხუმში თვითმფრინავით დავბრუნდებით. ეს არის კაცის იმედიანი ფიქრები, მუსიკალური ნომერივით არის მთელს წიგნში. ვფიქრობ, სიმფონიასავით გამოვიდა, ოღონდ სიმფონიასავით რთული არ არის, ყველასთვის გასაგებია. როცა სათაურზე მიდგა საქმე, ერთი უფროსი კაცი, ასევე ჩემსავით დევნილი, შემხვდა და მითხრა: ერთი წელი ვერ ვიძინებდი და გადავწყვიტე ძილის წინ სოხუმის ქუჩებში სეირნობაო, ჯერ ყავახანაში შევდივარ, შემდეგ ამრაზე ავდივარ (ზღვაში შეჭრილი რესტორანია), გადავხედავ სოხუმს, ზღვა მშვიდი, წყნარი, მეგობრებს ვნახულობ და ამასობაში მეძინებაო. ამ რომანმა დეპრესიისგან მიხსნა, მთელი ჩემი ტკივილი აქ აღვწერე, როცა გულისტკივილს ამბობ, სხვანაირად უყურებ ყველაფერს, წყნარდები. არანაირ სიტუაციაში არ უნდა დაეცე, ჯერ დაე იმედმა გაქციოს ზურგი. უფლის მადლით იმედს ჯერ ზურგი არ უქცევია. ახლახან კიდევ გადავიკითხე ეს რომანი. რა ომი იყო და რა დრო, ნათლად ჩანს. როგორი იყო მშვიდობიანი სოხუმი, რა ურთიერთობები არსებობდა ამ ქალაქში. ვინც ამ პერიოდს შეისწავლის, აუცილებლად გამოადგება. მე კი არ ვამბობ, რომ ძალიან კარგი მწერალი ვარ, უბრალოდ რომანში არის ისეთი ფაქტები, რომელიც მომავალ თაობას გამოადგება. საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმძიმესი მონაკვეთი ჩვენ გავიარეთ, იმედი მაქვს მსგავსი ომი აღარ განმეორდება.

— სიმფონიასავით არისო, რომ ბრძანეთ, მუსიკასთან რა ურთიერთობა გაქვთ, ბავშვობაში დადიოდით მუსიკაზე?

— მუსიკა ყოველთვის მიყვარდა. მუსიკალურ სკოლაში არ მივლია, სტუდენტობისას ჩემით შევისწავლე, სიმფონიები მიყვარს ძალიან. ბახის ეტიუდებით რომ დავიწყე, მთელი კლასიკა მოსმენილი მაქვს, მერე ჯაზი, ხალხური სიმღერები. ყველაფერი ეს ძალას მაძლევს. სამსახურში ძალიან რომ ვიღლები, მუსიკას ვრთავ და ვისვენებ. გააჩნია თათბირს — დაბალ ხმაზე ჩართული მაქვს ან ბახი ან ვივალდი ან ჯაზი, რომელიც მამშვიდებს. ბეთჰოვენი ენერგიით მავსებს, ბახი უფრო მამშვიდებს და როგორც წნევას არეგულირებენ, ისე ვარეგულირებ ჩემს განწყობას. ამავე დროს სამხედრო კაცის შვილი ვარ და დისციპლინირებული.

— დღევანდელი გადასახედიდან როგორ ფიქრობთ, რომ არა ლიტერატურა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყავით?

— ერთი მწერალი, მეორე მხატვარი, მესამე ექიმი და მეოთხე მოგზაური, რომელიც პლანეტაზე მოგზაურობს და ორი თვე თითო ქალაქში ცხოვრობს.

— მინისტრობის გარდა ყველა პროფესია გხიბლავდათ?

— თანამდებობისთვის არასოდეს ვისწრაფოდი. მწერლობა და მხატვრობა ავისრულე, მაგრამ ექიმი და მოგზაური ვერ გავხდი. ჯერჯერობით ჩემი კლონირება ვერ ხერხდება და ამიტომ ჯერ ვარ ის, ვინც ვარ, და ვცდილობ ოთხი-ხუთი ჩემი მე ამ ერთ ადამიანში გავაერთიანო, ექიმი ვერ გავხდი, რაღაც ელემენტები ფსიქოთერაპიისა მაქვს, მოდის ჩემთან ხალხი, გასაჭირს მიყვებიან და ჩემთან საუბრისას მშვიდდებიან. ჩემი წიგნები რუსულად რომ ითარგმნა და ჩემს მშობლიურ ქალაქში გავრცელდა, იქ წაიკითხა ბევრმა და წიგნიდან გაიგეს, ქართულმა მხარემ რაც გადაიტანა. მე ყოველთვის ვიყავი თანამგრძობი აფხაზური მხარისაც, მათი ტკივილიც უნდა მიიტანო გულთან, სხვანაირად არ შეიძლება, პოლიტიკა პოლიტიკაა, მაგრამ ადამიანი, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს. ეს ოდითგანვე იყო ჩვენს ლიტერატურაში. ვეფხვის და მოყმის ამბავი, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაც მთლიანად ამაზეა აგებული. ვაჟა ისე მიყვარს, დუშეთის რაიონში აგარაკი შევიძინე და, როდესაც ქალაქისგან დავიღლები, მივდივარ და იქ ვისვენებ.

— სამინისტროს გეგმებზე მოგვიყევით.

— მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ღირსეული და მნიშვნელოვანი სამინისტროა, მუშაობა არ მეძნელება, შემოქ-

მედ ადამიანებთან გაქვს საქმე.

— **ამ მხრივ ძალიან საინტერესო სამსახური გაქვთ.**

— გეთანხმებით, საინტერესოა, ღირსეულ ხალხთან გაქვს ურთიერთობა, ის პოლიტიკური დაპირისპირებები, რაც ბოლო წლების საქართველოში არსებობს, ძალიან გვიშლის ხელს.

— **სამწუხაროა.**

— რა თქმა უნდა სამწუხაროა, ადამიანთა ურთიერთობებია მოსაწესრიგებელი და ბევრი ორგანიზაციაა, სადაც კონფლიქტური სიტუაციებია და ხშირად — როგორც კონფლიქტოლოგს — ისე მიწევს მუშაობა. ნებისმიერი ნაბიჯი პოლიტიკურ წინააღმდეგობად აღიქმება. რაც საბჭოთა კავშირს მოვშორდით, უფრო სიყვარულით და გონივრულად რომ გაგვევლო ეს გზა, უბედნიერესი ხალხი ვიქნებოდით. 9 აპრილის შემდეგ ეს იყო უკანასკნელი შეტაკება საბჭოთა ჯარებთან. ოცი ადამიანი დაგვეღუპა, მაგრამ მიუხედავად ამისა გავიმარჯვეთ. შემდეგ შიდა ბრძოლებში დავმარცხდით. „სოხუმში დაბრუნებაში“ მაქვს თავი „ომამდე დამარცხება“, ხშირად ვმარცხდებით საკუთარ თავთან ბრძოლაში. ეს ყველაზე მწარე დამარცხებაა. შეფასებებისგან თავს ვიკავებ, მაგრამ ასე მოხდა, რომ რუსთაველზე ჩვენ პირველი პრეზიდენტი ძალისმიერი მეთოდით გავუშვით, ასევე მეორე პრეზიდენტიც — ვარდების რევოლუციის დროს. პირველი შემთხვევაა, როდესაც მოხდა ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა, მაგრამ რა ფასად დაგვიჯდა, ის ინერცია დღესაც გრძელდება. კიდევ ვიმეორებ, სანამ არ ვისწავლით ერთმანეთთან ურთიერთობის კულტურას და სიბრძნეს იმისა, რომ ჩვენი ძალა ერთობლივ გადაწყვეტილებაშია, მანამდე გვექნება წინაღობები არამარტო ჩვენს სამინისტროს, სხვა სამინისტროებსაც. ეს მთელ საქართველოს შეუშლის ხელს და ამიტომ ძალიან მინდა რომ კულტურის სამინისტროდან ეს ღირებულებანი, რითაც ჩვენ მოვედით, უფრო წარმოჩენილ იყოს, ვითანამგზავროთ ჩვენი კულტურით. უფრო მეტად წარმოვაჩინოთ ის ღირებულებები, რითაც ვართ ცნობილი, რის გამოც პატივს გვცემენ და ჩვენ თვითონ შევისწავლოთ, რა კულტურის მატარებელნი ვართ.

— **ამაში თქვენი ჰუმანურობა, შინაგანი სამყარო და მუსიკის სიყვარულიც კი დაგვეხმარება, ხომ ამბობენ, მუსიკა ადამიანს აკეთილშობილებსო, თქვენი სახით ნათელი მაგალითი აშკარაა... თქვენთვის ღირებულია ის ფასეულობანი, რომელიც დღეს გადაფასდა. პიროვნებაზეც ბევრია დამოკიდებული, მარტო თანამდებობა არ არის მნიშვნელოვანი.**

— დიდი მადლობა, მაგრამ დიდი კომპლიმენტია, არა მგონია ასეთი ვიყო, ალბათ უნდა გავხდე მსგავსი. საერთოდ ერთმანეთისთვის მაშველი რგოლები უნდა ვიყოთ, ერთმანეთს არ უნდა ვჩხვლეტდეთ. სხვისი აზრის შემგუებლები ვიყოთ. ერთმანეთს მოვუსმინოთ. ყველანი ერთად უნდა ვიყოთ.

— **ახალ პროექტებზე უკვე მუშაობთ?**

— ახალ პროექტებზე უკვე ვფიქრობთ, ეს ორი თვე ძალიან მძიმე იყო, ახლა დავიწყეთ იმ რეჟიმიდან გამოსვლა. უკვე ვიცით, რა უნდა ვაკეთოთ, ჩვენი შედეგები უცებ არ იქნება. საქართველოსთვის სასიკეთო პროექტებს ვარჩევთ. პრიორიტეტები გამოვყავით. რაც შეეხება რეგიონებს, რეგიონებში შეღამდება თუ არა, კულტურული ცხოვრება კვდება, თბილისშიც სამიოდე კინოთეატრია, ბათუმში — ერთი კინოთეატრი, სულ ამით შემოვიფარგლებით. ტელევიზიით და ინტერნეტით ნებისმიერი ფილმი შეიძლება ნახო, მაგრამ ხალხს შეხვედრის, დისკუსიის ადგილი სჭირდება. ამას გვინდა ხელი შევაშველოთ. მეორე პრიორიტეტია, რაც შეიძლება შორს გავიტანოთ ჩვენი კულტურა, არ შეიძლება საკუთარ სივრცეში ჩაიკეტო. უნდა იცოდნენ, რუსთაველი ვინ არის, ვაჟა ვინ არის, თანამედროვე მწერალთა ღირსეული ნაწარმოებები უნდა თარგმნო და აჩვენო სამყაროს, ეს დინამიკაშია ყველაფერი. აქცენტი არა მარტო იმაზე უნდა იყოს, რა გვქონდა, არამედ იმაზეც — დღეს რა იქმნება.

— **ჩვენი კულტურის გატანაზე გამახსენდა საფრანგეთის უკვდავთა აკადემიის წევრი ლუი მიშელი, რომელთანაც სახლში რამდენიმე დღე სტუმრობა მომიწია, ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უბედნიერესი დღეები იყო. ერთ საღამოს გვითხრა, ქართული ჩანაწერი მაქვს და მაინტერესებს რა მუსიკალური ტექსტიაო. როცა მოვისმინე, „ვეფხისტყაოსანი“ აღმოჩნდა. შემდეგ აღნიშნა, ყოველ საღამოს ვზივარ და დიდი სიამოვნებას ვღებულობო. მიუხედავად იმისა, რომ არ გახლდათ ჩვეულებრივი აკადემიკოსი, არ იცოდა რუსთაველის არსებობა. ესე იგი ნამდვილად უფრო მეტი პოპულარიზაციაა საჭირო.**

— შესანიშნავია, ფრანგი მოიხიბლა რუსთაველის ტექსტის მუსიკალურობით. ჩვენი ეროვნული ენერგია ამ საქმეს უნდა მოვახმაროთ. უნდა გავაცნოთ სამყაროს ჩვენი კულტურა. ამაზე ალენ დელონის ამბავიც გამახსენდა, ინტერვიუში ამბობს: დეპრესია მქონდა და ვაჟა-ფშაველას წაკითხვის შემდეგ გამიარაო. მწიგნობარი ერი ვართ და ჯერ მსოფლიოს ჩვენი ხმა ვერ გავაგებინეთ. ვცდილობთ მეტ ენაზე ითარგმნოს ქართული ნაწარმოებები. ლაიფციგის წიგნის ბაზრობა მნიშვნელოვანია ჩვენთვის. თანამედროვე მწერლებმა მიიღეს მონაწილეობა და ლიტერატურული საღამოც გაიმართა. ასევე გვინდა ლონდონის წიგნის ბაზრობაშიც მივიღოთ მონაწილეობა, ჯერ არავინ არ ყოფილა საქართველოდან ლონდონში. თარგმანი თანხებთანაა დაკავშირებული. მუსიკას თარგმნა არ სჭირდება, მხატვრობაც მდუმარე ხელოვნებაა, ლიტერატურა სხვა ენაზე უნდა მიაწოდო და თარგმანი ხარისხიანი უნდა იყოს. მომავალში გვსურს გავაღრმავოთ და მეტი წიგნი ვთარგმნოთ.

— **რუსთაველის თეატრში როდის დაბრუნდება ბატონი რობერტ სტურუა?**

— ჩემი მოსვლისას ერთ-ერთი პირველი ბრძანება რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუას დაბრუნება იყო. არსებობდა შეუთავსებლობა მმართველსა და სამხატვრო ხელმძღვანელს შორის, რომელიც მოგვარდა. ახლა ახალი გეგმები აქვთ და აეწყობა რუსთაველის თეატრი. იმედი გვაქვს წელს ბევრ საინტერესო სპექტაკლს ვიხილავთ. თემურ ჩხეიძეც დაბრუნდება. ჩვენ შევუქმენით პირობები, მას ექნება საკუთარი სკოლა, სადაც აღზრდის რეჟისორებს, დრამატურგებს, მსახიობებს, ასევე თეატრის შესანიშნავი მხატვარი გოგი ალექსი-მესხიშვილიც ბრუნდება. ასეთი ოსტატები გვჭირდება, ახალ შესანიშნავ თაობებს გაზრდიან. მომავალი თაობა ღირსეული უნდა გაიზარდოს. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება.

P.S. ზღვა უკიდეგანოა, უსასრულო, ზოგჯერ მღელვარე აზვირთებული ტალღებით, ზოგჯერ წყნარი. ათასნაირი ეგზოტიკური ხეები, ულამაზესი ლანდშაფტი. ნაპირთან ისმის კითხვა — სოხუმში მოსალოდნელია წვიმა? დიახ, სოხუმში ძლიერი წვიმაა მოსალოდნელი, უკვე დიდი ხანია ჩვენთვის გადაუღებლივ წვიმს, ნაპირზე ისმის სოხუმზე სონატა, უნებლიე ვედრებანი. ვევედრებით უფალს ზღვის გასაღებს, იმ ზღვისა, რომელიც ჩვენთვის ჯერ კიდევ შო-

რია. წვიმაში დიდი საათი დგას და ითვლის წამებს, წუთებს, საათებს, წლებს, ფორთოხლისა და მანდარინის ბაღებში ლურჯი საგალობელი ისმის. ღრუბლიან ცაზე ჯერ შორსაა გამოდარება. ზღვა ინახავს ბევრ საიდუმლოს. ჩვენ კი ველით, რომ სოხუმის ცაზე ოდესმე გამოიდარებს და ომში დაღუპულ ქართველ ბიჭებთა სულები გაიხარებენ ზეციურ საქართველოში, მათი ლოცვაც ხომ აძლიერებს ჩვენს სამშობლოს, რომელმაც ათას ჭირ-ვარამს გაუძლო და დღესაც თავისუფლებისკენ ისწრაფის.

ზეციურო მეომრებო, გევედრებით, გაამთლიანეთ სა-

კარლო ღლონტი

სკოლის მეგობრები

დათუნა მუსხელიშვილი

მე-5 კლასში რომ ვიყავით, დათუნა მუსხელიშვილი ფილტვების ანთებით გახდა ავად. ორი კვირის შემდეგ მისმა ახლობლებმა გვითხრეს, დათუნა კარგად არისო. რამდენიმე ბავშვმა გადავწყვიტეთ დათუნა გვენახა. საუზმისთვის გადანახული ფულით მივადექით ტკბილეულობის მაღაზიას, ბელინსკის კუთხეში. ვიყიდეთ ტკბილი „ყიყლიყოები“, ნუგა და ასე „დატვირთულები“ — მე, შალვა კვინტრაძე, გურამ ასათიანი და ოჩო მივადექით მუსხელიშვილების სახლს. დეიდა ბაიკო, დათუნას დედა, ქალბატონი ელენე ყველას ძალიან გვიყვარდა. სწორედ დეიდა ბაიკომ გაგვიღო კარი, “მოდით ბავშვებო, დათუნა უკვე კარგად არისო”. მართლაც, დათუნა ფეხზე დაგვხვდა. ცოტა ხანში დათუნას მამა ძია ლენკოც მოვიდა (ლევან მუსხელიშვილი). ისე შეგვხვდა, თითქოს მისი თანატოლები ვიყავით, დაგვიწყო საუბარი სხვადასხვა თემაზე. ჩვენ გაგებული გვქონდა, რომ ძია ლენკო ისტორიკოსია და დათუნამაც მამის პროფესია აირჩია. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკაში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. სტუდენტობის შემდეგ, მახსოვს, დათუნა საკანდიდატო დისერტაციას იცავდა „უჯარმაზე“. პრეზიდიუმში ისხდნენ ბატონი ნიკო ბერძენიშვილი და სხვა ცნობილი ისტორიკოსები, ბატონი შოთა მესხია კი ოპონენტი იყო და ცოტა რთულ კითხვებს აძლევდა. დათუნა შესანიშნავად პასუხობდა, ბატონი ნიკო იღიმებოდა, ბატონი შოთაც კმაყოფილი დარჩა.

გავიდა წლები. დათუნამ საქართველოს ისტორიის მრავალი დაფარული ფურცელი გააცოცხლა, რამდენიმე ათეული წიგნი დაბეჭდა და რამდენიმე ასეული გამოკვლევა გამოაქვეყნა, მაგრამ ჩვენი სამეცნიერო წრეები განსაკუთრებული აღტაცებით შეხვდნენ მის მიერ მომზადებულ „საქართველოს ისტორიული რუკების კორპუსს...“

— დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი „საქართველოს ისტორიული რუკის“ გამოქვეყნების შემდეგ (1923), ქართველ ინტელექტუალთა უკლებლივ ყველა თაობა ამ რუკაზე აღიზარდა... — ვკითხულობთ გელათის მეცნიერებათა აკადემიის მისალოცბარათში, დათუნა მუსხელიშვილის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით. — ყველა წიგნიერი ოჯახი ცდილობდა მის მოპოვებას; ამ რუკას, ე.წ. „ჯავახიშვილის რუკას“, მთელი ქართველობა იმოწმებდა არა როგორც ნაშრომს, არამედ ლამის როგორც წყაროს ნებისმიერ, მათ შორის, ყოფითი დონის მსჯელობებსა და დისკუსიებში. ამ ერთი რუკის შესადგენად და შედგენისას ივანე ჯავახიშვილმა თავი მოუყარა მთელ თავის უზღვავ სამეცნიერო-კვლევით მონაპოვარს („ქართველი ერის ისტორიის“ მრავალტომეულის ჩათვლით) და „საქართველოს ისტორიულ რუკას“ დაუდო საფუძვლად.

თქვენი ატლასის მხილველი ხვდება, რომ თქვენ თქვენივე ფუნდამენტურ და კაპიტალურ გამოკვლევებს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის სფეროში, ისევე როგორც თქვენი კოლეგების საეტაპო ნაშრომებს, იმთავითვე განიხილავდით, როგორც ამ ატლასის შესადგენ მასალასა და საფუძველს.

და ჯილდომაც არ დააყოვნა (ჯილდოში არ იგულისხმება ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია, რომელიც მხოლოდ წელს, საკმაო დაყოვნების შემდეგ მიენიჭა ატლასს): „საქართველოს ისტორიის ატლასის“ გამოცემის დღიდანვე, ქართველი ერის ცნობიერებაში, ცნებას „ჯავახიშვილის რუკა“ საშვილიშვილოდ ამოუდგა გვერდში „მუსხელიშვილის ატლასი“.

ივანე ჯავახიშვილისა და ლევან მუსხელიშვილის მიმოწერა

1970-80-იან წლებში ჟურნალ „მნათობში“ იბეჭდებოდა ცნობილი მეცნიერების - ივ. ჯავახიშვილისა და ლევან მუსხელიშვილის მიმოწერა, რომელმაც ქართული საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, იმის გამო, რომ მათში მთავარი და საგულისხმო იყო ის მაღალი ადამიანური ღირსებები, რომელიც დამახასიათებელია ამ ორი პიროვნებისათვის.

ამ წერილებს თავი მოუყარა და აკინძა, შემდეგ კი შესანიშნავი წინასიტყვაობა დაურთო ივ. ჯავახიშვილის ქალიშვილმა, ქალბატონმა ნათელა ჯავახიშვილმა.

ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ ლევან მუსხელიშვილი დაინიშნა საქართველოს მუზეუმის ხელოვნების განყოფილების გამგედ. ამასთანავე, რუსთაველის მუზეუმის დირექტორის მოვალეობაც დაეკისრა. 1941 წლის 1 აპრილიდან კი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, რუსთაველის მუზეუმის ბაზაზე, ხელოვნების ისტორიის სექტორის დაარსებასთან დაკავშირებით, მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების გამგედ დანიშნეს, სადაც ის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშობდა.

ამ მიმოწერის ისტორია ხანმოკლე იყო (1929-40 წწ.), ე.ი. 11 წელი. მაგრამ იმდენად საინტერესო აღმოჩნდა და სიუჟეტურად ისე ვითარდებოდა, რომ შეიძლებოდა შესანიშნავი პიესა გამოსულიყო, ანდა კინოსცენარი დაწერილიყო, მე კი ვარჩიე, რომ რადიოდადგმა გამეკეთებინა. სასწრაფოდ მოვიწვიე ჩემი

*** მხატვრულ-დოკუმენტური წიგნიდან: „წინაპართა ნაკვალევზე“.**

მეგობრები, ივ. ჯავახიშვილის შვილიშვილი დათო ჯავახიშვილი და ერლომ ახვლედიანი - ორივე უკვე ცნობილი მწერლები. გავაცანი ჩემი ინტერესი ამ წერილებისადმი და სურვილი, გაეკეთებინათ და კვირის ბოლოსათვის მოემზადებინათ სცენარი რადიოდადგმისთვის. ისინი დიდი სიამოვნებით დამთანხმდნენ და კვირის ბოლოს წარმოადგინეს სცენარი სახელწოდებით „მასწავლებელი და მოწაფე", მე კი ისღა დამრჩენოდა, მეფიქრა მსახიობებზე. მიუხედავად იმისა, რომ პირველად ვმუშაობდი რადიოდადგმაზე, გადავწყვიტე მსახიობები კი არ მომეწვია, არამედ თვით მეცნიერთა ოჯახის წევრები. ეს განაპირობა მათმა სიახლოვემ წერილების ავტორებთან. მაგალითად დავით მუსხელიშვილზე ხშირად მსმენია, რომ მამას ჰგავსო ძალიან, ხასიათით, ინტონაციით; დათო ჯავახიშვილს კი, პაპამისს ვამსგავსებდი. მოკლედ ავიჩემე, რომ მხოლოდ და მხოლოდ ეს ადამიანები იქნებიან მეთქი ამ რადიოდადგმის მონაწილენი. ნათელა ჯავახიშვილის როლზე კი მარინე ყუბანეიშვილი მოვიწვიე (ქალბატონი ნათელა სამწუხაროდ უკვე გარდაცვლილი იყო).

კარლო ღლონტი, დავით მუსხელიშვილი და მიხეილ გედევანიშვილი

რამდენიმე დღეში შედგა რადიოდადგმის პრემიერა. სამსახურში და სახლში არ წყდებოდა ტელეფონის ზარი, ახლობლები რეკავდნენ და მილოცავდნენ; თან მეუბნებოდნენ, რა კარგად მოგიფიქრებია, რომ წერილების ავტორების ახლობლები მოგიწვევიაო. მეც ვეთანხმებოდი და მიხაროდა, რომ ჩემმა ჩანაფიქრმა გაამართლა.

2008 წელს აკადემიკოსმა დავით მუსხელიშვილმა, ლევან მუსხელიშვილის შვილმა, თავის იუბილესთან დაკავშირებით, უამრავი გულითადი მილოცვა მიიღო. ამ მილოცვებიდან ყველა საინტერესო იყო, მაგრამ მე ერთ-ერთმა სასიამოვნოდ გამაკვირვა. ეს იყო თითქოს წერილის ავტორების ურთიერთობის ლოგიკური დასასრული.

მიშა გედევანიშვილი

მაშინ ჯერ კიდევ მე-18 სკოლის შენობაში ვსწავლობდით (დღევანდელი ფილარმონიის გვერდით), მე-4 კლასში. ჩვენმა დამრიგებელმა, დეიდა კატო ბურჯანაძემ ინსცენირება მოამზადა გორკის მოთხრობების მიხედვით და ჩვენი სკოლის სცენაზე დადგა.

ვმონაწილეობდით ჩვენი კლასელები: მიშა გედევანიშვილი, გურამ კანკავა, ჩვენი გოგოები და მე. მე ვიყავი მთავარი, მაქსიმ გორკი. მახსოვს, დედაჩემმა იწვალა და შარვალზე რაღაც სხვადასხვა ფერის ნაჭრები დამაკერა, რომ უფრო ღარიბი გამოვჩენილიყავი. ვინც დავასახელე მდიდრების შვილებს თამაშობდნენ, გურამ "კანკას" ბავშვობიდანვე კარგად ჩასუქებული ლოყები ჰქონდა. დღესაც კარგად მახსოვს ჩემი, მაქსიმ პეშკოვის სიტყვები (ფინალში): „მე დავანგრევ ჩვენ შორის აღმართულ კედელს, მე ვიბრძოლებ თავისუფლებისათვის".

ამაზე დარბაზი ტაშით ინგრეოდა. დარბაზში კი ჩვენი მშობლები ისხდნენ და აბა რას იზამდნენ?! მახსოვს, ჩემთან ამოვიდა დეიდა თამარ ციციშვილი და თავზე ხელი გადამისვა. მაშინ კინო-თეატრებში „დარიკო" გადიოდა და დეიდა თამარი უპირველესი მსახიობი იყო. ჩვენ, ბავშვები კი ფილმიდან ამოჭრილ „დეიდა დარიკოს" კადრებს ვატარებდით და ვისაც მეტი აღმოაჩნდებოდა, ის იყო ყველაზე მაგარი ბიჭი. სექტემბრის 7 განსაკუთრებული იყო, მიშიკოს დაბადების დღე; უკვე ინსტიტუტებში ვსწავლობდით. გარდა იმისა, რომ მიშიკოს დღე იყო, ერთმანეთის ნახვაც გვიხაროდა და რაც მთავარია, დეიდა თამარი, ძია მიტო (ბატონი დიმიტრი გედევანიშვილი) როგორც თანატოლებს ისე გვღებულობდნენ. არ დამავიწყდება ქალბატონ თამარის მეგობრის ნაამბობი: „ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში, კრემლში მიღების დროს, თურმე ქალბატონმა თამარმა გაბედა და სტალინთან მოკრძალებით თქვა, რომ მომღერლები დააპატიმრესო". ნახევარი წლის შემდეგ, რუსთაველის პროსპექტზე ქალბატონი თამარი უცნობმა მამაკაცმა შეაჩერა, დაუჩოქა და უთხრა: მე გახლავართ ის მომღერალი ჯიღაური, რომელიც თქვენ იხსენით პატიმრობიდანო". ეს ამბები ბევრისგან გამიგონია. ძია მიტო მაშინ სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორად მუშაობდა და ინსტიტუტის საკითხი ცეკას ბიუროზე გაიტანეს, რადგან იმ დროს კორუფცია მძვინვარებდა, გვარების დასახელება რომ დაიწყეს და გედევანიშვილს მიადგნენ, ცეკას მდივანი (მაშინ ედ. შევარდნაძე იყო) წამოდგა და თქვა: როცა ამხანაგ დიმიტრი გედევანიშვილს ახსენებთ, ჯერ პირში ლურჯი წყალი გამოივლეთ და ისე ილაპარაკეთო. ეს იყო განსაკუთრებული დახასიათება დიმიტრი გედევანიშვილისა, საერთოდ, მისი გვარისა და უმწიკვლო, ტრადიციულად უფაქიზესი ოჯახისა.

მანანა გედევანიშვილი ბევრად უმცროსი იყო თავის ძმაზე, მიშიკოზე. მიუხედავად ამისა, მანანა თავისი გარეგნობით უკვე იქცევდა ყურადღებას. ის ქალბატონ თამარსაც ჰგავს და ბატონ დიმიტრისაც, ორივეს სილამაზე გამოჰყვა და განსაკუთრებული შინაგანი თვისებების გამო, საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ამის გამო იყო, ალბათ, მრავალი კინორეჟისორისაგან ჰქონდა მიწვევა მთავარ როლზე, მაგრამ მანანა კატეგორიულ უარს ამბობდა. ბოლოს მამის სპეციალობა აირჩია, გახდა ექიმი. ჰყავს ერთი ქალიშვილი და ტყუპი შვილიშვილი. მოკლედ, ყველანი განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევიან.

მიშიკოს ასეთივე სილამაზის ქალიშვილი ჰყავს, ოღონდ სხვანაირი ეშხით. თამარ გედევანიშვილი ფსიქიატრია. იმის ნაცვლად, რომ ქართველ ავადმყოფებს მოუაროს, პარიზშია და ფრანგებს უვლის. ჩამოდი, თამარ! ჩამოდი საქართველოში, ავადმყოფი ჩვენც ბევრი გვყავს!

მიშიკოს დანარჩენი შვილებიდან, დიმიტრი მხატვარი გახდა, გიორგიმ არ უღალატა ტრადიციას – ექიმია, ფარმაკოლოგიაში მუშაობს. ჰყავს შესანიშნავი მეუღლე და შვილები. მიშიკოს მეუღლე ლია ხატისკაცი ფილოლოგია, მაგრამ ამჟამად ქართული ლიტერატურისათვის არ სცალია, უვლის მრავალრიცხოვან ოჯახს და გიორგის აფრთხილებს, მიშიკოს მეგობრები არ დაგავიწყდესო. გიორგიც არ გვივიწყებს ბებრებს, გვეხმარება წამლებით და ცხოვრებას გვიადვილებს.

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მიშიკოს ხშირად ვაწუხებდი: სამეგრელოდან ჩამოდიოდნენ ხოლმე ჩემი ავადმყოფი ნათესავები. იმ წამსვე მიშას მივადგებოდი! ის მშველოდა, ექიმებთან მისი რეკომენდაციით დამყავდა ჩემი ავადმყოფები; იმიტომაც იყო, რომ სამეგრელოში ჩემიანებთან სტუმრობის დროს, მიშიკოს დიდი სიყვარული გამოუცხადეს.

შალვა კვინტრაძე

შაბათი დღე იყო, ჩვენი მეგობრის ქორწილში უნდა წავსულიყავით. დავთქვით შეხვედრის ადგილი: ზემელი, შოთა რუსთაველის ძეგლთან, დრო — 3 საათი. სტუდენტები ვართ... ნელ-ნელა შეიკრიბა ჩვენი ხალხი, როგორც მახსოვს, განსაკუთრებით, ლამაზად გამოიყურებოდნენ - თეთრ პერანგებში და ჰალსტუხებში... ნაცნობები მოკრძალებით გვესალმებოდნენ. მაგრამ ორი „ტიპი“, შორიახლოს რომ იდგნენ, სულ ჩვენსკენ იშვერდნენ ხელს, თან ილანძღებოდნენ. შემდეგ თანდათან მოგვიახლოვდნენ. ჩვენს ერთ მეგობარს უხეშად მიმართეს — შენ, ეი, გალსტუკიანოო... გალსტუკიანმა წესიერად უპასუხა, მეორე გალსტუკიანი გამოესარჩლა: მეც გალსტუკიანი ვარ, მერე რა გინდაო! მომხდურმა, „აჰა, შენც გიკეთია გალსტუკი, შე ჩათლახოო!“ გამვლელები ჩერდებოდნენ, სიტუაცია დაიძაბა (ვიღაცამ გვითხრა ესენი „რამკიანი ქურდები არიანო“). მოკლედ აგვიყვანეს, როცა დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია, ერთმა ჩვენგანმა ვეღარ მოითმინა, გამოვარდა, ჯერ ერთს გლიჯა, მეორეც ნოკაუტში ჩააგდო... ეს იყო შალვა კვინტრაძე. ჩვენ კი ნირწამხდარნი, მაგრამ ჰალსტუხიანები უშნოდ ვიღრიჭებოდით. შემდეგ ხალხი ჩაერია, ძველი ბიჭები მოგვაშორეს. ამგვარად და ასეთნაირად გადაგვარჩინა შალვამ სირცხვილს. დრო გადიოდა, შალვამ ასპირანტურაში ჩააბარა, რამდენიმე ხნის შემდეგ თანამდებობაზეც გაამწესეს: მე ტელეფილმებში დავიწყე მუშაობა. შალვას კი თანამდებობა ემატებოდა. იმ ხანად მე უცხოეთში ქართული ძეგლების გადაღება მიხდებოდა. ერთ წელიწადს სინას მთაზე ვაპირებდით წასვლას, მანამდე არცერთი კინოჯგუფი არ იყო ნამყოფი იქ. ჩვენც გაგვიგრძელდა წასვლის სამზადისი, საკმარისი აღმოჩნდა შალვასთვის მეთქვა, დატრიალდა და ორ დღეში მოგვარდა „სინას მთაზე“ ჩვენი კინოექსპედიციის წასვლა. უნდა ითქვას, რომ შალვა „მეგობრების არმიიდან“ ყველას ეხმარებოდა, ყველას ჭირისუფალი იყო.

აი რა მიამბო თამაზ ჩხენკელმა:

რამდენიმე წლის წინ უგუნებობა დამჩემდა. რაღაც დარდი შემომაწვებოდა ხოლმე. ეს დეპრესია მთელ წელიწადს გაგრძელდა. რატომღაც შალვა კვინტრაძე მახსენდებოდა პერიოდულად, ჰოდა უგუნებობის დროს ისევ შალვა გამახსენდა და დავჯექი, ეს ლექსი მივუძღვენი - „შესანდობარი“.

ჰაერზე დადგით ჩემი საკაცე, შალვა,
გასწიე ჭირისუფლობა:
მოკვდა თამაზა — თქვენი ძმაკაცი, აღარ დასცალდა
თქვენთან სუფრობა.
ჩვეულებრივი იყოს სამარე, მისამძიმრების
ჩუმი უბნობა,
თვალზე მომდგარი ცრემლი დამალეთ —
შალვა გასწიე ჭირისუფლობა!
არც მითქმა-მოთქმა და არც უბრობა, არცა ქება და
სიტყვა მგმობარე...
შალვა, გასწიე ჭირისუფლობა, შესვი შენი ძმის
შესანდობარი!

რასაკვირველია, ეს სიტყვები დარდიანობის დროს არის ნათქვამი, ხუმრობაა, იუმორი, მაგრამ თამაზმა შესანიშნავად დახატა შალვას ხასიათიც და თავისიც.

მაგრამ ასე მაინც არ მინდა დავამთავრო. გაუმარჯოს კაცების სივარულსა და მეგობრობას.

ტრაგიკული მინაწერი:

ახალგაზრდობაში შალვას დიდი უბედურება დაატყდა თავს: ერთადერთი ქალიშვილი — 7 წლის ლანა, ეზოში თამაშის დროს დენის მავთულმა იმსხვერპლა. ბედმა არც ეს აკმარა და რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ცხოვრება საშინელი ტრაგედიით დაასრულა.

შალვა 1990 წლიდან მორწმუნე გახდა. დადიოდა ეკლესიაში და ყველა რიტუალს უკლებლივ იცავდა.

2011 წლის მაისში მოულოდნელად ხმა გავრცელდა, რომ შალვას უფროსი ვაჟიშვილი, 49 წლის ნიკუშა კვინტრაძე, ქუჩაში ელექტროდენმა იმსხვერპლა.

შალვას ნიკუშას დაღუპვის ამბავი არ უთხრეს, ტელევიზიით კი აცხადებდნენ, მაგრამ ტელევიზორი არ ჰქონდათ ჩართული.

შალვა კი, თითქოს იგრძნოო ეს საშინელი უბედურება, უცბად ლოგინად ჩავარდა. მოხდა გაუთვალისწინებელი: როდესაც მათთან მისულმა ერთ-ერთმა ახლობელმა კარი შეაღო და მამაკაცის ქვითინი შემოესმა, ჩათვალა, რომ შალვამ იცოდა ეს სამწუხარო ამბავი, გავიდა მის ოთახში და ტირილით მიუსამძიმრა. შალვა გაოგნდა, მხოლოდ პაუზის შემდეგ გადმოხედა მოსულს და ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები. მეორე დღეს კი, თავისი ნაწამები სული შვილის არანაკლებ ნაწამებ სულს შეუერთა.

ნიკუშა სამშაბათს, 31 მაისს დავკრძალეთ, დაბადების 49 წლის თავზე; შალვა კი ხუთშაბათს, 2 ივნისს.

ღმერთო, ნათელში ამყოფე მათი სულები!.

გურამ კანკავა

რამდენიმე ხნის წინ კინო-კავშირმა ცნობილ ლიტერატორს გურამ კანკავას გადაუხადა საიუბილეო საღამო. წინასწარ მადლობა მინდა გადავუხადო კინო-კავშირის მესვეურებს ელდარ შენგელაიას და არჩილ შუბაშვილს.

საღამო კინო-სახლში შესავალი სიტყვით მე გავხსენი. შემდეგ ვთხოვე ბატონ ზაზა აბზიანიძეს, ასევე ცნობილ ლიტერატორსა და გურამის მეგობარს, რომ საღამო მას წაეყვანა. მან ეს თხოვნა საინტერესოდ და მაღალ დონეზე შეასრულა.

გურამი მოღვაწეობდა ლიტერატურის ინსტიტუტში. გარდა თავისი მთავარი საქმისა, წერდა სცენარებს მულტიპლიკაციური ფილმისათვის, რამდენიმე ხანს მუშაობდა გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში და ბევრი რეცენზია დაუწერია მსახიობებზე და კინორეჟისორებზე, ბოლოს, თვითონაც შესანიშნავი იყო როგორც მსახიობი ფილმში „დღე“ (რეჟისორი ლევან ღლონტი).

გურამ კანკავა, საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ I მოწვევის პარლამენტის დეპუტატი გახდა და ხელი მოწერილი აქვს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე.

მეუღლეს — ლია გოგაძეს — ცნობილ პიანისტს, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის საფორტეპიანო კათედრის პედაგოგს, მისმა კოლეგებმა, სკრიაბინის კარგი შესრულებისათვის, „სკრიაბინსტკა“ შეარქვეს.



თამაზ ჩხენკელი

უფროსი შვილი გია კანკავა ფიზიკოსი იყო და იმდენად დიდი იყო მამის გავლენა, რომ ლიტერატორი გახდა. დღეს ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობს, დადის ევროპის ქალაქებში მივლინებით და მსოფლიოს აცნობს ქართველ მწერლებს.

უმცროსი ქალიშვილმა მაია კანკავამ კი, მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, სრულიად ბავშვმა „ვერის უბნის მელოდიებში“ მონაწილეობის გამო, ისეთი პოპულარობა მოიპოვა, მაყურებელი დღესაც სიყვარულით ლაპარაკობს მასზე.

გურამ კანკავა მაიაზე ამბობდა, რომ „ის სტანდარტებს არ ემორჩილება, ის გამორჩეული ინდივიდია“. გურამის ეს სიტყვები მაია კანკავას ხელოვნების ჟანრის მრავალმხრივობით ამტკიცებს ამას.

მაია კანკავა – მომღერალი, პიანისტი, ფერმწერი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ვოკალისა და ფორტეპიანოს განხრით. რვა წლის ასაკიდან გადაღებულია ფილმებში: „ჩაძირული ქალაქის მაძიებლები“ - რეჟ. დევი აბაშიძე; „ვერის უბნის მელოდიები“ - მიუზიკლი – რეჟ. გ. შენგელაია; „სიყვარულო ძალსა შენსა“ - რეჟ. რ. ჭარხალაშვილი; „პოემა აფხაზ ჭაბუკზე“ - რეჟ. ა. ჟღენტი; „უფროსი და“ - მიუზიკლი – რეჟ. ზ. კაკაბაძე.

სწავლობდა თეატრალურ ინსტიტუტში, სამსახიობო ფაკულტეტზე მიხეილ თუმანიშვილის კლასში; აგრეთვე, უნივერსიტეტის მეორად ფაკულტეტზე ფერწერის განხრით.

1993 წელს, ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელის, კონსერვატორიის პროფესორის ევგენი მაჭავარიანის წარდგინებით, გაემგზავრა ნოვოსიბირსკის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალზე (მაია კანკავა ვოკალი, დინარა ვირსალაძე – ფორტეპიანო). იქ მაია კანკავა ცნობილ ამერიკელ მომღერალთან, სპირიჩუელსების აღიარებულ შემსრულებელთან ჯო კარტერთან ერთად გახდა ფესტივალის ლაურეატი. ჯაზის ვოკალის საუკეთესო შესრულებისათვის ისინი დაჯილდოვდნენ უმაღლესი პრიზებით „მის ფესტივალი“ და „მისტერ ფესტივალი“.

ამავე წელს, საქართველოს ტელევიზიის მეორე არხის დაკვეთით, რეჟისორმა გ. მოლოდინაშვილმა მაია კანკავაზე გადაიღო ფილმი „ბრავო“.

1977 წ. საქართველოს კინოსტუდიის წარდგინებით, მაია გაემგზავრა მოსკოვსა და რიგაში, კინო-ფესტივალზე „Товарищ – кино 77“, სადაც თეატრალურ საკონცერტო დადგმებში იღებდა მონაწილეობას ისეთ ცნობილ მსახიობებთან, როგორებიც არიან ინოკენტი სმოკტუნოვსკი, ევა კივი, ჩურსინა, სვეტლანა ტომა და სხვები.

2002 წელს ჰქონდა პერსონალური გამოფენა როგორც ფერმწერს, გალერეა „ტიენე“-ში. 2003 წელს მიიღო მონაწილეობა სამხატვრო გალერეაში გამართულ გამოფენაზე, ხშირად მონაწილეობს მხატვარ გია გუგუშვილის მიერ გამართულ საქველმოქმედო აქცია-გამოფენებში, როგორც მხატვარი ფერმწერი.

როგორც ხედავთ, მაია კანკავას ჟანრი ხელოვნებაში მრავალწახნაგოვანია. მამამისის გურამ კანკავას ნათქვამის არ იყოს, „იგი სტანდარტებს არ ემორჩილება, ის ხომ გამორჩეული ინდივიდია“.

თამაზ ჩხენკელი

დილით ადრე ტელევიზიამ გვამცნო, რომ დღეს 26 მაისია, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. დაახლოებით ერთი საუკუნის წინ, ამ დღეს შეეწირა ათასობით ქართველი პატრიოტი, ჩვენი მამები და პაპები. კარგია, რომ ეს დღე არ გვავიწყდება. მაგრამ ჩემს თაობაში არიან ისეთი პიროვნებები, შინაგანად ყოველთვის თავისუფლები რომ იყვნენ და საბჭოური რეჟიმი ახლოს არ გაკარებიათ. ასეთებს მივაკუთვნებ ჩემს ძვირფას მეგობარს – თამაზ ჩხენკელს...

ჩემი სტუდენტური პერიოდის დროს ხშირად ვიკრიბებოდით მასთან, ცხაკაიას ქუჩაზე... ამ შეკრების დროს კომუნისტური რეჟიმის სალანძღავ, ან საქებ სიტყვას ვერ გაიგონებდით. ვსაუბრობდით მხოლოდ თეატრზე, ლიტერატურაზე და პოეზიაზე. მანამდე ხომ ცნობილი იყო თამაზის ლექსები ახლობლების წრეში, მაგრამ შემდგომ პერიოდში, როცა ის ხილიანზე გადმოსახლდა, ბინას სახელოსნოდ იყენებს და უფრო გადავარდნილია შემოქმედებით ცხოვრებაში. გაჩნდა ლექსების თარგმანების ციკლი, რომელიც მან ხარისხით გაუთანაბრა ორიგინალურ ლექსებს. მაგალითად რაბინდრანად თაგორი, ბო ძიუ-ის მომხიბლავი ლირიკა, რუსული პოეზიის შედევრები... თამაზი ჩემი მეზობელი გახდა ხილიანზე და როცა არ უნდა მიხვიდე, სტუმრისათვის კარი ყოველთვის ღია აქვს. ამის გამო, იზა ორჯონიკიძემ ხუმრობით ასეთი ლექსი უძღვნა:

ხილიანს მჯდომო თამაზოვ, ნიმუშო ქართველთ რასისა,
წინააღმდეგო დადების კარზედ კლიტის და რაზისა,
შე ულაგამო ბებერო, წვენით უძღებო ვაზისა,

კიდევაც კვნესდნენ დიაცნი შენგან ტანჯულნი აზიზად!

— ამ სახუმარო ლექსის შემდეგ მაინც დაადე ამ კარებს კლიტე, თამაზ!..

ამბობს, არაო.

ამ ორი ათეული წლის წინ, თამაზთან ვნახე სტუმრად მოსული ეკლესიის მსახური. თამაზმა კარადიდან გამოიღო ახლადგამოცემული წიგნი, სათუთად და საგანგებოდ შეუხვია და ისე გაატანა. ვინ იყო მეთქი, ვკითხე. მიპასუხა, ეკლესიაში დაინტერესებულები არიან ჩემი თარგმანებითო. ერთი წლის შემდეგ, ისევ ის კაცი ვნახე თამაზთან მოსული, თამაზმა კარადიდან გამოიღო სულ ახლახან გამოსული წიგნი, ისევ ისე სათუთად შეუხვია და გაატანა. შემდეგ მესამედაც ვნახე ის კაცი და ახლა, 20 წლის შემდეგ კიდევ ვეკითხები, კითხვას ვუმეორებ, თუმცა გუმანით ვხვდები ვისთან მიაქვთ ეს წიგნი. თამაზი მპასუხობს, ჩემი თარგმანებით საქართველოს პატრიარქი ილია II დაინტერესდაო.

ნინო დეკანოიძე

მუხტი გულახდილობისა

განხილვა იკა ქადაგიძის პუბლიცისტურ-ესეისტური კრებულისა „ქართული კორიდა“

მორიგი **სამშაბათობა** ჟურნალ **„ჩვენი მწერლობის“** დარბაზში.

განსახილველი წიგნი — **იკა ქადაგიძის „ქართული კორიდა“,** პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილებისა და ესეების კრებული. ამოიკითხავთ სატიტულო ფურცელზე, რომ „ეძღვნება ყველას, ვისაც სიმართლის არ ეშინია“. ჯანსაღი წინათქმაა, თუმცა გამომწვევი და, მიუხედავად იმისა, გამომცემლობა **„ცის ნამის“** სტამბაში დაბეჭდილი მწვავე კრიტიკული წერილების კრებულია და შარშან გამოჩენილა სამზეოზე, წაკითხვა მაინც ვერ მოუსწრია ბევრს. ეს შესატყობი გახლდათ დარბაზში, მუდამ შევსებული რომ არის გულმოდგინე აუდიტორიით, გნებავთ, ვთქვათ ამდაგვარად, ისეთი პროფესიონალი მკითხველებით, მაღალი კლასის ლიტერატურას არათუ უფრთხიან, შეიცნობენ და აღიარებენ; მიდარაჯებულნიც არიან, გულდინჯსა თუ ემოციურ საუბრებს მწერლობის შესახებ ყური მიუგდონ, გაიზიარონ ან არ გაიზიარონ...

და ასეთ ვითარებაში აქაური ლიტერატურული შეხვედრების სულისჩამდგმელი და მასპინძელი, მწერალი **როსტომ ჩხეიძე** შესავალ სიტყვაში განაზოგადებს, რომ მხატვრული სიტყვის ოსტატნი ვალდებულებად უნდა მიიჩნევდნენ, წერდნენ პუბლიცისტურ წერილებს. ამის ნიმუშად დღევანდელი ევროპა დაასახელა და რა თქმა უნდა ამ ჟანრის აყვავების პერიოდი საქართველოში — XIX საუკუნე. აკაკი წერეთელსა და ვაჟა-ფშაველას უფრო მეტი პუბლიცისტური წერილი აქვთ დაწერილი, ვიდრე ლექსი და მოთხრობაო.

სასიხარულოდ მიიჩნია, რომ დღეს პოეტები და პროზაიკოსები აქვეყნებენ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, რადგან მიმდინარე პროცესი და თანამოკალმის შრომა უკეთ მაინც მწერალს შეუძლია შეაფასოსო. სწორედ ამ მოღვაწეთა მიმდევრად აღიარა იკა ქადაგიძე; რომ იგი წერილს წერილზე წერს, დაინტერესებულია ჩვენი საკმაოდ ქაოტური და მწვავე რეალობით, თავისთავად რომ ითრევს და იწვევს ყოველივეს შესაფასებლად სიტყვის ხელოვანს.

საქებარი სხვაც ითქვა, რომ იკა ქადაგიძე, ნიჭიერებასთან ერთად, გამორჩეულია გულწრფელობით, დიდი პასუხისმგებლობით. შესაბამისად უკომპრომისოა. და ამიტომაც იკითხება მისი წერილები, როგორც სრულფასოვანი დოკუმენტური პროზა და თუ ვინმეს დაჭირდება ჩვენი დღევანდელობა შეაფასოს, ჩაიხედოს მის სიღრმეებში, ძალიან გამოადგება ამ ავტორის წერილები და კერძოდ განსახილველი წიგნი „ქართული კორიდაო“.

როცა ჯერი მომხსენებელზე მიდგა, ჯეროვნადაც წარუდგინა ქ-ნი **ნათია მეგრელიშვილი** აუდიტორიას. ის ახლახან გამოჩნდა ფართო საზოგადოების წინაშე როგორც პუბლიცისტი, მაგრამ ვინც ვიცნობთ, არის ძალიან კარგი მკვლევარი და ორი ჩინებული წიგნის ავტორი. ამათგან ერთი რომანია „+5“, მეორე კი „მოდი! გეძახი ათას წლის მერე (თამარ ციციშვილი)“ — მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუში და სწორედ ამ წიგნის განხილვაა გათვალისწინებული აქვე, ჩვენს დარბაზშიო — დასძინა როსტომ ჩხეიძემ.

მომხსენებელმა უპირველესად მადლობა გადაიხადა და აღნიშნა, სიამოვნებით ისაუბრებდა იმ ჟანრზე, ყველაზე მეტად რომ უყვარს ლიტერატურაში. შესავლისთვის რომანტიკულ-მისტიკურ თხრობასაც მიმართა, როგორიცაა ხოლმე „ხმის მოსინჯვა“ ორატორთაგან, უცნობი აუდიტორიის წინაშე წარდგომისას: „როდესაც იკამ ეს წიგნი მაჩუქა, პირველ წამებში მქონდა შემაშფოთებელი რეაქცია, იმიტომ, რომ ძალიან ცუდი მხედველობა მაქვს. დავხედე და იყო ძალიან წვრილი შრიფტი. ჩემს თავს დაველაპარაკე, ალბათ, დიდი დრო დამჭირდება მის წასაკითხავად-მეთქი. მოხდა ისე, რომ მეორე დღესვე მქონდა დასრულებული. არ ვიცი, ასოები გაფართოვდა თუ მე დამავიწყდა, რომ ვერ ვხედავდი, ანუ იმდენად ჩამითრია წიგნმა, ეს დაბრკოლებაც აღმოიფხვრა...

ეს არ არის მხატვრული პუბლიცისტიკა, ეს არ არის რომანტიკული წიგნი. მითუმეტეს წიგნი, რომელმაც შეიძლება დაგასვენოს ან მოგასვენოს; თუნდაც რაღაც თავისუფალი დრო ამოავსო მისი კითხვისას. პირიქით, ის განერვიულებს, გაშფოთებს, იწვევს უმწვავეს რეაქციებს.

იკას გმირებიდან ზოგიერთი ჩვენი თანამედროვეა, ზოგიერთიც წარსულიდანაა და თითოეული ძალიან სერიოზული ბიოგრაფიის მატარებელია. ამიტომაც დიდ ტკივილთან, ეგზისტენციურ გაჭრებთან არიან დაკავშირებულნი.

ძალიან მრავალრიცხოვანია მწერლის არჩევანი. ამ წიგნში შეხვდებით სხვადასხვა მისწრაფების ადამიანს. ზოგადად კი იმათზეა დაწერილი, რომლებმაც ცხოვრება იციან ან იცოდნენ. არაფერი ჰქონიათ შეფერადებული. ახსოვდათ უდიდესი პასუხისმგებლობა, ბევრი შეეწირა კიდეც ამ გრძნობას.

საერთოდ, ცოტა არ იყოს, იკა ქადაგიძის, როგორც მწერლის ენა, არაპოპულარულია ჩვენი სინამდვილისთვის. დღეს ხომ მიჩვეულნი ვართ პრიმიტიულ საუბარს და სულ რაღაც რამდენიმე სიტყვით შემოვიფარგლებით: „აღარაფერს ვლაპარაკობ მედიაზე, ზოგადად ჟურნალისტიკაზე, ასიოდე სიტყვა რომ ტრიალებს ყველა პრობლემასთან დაკავშირებით. უბრალოდ, ხდება მათი გადაადგილება და იცვლება კონტექსტი“...

ნათია მეგრელიშვილი და იკა ქადაგიძე

რახან წიგნის დევიზი სიმართლის ძიებაა, მომხსენებელმა, რასაკვირველია, ეს მიმართულება აირჩია. გასაკვირველი მხოლოდ ის გახლდათ, რომ არც აუდიტორია იყო ჭკუისსასწავლებელი და, მითუმეტეს, მასპინძელი ჟურნალი დასამუნათებელი, მშობლიური ენის მოუფრთხილებლობის გამო.

ორატორმა ისევ ხაზგასმით გამოკვეთა, რომ „უკვე დიდი ხანია ქართველები არცერთი პარამეტრით ასე აღარ ესაუბრებიან ერთმანეთს, როგორც წიგნის ავტორი წერს“... და რომ არ სცოდნოდა იკა ქადაგიძის ასაკი, იფიქრებდა, ის მოდიოდა წარსულიდან.

ნათია მეგრელიშვილმა სახელდახელოდ, მაგრამ ხატოვანი სიტყვებით იკა ქადაგიძის, როგორც შემოქმედის პორტრეტიც ჩამოძერწა. აღნიშნა, რომ ერთი შეხედვით ეს ხალისიანი და არტისტულად მომხიბლავი ახალგაზრდა ქალი გიძნელებს დაიჯერო, ამდენი საფიქრალ-სადარდებლით, საქვეყნო საზრუნავით შეპყრობილი რომ არისო. თანდათანობით სიტყვა მოზაიკურ ჭრილში შეიყვანა; შეეხო უამრავ სადღეისოდ აქტუალურ პრობლემას, თანაც მადლიერება გამოხატა ავტორისადმი, რადგან მიიჩნია, იმპულსები გულახდილი საუბრისათვის სწორედ მისი წიგნიდან იყო წამოსული.

ერთისა და უამრავის სატკივარი ანუ რას იტევს ნაცვალსახელები „მე“ და „ჩვენ“, მომხსენებელმა ფილოსოფიურად განიხილა: „ნებისმიერი მოვლენა, გვეხება ის პირადად თუ არ გვეხება, უნდა შეგნებულად შევიხოთ. ჩვენი წარსული, სამწუხაროდ, რომანტიკად ვაქციეთ, შევფუთეთ ყველაფერი რომანტიზმით. საქართველოს წარსულზეც ამ გრძნობით ვლაპარაკობთ. ემიგრაციაზეც რომანტიკულად ვლაპარაკობთ, იმათზეც, წლების განმავლობაში რომ გარბოდნენ და ახლაც გარბიან. სხვათაშორის, ჩვენ გავურბივართ ისტორიულ გამოცდილებას“... მერე საკუთარი ცხოვრებისეული ეპიზოდებიც მოიშველია და შთამბეჭდავად მოყვა, საფრანგეთში მივლინებულს როგორი სასოწარკვეთა დაეუფლა, ლევილის სასაფლაოს მოხილვისას — სამშობლოს ნატრული რამდენი უცნობი ქართველი განისვენებს სხვის მიწაში და არიან გამეტებულნი დავიწყებისათვის სამარადჟამოდო.

ნათია მეგრელიშვილი უფრო შორეულ წარსულსაც გადასწვდა და რომანტიკოსის ცნობილი ლექსის სათაურით გაწყობილი იკა ქადაგიძის ესეი — „ვაჰ, დრონი, დრონი“ — სიმართლის რკვევის ნიმუშად დაისახა.

გავრცელებულ მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ, მოკრძალებული ვარაუდი წიგნის ავტორისა, უიღბლო ნინო ჭავჭავაძის სათუო ერთგულებაზე ალექსანდრე გრიბოედოვისადმი, ნათია მეგრელიშვილმა, ფსიქოანალიტიკოსთა მოსაზრებებზე დაყრდნობით, საკუთარი თვალთახედვითაც განავრცო. ამგვარად მოიწადინა დამარხული საიდუმლოს გახსნა. მომხსენებლის ემოციურ და ორატორულ სითამამეს კი დარბაზმა ნაკლები შემწყნარებლობით დაუგდო ყური... რეპლიკებმაც არ დააყოვნა.

ახმაურებული დარბაზის დასაშოშმინებლად ირონიაც მოიმართა მოულოდნელი: „ძალიან დიდი ბოდიში, არ მეგონა, ამ დარბაზში ვინმე გრიბოედოვის ნათესავი თუ იყო და პირადად მას ვაწყენინეო“. მერე კი კრიტიკის მსუსხავი ბუქიც დაატრიალა: „ჩვენ ხომ საერთოდ მითოლოგიზებული საზოგადოება ვართ. ზეადამიანები. მითოლოგიზებულ საზოგადოებაში ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ. სხვათაშორის, თუ ასე გვიყვარს ნინო ჭავჭავაძე, მისი საფლავი ასე ნაგავში ჩამხრჩვალი არ უნდა იყოს და ვინც თვლის, რომ მან სიყვარულს შესწირა თავი, წელიწადში ორჯერ მაინც ავიდეს მთაწმინდის პანთეონში, გაასუფთავოს მათი აკლდამა. პირადად მე ასე ვიქცევი, ჩემი ხელით ვასუფთავებ ნაგვის ყუთად ქცეულ საფლავსო. ცხადია, ისევ გაკვირვება გამოიწვია ამგვარმა თავმოწონებამ, მხილებამ თუ მოულოდნელმა ბრალდებამ...

ნათია მეგრელიშვილმა განსაკუთრებული სითბოთი განიხილა და თანმხვედრი განცდებიც შეაგება იკა ქადაგიძის ესეის „ჩემი ბიბლიოთეკის სული“, ხოლო „ყვითელი

ყვავილის აპოკრიფი“, რომელიც მიძღვნილია შიო მღვიმელის ქალიშვილის და თავადაც შესანიშნავი მწერლის ქეთევან ქუჩუკაშვილისადმი, საკუთარი მოგონებებით დრამატულად გაამძაფრა.

ამჯერად აღარ მოვიხმობთ მისეულ მოგონებებს ციტატებითურთ; თუნდაც გარდაცვლილთა სულების წინაშე მოკრძალების გამო. ისე კი მორიდებულად... სანატრელი, ევროპულს მიმსგავსებული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის, ალბათ, სხვა და სხვა მიზეზია მოსაშორებელი. ლაპარაკს და ლაპარაკს, გნებავთ ემოციით დამუხტულს, ჯერ სარგებელი არ გასცვენია ჩვენი დათრგუნული საზოგადოებისათვის. ამას გვკარნახობს ბედკრული გამოცდილებაც...

ორატორმა ლაკონიურად ისაუბრა იკა ქადაგიძის იმ ესეებზე, როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანებს რომ მიეძღვნა; კერძოდ „ალექსანდრე ორბელიანის“ შესახებ. „დიდი გარღვევა იყო, როდესაც ეს წიგნი დაიწერა, იმიტომ, რომ ალექსანდრე ორბელიანზე ცალსახა დამოკიდებულება ქართველებს არ გააჩნდათ. ერთი ნაწილი მომეტებულად კრიტიკულად იყო განწყობილი, მეორე — პირიქით. და მე ვფიქრობ, როსტომის ამ რომანმა დააბალანსა და ყველაფერს დაარქვა თავისი სახელი“.

დასასრულ მრავლისმომცველი მოხსენება ამგვარად შეჯამდა: რომ იკა ქადაგიძის „ქართული კორიდა“, წესით, უნდა იქცეს ბესტსელერად: არ უნდა შერჩეს თაროს და ღირსია, ხელიდან ხელში გადავიდეს. მხოლოდ ასე შეიძლება ამ ჩინებულ წიგნს მიენიჭოს საკადრისი ღირებულება.

სამწერლო ასპარეზზე მრავლისმომსწრის დამაჯერებლობით იტყვის როსტომ ჩხეიძე: — ასეთ წიგნზე მსჯელობა ყოველთვის იწვევს მღელვარებასო... და სიტყვა შესთავაზა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს **ზოია ცხადაიას:** „ეს ერთი შეხედვით პატარა წიგნი როცა წავიკითხე, ძალიან ბევრის მომცველი აღმოჩნდა. სათაური ხომ პირდაპირ მიანიშნებს, რომ უამრავ პირუთვნელ და სამართლიან სიტყვას იტევს. შეგუება ბევრ რამესთან, რასაც ვაწყდებით ცხოვრებაში, წიგნის ავტორისთვის მიუღებელია. შევეცდები იმ წერილებზე გესაუბროთ, რაზეც ნაკლებად იყო ყურადღება გამახვილებული“.

სიტყვით გამომსვლელმა მიმოიხილა წერილები, მიხეილ ჯავახიშვილის რომანებს რომ ეძღვნება და დასძინა: — რამდენიც უნდა დაიწეროს კლასიკოსის მემკვიდრეობაზე, ყოველი ნიჭიერი ლიტერატურათმცოდნე სიახლეს მაინც დაგვანახებსო. ასეთად მიიჩნია წიგნის ავტორი — საინტერესო ჭრილიდან გვახედებს მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში და თვალსაჩინოდ გვაგრძნობინებს მის უკომპრომისობასო.

ზოია ცხადაიამ საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება წიგნში თავმოყრილ იმ ესეებსა და წერილებზე, როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანებს რომ ეხმაურება. შესაბამისი ციტატებიც მოიშველია და მიიჩნია, რომ როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანებში მხატვრულ გამონაგონს მცირე ადგილი უკავია, წინა პლანზე მხოლოდ რეალობა და ფაქტების უტყუარობაა, რომ აღდგენილია ეპოქის სულისკვეთება და ამ ფონზეა გამოკვეთილი ეროვნული მრწამსის გამომხატველი რეალური გმირები ჩვენი ისტორიისა...

სიტყვით გამომსვლელმა გაიზიარა იკა ქადაგიძის მოსაზრება და განმარტა თავის მხრივაც, რომ ამ რომანების წარმატებას განაპირობებს ავტორის ენციკლოპედიური ცოდნა, უტყუარი ალღო, დახვეწილი გემოვნება და შესაშური შრომისმოყვარეობა. ამავე დროს არც მომადლებული ნიჭი — მეხსიერება — გამოტოვა: „რომ მკვლევარის მასშტაბური აზროვნება მიმართულია ქართული კულტურის აკრძალული თუ ნაკლებად შესწავლილი მემკვიდრეობის სრულყოფილად წარმოჩენისათვის და აგრეთვე, როსტომ ჩხეიძის მიერ, არაერთი უსამართლოდ გამეტებული მოღვაწე დაუბრუნდა ქართულ სააზროვნო სივრცეს.

ზოია ცხადაიას გამოსვლა სიტყვაუხვობაში ლამის დაეტოლებოდა მოხსენებას, შესაბამისად განსახილველი წიგნის სრული ანალიზიც გამოუვიდა. მან საგანგებოდ გამოჰყო რეცენზია რუსუდან ნიშნიანიძის სამაგიდო წიგნზე — **XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან**. სათანადო ციტატების მოხმობით ისაუბრა აგრეთვე იკა ქადაგიძის სხვადასხვა ესეიზე: 42-იანელების თაობაზე და იმათზე, ჩვენ თვალწინ რომ ფრთიანდებოდნენ პოეტებად და ბედისწერას ვერ გაექცნენ — **გოგიტა არაბული, რატი ნინუა, დათა გულუა.**

დასასრულ სიტყვით გამომსვლელმა მადლობა გადაუხადა „ქართული კორიდას“ ავტორს, ვინც გამუდმებით შეახსენებს ქართულ საზოგადოებას იმათ სახელებს, დავიწყებას რომ არ უნდა მიეცნენ.

გულითადობით, სისათუთით იყო გაჯერებული პროფესორ **რუსუდან ჭანტურიშვილის** სიტყვა: დაახასიათა რა იკა ქადაგიძე, როგორც ნიჭიერი და მრავალ ჟანრში მომუშავე მწერალი, დასძინა, ყველაფერს, რასაც იგი აკეთებს, სიმართლე აერთიანებს და, შესაბამისად, დგას ჩვენი მწერლობის სინდისის სადარაჯოზეო. მან გულისტკივილით მოიგონა ახალგაზრდა პოეტები, რომელთაგან ერთ-ერთი — რატი ნინუა — მისი საყვარელი სტუდენტიც ყოფილა.

რუსუდან ჭანტურიშვილმა მიიჩნია, რომ „ქართული კორიდა“ საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვისაც უნდა გახდეს ხელმისაწვდომი, რათა ახალგაზრდებმა ეროვნული სულისკვეთებით იაზროვნონ.

ახალი წიგნი მიულოცა რა ავტორს პროფესორმა **რუსუდან ნიშნიანიძემ**, აღნიშნა „ქართული კორიდა“, როგორც უკვე ითქვა, იწყება მიხეილ ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი წერილებითო. დასძინა ისიც, რომ იკა ქადაგიძის სადისერტაციო-საკვლევი თემა ამ მწერლის შემოქმედება იყო. როგორც ჩანს, ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთები შეარჩია და წერილების ფორმა მისცა წიგნშიო.

ძალიან საინტერესო კვლევად მიიჩნია აგრეთვე იკა ქადაგიძის წერილები როსტომ ჩხეიძის რომანებზე. ბიოგრაფიული რომანების ავტორის დამსახურება ქართული მწერლობისა და ლიტერატურის ისტორიის წინაშე სამართლიანად მიუთითაო — დასძინა.

რუსუდან ნიშნიანიძემ აღარ გამოტოვა თავის წიგნზე — XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან — მიძღვნილი წერილიც. ძალიან საქმიანი, კარგი ლიტერატურული თვალითა და ზუსტი აქცენტებით წაკითხულად დაახასიათა.

„ჭაბუკი პოეტების რეკვიემი“ — მიძღვნილი გოგიტა არაბულის, რატი ნინუასა და დათა გულუასადმი, აღიქვა

ტრაგიკულად აღსრულებული ნიჭიერი ახალგაზრდების ლიტერატურულ მონატრებად ავტორისაგან.

რუსუდან ნიშნიანიძემ მოწონებით ისაუბრა რეპორტაჟზე „შტრიხები წიგნის ისტორიისათვის". გაახმაურა უკვე ნათქვამიც, რომ იკა ქადაგიძის შემოქმედებიდან დოკუმენტური პროზის ნიმუშები არცთუ ცოტა შეიძლება აირჩეს. საგანგებოდ დაასახელა რეპრესირებული მწერლის, შალვა მჭედლიშვილისადმი მიძღვნილი წერილები, ხოლო „ყვითელი ყვავილის აპოკრიფი", იკა ქადაგიძის მიერ სევდისმომცველი გულისხმიერებისა და უდიდესი სითბოს გამოხატულება, საგანგებოდ გამოყო.

დასასრულ აღნიშნა, ყოველი წიგნი ტოვებს თავის განწყობა-დამოკიდებულებას და, შესაბამისად, არც „ქართული კორიდას" მკითხველი დარჩება გულგრილი, როცა ამ წიგნს წაიკითხავსო.

ლაკონიური, თანაც შთამბეჭდავი იყო სოხუმის უნივერსიტეტის დოქტორანტის, ახალგაზრდა, იმედისმომცემი ლიტერატორის **თამარ ყალიჩავას** სიტყვა, თუმცა მის წინამორბედთა დარად, მის გამოსვლასაც შემოკლებულად გთავაზობთ:

„საყოველთაო გულგრილობის პირობებში ამაღელვებელია იკა ქადაგიძის გამორჩეული თვისება — ჩრდილში მდგომი ხელოვანების სიყვარული. საგანგებოდ რომ ეძებს და წარმოაჩენს, საკადრისი პატივის მიგებას ცდილობს. მისი პოზიცია ნამდვილისა და ფსევდოს ერთმანეთისაგან გარჩევაა. ამიტომაც ჭეშმარიტი ხელოვნების სიყვარულს გვიორკეცებს. მისთვის უცხოა და მიუღებელი „პოპულარულ სახელებით ვაჭრობა", რასაც პირწმინდა სნობიზმის გამოვლინებად მოიაზრებს. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი, ამგვარი წიგნებით კერპადქცეულ ბომონთა მსხვრევაა, რათა ჩვენს ძალიან სუსტ თაობას შეეშველოს.

XXI საუკუნე ცრუგმირთა აღზევების ეპოქაა. ტრაგიკულად დაშორებია ერთმანეთს იდეალი და რეალობა... სამწუხაროდ, ჩვენში ინერციით გრძელდება გულგრილობა საკუთარი კულტურისა და სახელმწიფო მოღვაწეთა მიმართ. მამულიშვილნი მითიურ, ბუნდოვან ლანდებად მიიჩნევიან. „ქართულ კორიდაში" მოხელთებული უკვდავი, მებრძოლ მამულიშვილთა სული რწმენისა და იმედის, ჩვენი ერის მომავლის თავმდებია:

ეს წიგნი არ არის მხოლოდ პატიოსან და უპატიოსნო მწერლებზე. არც იმ ადამიანებზე, რომელთაც მეტეორებივით გაიელვეს და მკრთალი კვალი დააჩნიეს ჩვენს მწერლობას: გოგიტა არაბულის, რატი ნინუას, დათა გულუას შემოქმედებისა და პორტრეტების ჩამოძერწვისთვის განსაკუთრებული მადლობა უნდა ვუთხრათ ქალბატონ იკას, ვინც მებრძოლ სულს აღვიძებს და იმ განწყობილებას, რომელიც ფარიცაა და ხმალიც, რათა ქართულმა ფესვმა და გენმა იმძლავროს. მისი რწმენით, უდროოდ წასული ახალგაზრდების სულია, ყველა ჩვენგანში რომ უნდა აგრძელებდეს ცხოვრებას.

წიგნის პარალელურ ხაზებში ხელოვანის ტკივილებს ეროვნული ბედისწერით გამოწვეული ტრაგიზმი შერწყმია. ღიღინით თვალმისადევნებ სტრიქონებს ამ წიგნში ვერ შეხვდებით, მასში ასახულ ურთულეს ყოფას ისევ ქალბატონი იკას დახვეწილი იუმორი თუ ამსუბუქებს. მაგრამ მწერალი მოდუნების უფლებას არავის აძლევს, სათაურიდანვე გაცხადებული შემართება „ქართული კორიდა" მხურვალე ემოციით შემოდის სულსა და გულში".

მწერალმა **ჯემალ ქირიამ** ცოტათი შინაურული, მაგრამ მადლიერი კაცის სიტყვებით განავრცო თავისი გამოსვლა: „იკა ქადაგიძე არის ყველა დაჩაგრული მწერლის მფარველი, თანაც არა მხოლოდ გარდაცვლილთა. მეც გადმომწვდა მისი ხელი, როგორც დაჩაგრულ ადამიანსო", და კოლეგიალური თანადგომის მაგალითებიც დაასახელა. კერძოდ, როგორი გულითადობით გაახმაურა საპატრიარქოს რადიოს საავტორო-ლიტერატურულ გადაცემაში ამ მართლაც ჩრდილში მდგომი ნაყოფიერი მწერლისა და უაღრესად საინტერესო ბიოგრაფიის ადამიანის შემოქმედება.

ფაქტობრივად, ჯემალ ქირიას გამოსვლამ დარბაზში მყოფთაგან ბევრს გაუჩინა სურვილი, მიელოცათ იკა ქადაგიძისათვის „ქართული კორიდას" გამოცემა და მისი გულისხმიერების შესახებაც ორიოდე სამადლობელი სიტყვა ეთქვათ. საინტერესო უფრო ის აღმოჩნდა, რომ წიგნში გაკრიტიკებული ახალგაზრდა ლიტერატორი სერგი ლომაძე დაჟინებით მოითხოვდა, ხმამაღლა და კეთილმოსურნედ — იმ საღამოსვე შეეფასებინათ იკა ქადაგიძის, როგორც ნიჭიერი მწერლის ფენომენი, თუმცა, თავის მხრივ, მიიჩნევდა, რომ კრიტიკას არ იმსახურებდა.

დარბაზში იმატა ემოციებმა, მაგრამ ღონისძიების წარმმართველის შესაშურმა სიმშვიდემ და აუმღვრევლობამ დინებას წყნარი კალაპოტი მისცა...

სიტყვებით გამოვიდნენ: **აკაკი ბრეგაძე, ციალა არდაშელია, სევერიან ნადირაძე, თემურ ცერცვაძე, ზურაბ თორია, ირაკლი ავალიშვილი;** სტეფანწმინდიდან საგანგებოდ ჩამოსულმა **თენგიზ ავსაჯანიშვილმა** წაიკითხა საკუთარი ლექსი.

აღინიშნა, იმის მიუხედავად, რომ „ქართული კორიდა" მძაფრ კრიტიკულ წერილებსაც აერთიანებს, ვერსად ამოიკითხავთ ბოღმას, პირიქით, ყოველთვის ამოიცნობა ნამდვილი ჭირისუფალი, საზოგადოებისა თუ თითოეული ადამიანის მანკიერებათა მხილებისას. ითქვა ისიც, რომ მწერალმა გააცოცხლა და წარმოაჩინა ისეთი ადამიანები, ახალგაზრდებმა იდეალებად რომ უნდა დაისახონ, და იკა ქადაგიძე, როგორც ნიჭიერი და მრავალმხრივი შემოქმედი იმითაცაა გამორჩეული, რომ უშიშარია, ანუ ისეთი გაბედული, მამაკაცსაც რომ შეიძლება შეშურდეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, სიტყვით გამომსვლელებს აღმოაჩნდათ სხვადასხვანაირი საწუხარი, საქვეყნო თუ საზოგადოებრივი საზრუნავით გაჯერებული. მეტიც, რახან ჭეშმარიტების რკვევის მუხტი „ქართული კორიდიდან" მიიღეს, „ჩვენი მწერლობის" დარბაზი სასურველ ასპარეზად დაისახეს...

დაბოლოს, შემაჯამებელი სიტყვა ავტორმა, იკა ქადაგიძემ თქვა: „ვფიქრობ, რომ აკადემიურობას ჩვეულ ამ დარბაზში წიგნის სათაურის შესაფერისი ხმაური იდგა. ისეთი გამოცოცხლება იყო, ემოციების მოთოკვა ბევრს გაუჭირდა. თავისთავად ესეც მეტყველებს, რომ ქართველები არტისტული ბუნების ხალხი ვართ... მაგრამ მაინც მიმაჩნია, მწერალი არ უნდა თამაშობდეს. ვისაც ჩემი წიგნები წაუკითხავს, დამიჯერებს, ყოველთვის გულახდილი ვარ და ვწერ მხოლოდ სიმართლეს".

როსტომ ჩხეიძე

საფლავი, კვამლი, ზეცის თავანი

(რეზო ჭეიშვილის სატირულ-გროტესკული სამყაროს ანარეკლები)

ჩამავალი მზის სხივებსა და სილის უსასრულო ძაბრში მიტრიალებს დრო.

ეს რეზო ჭეიშვილის დროა.

ყველაფერი კვამლში გახვეულა და ჩაძირულა — გნებავს ჩაკეტილსა და გნებავს გაშლილ გარემოში.

ეს რეზო ჭეიშვილის სივრცეა.

ადამიანები სხვისი გვარითა და სახელით ინიღბებიან და სრული გაიდუმალებისა და შეფარვისათვის — სხვისი თავითა და ტანითაც.

ეს რეზო ჭეიშვილის პერსონაჟებია, ერთმანეთისა რომ სრულიად არაფერი გაეგებათ და მოსმენაც არ შეუძლიათ, ურთიერთთანაგრძნობას ვიღა ჩივის.

ფორმა ყველასა და ყველაფერს დაუკარგავს, დაკლაკნილა, გადაფერდებულა, ჩამოღვენთილა, გამოცარიელებულა, დაშლილა — მკილისაგან გამოხრულ ფიცარს დამსგავსებია; და კიდევ — ჩასორსლილა, ჩაგმანულა, ჩალუსკუმებულა.

ეს რეზო ჭეიშვილის მხატვრული სამყაროა, იმ უკიდურესობას მიღწეული, როდესაც სადღაც შორს დარჩენილა ლირიკული ინტონაციები, მსუბუქი ირონია, ლაღი იუმორი, ოდნავ სასაცილო, მეოცნებე პერსონაჟები — მისი პირველი ბელეტრისტული თხზულებების ნიშან-თვისებანი, და სულ უფრო მომძლავრებულ და მწვავე სატირას მორევივით შთაუნთქავს ამაღლებული მისწრაფებანი და ოცნებანი ისე დაუმიწებია და გაუპამპულებია, თითქოს ნასახიც აღარსად დაუტოვებია ზეცისაკენ ლტოლვისა.

მოახლოებულა ჟამი არა ძე ღვთის მოლოდინის, არამედ ანტიქრისტეს გამოცხადებისა, და ადამიანს სხვა აღარა დარჩენია რა, გარდა საკუთარი თავის მკილად შეგრძნებისა:

— მაქვს ცოდნა მკილისა, განათლება მკილისა, ხედვა მკილისა, შეცნობის უნარი მკილისა, პერსპექტივა მკილისა: მომეც ბარემ ძალი მკილისა, იმედი მკილისა და წაიღე ჭკუა ჩემი, დარდი ჩემი, სიკეთე ჩემი და სიყვარული ჩემი...

ესეც ამ თავზარდამცემი ჟამის შესაფერისი ლოცვაც და ნატვრაც.

მე მატლ ვარ და არა კაც, — დავით წინასწარმეტყველიც გალობდა თავის ფსალმუნებში, ოღონდ ეს „მატლ“ ისეთი სიმაღლიდან ითქმოდა, დამცირებას კი არ შეგაგრძნობინებდა, არამედ თავმდაბლობას უფლისა და მის მიერ შექმნილი სამყაროს უსაზღვროების წინაშე, სულიერ გამძლეობას გინერგავდა, სასოს კი არ წარგიკვეთდა.

გამქრალა ის დრო-ჟამი.

ნაფხვენებადღა მიმობნეულა.

და ის პასაჟი, პერსონაჟი რომ დაიჟინებს, ამჟამად მეოცე კი არა, მეცხრამეტე საუკუნეაო („ათას ცხრაას მეოცეა?.. ათას ცხრაას ოთხმოცი... მეთვრამეტე გამოვიდა“) იუმორად კი აღარ აღიქმება, არამედ ქრონოლოგიური დროის სრულ რღვევადაც და რეზო ჭეიშვილის მხატვრულ გარემოში დასახლებულ ადამიანთა გამოკიდებად უსივრცობასა და უჟამობაში.

მერე კი... მერე...

სადღაც შორს უნდა იელვოს ნუგეშის სიტყვამ.

თუმც ჯერ ანტიქრისტემ უნდა იმსხვერპლოს ენუქ და ილია და მრავალნი სხვანი, ამოჟლიტოს თუ აცთუნოს, და მხოლოდ შემდგომად ამისა გაისმას საყვირთა ცემა ანგელოსთა მიერ და მკვდარნი გაცოცხლდნენ და ცოცხალნი წამიერად აღესრულონ და იქვე აღდგნენ მკვდრეთით; ჯოჯოხეთის გადახსნილმა პირმა კი ამოუშვას ცეცხლი და დაბუგოს ყოველი მტერი ქვეყნისა, და მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისა, ჯვარი ცხოველმყოფელი, და დაიდგას საყდარი დიდისა მეუფისა.

სახარების ეს სტრიქონები მთელი სიცხადითა და მღელვარებით უნდა შემოიჭრას არა მხოლოდ ერთი მოთხრობის — „მეოთხე სიმფონია“ — ფინალში, არამედ იდუმალად განმსჭვალოს რეზო ჭეიშვილის მხატვრული წარმოსახვანი.

ჯერჯერობით გაუჩინარებულა ღმერთი.

და მკილის დაუმცხრალ ჟინსა და მიწისა და ფიცრის ხვრას შეჭიდებია სიყვარული და მოთმინება, რწმენა და ხსოვნა, დარდი და იმედოვნება ადამიანისა.

მრუდესარკისებური სიზმრისეული სიმბოლიკაო, — ასე განსაზღვრავდა თომას მანი ფრანც კაფკას „ციხე-კოშკისა“ და საერთოდ მთელი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის მხატვრულ თავისებურებასა და ზოგად სტილისტიკას ბევრგვარი განსჯისა და ამა თუ იმ ტერმინის ამაოდ მისადაგების შემდგომ, და ეს ის განსაზღვრებაა, ძალდაუტანებლად რომ დაესესხები რეზო ჭეიშვილის სტილურ მანერასა და წარმოსახვებზე მსჯელობის დროსაც.

ღმერთმოკლებული სინამდვილე ამ მხატვრულ სამყაროში მთელი სისავსით გადმოსულა და ურთიერთმონაცვლე ნატურალიზმსა და სიმბოლიზმს განუსაზღვრავს თხრობის ის სტილური დინება, ყველაზე უკეთ რაც დაშვენდა ამ მწერლური სახელმწიფოს აშენებას, სახელმწიფოსი, სადაც არაფერია შეფერადებული და ხელოვნურად მანუგეშებელი, და თუ ვერსად გიპოვნია სულისმოსათქმელი უაღრესად დაძაბულ თხრობაში ჩათრეულს, უნდა გახსოვდეს, რომ რეზო ჭეიშვილს დანდობა არა სჩვევია — დაე ილუზიებს ნუ გამოედევნება მისი მკითხველი და ყოფითი რეალობა აღიქვას ისეთი, როგორც სინამდვილეშია და... როგორც ამ მხატვრული სამყაროს ფურცლებზეა, რომლის ერთი მთავარი ნაკადიც ნოველებისა და მოთხრობების ის რკალია, ამ მხატვრული სისტემის მთავარ ძარღვს, მის ფსიქოლოგიურ თუ ფილოსოფიურ სარჩულს რომ ქმნის: „რესემონი“, „მიწების განაწილება“, „გია“, „ჭა“, „ვაიმე, ჩემო ვენახო“, „მეოთხე სიმფონია“ და „კვამლი“, — და ეს ნაკადია, რეზო ჭეიშვილის სხვა მოთხრობებსა და რომანებშიც რომ გაშლილა, განტოტვილა და ბევრგვარი ნიუანსითაც შეუვსია ის მხატვრული წარმოსახვანი, ყირაზე დამდგარი ქვეყნიერება ძირისძირობამდე რომ გამოუშიგნავს, გამოუწურავს და ისე გაუშიშვლებია და გადმოუფარჩავებია მისი არსი.

სურათები ერთიმეორეს კალეიდოსკოპური სისწრაფით მიჰყვება და რიტმის პულსაციაც აჩქარებულია, თითქოს სცენარს მოურგია მხატვრული საბურველიო. ბიოგრაფიულად მახლობელია მწერლისათვის სცენარისტობა, მაგრამ ხელოვნურად არაფერი გადმონაცვლებულა ერთი მხატვრული სფეროდან მეორეში, ეგაა, შესაძლოა კინოსამყა-

როსთან ზიარებამ გაუადვილა ამ რიტმის მონახვა, ამოსუნთქვის დროსაც რომ აღარ გიტოვებს.

მხოლოდ გაუადვილა, თორემ შინაგანად, ეტყობა, იმთავითვე აქეთ ისწრაფოდა.

და ეს რეზო ჭეიშვილის რიტმია.

სილის უსასრულო ძაბრში მობორიალე.

კვამლში გამოხვეული.

დაშლა-დაქუცმაცების მიმანიშნებელი.

და დამადასტურებელი იმ ტრაგიკული შეგრძნებისა, რომ ყოფითი სინამდვილეც, თვალითხილული სურათებიც კი უცნაურად შეიძლება აიჭრას, აილუფხოს ადამიანთა ცნობიერებაში და, არამცთუ სხვადასხვაგვარად დაამახსოვრდეს თვითეულ პერსონაჟს, მათ მონათხრობთა მოსმენამ სრულიად დაგვიკარგოს სურვილი იმ ამბის მეტ-ნაკლები სიზუსტით აღდგენისა.

ასეთი ურთიერთდაცდენა ნამბობებს შორის ნამეტანია? ნამეტანი თვით ყოფითი რეალობაა და მხატვრულ საბურველში გამოხვევისას თავის ამ ბუნებას ინარჩუნებს. და ამიტომაც შეზავებია ერთმანეთს ცხადი და ზმანება, და ვეღარ დაგიბეჯითებია, თუ სად მთავრდება ერთი და სად იწყება მეორე.

ეს რეზო ჭეიშვილის სიზმარ-ცხადის გასაყარია.

— დავწერ, არ დაიჯერებენ! — „ჭის“ პერსონაჟს მწერალი თავის ყველაზე მძაფრ განცდას გამოათქმევინებს.

ეს რეზო ჭეიშვილის სკეპსისია, სკეპსისიც და... მკითხველის შეგულიანებაც — გადაიხედოს ყოფითი, ბანალური სინამდვილის მიღმა და გულდასმით ჩაუკვირდეს იმ სიმბოლიკას, ამ მხატვრული სამყაროს ხვეულებში რომ განფენილა და, მიუხედავად შეფარვისა, მის არსს რომ განსაზღვრავს — კვამლში მობორიალე მზით დაფერილს.

ნატურალიზმისაკენ სწრაფვა კი დოკუმენტალიზმის აუცილებლობასაც აგრძნობინებდა და ეს ნაკადიც — დოკუმენტური ფონით წარმოჩენილი — ბუნებრივად გაღრმავდებოდა და გაიშლებოდა, როგორც მისი სტილისტიკის აუცილებელი ნიშანი. მარტოდენ ბიოგრაფიული რომანი კი არ იგულისხმება — „რკინის სახკომი“, არამედ მთელი სერია მემუარული ყაიდის თხზულებებისა, აი, იმგვარის, „დების სიმღერა“ რომაა, „სქოლიო“, „კონსტანტინე“, „პედაგოგი ჯურხაძე“... და ამ ნაკადს თეორიულ საყრდენსა თუ საფანელსაც მიაშველებდა: დოკუმენტური პროზა მომავლის პროზად მიმაჩნიაო.

როდესაც ერთი ადრეული თხზულების — „ნოველა საღუდეში“ — მთავარ გმირად შემოყვანილ მწერალს მიაწერდა განსაკუთრებულად დაკვირვებული მზერის უნარს: საგნებს, მოვლენებსა (თუნდაც უმნიშვნელოს) და ადამიანებს იოლად აკავშირებდა ერთმანეთთან. ეს თვისება კი, ისევე, როგორც სმენა, ხმა ან ყნოსვა, შეიძლება დაბადებითაც კი დაჰყვა და შემდეგ ჩვევაში გადაეზარდაო, — შეგნებულად თუ ქვეშეცნეულად საკუთარ თავს იგულისხმებდა და პერსონაჟის ზოგადი სტილისტიკის დახასიათებისას თავისი წერის მეთოდს გაამჟღავნებდა:

— თვალწინ გათამაშებულ ზოგიერთ სცენას, ეპიზოდს, ამბავსაც კი ზოგჯერ აღიქვამდა არა სინამდვილედ, არამედ ნოველად, მოთხრობად ან სცენარის ეპიზოდად.

და ამიტომაცაა, რომ თუნდ იმ ერთ ლიტერატურულ საღამოზე მშვიდად რომ ათვალიერებდა დამსწრე საზოგადოებას, მოკამათესაც და მსმენელსაც, ეჩვენებოდა, ეს ის ადამიანები არიან, მერე და მერე ჩემი თაბახის გვერდებში, პიესებში, მრავალკარიანი რომანის თავებში რომ მიიკარგ-მოიკარგებიანო.

რეზო ჭეიშვილი

ისიც სავსებით ბუნებრივია და ნიშანდობლივი, რომ სალუდეში შესული პერსონაჟი მწერალი მის თვალწინ გაქვავებულ სურათს ისე მისჩერებია, როგორც უკვე გამზადებულს, დაწერილსა და — ესეც კი უნდა მოეჩვენოს მოგვიანებით — დაბეჭდილ ნოველას.

ესეც რეზო ჭეიშვილის სტილური მანერის კიდევ ერთი ნიშანდობლივი შტრიხი: იმდენად მზამზარეულად აღიქვას რეალური სურათები, გამოქვეყნებული ტექსტისაგანაც კი აღარ განერჩეოდეს.

* * *

და კლასიკურ ლიტერატურასთან გადაძახილსაც ისე მოირგებდა, რომ დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის“ მთელი სცენა გადმოვიდოდა მოთხრობაში „მეოთხე სიმფონია“ — პაროდიულად სახეცვლილი (შვილის გათხოვების ოცნებას ახალ დროში უმაღლეს სასწავლებელში მისი მოწყობა რომ შენაცვლებია) — და ეს მარტოდენ თანადროული საფიქრალ-სატკივარის წარმოსაჩენად კი არაა და თანაც ირონიული ეფექტის გასამკვეთრებლად, არამედ გამჭვირვალე მინიშნებისათვის — თუ სად უდგას რეზო ჭეიშვილის მხატვრულ სტილისტიკას ფესვი.

ეს ფესვი, ეს შორეული სათავე დავით კლდიაშვილის სტილური მანერაცაა, მხიარული კომიზმი და ლაღი იუმორი რეზო ჭეიშვილის ადრეულ ნოველებსა და „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალში“ კიდევ უფრო ხელშესახებად რომ ადასტურებდა ამ სულიერ ნათესაობას, ვიდრე მუქი ფერები სულ უფრო და უფრო გამკვეთრდებოდა, ჩაბინდდებოდა და ღვთის ხსოვნაც სადღაც გადაიკარგებოდა.

ღმერთსმოკლებული სინამდვილე კი ის აბსურდული დრო-სივრცეა, რომელიც დასავლურ მწერლობაში გროტესკით შეიმოსებოდა, თუმც ნატურალიზმისა და სიმბოლიზმის ის ნაჯვარიც მარჯვედ მოერგებოდა, რეზო ჭეიშ-

ვილის მხატვრული სამყაროს გულისგული რაც შექმნილა.

ამ ნაკადთან უშუალო შეხმიანებისას არა დასავლელ მწერლებს, არამედ რიუნოსკე აკუტაგავას გამოარჩევდა და ამ იაპონელ ბელეტრისტს დაესესხებოდა ერთი მოთხრობის სათაურსა — „რესემონი“ — და მეორე მოთხრობის — „უსიერ ტყეში“ — კომპოზიციურ აგებულებას, როდესაც პერსონაჟები სულ სხვადასხვაგვარად ჰყვებიან ერთსა და იმავე ამბავს და მკითხველს ხელიდან უსხლტება მთავარი ძაფი. მაინც რა მოხდა სინამდვილეში? მარტოდენ ინტუიციასა და ვარაუდებს თუ მიენდობი და მეტის იმედი არ უნდა გქონდეს.

და რეზო ჭეიშვილის „რასემონშიც“ წუთისოფლის გამოცანებში იხლართები და ვერა და ვერ დაგიდგენია, მაინც რას წარმოადგენდა რეალურად იმმანუილის ცხოვრების ის უმნიშვნელო ეპიზოდი. ემმანუილის ანუ: გალაკტიონ ტაბიძის, ვინც ჩათრეულია ამ აბსურდულ ნაკადში და თითქოსდა შეთვისებულიც, მაგრამ მოჩვენებითია ეს შეთვისებულობა და გალაკტიონმა თუ სიცოცხლით ვერა, სიკვდილით უნდა შეძლოს თავდაღწევა ამ მჭიდროდ შემოგარსული, სულისშემხუთველი სივრციდან.

და ხალხმაც უნდა იგრძნოს, რომ რაღაც უჩვეულო მოხდა დიდი პოეტის აღსასრულით და წამიერად გამოფხიზლდეს და თვითონაც მოინდომოს ზეცისაკენ ახედვა.

ფრანც კაფკას ჩაწკვარამებულ სამყაროში შესული მკითხველი მძაფრად რომ დაეძებს სინათლის სხივს, ამის ნიმუშად იმოწმებენ ანგელოსის მოლანდებას, ზემოდან გადმოწვდილ ხელს — ნიშნად ნუგეშისა თუ გამხნევების. და ამგვარი მოლანდება ქართველი მწერლის აბსურდულ გარემოში გალაკტიონს შემოაქვს, როგორც მკაფიო დასტური ლიტერატურის იდუმალი, თუმც შეუმჩნეველი, ზეგავლენისა საზოგადოებრივ ცნობიერებასა და მორალზე.

ტრაგიზმში რაღაც სანუგეშო იჭრება. და პარადოქსია, რომ, ნუგეშად, ფარულ სხივად ცხედარი და საფლავი მოჩანს.

სასაფლაოს მისადგომები უნდა გადაუკეტონ მოზღვავებულ ხალხს, და ერთმა ქალმა ბიჭუნა უნდა ასვას ღობეზე: ნუ გეშინია, არ გადმოვარდები, დახედე, ცოცხალი ვერ გაჩვენე და მკვდარი მაინც ნახე როგორიაო.

წყლის ნათლიამ კი ისრიმისფერი ფრთები შეარხიოს მშრალ სამარესთან.

— მსუბუქი, უხილავი კვამლი ასდიოდა საფლავის ფხვიერ, ნეტარებით გაჟღენთილ მიწას; ასდიოდა კვამლი ზევით, ბროლის სტალაგმიტების წკრიალი მიჰქონდა და ზეცის თავანს უერთდებოდა.

რეზო ჭეიშვილის ზოგადი სტილისტიკის ნიშანდობლივი და სახიერი გამჟღავნება.

მსუბუქი, უხილავი კვამლით შებურვილი ყოფითი სურათი და... სიმბოლური საზრისი.

დაბნეულობა და უმწეობა ერთგვარი პიროვნული ბუნებაცაა, მაგრამ უფრო კი ნიღაბია იმმანუილ-გალაკტიონისათვის, გუია ა.-დ ნაგულისხმევი ტერენტი გრანელი კი იმ სახითაა წარმოდგენილი, მისი ფსიქიკის რღვევის მოწმენი რომ ვხდებით, თანდათანობითა და ულმობელი მონასმებით, სრულიად უნიღბო და დაუცველი პოეტი რომ გვეცხადება, ვიდრე... ყვავად გადაიქცეოდეს.

სასტიკი სინამდვილე უკეთეს გამოსავალს აღარც გიტოვებს.

და შეუბრალებლობის ამ ატმოსფეროში მაინც უნდა გაიელვოს ნუგეშის სხივმა და ზედ იმ წუთას, როდესაც სასოწარკვეთილება უკიდურესობას აღწევს და აღარც გგონია, ფინალური რამდენიმე სტრიქონი რაიმეს თუ შეცვლის და თანაც მკვეთრად.

მაგრამ „გუია ა.“-ს ნოველურმა ფინალმა ძალდაუტანებლად უნდა გასდოს ხიდი „რესემონთან“:

— ვხედავ სიცივეს, ნაცრისფერ ფიფქებს ვუყურებ, ვიგონებ გაუხარელი ქალწულის ალლიდი ოტტოს დაკარგულ საფლავს.

არამცთუ სამარე, დაკარგული საფლავიც კი შეიძლება თურმე ზეციურ ნიშნად აღიქვა იმ ალუზიებში გახვეულმა, ტერენტი გრანელის ბიოგრაფიისა და პოეზიის ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ხატი რომ შეიქნებოდა ეს საფლავი და იქ თავშეფარების ჟინი, მისთვის უცნობი პიროვნების, გვარ-სახელის კეთილხმოვანება და კიდევ რაღაც იდუმალება რომ მიიზიდავდა და პოეტურ წარმოსახვას ისე აუფორიაქებდა, თითქოს უახლოესი ადამიანი დაეკრძალოს და იმას მისტიროდეს.

და სამარეც და მისი მოგონებაც მსუბუქ, უხილავ კვამლში გახვეულა, ზევით-ზევით ამაღლებულს ბროლის სტალაგმიტების წკრიალი რომ მიაქვს და ზეცის თავანს უერთდება.

და ამ ფონზე კიდევ უფრო მძაფრდება ისედაც გულისშემძვრელი სტრიქონები ტერენტი გრანელის მინიატურიდან და ხელშესახები ხდება მისი ოცნება, არა სიცოცხლეს, არა სიკვდილს, არამედ რაღაც მესამეს რომ მიელტვოდა.

— მე შემეშინდება მარტო სასაფლაოზე ღამით. დავტოვებ კუბოს და ტანშიშველი გამოვიქცევი სამარიდან...

დარღვეული საზოგადოებრივი ცნობიერების ფონზე კი ეს სტრიქონები აკი ასედაც შეიძლება გაღრმავდეს და გაგროტესკულდეს, რომ სამარიდან გამოქცეულ ტანშიშველა ლანდს აღარც საკუთარი გვარ-სახელი შერჩეს და აღარც საკუთარი სახე და სხეული.

რაღა ტერენტი გრანელი და რაღა ბეჟან შელიძე („გია“), ვისი მოთხრობების დასაბეჭდადაც აუცილებელი გამხდარა თავის მომკვდარუნება და სინამდვილეში კი დამალვა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

იქით — ყალბი საფლავი.

აქეთ — სრულიად გარდასახული პერსონაჟი, ვისი ეს ნიშნებიც — აღარც გვარ-სახელი და აღარც სახე-სხეული — რეზო ჭეიშვილის პერსონაჟთა საერთო იერად გამოკვეთილა, და რასაც ისედაც გრძნობს მკითხველი, მწერალი მხოლოდ უდასტურებს ერთ-ერთი გმირის, გია გომარელის, პირით, თითქოსდა ფსიქიკაშერყეული პერსონაჟის, ვისი ბედისწერაც მიგანიშნებს, რომ მთელი ქვეყანა გადაქცეულა უზარმაზარ ფსიქიატრიულ საავადმყოფოდ და იქ თავდასაცავად ან ნიღაბი უნდა მოირგო და ან ნებაყოფლობით შეერწყა ამ დაცემულ რეალობას ძილღვიძილში მყოფი, სრული უსასოობისა და პიროვნულობის დაკარგვისაგან ჯერჯერობით რომ მაინც გიფარავს ქარიშხლის შემობერვა და რკინებზე ჯაჯგურის ხმა და ძახილი, ვიღაცა ვიღაცას შველას რომ სთხოვს, ქარწვიმაში დარჩენილი მგზავრი გამკითხავს უხმობს, მწუხარე ქალი მოხეტიალე დენს ეძებს და... აჰა, გათენების ჟამიც დგება, ამოდის მზე, ხმაურით იღვიძებს ქალაქი და მისი ხმა ამოდის არსენალის მთაზე.

კიდევ ერთი დღე უნდა გათენდეს უზარმაზარ საავადმყოფოში.

კიდევ ერთხელ უნდა შემოტრიალდეს ცარგვალი.

კიდევ ერთხელ უნდა დაითრგუნოს პოეტური, რომანტიკული აღტკინება და ამაღლებული იდეალი შეიცვა-

ლოს... უნიტაზის ძებნით — მაინცდამაინც ყვითელი რომ უნდა იყოს და თანაც გერმანული, სათავშისაცემოც რომ გამხდარა მისი შეძენა და ლამის ცხოვრების მიზანიც.

ვაი რომ ეს არ არის მარტოდენ ყოფითი რეალობა, გაცილებით მეტს გულისხმობს და სწორედაც ადამიანისა და საზოგადოების სულიერ დაკნინებას უთანაბრდება, როდესაც მოთხრობას თავიდან ბოლომდე გასდევს წუხილი უნიტაზის გამოცვლაზე.

არაფრისდიდებით არ გინდა დაიჯერო, ამხელა განცდებსა და ვნებათაღელვას თუ შეიძლება იწვევდეს ეს სრულიად უმნიშვნელო დეტალი, მაგრამ ცნობილი პოეტის გულისჭიდილი ამ და მხოლოდ ამ სწრაფვაში ჩანთქმულა:

— ძნელი იყო თეთრის, თანაც უსახურავო უნიტაზის შეძენა ცოლის თანხმობის გარეშე და უარის თქმაც არ იყო იოლი. ის თეთრი და სახურავგატეხილი უნიტაზიც რომ დავკარგო, სად მივდივარ, უუნიტაზოდ როგორ გავიდე ბაზიდანო, იქნებ გავრისკო, რაც არი არი, იქნებ თეთრი უნიტაზი წავიღო, ბოლოსდაბოლოს უნიტაზი უნიტაზიაო, შეაგულიანა თავი და ისევ შეყოყმანდა, ვერც კი თქვა, ვერც არა...

თითქოს გრაალის თასამდე მიეღწიოს, ხელისგაწვდენაღა აკლდეს მის მოსაპოვებლად და... ამ გადამწყვეტი წუთის წინ აფორიაქებულიყოს ოცნების ახდენის მოლოდინში.

აი, „ვაიმე, ჩემო ვენახოს“ გმირისათვის კი — სიმართლის მაძიებელი, პატიოსანი მოქალაქისათვის — ნამდვილად ცხოვრების მიზნად გადაქცეულა... საერთო კიბის თავზე ფეხის საწმენდი ტილოს გაფენა და ფეხსადგილების ხელახალი გადანაწილება, და ვის აღარ ევედრება თანადგომასა და კანონიერების აღდგენას, საქვეყნოდ ცნობილ პოეტსაც კი შეაწუხებს და სულიერ მოძღვარსაც და მისი წერილები ისეთი ვედრებითა და მღელვარებითაა გაჟღენთილი, თითქოს ამბროსი ხელაიას საპროტესტო წერილის სული აქ გადმოსახლებულაო, წერილისა, გენუის კონფერენციის მონაწილეებს საქართველოს ტრაგიკულ ბედს, მის ხელახალ სამხედრო ანექსიას რომ ამცნობდა და კანონიერების დაცვასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ივედრებოდა.

მისწრაფებათა დაკნინებას, ეტყობა, საზღვარი არ გააჩნია, და ეს უკიდურესი უმწეობა უნდა გამოეცადა საკუთარ თავზე პერსონაჟს, ვინც კიდეც უნდა შეწირვოდა ამ აუხდენელ ოცნებას.

საერთო კიბის თავზე კვლავაც ძველებურად უნდა დარჩეს ფეხის საწმენდი ტილო, როგორც საყრდენებმოშლილი ქვეყნის, უმიზნოდ მობორიალე საზოგადოების სულიერი სიმბოლო, ძრწოლისმომგვრელი თავისი ბანალურობითა და... გარდუვალობით.

და სიკვდილის წინ პერსონაჟს ნოსტალგია უნდა მოეძალოს იმ დაკარგული სამყაროსადმი, რომელსაც მეტაფორულად მისი ძველი, ხის სახლი განასახიერებს, სოფლის მყუდროებაში ჩარჩენილი და დავიწყებული.

შინ იმყოფება და... საკუთარი ოთახის სამ ფანჯარას შემოჰყურებს გარედან.

შინ წევს და... გარეთ დარჩენილ ოთახს ხედავს.

ვინ გაიტანა ოთახი გარეთ?

რატომ წევს ეზოსა და სიცარიელეში?

ამ მოსალოდნელ შეკითხვებს რომ გრძნობს მწერალი მკითხველის მხრიდან, პასუხსაც იქვე შეაგებებს, და ჭეშმარიტად ჭეიშვილისებურს:

— დანისლული გორები და ფესვებაფშეკილი, თავდაღმა დარგული ხეები ჩანდა დედის სამარიდან — რატომ რგავდნენ ხეებს უკუღმა — ტოტებით ძირს, ფესვებით მაღლა?

და აღტაცდებოდა ელგუჯა თავბერიძე ამ პასაჟის ჩაკითხვისას: ყველაფერი ნათქვამია, მოთხრობის დედააზრი სამ წინადადებაშია ჩატეულიო.

და კიდეც გადაედებოდა რეზო ჭეიშვილის სტილი და „ვაიმე, ჩემო ვენახოს“ რეფრენული სტრიქონები მის ესეისტურ ჩანახატში გადმოინაცვლებდა:

— ბატონებო, პატარა კახის, დავით აღმაშენებლის, ბერი თევდორეს, ცხრა ძმა ხერხეულიძისა და სხვა დიდებული გმირების ქვეყანაში ასეთი თხზულებანი ძალიან იშვიათად იწერება.

...ისე მაინც რატომ რგავენ ხეებს უკუღმა?!.

და მაინც რატომ მოჩანს ასეთნაირად დედის სამარიდან?!.

* * *

ამაღლებული იდეალი დამცრობილიყო დავით კლდიაშვილის მხატვრულ სამყაროში, შენაცვლებულიყო წვრილმანი ლტოლვით, უბადრუკი სწრაფვით, ფუჭი ოცნებით.

აგერ პლატონ სამანიშვილი — მისი თავგადაკლული სწრაფვა და ძიება, მისი მღელვარე მოგზაურობა... და არა სულიერი ფერისცვალებისათვის, არა საკუთარი თავის შეცნობისა, ბროლის კოშკში მყოფი მზეთუნახავისა თუ გრაალის თასის მოსაპოვებლად, არამედ... ორნაქმარევი, უშვილო დედინაცვლის მისაგნებად, რათა ერთიბეწო ადგილმამულში მოზიარე არ გაუჩნდეს უმცროსი ძმის სახით.

ტრაგიკომიკურია ეს მოგზაურობა და „სამანიშვილის დედინაცვლის“ ფინალიც შესაფერისი — მიგნებით კი მიაგნებს საოცნებო ქალს, მაგრამ ვერ გადაურჩება ბედისწერის მწარე განაჩენს და სულ ცოტა ხანში მის ისედაც ერთიბეწო სამკვიდროში მოზიარე უნდა მოევლინოს ქვეყანას. და ახლა სასამართლოში წოწიალმა უნდა შეიწიროს პერსონაჟის არსებაც და ადამიანურობის ყოველგვარი ნასახიც.

ასეთი შეუსაბამო აღმოჩნდებოდა ოცნება და რეალობა.

არადა, სწორედაც შესაფერისი იმ დაკნინებული, თავისუფლებანართმეული სინამდვილისათვის, სადაც დავით კლდიაშვილის გმირები მოქმედებდნენ.

რეზო ჭეიშვილის ადრეულ ნოველებში ერთი უმთავრესთაგანი სწორედ ეს მოტივი იქნებოდა — აუხდენელი პატარა ოცნებანი. და ნიშანდობლივია, რომ აკაკი ბაქრაძე სწორედ ამ თვალთახედვით გაიაზრებდა ამ პერსონაჟთა ხასიათებსაც და ნოველათა მხატვრულ თავისებურებებსაც და კრიტიკულ-ესთეტიკურ ჩანახატს სათაურსაც შესაფერისს შეურჩევდა: „აუხდენელი ოცნების ადამიანები“, — რათა მკაფიოდ წარმოეჩინა, თუ როგორ გადიოდა რეზო ჭეიშვილიც დახლართულ ლაბირინთში მწერლისა და მწერლობის უპირველესი ამოცანის აღსასრულებლად: აჟიოტაჟის, ზეიმის დროს, როდესაც საერთო ხმაურით ყურადღება მოდუნებულია, შეგვახსენოს ადამიანები, ერთი შეხედვით შეუმჩნეველნი, მაგრამ ყველა უფლების მქონენი, რაც აქვთ ამა ქვეყნის რჩეულთ.

სანიმუშოდ კი გამოარჩევდა ოთხ ნოველას — „ოსტატები“, „სტუმარი“, „პრემიერა“ და „ძეგლი“ — თავისი მოსაზრების დასადასტურებლად და პერსონაჟთა გალერეის გადასაშლელად, გალერეისა, სადაც ერთი, ნარკვევის დასაწერად მომართული, საყოფაცხოვრებო მომსახურეობის კომბინატში ოსტატებისა და გლეხის უაზრო ვაჭრობის მოწმე უნდა

გახდეს და წერის ხალისი დაეკარგოს; მეორე, მშობლიურ ქალაქში ჩასული ბავშვობაში განცდილი საუკეთესო წუთების გასახსენებლად, შემთხვევით ქუჩაში იმ კაცს უნდა წააწყდეს, ახალგაზრდობისას რომ გაულახავს, ამან გუნება უნდა წაუხდინოს, ბალღობის გახსენების რომანტიკა ჩაკვდეს და მშობლიურ ქალაქში მობრუნებამაც აზრი დაკარგოს; მესამე, 40 წელიწადი პიესებს რომ წერდა და განსაკუთრებული სიხარულით მოელოდა პრემიერის დღეს, თეატრისაკენ მიმავალი თხრილში უნდა ჩავარდეს და პრემიერას ვეღარ დაესწროს. და რადგანაც იმ ქალაქში სპექტაკლს ერთადერთხელ აჩვენებდნენ, ეს ნიშნავდა რომ წარმოდგენას ვეღარასოდეს ნახავდა. ასეთი ფათერაკი სადარდებელი უნდა გაუხდეს და კიდეც გადაჰყვეს; მეოთხემ, თავი საქვეყნოდ ცნობილი მუსიკოსი რომ ჰგონია, მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულმა უნდა აღმოაჩინოს, რომ თანამოქალაქეებსაც აღარ ახსოვთ, ის კი არა, სასაფლაოზე ძეგლსაც უნდა გადააწყდეს, მისი სახელის ინიციალები რომ აწერია, და ხელშესახებად გამოსცადოს გარდაცვალებაც და დავიწყების სიმწარეც.

რეზო ჭეიშვილის პერსონაჟები აუხდენელი ოცნების ადამიანები რომ არიან, კრიტიკოსი მკითხველს ყურადღებას მიაქცევინებდა იმ გარემოებასაც, რომ ამ ნოველებში ხშირად იხსენიება სიზმრები, საიდანაც პერსონაჟთა ცნობიერებაში შემოიჭრება თეთრი ხომალდი თუ გაჩახჩახებული თეატრი, ძველი დანჯღრეული მატარებელი თუ დათოვლილი, მზით აელვარებული დიდებული ალპები, ოქროსფერი, ლურჯწინწკლებიანი თევზები თუ აღორძინების ეპოქის უდიდესი მათემატიკოსი ლუკა პაჩოლი...

და ამ ყოველივეს ფონზე ათვალსაჩინოებს მწერლის დარდიან, სევდიან ღიმილს.

თუმც ამ ჩამონათვალში აუცილებლად უნდა ჩაემატოს „პრემიერის“ მთავარი გმირის ხილვაც, ვიწრო თხრილში ჩავარდნილი ვარსკვლავებს რომ დაინახავს. ბნელი თანდათან უნდა გაიფანტოს, ვარსკვლავებიც გაქრნენ და ჩაიბუტონ და... უიღბლო დრამატურგს ქალაქის შემტვერილი, გამოხუნებული ცა დააჩერდეს. და მალე რომ აღესრულება გულმოკლული, გადავარსკვლავებულ დღის ცას უნდა იხსენებდეს სიკვდილამდე და... არ ამხელდეს.

გრძნობს, მაინც არ დაუჯერებენ და გამჟღავნებით კი ის ძვირფასი, სანუკვარი განცდა ერთბაშად გაუუფასურდება.

აუხდენელ ოცნებას გაუმხელელი ხილვა-ნატვრაც უნდა შეუზავდეს, გულში ჩაკირული და გამთანგველი, და პერსონაჟთა სულიერი ტრაგიზმი კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს.

მწერლის დარდიან, სევდიან ღიმილსო...

ეს ღიმილი შემოგვანათებს „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავლიდანაც“, ბარონ მიუნჰაუზენის ქართულ სახესხვაობად რომ წარმოგვიდგება, ოღონდ აკაკი ბაქრაძე წარმოაჩენს იმ ნიუანსებს, რითაც განსხვავდებიან ქართველი პერსონაჟი და მისი დასავლელი წინაპარი, და მსჯელობაში ჩართავს აზნაურ ლახუნდარელსაც, სერგო კლდიაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის გმირს.

— შენც მიდიხარ ბიჭო? — უნდა იკითხოს შალიკო ხვინგიაძემ და კრიტიკოსმა უნდა დაგვიბეჯითოს, რომ ამ კითხვას, მარტოობით შეშინებულ კაცს რომ წამოცდება, არც მიუნჰაუზენი დასვამდა და არც ლახუნდარელი.

— რა გაუძლებს, ვარლამ, ამ ზამთარს? — შალიკოს ეს შეკითხვა კი ამ ფიქრს მოიყოლებს: ვინ წარმოიდგენს ასეთ გასაცოდავებულ ბარონ მიუნჰაუზენს ან აზნაურ ლახუნდარელსო?

— მალე გამოზაფხულდება, ბებერო, არ შედრკე... — ვარლამის ამ ღიმილიან გამომშვიდობებას მკითხველი თავაზიანობად და ჩვეულებრივ გამამხნევებელ სიტყვებად რომ აღიქვამს, კრიტიკოსი სულ სხვა სარჩულს ამოაკერებს: ან ამას ვინ აკადრებდა მიუნჰაუზენსა და ლახუნდარელსო! — რათა დასაეჭვებელი აღარაფერი დარჩეს, რომ:

— აზნაური ლახუნდარელი და ბარონი მიუნჰაუზენი ლაღი ფანტაზიის ადამიანები არიან. ისინი თავადაც ტკბებიან და სხვასაც ატკბობენ უნაპირო ფანტაზიის მშვენიერებით. შალიკო ხვინგიაძე კი სევდიანი კაცია. მისი ტყუილი აუსრულებელ ოცნებაზე ფიქრია... თუ შალიკო ხვინგიაძე უძლურია თავისი ტყუილით, ბარონი მიუნჰაუზენი და აზნაური ლახუნდარელი ღონიერები არიან ფანტაზიის წყალობით.

ეს მართლაცაა ის არსებითი განსხვავება, რითაც ეს სამი გმირი დაშორებულა, მაგრამ... ბარონ მიუნჰაუზენისა და აზნაური ლახუნდარელის შეტოლება?!. მათ შორის ხომ ის სხვაობაა, რა სხვაობაც შეიმჩნევა მხატვრულ სრულყოფილებასა და მის წარუმატებელ გადმომღერებას შორის. სერგო კლდიაშვილმა ბარონ მიუნჰაუზენის გადმოტანა რომ მოინდომა ქართულ გარემოში, იმ პერსონაჟის ჩარჩოშიც მოემწყვდა და იუმორიც აღარ ეყო, რათა ნასესხობა მეტ-ნაკლებად ბუნებრივ საბურველში გაეხვია და, მისი სათავე თუ არ გეცოდინებოდა, ქართული ვერსია კიდეც მოგწონებოდა.

ერთი სიტყვით, ვერ განახორციელა ის, რაც უკეთ გამოუვიდა დემნა შენგელაიას „ბათა ქექიას“ შექმნით რომენ როლანის „კოლა ბრუნიონის“ თარგზე. ქართველი პერსონაჟი იმეორებდა თავის ფრანგ წინამორბედს, ქართული რომანი — ფრანგულ დედანს, მაგრამ დემნა შენგელაიას ეყო იუმორი საიმისოდ, რომ ფრანგული გარემო გაექართულებინა და თხრობა ლაღი და ძალდაუტანებელი გაეხადა, და ვისთვისაც უცნობია მისი დასავლური სათავე, მისი ეს ქართული ვერსია ძალიანაც მოსწონებოდა.

რეზო ჭეიშვილი გაითვალისწინებდა სერგო კლდიაშვილის მარცხს, მიაგნებდა მის გამომწვევ მიზეზსაც, და როდესაც გული გაუწევდა ბარონ მიუნჰაუზენის ქართული ორეულის შესაქმნელად, გაბედულად გაცდებოდა იმ პერსონაჟისა და თხრობის სტილისტიკის ჩარჩოს და გმირს შემატებდა იმ ნიშან-თვისებებს, რაც სწორედ მისეულია, ჭეიშვილისეული, და სევდითა და დარდით აღავსებს ხოლმე პერსონაჟებს.

და ელგუჯა თავბერიძის მოსაზრებაც სავსებით ბუნებრივი გვეჩვენება. უკვე არსებული მხატვრული სახის მოდელმა ახალი სიცოცხლე შეიძინა, შეივსო და გამრავალფეროვნდა „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალშიო“ („უძლეველობის მითი და სევდა“).

* * *

როდესაც ამ სამყაროს — აუხდენელ ოცნებათა სამყაროდ სახელდებულის — თვალთახედვით გახედავდა აკაკი ბაქრაძე რეზო ჭეიშვილის რომანებს, უკმარისობის გრძნობა გაუჩნდებოდა და განაცხადებდა: ყოველგვარ მასალას თავისი გამოვლენის ფორმა რომ აქვს, ეს ორიგინალური მხატვრული სამყარო და მასალა სრულად მოთხრობით უფრო ვლინდება, ვიდრე რომანითო.

და დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძისა და ანტონ ჩეხოვის სახელებს მოიშველიებდა, რაკიღა შემთხვევითობად სულაც არ მიაჩნდა, რომ მათ რომანები არ და-

უწერიათ, რადგანაც არამარტო თავიანთი მხატვრული სამყარო ჰქონდათ, არამედ ამ სამყაროს გამომხატველი აუცილებელი და სრულყოფილი ფორმაც — მოთხრობა.

თანადროულობაში კი ამის ნიმუშად ანუ იმ გზის გამგრძელებლად სწორედ რეზო ჭეიშვილს დაასახელებდა და გამოეკამათებოდა მისი რომანების დამცველებს, ტყუილუბრალოდ ნუ ამტკიცებთ საწინააღმდეგოსო:

— მწერლის მთელი შემოქმედება მაინც იმას მეტყველებს, რომ ყველაზე სრულად (ჯერჯერობით მაინც) მოთხრობა ავლენს მის მწერლურ ნიჭიერებას. ეს განპირობებულია მასალის არჩევით, ხედვის თავისებურებით, აზროვნების მანერით, მოვლენებისადმი ემოციური დამოკიდებულებით.

ეს დაბეჯითებული რწმენა არამარტო კრიტიკას უნდა გაეთვალისწინებინა მისი თვალსაზრისით, არამედ — თვითონ მწერალსაც.

თავს მაინც დაიზღვევდა: ჯერჯერობით მაინცო...

არ გამორიცხავდა, რომ მომავალში რეზო ჭეიშვილს შეესაძლოა დაეწერა სრულფასოვანი რომანი — განსხვავებით თავის იმ წინამორბედთაგან — მაგრამ არც „ჩემ მეგობარ ნოდარს“ და არც „დალის“ ასეთად ვერ მიიჩნევდა, თითქოსდა მათი განსაზღვრა რომანებად ავტორის სურვილი უფრო გახლდათ, ვიდრე რეალობა, და მწერლისთვის კი სჯობდა დროულად გაესწორებინა თვალი სიმართლისათვის.

სხვათა შორის, „ჩემი მეგობარი ნოდარი“ გურამ ასათიანისთვისაც ნოველების ციკლი უფრო იყო, ვიდრე სრულყოფილი რომანი.

და თითქოს რეზო ჭეიშვილი თავის მხრივაც დაადასტურებდა ამგვარი შეხედულების სისწორეს, როდესაც „მუსიკა ქარში“ მართლაც ნოველებისა და მინიატურების ქარგაზე აიგებოდა და დარწმუნებით ვეღარც გაგერჩია, რომანი უფრო გახლდათ თუ ერთიანი ციკლი.

გამოხდებოდა ხანი და ასეთივე კომპოზიციური ქარგა გამოეძებნებოდა „წიფობისთვესაც“ — და გულდასმით უნდა დაფიქრებულიყავი, ისიც რომანი იყო თუ... ნოველების, მინიატურების, ლიტერატურული პორტრეტების კრებული?

არადა, რომანი დაერქმეოდა, ნამდვილად ეს სახელწოდება შეეფერებოდა, ისევე, როგორც „მუსიკას ქარში“ — და ეს იმიტომაც, რომ აგერ ამერიკულ ლიტერატურაში ეს ჟანრობრივი განშტოება — რომანი მოთხრობებად — არაფერს აკლებს შერვუდ ანდერსონის, ჯეკ ლონდონის, უილიამ ფოლკნერის, ერნესტ ჰემინგუეისა თუ ჯონ სტაინბეკის ცალკეულ რომანთა სრულფასოვნებას და არავინ ამტკიცებს, თითქოს „გარდავედ, მოსე“ თუ „მხედრის გამბიტი“ ნაკლებად ამჟღავნებდეს რომანულ სულსა და შინაგან აღნაგობას, ვიდრე „ხმაური და მძვინვარება“ თუ „სარტორისი“.

ანდა ჩვენს მწერლობაში — ვითომდა მიხეილ ჯავახიშვილის დიდტანიან ქმნილებათაგან „გივი შადური“ სრულფასოვან რომანად ვერ ჩაითვლებოდეს და ჟანრობრივად განზე იდგეს „კვაჭი კვაჭანტირაძის“, „ჯაყოს ხიზნებისა“ თუ „თეთრი საყელოსაგან“.

და თუ გარეგნულადაც არაფერი აკლია, ვთქვათ, „დალის“, „კუდიანი ვარსკვლავისა“ თუ „ქარების დაბრუნების“ სრულფასოვნებას, „ჩემი მეგობარი ნოდარიც“ (სადაც ნოველური აგებულება ძალზე მკრთალია და თითქმის შეუმჩნეველი), „მუსიკა ქარშიც“ და „წიფობისთვეც“ რომანების რიგში დგება, როგორც ჟანრობრივად მათგან განუყოფელი, ეგაა, თავისებური განშტოებისა უფრო.

ის კი არა, „მეოთხე სიმფონიაც“ გარეგნულადაა მოთხრობის ფორმისა, თორემ შინაგანი არქიტექტონიკითა და სივრცით რომანის ჟანრს უახლოვდება.

„ცისფერი მთებიც“ რომანია, თუმც საგულისხმო კი აღმოჩნდებოდა მისი თავგადასავალი ნოველიდან რომანამდე — „ცისფერი ხიდები“, რეზო ჭეიშვილის ადრეული სტილისტიკით დაწერილი, საფუძვლიანი გადამუშავებისას მკვეთრად შეიმატებდა სატირისა და აბსურდის ელემენტებს და გამოიკვეთებოდა „მეოთხე სიმფონიასავით“ მოთხრობად, მიდრეკილებას რომ იჩენდა რომანისაკენ, და ეს მიდრეკილება არ ჩარჩებოდა მის შინაგან ხვეულებში და საბოლოოდ კიდეც გარდაისახებოდა იმ ჟანრად, რომელსაც აგერ არც მიიჩნევდნენ რეზო ჭეიშვილის შესაფერისად და ურჩევდნენ, ტყუილუბრალოდ არ ჩაეხარჯა ნიჭი და უნარი იქ დასამკვიდრებლად, რაკიღა მისი მასალა, ხედვის თავისებურება, აზროვნების მანერა თუ მოვლენებისადმი ემოციური დამოკიდებულება ვერ ჰგუობდა ასეთ ჟანრულ მონაცვლეობას.

ამ რჩევას მწერალი ვერ გაითვალისწინებდა და ანკი რატომ გაეთვალისწინებინა იმ უბრალო მიზეზით, რომ მის მხატვრულ სამყაროში ძალდაუტანებლად თავსდებოდა მოთხრობაც და რომანიც, და ამ მხრივაც დააღწევდა თავს დავით კლდიაშვილის გავლენას, ცრემლისა და ღიმილის მონაცვლეობასაც რომ უკანა პლანზე გადაიტანდა და აბსურდის სტილისტიკას ისე ჩაუღრმავდებოდა, „ჭის“ ძაბრული დროის ტრიალსაც აღარ იმყოფინებდა და გარეგნულად გულისგამაწვრილებლადაც იბრუნებდა ერთსა და იმავე სურათში, ასოციაციების ნაკადსაც რომ მკაცრად შემოზღუდავდა, რათა ეს „გულისგამაწვრილებლობა“ ექცია სიუჟეტის მთავარ საყრდენად, ავტობიოგრაფიული იერით შეფერილ მოთხრობაში „ჭალია ბლოკი“.

ქვეტექსტები ამჟღავნებდა ნოსტალგიას იმ თვალსადახელშუა გაუჩინარებულ ძვირფას და სანუკვარ სინამდვილეზე, ჯერაც რომ ინარჩუნებდა საკუთარ მეობასა და თავისთავადობას და... თანდათან კი მისი არსებობა ფეთქვასლა დაემსგავსებოდა, და თუ თვალს არ მოარიდებდი ამ ფეთქვასა და... სულაც მიდრეკილებას მთლად დაწრეტისაკენ, აიგებოდა ის მხატვრული სამყარო, დაურიდებელი სიმართლით გაჟღენთილი, რეზო ჭეიშვილის სატირულ ტალანტს რომ მოუტანია ჩვენამდე და უცნაურად უყრის თავს თითქოსდა საპირისპირო ნაკადებს.

ვითომ უცნაურად?

უფრო კანონზომიერად, რაკიღა ეს ნაკადები მართლაც მოჩვენებითად უპირისპირდებიან ერთიმეორეს, თორემ იდუმალ სივრცეში ჰარმონიულად ერწყმიან და სწორედ ამ გადაკვეთაზე ტრიალებდა და ტრიალებს ის მხატვრული წარმოსახვანი, სულისშემძვრელი სინამდვილიდან საბოლოოდ გზას რომ გაგაგნებინებს გაუჩინარებული სამყაროსაკენ, რათა შენს თავში მოიძიო სიმხნევე და შემართება მის დასაბრუნებლად.

საფლავთა ხატებანიც როგორ გამოსდევს რეზო ჭეიშვილის წარმოსახვებს?!.

როდესაც თომას მანი არ გაიზიარებდა შეხედულებას ფრანც კაფკას მხატვრული ნააზრევის მისტიკურ ბუნებასა და შინაარსზე, სხვა ნიშნების ჩამოთვლასთან ერთად ამასაც განაცხადებდა: სამარის საქორწინო სარეცელი არ არის მისი საქმეო.

რაღაც უჩვეულო სიტყვათწყობა კი არ არის ეს „სამარის საქორწინო სარეცელი“, იდუმალი და აუხსნელი, მაგრამ მიხვედრით მიგვახვედრებს იმ გარემოებას, ბედის წყა-

ლობასავით რომ გვივარდება თომას მანის ეს გამოთქმა ხელში რეზო ჭეიშვილის მხატვრულ სამყაროს ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური აგებულების განსჯისას.

სწორედ აქ არის შესამჩნევი სამარის საქორწინო სარეცელი, ეს ნამდვილი და ჭეშმარიტი მისტიკის მსგავსი ატრიბუტი.

და მისტიციზმი ამიტომაც შემოჭრილა ასე კანთიელად რეზო ჭეიშვილის თხრობაში, ხან გროტესკწაფარებული, ხან ირონიით შენიღბული, ხან ლამის აბსურდს გადაჭდობილი, მაგრამ მაინც ხელშესახებია მისტიკური გაელვებანი, მერე სულაც მთელი სისავსით გადაშლილი და „კვამლი“ ამიტომაც ადგას თავისებურ შარავანდად ამ მხატვრულ რეალობას.

* * *

ლირიზმით შეფერილი ნოსტალგია რაღაც შიშისმომგვრელს გაგრძნობინებდა „ძეგლში“, პერსონაჟი გაოგნებული რომ დაჰყურებს თავისი მომავალი საფლავის ადგილს, ვიღაცის უშნო ხუმრობით თუ... ბედისწერის მკაცრი განაჩენით უკვე მონიშნულს, და მკითხველს ნოველის ფინალში ერთდროულად ეუფლებოდა გროტესკულთან და მისტიკურთან ერთდროულად შეხვედრის განცდა.

ეს წამიერი გადაელვება მოგვიანებით „მიწების განაწილებაში“ სიუჟეტის ძარღვად გარდაიქმნებოდა და მასზე დაშენდებოდა ერთი ყველაზე სატირული თხზულება ჩვენს ლიტერატურაში, ნატურალიზმისა და სიმბოლიზმის ის კიდევ ერთი მარჯვე შენივთება, ამ მხატვრული სამყაროს ერთ-ერთ მთავარ ნიშნად და თავისებურებად რაც გამორჩეულა.

ჩვენი სამწერლო ცხოვრება, XX საუკუნის 20-იანი წლების გასაყარზე დასავლურ სალიტერატურო პროცესებთან უშუალო მიახლოებისა და იქ მონაწილეობის მოსურნე, ბედის სასტიკი განჩინებითა და პოლიტიკური რეჟიმის გამოისობით მავთულხლართებში რომ გამოიჭედებოდა და არარსებული სოციალისტური რეალიზმის კლანჭებში მოექცეოდა, პირწმინდად შეელეოდა ამაღლებულ მისწრაფებებს და, პარტიულ უჯრედად გარდაქმნილი, იმ უკიდურეს დაცემასაც გამოცდიდა, „მიწების განაწილებას“ რომ გამოჰქონდა სააშკარაოზე და დაბეჯითებით შეგაგონებდა, მწერლისა და მწერლობის მისიის დაკარგვას სადამდე შეიძლება მიეყვანა პიროვნებაც და ქვეყანაც.

— ვაი შური, საცოდავი, ნანა! ვაი შური, საცოდავი ჯიმა! — ეს დედის მოთქმაა, სადღაც შორეთიდან, მიღმა სამყაროდან, იდუმალებიდან მონაბერი, პერსონაჟის ამაოდ გავლილი ცხოვრების, ფუჭ, ლიტერატურული ბრძოლის სახელს ამოფარებული წვრილმანი ვნებების გარემოცვაში დაფშხვნილი იდეალის დატირება, პერსონაჟის, რომელმაც მანამდე მხოლოდ უნდა გაიელვოს თხრობაში, სიის ხელახალ წაკითხვას რომ ითხოვს საბრალო ხმით და ამ თხოვნას არაფრად ჩაუგდებენ, რაკიღა არც მიიჩნევენ რეალურად არსებულ ადამიანად, და აკი ვერცერთ სიაში ვერ მოხვდა, საძმო საფლავშიც არ ეღირსა ადგილი — ვერც მანამდე და ვერც კრების მსვლელობისას, მას კი პროტესტიც არ განუცხადებია; და უეცრად ფინალში მისი ეს უეცარი გამოსვლა წინა პლანზე, ოღონდ ჩვეული უმწეობით, ვერცერთ ჯგუფს რომ ვერ მოკედლებია, ძალდაუტანებლად განზოგადდება და დედის იმ შორეულ მოთქმასაც აღარ აღვიქვამთ მარტოდენ შვილის სულიერი დაკნინების, მისი ამაო ჭაპანწყვეტის გამოტირებად.

ვაი შური, საცოდავი ჯიმა!

ეს უკვე მთელი მწერლობის გამოტირებაა.

და მთელი ქვეყნის გამოტირებაც, უფსკრულისაკენ რომ მიექანება საშინელი სისწრაფით, და ასეთ მწვავე ჟამს მწერლობას დაუკარგავს ერის წინამძღოლის ის დანიშნულება, XIX საუკუნეს რომ ეანდერძა ჩვენთვის და, ყოფით რეალობაში თუ ვეღარ, ოცნებაში ხომ ინარჩუნებდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეალს, ახლა კი... ახლა იმ ოცნებასაც რომ უნდა შევლეოდით.

შემთხვევითი არაა, რომ რეზო ჭეიშვილის პერსონაჟებს შორის ხშირად გამოერევიან ხოლმე მწერლები — უმთავრესად ხელმოცარულნი, კონფორმისტნი, ფარისეველნი, კალმით მოვაჭრენი, ანდა უმწეონი და გაუბედავნი — მკვეთრად დაუპირისპირდნენ გარემომცველ სინამდვილეს, და ბედს მინდობილნი გაჰყურებენ იმ შორეულ მომავალს, რომელმაც შესაძლოა აღარც იარსებოს, თუკი რაღაც არ შემოტრიალდება სასიკეთოდ და მჭიდროდ შემოგარსულ ხუფშიც სინათლის სხივები არ ჩამოაღწევს.

მანამდე კი გაწყვეტილა უხილავი კავშირი მწერალსა და მკითხველს შორის და „ჭის“ ის მოკლე დიალოგი ტრაგიზმად ამიტომაც განიცდება, სწორედაც ტრაგიზმად და არა უწყინარ გაქილიკებად:

— წერთ ხომ თქვენ?

— ვწერ კი.

— ტყუილებს?

ნიღაბი ჩამოხსნილია, სააშკარაოზეა გამოტანილი დაკნინებული სული, მაგრამ ეს ხელს არ უშლით — პირიქით, კიდევ უფრო მეტი და მძაფრი ჟინით აღავსებთ ფარისეველთა და კალმით მოვაჭრეებს — ხელოვნური უკვდავების მოსაპოვებლად, რისი დასტურიც პრესტიჟულ პანთეონში ადგილის დაბევებაა.

საქმეს არ შველის და ვერავის აშოშმინებს ის დაპირება: ადრე თუ გვიან უმიწოდ კავშირის არცერთი წევრი არ დარჩებაო. მთავარი ეს ხომ არ არის, არამედ — თუ ვინ სად, ვის გვერდით და ახლომახლო დაიდებს ბინას. ამიტომაც შექმნილა გაცხარებული მისვლა-მოსვლა გამწვანების ტრესტში (გამჭვირვალე ქვეტექსტით ცენტრალურ კომიტეტზე რომ მიანიშნებდა) ინდივიდუალურად, ოფიციალურად, არაოფიციალურად, დელეგაციურად და ჯგუფ-ჯგუფად კუთვნილი მიწების გადიდებისა და დაპატარავების მოთხოვნით — თანამდებობისა და ნაცნობობის მიხედვით.

— ამ საქმიანი, შეწუხებული ხალხისათვის განკუთვნილი, გადატვირთული პანთეონები ჭეშმარიტად სივიწროვეს განიცდიდნენ, ყველას სამყოფი მიწა არ იყო და ამბოკარებს ახალ, პერსპექტიული პროექტით გათვალისწინებულ, ცხრა წრედ დაყოფილ ტრიალ მინდორს სთავაზობდნენ — უნომროდ და უმისამართოდ.

არავის ხიბლავს მწერალთა „საძმო საფლავში“ ჩაწოლა, მითუფრო, რომ პანთეისტებს უკვე ასაწყობად გამზადებულ ენციკლოპედიაშიც განაღდებული ჰქონდათ სათანადო ადგილი დამსახურებისა და თანამდებობის მიხედვით.

ადრინდელი დადგენილების თუ ენციკლოპედიაში მხოლოდ მკვდარ წევრს უნდა დაეჭირა საპატიო ადგილი, შემდეგ გადაწყვეტდნენ, ამ უზარმაზარ ტომებში შეეყვანათ... ცოცხალ-მკვდარი წევრებიც, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობდნენ, მაგრამ უკვდავება და მიწა სიცოცხლეშივე ჰქონდათ განაღდებული.

ცოცხალ-მკვდარი მწერლის ტიპი შემაძრწუნებელი ნიშანთვისებებით იკვეთება სატირული მონასმებით, თავისე-

ბურ გროტესკულ ფერხულადაც რომ წარმოგვიდგება.

— დავწერ, არ დამიჯერებენ!

მსუბუქი, უხილავი კვამლი კი ზევით რომ მიისწრაფის, ბროლის სტალაგმიტების წკრიალიც მიაქვს და ზეცის თავანს უერთდება.

და ამ ფონზე სულ უფრო ხელშესახებად და კანთიელად რომ უნდა გამოიკვეთოს მისტიკური სული, „კვამლის“ სიუჟეტი ყველაზე მკვეთრად უნდა დატრიალდეს ზმანებისა და ცხადის საზღვარზე და, თუ რაიმე უნდა დადგეს ეჭვის ქვეშ, პირველ ყოვლისა ის ჭეშმარიტება, რომ: ყველაფერი მართლა არსებობს.

აკაკი მინდიაშვილი ლიტერატურულ-კრიტიკულ ნარკვევში „უხილავი კედელი“ ანალიტიკურად განსჯიდა კვამლის რაობას — მის ტევად შინაარსსა და სიმბოლურ ხატს, კითხვის პროცესში ისეთი ყოვლისმომცველი რომ ხდება, თხზულების თითქმის მთელ მხატვრულ სივრცეს ავსებს და ყველაფერს შთანთქავს:

— ადამიანები, საგნები, მოვლენები, მთელი რეალური სამყარო კვამლში უჩინარდება და იკარგება...

ამ ფონზე გამოარჩევდა პერსონაჟთა მრწამსს — სკეპსისს, ურწმუნობას, დაეჭვებას, სულაც ტოტალურ უნდობლობას ყველასა და ყველაფრის მიმართ.

ამგვარ გარემოში ერთმანეთთან ურთიერთობას როგორღა ახერხებენ?

მათი საუბარიც კი მოჩვენებითია, უსულგულო, აზრგამოცლილი, და ეს განუწყვეტელი ლაქლაქი იმისათვის სჭირდებათ, რათა სიჩუმე არ ჩამოვარდეს, რადგანაც სიჩუმე:

— დაუნდობლად წარმოაჩენს, გამოამჟღავნებს მათ შორის არსებულ სიცარიელესა და სიშორეს.

სიზმარ-ცხადის მიჯნაზე ბორიალი, რეალობის ირეალობა აკაკი მინდიაშვილს აფიქრებინებდა, რომ „კვამლის“ მხატვრული სინამდვილე მხოლოდ ასე თუ განისაზღვრებოდა:

ფანტასტიკურ რეალიზმად ან რეალისტურ ფანტასტიკად.

ეს რაღაც იმგვარია, ომარ ხაიამის რობაიდან რომ ჩაგვრჩენია მეხსიერებაში: არარსებული არსებულად ჩათვალე, ძმაო, არსებული კი მიიჩნიე არარსებულადო...

პარადოქსით ლამობდა სპარსელი მისტიკოსი პოეტი გამკლავებოდა წუთისოფლის ტრაგიზმსა და სისასტიკეს.

პარადოქსი მოუშველიებია ქართველ ბელეტრისტსაც, ფანტასმაგორიულობა და ალოგიკურობა ჩაუფენია თხრობის მდინარებაში, მრუდესარკისებური სიზმრისეული სიმბოლიკით განუმსჭვალავს და ბანალური ყოფითი სურათები დიდ განზოგადებამდე ამიტომაც აუზიდავს.

არსებობს კი ეს სინამდვილე თავის მოქმედ პირებიანად?

დაბეჯითებით შეიძლება განაცხადო, რომ... არ არსებობს.

და ასევე დაბეჯითებით შეიძლება ამტკიცო, რომ... არსებობს, რატომაც არა!..

მხატვრული ჩანაფიქრი, რაც რეზო ჭეიშვილს დაესახა, იშვიათი ხელოვნებით აღსრულებულა.

და მითუფრო შესაბრალისია „კვამლის“ ყველაზე დაუცველი, ყველაზე მარტოსული გმირი.

თუმც... არის კი რეალურად არსებული პიროვნება ესმა ბესტაური, ვინც არარსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლში ცეკვავს და არარსებულ პანაშვიდს ესწრება?!. თუ მირაჟია, მოჩვენებაა, ლანდია, საიქიოდან მოვლენილი სულია?!.

თითქოს მარტოდენ იუმორისტული მოთხრობაა, ჭეიშვილისებური ირონიული პასაჟებით, და ეს მანამდე, ვიდრე წაუკითხავ თხზულებაზე ჟურნალის განყოფილების გამგე დამწყებ ავტორს რამდენიმე რჩევას გაუზიარებდეს, უპირველესად კი დაარიგებდეს: ნაწარმოები ავტობიოგრაფიულს ჰგავს და სჯობს პირველი პირით მოგვითხრო რაც სათქმელი გაქვს, თუ დამიჯერებ უკეთესი გამოვა, ბევრად უკეთესიო. და ფრანსუაზა საგანის რომანებს მიუთითებდეს: როგორ უბრალოდ და გულწრფელადო...

ესმამ მალევე, საკვირველი სისწრაფით უნდა გადაწეროს თავისი მოთხრობა, თხრობა პირველ პირში გადაიყვანოს და... გურამ ნკავაძე კმაყოფილი დარჩეს კითხვისას, კარგი ვქენი, ის რჩევა რომ გავუზიარეო.

დამწყები ავტორის თხრობა კი გრძელდება, თუ რა საშინელი სისწრაფით ეშვებოდა მანქანა თავდაღმართში, როგორ შეასკდებოდა ხეს და მთხრობელს მოეჩვენებოდა, თითქოს სამზარეულოს კარი მომხვდა, აი, ერთდროულად რომ გაიღება საპირისპირო მხარეს განლაგებული სარკმელი და ფანჯარა და კარი თითქოს გამკრავმა ქარმა მოაჯახუნაო. მერე მუხრუჭებისა და საბურავების საზარელი ხრჭიალიც უნდა მოესმინა, და არც შიში განეცადა და არც ტკივილი, ეგაა, ცეცხლი უნდა დაენახა და მოსჩვენებოდა, რომ ნაძვი იწვოდა.

დამტვრეულ-დაჩეხილებს წამლების სუნით გაჟღენთილ პალატაში რომ დააწვენდნენ, ავტორს ეს გარემო თეთრ სამარედ უნდა მოეხსენიებინა, თუმც გაზაფხულის სუნი ტრიალებდა მაინც, ყვავილების მტვრითა და სინათლით უნდა ავსებულიყო ოთახი და...

— მზის ამოსვლამდე გარდავიცვალე მე.

ეს „მე“ რაღად უნდოდაო, — უნდა გაიფიქროს განყოფილების გამგემ, — „მოვკვდი“ დაეწერა, ჯობდაო.

ოღონდ ცივმა ოფლმა უნდა დაუცვაროს შუბლი და თითქოს... თითქოს რაღაცას მიხვდეს. ეგაა, ძალიან უძნელდება თავს გამოუტყდეს იმ ცოდვა-დანაშაულში, რაც ჩაიდინა, და მოთხრობის კითხვა გააგრძელოს.

— ჩემი გარდაცვალების მესამე დღეს ჩამოვიდა მხოლოდ დედა სოფლიდან...

— დამმარხეს ხუთშაბათს...

— სველ მიწას რომ მაყრიდნენ, მზემ გამოიხედა და სამარის ნაპირებს მსუბუქი ორთქლი აადინა...

— ჩემს სამარეზე ყვავილები მოიტანა ზაურიმ...

— ორმოცი რომ გადამიხადეს...

პერსონაჟისათვის ბუნდოვანი, დაფარული რჩება ის, რაც მკითხველისათვის საბოლოოდ გათვალსაჩინოებულა, თორემ „კვამლის“ მისტიკურ პლანსა და ღრმა ტრაგიზმზე მინიშნებას უკვე იქ ჩაწვდებოდა, მანქანის შეხეთქება ხესთან ესმას სამზარეულოს კარის მოხვედრის განცდას რომ გაუჩენდა. მართალია განყოფილების გამგე ნათლად ვერ წარმოიდგენდა განლაგებას ოთახებისა, სადაც ამგვარი რამ შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ:

— დეტალი განცდილს გავდა და ამის მოგონება დიდ ფანტაზიორსაც გაუჭირდებოდა.

და თუ საავტომობილო კატასტროფის სცენა მართლაც განცდილია, რაკილა მისი მოგონება დიდ ფანტაზიორსაც გაუძნელდება, მაშ... ესმა ბესტაური უკვე სულად მოვლენია ამ სამყაროს და კიდევ ერთხელ იმეორებს აქ განვლილ გზას, სინამდვილეში საავტომობილო კატასტროფამ კი არა, ადამიანთა უსულგულობამ, სისასტიკემ, გულცივობამ რომ მოუღო ბოლო.

თითქოსდა ყოფითი იუმორისტული დეტალი — განყოფილების გამგეს მისი მოთხრობა რომ არ წაუკითხავს და უნებუ-

რად აამბობინებს ავტორს საკუთარი გარდაცვალებისა და დაკრძალვის ტრაგიკულ ეპიზოდს — ერთბაშად განზოგადდება და, ჭეიშვილისებური სტილისტიკით აღვსილი, უმძაფრეს შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველის ფსიქიკაზე მისტიციზმისა და გროტესკის იშვიათი თანაზომიერებით, დიდებული შერწყმითა და სიზმარ-ცხადის ხელშესახები შეგრძნებით.

მზის ამოსვლამდე გარდავიცვალე მეო...

და გურამ ნკავაძის უპირველესი რეაქცია ამ სტრიქონის ჩაკითხვისას: ეს „მე“ რად უნდოდა, სჯობდა, „მოვკვდი“ დაეწერაო...

დიდება შენდა, ღმერთო!..

ასე შიშვლდება ამ პერსონაჟის — და არამარტო პერსონაჟის, მთელი საზოგადოების — სული, გულცივობას სულაც ცინიზმამდე რომ მიუყვანია. არა, კი არა ცინიკოსობს განყოფილების გამგე ახალგაზრდა ქალის ტრაგიკულ ბედისწერაზე, თვითონაც ვეღარ გრძნობს, ასე რომ გამოუდის. ეგაა, ცივი ოფლით დაცვარულმა შუბლმა უნდა მიახვედროს, რომ რაღაც უჩვეულო მოხდა მის ცხოვრებაშიც და გარემო სინამდვილეშიც და ასე გაგრძელება სიწრფელის, უმანკოების, ბუნებრიობის, მშვენიერების სრულ გამეტებასა და აღმოფხვრას მოასწავებს.

და როდესაც ყოველი ახალი ფრაზის ამოკითხვა — გარდაცვალების შემდგომი დეტალები პირველი პირით რომ არის მოთხრობილი — პერსონაჟს გულს უკუმშავს, მსუბუქ თავბრუსხვევას აგრძნობინებს და ხედავს ხმელი ფოთლებით დაფარულ, სველ სამარესა და მიწის ნედლ ბორცვებზე ამოწვერილ ბალახს, ეს ესმა ბესტაურის გმირის წარმოსახვითი საფლავი კი აღარაა, არამედ თვითონ ამ დებიუტანტი ავტორისაც და... დასაღუპავად განწირული სისპეტაკისა და მშვენიერებისაც.

— კვამლია აქ! — გურამ ნკავაძის ეს სიტყვებიც უკვე აღარაა ყოფითი დეტალი და, მოთხრობის სახელწოდებად გატანილი, მწარე, გულისტკივილიან განზოგადებად გაინცდება, რეზო ჭეიშვილის წინასწარხედვად ცხოვრების ამ ნირისა და სტილისაგან მოსალოდნელი კატასტროფისა.

და ზარივით ამიტომაც რეკს მთელი მოთხრობა, განგაშის ზარივით, მითუმეტეს, რომ ამხელა ვნებათაღელვა და მისტიციზმ-გროტესკულობის სტილური ზეიმი ყველაზე შემაშფოთებელი დეტალით უნდა დაგვირგვინდეს, იმ ყოფითი სურათით, რაც მკითხველს ძრწოლას ჰგვრის ცხოვრების ძველებური ნირის უცვლელობის პერსპექტივით:

— გურამ ნკავაძე, ირაკლი გობეჯიშვილი, ირაკლი საყვარელიძე, სულთანიშვილი სულიკო და ჯამბულ, ჯამბულის გვარი ნკავაძეს არ ახსოვდა, დასალევად წავიდნენ.

ისედაც ყველაფერი ნათელია და ეს ფინალური სტრიქონები ყველაზე ზუსტი დაგვირგვინებაა „კვამლის“ ტრაგიკული სულისკვეთებისა, მაგრამ ის თითქოსდა სასხვათაშორისო ელემენტი — ჯამბულის გვარი რომ არ ახსოვს ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს — კიდევ ერთი საგულისხმო, სწორედაც ჭეიშვილური შტრიხია, მხატვრულიც და ფსიქოლოგიურიც, განწყობილების გასამკვეთრებლადაც და ფილიგრანულად აგებული კომპოზიციური ქარგის ყველაზე მოხდენილად შეკვრისთვისაც.

* * *

— დავწერ, არ დამიჯერებენ!

მახსოვრობის ტვინს ეცლება აბლაბუდა, იხდება სიბნელის ფარდა და ნეტარ იქნებიან ისინიც და ჩვენც, ვინც ვიცოდით, რომ არაფერი არ ვიცოდით — და ყოველივე ბრუნავს და ტრიალებს, მკვეთრდება თუ მიინავლება უნარითა მკილისა, ცოდნითა მკილისა, სიყვარულითა და მოთმინებითა ჩვენითა...

დანისლული გორები და ფესვებაფშეკილი, თავდაღმა დარგული ხეები მოჩანს დედის სამარიდან და ვერ გაგიგია, ვის დაურგავს ხეები უკუღმა — ტოტებით ძირს და ფესვებით მაღლა?

მსუბუქი, უხილავი კვამლი კი მიიწევს ზევით, სულ ზევით და ბროლის სტალაგმიტების წკრიალით უერთდება ზეცის თავანს.

ხედავ სიცივეს, ნაცრისფერ ფიფქებს შეჰყურებ, იგო-

ჩინებული მასალა კარგი ფილმის გადასაღებად

„ჩვენი მწერლობის“ გასულ ნომრებში გამოქვეყნდა ქალბატონი **მანანა გაბაშვილის** წერილი **„ქართული მეცნიერების 20 წელი“**, რომელიც შეეხებოდა ქართული მეცნიერების დღევანდელ მდგომარეობას. საკმაოდ მძიმე და დამაფიქრებელ ნაშრომში აღმოვაჩინე საუკეთესო მასალა ფილმის გადასაღებად. კერძოდ, „აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შენობაში, რეფორმების შედეგად შემოსახლებულები არიან შემდეგი ინსტიტუტები — ფილოსოფიის, გეოლოგიის, ფსიქოლოგიის, დემოგრაფიის, თეორიული ფიზიკის, ასტრონომიის, პოლიტოლოგიის, ზოოლოგიის, გარდა ამისა „სამარიტელთა კავშირი“ და სპორტის ფაკულტეტი. ეს არის ნამდვილი „სამეცნიერო საერთო საცხოვრებელი“ ე.წ. „სამეცნიერო კომუნალკა“, რომლის მესამე სართულზე, იქ სადაც ადრე გიორგი წერეთლის მემორიალური კაბინეტი იყო, დღეს სპორტის ფაკულტეტია და სანამ ამ ყოფილ კაბინეტამდე მიხვალთ, თქვენს წინ გადაიშლება სპორტული თასებისა და ჯილდოების გამოფენა. სიტუაციაში გარკვევამდე გეგონებათ, რომ ამ ჯილდოების მფლობელები და სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულები ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები არიან. ამას წინათ ჩვენთან შემოსახლებულ ზოოლოგებს პითონი გაეპარათ (მართალია არცთუ ისე დიდი, მაგრამ მაინც პითონი), ზოგი ამბობს, რომ გველი იპოვეს, ზოგი ამბობს, რომ არა...“.

საბჭოთა წყობის ნგრევა ქართულ მეცნიერებასაც განსაკუთრებულად შეეხო. ზემოთ აღნიშნული ტრაგი-კომიკური ვითარების გარდა არსებობს ბევრი სხვა მსგავსი, ხალხში მოარული ამბავიც. ვფიქრობ, როდესაც ქართული კინოხელოვნება განიცდის სცენარების ნაკლებობას, მხოლოდ მოტანილი ამონარიდი გამოდგება კარგი ფილმის გადასაღებად (თუნდაც „ცისფერი მთების“ ე.წ. remake-ის შესაქმნელად, რომელიც საზოგადოებას შედარებით ნათელ ფერებში დაანახებს თანამედროვე ქართული მეცნიერების ურთულეს საკითხებს). ფილმის გადაღების მსურველის გამოჩენის შემთხვევაში სცენარის ერთ-ერთი საკონკურსო ვარიანტს მეც სიამოვნებით წარმოვადგენდი.

დავით ჩხეიძე

ქეთევან დოლიძე

მწვერვალები მხოლოდ რჩეულთა ხვედრია...



ყველაფერს თავისი დრო აქვს. ყველა წიგნს თავისი ბედ-იღბალი დაჰყვება. ქართველმა მკითხველმა უდიდესი საჩუქარი მიიღო — დაიბადა წიგნი „მყინვარწვერიდან ევერესტამდე“. „ეს არის საუკუნის წიგნი ქართულ მთამსვლელობაზე, რომელსაც ორმოცდაათი წელი ველოდით“ — წერს ერთ-ერთ წერილში ცნობილი ჟურნალისტი ჯუმბერ ჯიშკარიანი. სწორედ ბედისწერაა, რომ ამ წიგნის ავტორი გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, 30-ზე მეტი მეცნიერული შრომის, არაერთი წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი, რედაქტორი, კონსულტანტი, საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პრეს-სპიკერი, 2005 წელს ალიოშა ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის დირექტორი, ქართული ალპინიზმის ისტორიის საკითხებში აღიარებული ექსპერტი და კონსულტანტი, მთამსვლელ ჯაფარიძეთა შთამომავალი, ალექსანდრა ჯაფარიძის ოჯახურ გარემოში გაზრდილი და მისივე შვილობილი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ივანე ჯაფარიძეა, რომლის სახელი შეტანილია ქართველ მოგზაურთა, გეოგრაფთა და ბუნების მკვლევართა შესახებ 2003 წელს გამოცემულ ენციკლოპედიაში, ხოლო წიგნის რედაქტორი, მთამსვლელი და დამსახურებული მწვრთნელი, მრავალი თაობის აღმზრდელი გივი ქართველიშვილია.

ბატონმა ივანემ უნიკალური დოკუმენტური მასალა შეკრიბა: ქართველ მთამსვლელთა დღიურები, მწვერვალებიდან მოხსნილი ბარათები, ლიტერატურული, აუდიო და ტელეჩანაწერები. სწორედ ეს მდიდარი არქივი გახდა უნიკალური წიგნის შექმნის მკვიდრი ბალავარი, რომლის შეგროვებასა და გაფრთხილებასაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა და გადაარჩინა ქართული ალპინიზმის თითქმის საუკუნოვანი ისტორია. ასევე ერის საამაყოდ და მომავალ თაობათა საგზლად, სოფელ ხრეითში, თავისი წინაპრების სამოსახლოში, გახსნა მთამსვლელ ჯაფარიძეთა სახლ-მუზეუმი.

„მყინვარწვერიდან ევერესტამდე“ მოიცავს 1923-1991 წლების ისტორიას და ეძღვნება ყველა ქართველი მთამსვლელის ხსოვნას. ამ წიგნით ბატონმა ივანემ ფასდაუდები სამსახური გაუწია როგორც ქართულ მთამსვლელობასა და მეკლდეურობას, ისე მკითხველ საზოგადოებასა და ნორჩ თაობას.

ივანე ჯაფარიძის ცხოვრება მთამსვლელობით არის გაჯერებული. ამიტომაც ასე უშუალოდ აცოცხლებს წიგნში სხვადასხვა თაობის ქართველ მთამსვლელთა და იმ საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტებს, რომელთაც თავიანთი ძირითადი მნიშვნელოვანი საქმიანობის გარდა, მთამსვლელობასაც წარუშლელი კვალი დააჩნიეს. ეცნობი წიგნს, გრძნობ ამ „ინტელექტუალური“ სპორტის უდიდეს მუხტს და აღიარებ, რომ მთამსვლელობის „უკურნებელი სენით“ მხოლოდ რჩეულნი ავადდებიან.

ხატოვნადაა აღწერილი ზოგიერთი საეტაპო ასვლის პერიპეტიები. თვალნათლივ ხედავ უშბის ვერტიკალურ კედელზე თოკით დაკიდებულ ალექსანდრას, რომელმაც მთელი ღამე მარტომ ათია და უშბის დალაშქვრის დიდი მისია მაინც შეასრულა. „რომ არა ალექსანდრას თავგანწირვა, ჩვენ ალბათ ხელს ავიღებდით უშბის დაპყრობაზეო“ — იგონებდნენ შემდეგ ასვლის მონაწილენი.

„კავკასიონის მწვერვალები ალექსანდრას ღვიძლი ძმები არიანო“ — ამბობდა ლევან გოთუა. დამ ძმების სისხლი არ შეარჩინა თეთნულდსა და უშბას, კავკასიონმა ქედი მოიხარა ამ შეუპოვარი ქალის წინაშე. შემდეგ ალექსანდრა ჯაფარიძემ ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ გზით იარა, მყინვარწვერის კალთაზე ბეთლემის გამოქვაბული აღმოაჩინა, მასში შევიდა და ლეგენდა სინამდვილედ აქცია.

ალექსანდრა ჯაფარიძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ რუსთაველის თეატრში გამართულ საიუბილეო საღამოზე, უდიდესმა მსახიობმა ვერიკო ანჯაფარიძემ, ალექსანდრას ცოცხალი ლეგენდა უწოდა და აღნიშნა, რომ გაუჭირდებოდა მისი როლის შესრულება, რადგან მასში ორგანულად იყო შერწყმული ქალური სინაზე და დიდი ვაჟკაცობა.

რა საოცარი მიზიდულობა აქვთ მწვერვალებს, მკითხველი ამასაც შეიტყობს წიგნიდან ერთი საარაკო მაგალითით: როგორ ჯიუტად ერკინებოდა მთებს ფეხის ათივე თითმოკვეთილი ალიოშა ჯაფარიძე 10 წელიწადს და როგორ შეძლო მრავალი ურთულესი მწვერვალის დამორჩილება. 1945 წელს კი უშბაზე სარეკორდო ასვლის დროს მეგობრებთან ერთად ზვავმა იმსხვერპლა...

ალიოშა ჯაფარიძე მეგობრებთან ერთად მხოლოდ 12 წლის შემდეგ იპოვეს...

წიგნში მკითხველი გიორგი ნიკოლაძის, სოსო ასლანიშვილის, ნიკო კეცხოველის, იაგორ კაზალიკაშვილის, მიქელ პატარიძის, ლევან გოთუას, გურამ თიკანაძის, მიხეილ ხერგიანის, ლევან მარუაშვილის, დავით წერეთლის, მზია ერისთავის, მარინე უთმელიძის, „უშბის დიასახლისის“ მაკრინე ქურდიანისა და სხვათა შესახებ მრავალ საინტერესო და აქამდე უცნობ ამბავს აღმოაჩენს.

მთამსვლელთა სულისშემძვრელ დღიურებთან ერთად წიგნში უხვად არის ულამაზესი მოგონებებიც. მაგალითად, როგორ მიულოცეს დაბადების დღე 4700 მეტრზე თოკში ჩაბმულმა მეგობრებმა ოთარ კაპანაძეს. ანდა, როგორ ჩაატარა მუცლის ღრუს ოპერაცია რამაზ შენგელიამ რამდენიმე ექიმთან ერთად 4000 მ. სიმაღლეზე და სიკვდილს გადაარჩინა გამოცდილი მთამსვლელი.

სხვადასხვა თაობის მთამსვლელთა საინტერესო წუთები, ეპიზოდები, მოგონებანი და თავგადასავლები ჟამთა მდინარეზას რომ არ წაელეკა, ივანე ჯაფარიძემ წიგნს დაურთო მთამსვლელთა საუბრის ჩანაწერთა მდიდარი აუდიომასალა. გავა დრო და შთამომავლობა დააფასებს ავტორის ამგვარ გარჯას. ეს წიგნი საგანძურით სავსე კიდობანია, სადაც თითოეული ქართველი მთამსვლელის სუნთქვა უჭკნობი ედელვაისივით შემონახულა.

წიგნში თითქმის არავინ და არაფერია დავიწყებული 1923-დან 1991 წლამდე: ჩემპიონობა, გამარჯვებები, ჯილდოები (ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები), „თოვლის ჯიქები“, მთაში დარჩენილი ბიჭები...

გარდა წიგნისა, უნდა აღინიშნოს ივანე ჯაფარიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებაც: 1992 წელს ძმასა და მეგობრებთან ერთად ავიდა კაცხის სვეტზე, ნავით შევიდა სოფელ ხრეითში არსებულ ე.წ. „კარიან კლდეში“, სადაც კარსტული წარმოშობის უდიდესი ტბაა. ვიდეოფირზე აღბეჭდილი, წითელ წიგნში შეტანილი ეს ობიექტები ორ ფილმად წარუდგინეს ტელემაყურებელს და დღემდე დიდ მოწონებას იმსახურებს. ამ ფილმების საფუძველზე საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე დაარსდა პროგრამა „ირაო“, რომლის ერთ-ერთი ავტორი და წამყვანიც ივანე ჯაფარიძე იყო. საქართველოს რადიოში მან სხვადასხვა დროს დააფუძნა პოპულარული პროგრამები და რუბრიკები: „ამერ-იმერი“, „საქართველოს სოფლები“, „დილის ირაო“, „ამ შაბათ-კვირას“, „თბილისის ისტორია“, „ჩვენი საგანძური“... დილის სატელევიზიო პროგრამა „ალიონში“ უძღვებოდა გადაცემების ციკლს „ვიმოგზაუროთ საქართველოში“, რომლის ავტორიც, რეჟისორიცა და ოპერატორიც თვითონვე იყო. სატელევიზიო სპორტულ პროგრამაში „ჩემპიონი“ მიჰყავდა ყველა ის გადაცემა, რომელიც მთამსვლელობასა და ქართველ მთამსვლელებს ეძღვნებოდა. მის კალამს ეკუთვნის ასორმოცდაათამდე წერილი, სტატია და ნარკვევი. ავტორია 7 სატელევიზიო ფილმისა, რომელთაგან ერთმა — „სუ-ალტო (მიხეილ ხერგიანის ხსოვნას)“ — 2001 წელს მთისადმი მიძღვნილი ფილმების მე-5 საერთაშორისო კონკურსზე მოსკოვში, ნომინაციით „ალპინისტური ტრადიციების შენარჩუნებისათვის“ პრიზი მოიპოვა, 2004 წელს კი თბილისში გამართულ სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური დოკუმენტური ფილმების ფესტივალზე „ნიამორი“ გაიმარჯვა ნომინაციით „სამთო ექსპედიცია“. ფესტივალ „ნიამორის“ 2008 წლის ლიტერატურულ კონკურსში კი, ნომინაციით „დოკუმენტური მოთხრობა“, პირველი ადგილი და ფულადი პრემია დაიმსახურა.

საქართველოს რადიოსა და ტელევიზიაში ბატონ ივანეს სხვადასხვა თემაზე 3000-მდე გადაცემა და სიუჟეტი აქვს მომზადებული, რომელთა ნაწილი საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზიისა და რადიოს ოქროს ფონდში ინახება.

ამჟამად საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოპროგრამების — „ჩვენი საგანძურისა“ და „ხაზის რადიოს“ — ავტორი და წამყვანია. რადიომსმენელს აოცებს როგორც თემატიკათა მრავალფეროვნებით: მწერლობა, მხატვრობა, მეცნიერება, მედიცინა, ისტორია, თეატრი, კინო... ისე ამ საკითხებში მაღალი კომპეტენციით. მის რადიოგადაცემებში ძალზე ხშირად გაისმის განგაშის ზარი საქართველოს მთიანეთის პრობლემებზე, საქართველოს მოწყვეტილ კუთხეებში მცხოვრებ თანამოძმეთა თანადგომაზე, მსმენელის ყურსა და გულამდე აღწევს მამულისთვის დამაშვრალ და ამაგდარ, ხშირად უსამართლოდ მივიწყებულ ადამიანთა გვარ-სახელები... უნდა აღინიშნოს, რომ ივანე ჯაფარიძე ერთ-ერთი პირველი იყო, საზოგადოებას მივიწყებული ნიკო სამადაშვილი რომ შეახსენა. რადიოში მას უამრავი მადლიერი ადამიანი ეხმიანება, ზოგი ბარათით, ზოგიც — ტელეფონით. რაჭის მაღალმთიანი სოფლებიდან გამოგზავნილ ერთ წერილს 150-მდე ადამიანიც კი აწერს ხელს. მისი გადაცემებით მსმენელი სიცოცხლესა და სიკეთეს ეზიარება, ხშირად შრომა უმსუბუქდება, მომავლის რწმენა იპყრობს, ივანე ჯაფარიძის გადაცემათა დახმარებით მათი სიტყვა და სატკივარი ადრესატამდე აღწევს. ამავდროულად ბატონი ივანე ახალგაზრდა თაობის აღზრდასაც ემსახურება, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ახალ საგანს — „გარემო და ბუნებრივი კატასტროფები“ — უკითხავს სტუდენტებს.

8 თებერვალს კი ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაც მოხდა, ივანე ჯაფარიძის წიგნმა „მყინვარწვერიდან ევერესტამდე“, დავით აღმაშენებლის პრემია დაიმსახურა. ბატონი ივანე კი ამ ჯილდოს ყველა იმ მთამსვლელს უძღვნის და უმადლის, რომლებიც სამარადჟამოდ უკვდავყო თავის უნიკალურ წიგნში. გულწრფელად მჯერა, რომ ეს მშვენიერი წიგნი ქვეყნის მოყვარული ყოველი ადამიანის სამაგიდო წიგნად იქცევა. ქართველ საზოგადოებას ვუღოცავთ ამ მნიშვნელოვან შენაძენს.

ძნელი გზა-სავალია მყინვარწვერიდან ევერესტამდე. დიდი ძალისხმევა და უფლის წყალობაა საჭირო, რომ ამ გზით იარო. იქნებ, ამას ზოგიერთი მთამსვლელისათვის გოლგოთის გზაც ჰქვია... შემდეგ კი ვაჟკაცური სახელითა თუ თიკუნით „დაბრუნების“ გზაც... იქნებ ის მოყვასის სიყვარულის, სიკვდილის დაბეჩავებისა და უფლის სუნთქვასთან მიახლების გზაცაა.

ალბათ, ამიტომაც ისწრაფიან რჩეულნი მწვერვალებისკენ...

ოთხშაბათს, 1 მაისს
ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტის
„გალაკტიონის კვლევის ცენტრი“
აწყობს განხილვას

როსტომ ჩხეიძის
ბიოგრაფიული რომანისა

„კომიკოსი ტრაგედიაში (გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა)“

მომხსენებელი
ლევან ბრეგაძე

დასაწყისი 14 საათზე
კოსტავას 5

ჰაიფა ბიტარი სირიელი მწერალია. დაიბადა ლატაკიაში, 1958 წელს, მასწავლებლის ოჯახში. არის 9 რომანისა და მოთხრობების 11 კრებულის ავტორი. ხშირად იწვევენ არაბული ტელევიზიების კულტურულ პროგრამებში. მისი მოთხრობები თარგმნილია ინგლისურ ენაზე და ქვეყნდება არაბული მწერლობის ინგლისურენოვან ჟურნალში „ბანიპალი“. 2003 წელს თუნისში დააჯილდოვეს აბუ-ლ-კასიმ ალ-შაბის სახელობის პრიზით კრებულისთვის „მეძავი“. იგი მოქმედი ოფთალმოლოგია, რომელიც წარმატებით ათავსებს მედიცინასა და მწერლობას.

მათხოვრების თემა — თავისი შენაკადით: პატარა თხოვარები — ყოველთვისაც აღელვებდა ყველა ქვეყნის მწერლობას და ბევრგვარი კუთხითა და სტილისტიკით, ბევრგვარი ნიუანსითა და ფენა-ფენა ჩაღრმავებითაც წარმოსახული. და მაინც, არაბი მწერალი ქალი ახერხებს ახალი რაკურსის მოძებნასა და იმ ნიუანსების შემჩნევას, რაც აქამდე მთლად დაფარული თუ არ ყოფილა, ასე დეტალურადაც არ გაანალიზებულა მხატვრულად თუ ფსიქოლოგიურად. ფატიმა არაბი ბავშვიცაა — ბავშვობაწართმეული, მაგრამ სულიერად სიმტკიცეშენარჩუნებული — და ყველა ეროვნების ბავშვსაც მოგვაგონებს, რაკიღა ჰაიფა ბიტარი მარჯვედ აგნებს იმ მთავარ ძარღვს, ძალდაუტანებლად რომ განზოგადდება და მახლობელი ხდება ჩვენი დროის საქართველოსთვისაც, რომელიც თუ რაიმეს სიმცირეს არ განიცდის, მათ შორის ერთ უპირველესთაგანს — მათხოვარი ბავშვებისას. ამ ბავშვებში უსათუოდ მოიძებნებიან ქართველი ფატიმებიც, თავიანთი დრამატული ყოფითა და სულიერი სიფაქიზით, დიახ, სწორედ იმ სიფაქიზით, რაც დაკარგული გვგონია, მაგრამ ყოფითი რეალობა ადასტურებს, რომ არც ისე უნუგეშოდაა საქმე, ყოფითი რეალობის კარნახს კი ყველაზე შთამბეჭდავად სხვა რა გადმოსცემს, თუ არა ნამდვილი ლიტერატურა, რომლის ერთ ნიმუშსაც, ხელშესახებ დასტურს სირიული არაბული მწერლობისა, ამჯერად გთავაზობთ.

ჰაიფა ბიტარი

ფატიმა

ფატიმამ ჩემი ყურადღება მხოლოდ იმით არ მიიპყრო, რომ მათხოვარი ბავშვი იყო. სამწუხაროდ, ხშირად ვხედავდი ქუჩაში მოხეტიალე ბავშვებს, გამვლელებს თავს რომ აბეზრებენ და ყოველ ჯერზე მახსენებენ, რა სასტიკი შეიძლება იყოს ცხოვრება. ფატიმა 10 წელზე მეტისა არ იქნებოდა. პირველი შეხვედრიდანვე ამ პატარა გოგომ თითქოს გამოწვევა მესროლა, — არასოდეს მენახა ფატიმასნაირი საკუთარ თავში დარწმუნებული მათხოვარი. მათხოვრობა დამცირების და დეგრადაციის ნიშანია, მაგრამ ფატიმას საკუთარი ღირსების საოცარი გრძნობა ჰქონდა. მას ალბათ არასოდეს სმენია ღირსების შესახებ და არც სიტყვის მნიშვნელობა იცოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღირსებას იმ ადამიანივით ატარებდა, ფასდაუდებელი სამკაული რომ აქვს, მაგრამ მისი ფასი არ იცის.

ოფისში ვიჯექი, თბილ ოთახში ნება-ნება ვსვამდი არომატულ ყავას, რომელიც ყოველდღიური პატარ-პატარა იმედგაცრუებების გადატანაში მეხმარებოდა. ტელევიზორის ეკრანიდან თვალი ფანჯრისკენ გამექცა, თავსხმა წვიმისკენ, სულისშემხუთველი ცრემლებივით რომ იღვრებოდა.

ფატიმა ოფისში შემოვიდა, — მოსიარულე საფრთხობელა, ძონძებგადაკიდებული ჩონჩხი. სასტიკი სუსხისგან დალურჯებული, ჭუჭყიანი ფეხის თითები გამოხეული ფეხსაცმელებიდან გამოჩროდა. გამხდარი, ავადმყოფური სხეული ჰქონდა, მაღლა აწეული თავი. სახეზე მიხატული დაღლილი ღიმილი ღონემიხდილობას და ტკივილას ააშკარავებდა. უწესრიგოდ მოჭრილი, სველი თმა კისერსა და მხრებზე ეყარა. მარჯვენა ხელში შავი ჩანთა ეჭირა.

— ამ სვიტრს ხომ არ იყიდით? — მის ინტონაციაში თხოვნის ნასახიც კი არ იყო.

ჩანთიდან მწვანე სვიტრი ამოიღო და დაუდევრად გამომიწოდა, თუმც იცოდა, არასოდეს ვიყიდდი ასეთ ძონძს.

არ შემეძლო მისი გაგდება. მათხოვარ ბავშვებთან ჩვევად მქონდა, მე თვითონ გავქცეულიყავი, აჩქარებით ვაძლევდი ცოტაოდენ ფულს ან ნაბიჯს ვუჩქარებდი, იმის მისახვედრებლად, რომ დადევნებით არ შევეწუხებინე. მათი ჩამოძონძილი გარეგნობა სევდითა და ბრაზით მავსებდა.

მაგრამ ფატიმამ საკუთარი თავი ისე წარმოადგინა, მაიძულა ჩემი არსების ყველა უჯრედით დამენახა. მისმა პარადოქსულობამ მომხიბლა. ეს პატარა არსება – უარყოფილი, მშიერი, მოცახცახე, თითქმის ფეხშიშველი – საკუთარ თავში გამომწვევ სიამაყეს ატარებდა, საკუთარი თავის ჭეშმარიტ რწმენას. ნუთუ ამ იდუმალების, ამ გამოცანის ამოხსნა მსურდა?

— ვინ ხარ? — ვკითხე.

— ფატიმა, — მიპასუხა.

— რატომ მათხოვრობ, ფატიმა?

მხრები სარკასტულად აიჩეჩა და გაიღიმა. ღიმილმა ყვითელი კბილების რიგი გამოაჩინა.

— სკოლაში დადიოდი?

— მეხუთე კლასამდე.

— რატომ მიატოვე სკოლა, ფატიმა?

— დედაჩემმა მაიძულა, მუშაობა რომ შემძლებოდა, — მიპასუხა გამომწვევად.

— ის გაიძულებს მათხოვრობას?

— კი.

ისეთი დაჟინებით ვუმზერდი, თითქოს საკვლევი ობიექტი იყო. დიდი, თაფლისფერი თვალები ჰქონდა, ნათელი, წმინდა და გადაწყვეტილებით აღსავსე. მას სიყვარული უნდოდა და არა სიბრალული. თითქოს თვალებით ამბობდა: ნუ დამყურებთ ზემოდან, ნუ მამცირებთ თქვენი სიბრალულით, მე ხომ თქვენნაირი ადამიანი ვარ; უბრალოდ, რთულ ვითარებაში აღმოვჩნდი.

გავაცნობიერე, რომ ფულს ვაძლევდი, არა იმდენს, მას რომ გახარებოდა ან ჩემი სინდისი დამემშვიდებინა, არამედ სხვა მიზეზით. მე ფატიმას გაკონტროლება მსურდა იმ თანხის სანაცვლოდ, რომლის ქონაც არასოდეს უოცნებია.

ფული ყოველგვარი თავპატიჟის გარეშე გამომართვა. დიდ ჯიბეში ჩაიდო, რომელიც მსხვილი ქამრით ჰქონდა დამაგრებული. მადლობის გრძნობით გამიღიმა, მისმა მზერამ კიდევ ერთხელ ნაზად გაირბინა ჩემს სახეზე.

— მომიყევი შენს ოჯახზე, დედაზე, მამაზე...

კითხვა არ დამამთავრებინა:

— მამაჩემი კიბოთი გარდაიცვალა ორი წლის წინათ. ოთხი ძმა მყავს, ყველა ჩემზე უმცროსი.

— დედაშენი რას აკეთებს?

— არაფერს.

— როგორ ცხოვრობთ?

მხრები აიჩეჩა და თქვა:

— ღმერთი გვეხმარება. ზოგჯერ ნათესავები გვიგზავნიან საჭმელს.

მისი სრული, აუღელვებელი მზადყოფნა თავისი მდგომარეობის ასატანად – ტანჯვის, დედის უგულობის, გაუბედურებული ბავშვობის – მაბრაზებდა. მიუხედავად ამ მდგომარეობის სისასტიკისა, ფატიმას საოცრად უყვარდა სიცოცხლე. ბრაზი დავიოკე და საუბარი განვაგრძე.

— იცის დედაშენმა, რომ ოფისიდან ოფისში დადიხარ და მათხოვრობ?

— კი.

— არ ეშინია, რომ შეიძლება თავს დაგესხან, შეურაცხყოფა მოგაყენონ, მოგიტაცონ ან...

შემაწყვეტინა:

— არ ვიცი, არა მგონია.

— როდის გადიხარ შინიდან?

— დილის შვიდ საათზე.

— როდის ბრუნდები?

— რვიდან ცხრამდე.

— სად ატარებ მთელ ამ დროს?

— ვმათხოვრობ.

ისე აიჩეჩა მხრები, ვიგრძენი, მასხრად როგორ აიგდო ჩემი შეკითხვა. მივხვდი, რომ ფატიმა ვერ აცნობიერებდა, რა დამამცირებელია მათხოვრობა. ის და მისი ძმები, სიღარიბის ვიწრო ჩიხში მოქცეულნი, შიმშილად წოდებული ვამპირის კლანჭებში აღმოჩნდნენ.

— კარგ თანხას აგროვებ?

— ყოველთვის არა.

— ყველაზე ბევრი რამდენი მოგიგროვებია?

— ერთხელ ერთ დღეში ასი ლირა შევაგროვე. „დასაქმებული ადამიანის ერთი კვირის ხელფასია", გავიფიქრე.

უცებ ვიგრძენი, რომ საუბრის გაგრძელება აღარ შემეძლო. ღრმა ნაპრალი გაჩნდა ჩვენ შორის, რომელმაც ერთმანეთს დაგვაშორა. ფატიმამ, თავის მხრივ, იგრძნო, რომ აღარ შემეძლო მისი იქ ყოფნის ატანა, ჩანთა აიღო, წასვლას აპირებდა. შევაჩერე, რომ შოკოლადის ფილა მიმეცა. გაუხეშებული ხელი გამომიწოდა, მადლობით გამომართვა, მაგრამ გასინჯვის სურვილი ვერ შევატყვე.

— ჭამე, — ვუთხარი.

— არა, დედას შევუნახავ... უყვარს შოკოლადი.

მინდოდა მეყვირა, — „დედაშენი იმსახურებს შენს სიყვარულს?" — მაგრამ თავი შევიკავე ბავშვის წინაშე.

— ფატიმა, როგორ შეიძლება გიყვარდეს დედა, რომელიც ქუჩაში გაგდებს? — ვკითხე.

ბავშვური მკერდიდან მძიმე ოხვრა აღმოხდა:

— როგორ არ უნდა მიყვარდეს, ის ხომ დედაჩემია?

ისე შემომხედა, მივხვდი, დიდი ტკივილი მივაყენე. საკუთარი თავი შემჯავრდა იმისთვის, რაც ჩავიდინე. როცა წასასვლელად შებრუნდა, დავინახე მისი თვალები, მხრები, სიგამხდრისგან ამოზნექილი ნეკნები, რომლებიც დახეული სვიტრიდან უჩანდა. ფეხები გამხმარ ჯოხებს უგავდა, მაგრამ ამაყად დადიოდა, ქედს არ უხრიდა თავის გამოფიტულ სხეულს და საცოდავ ბავშვობას.

ფატიმა წავიდა, მაგრამ ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა. ის ყველგან თან მდევდა. მანქანაში თვალწინ მედგა, რომ ქუჩაში დაეხეტებოდა და თავისი დიდი, თაფლისფერი თვალებით მიყურებდა. ჩემი დაბალანსებული, გულმოდგინედ გათვლილი საკვების მიღების დროს, რომელშიც საჭირო რაოდენობის კალორიები და ვიტამინებია, მშიერ ფატიმას ვხედავდი. ამ პატარა მათხოვარმა ისეთი არეულობა შემოიტანა ჩემს ემოციებში, უკვე აღარ ვიცოდი, კიდევ მინდოდა თუ არა მისი ნახვა.

რამდენიმე დღის შემდეგ ძალიან ბედნიერი ვიყავი, როცა ოფისში მოჩვენებასავით შემოირბინა, მტკიცე, საკუთარ თავში დარწმუნებული ნაბიჯით მომიახლოვდა.

— ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი იყო დედა, შოკოლადის ფილა რომ მივუტანე, — გულწრფელი სიხარულით წამოიძახა.

ამ სიტყვების გაგონებისას მომწამვლელმა ბრაზმა ისევ ამოხეთქა ჩემში. მინდოდა ფატიმას სცოდნოდა, რომ მხოლოდ საშინელი დედა გააგდებდა თავის შვილს ქუჩაში, რომ ასეთი ადამიანი სიძულვილის გარდა არაფერს იმსახურებდა, მაგრამ ეს მის სპეტაკ სულს სიძულვილის ლაქით შებღალავდა. მინდოდა ფატიმას სცოდნოდა, რომ ბავშვის ექსპლუატაცია კანონით არის აკრძალული, მინდოდა აჯანყებოდა თავის მდგომარეობას, დედამისს, წინ აღდგომოდა მთელ საზოგადოებას, რომელმაც ბავშვობა წაართვა...

— ის შოკოლადი შენ უნდა გეჭამა, — ვუთხარი გაბრაზებულმა.

— მაგრამ დედას შოკოლადი ძალიან უყვარს.

— უცნაური დედა გყავს. სამათხოვროდ როგორ გიშვებს?

როგორც კი ეს სიტყვები წარმოვთქვი, მაშინვე გავაცნობიერე, რა მოწამლულ იმპულსებს შეიძლება ატარებდეს ადამიანის ხმა, როგორ ატკენდა გულს ჩემი მოულოდნელი ბრაზი მას, ვინც ჩემს ოფისში მგზნებარე და აღელვებული მოვიდა, ვინც დაუვიწყარი რამ მასწავლა — შეურაცხყოფა უმეცრების უტყუარი ნიშანია. რა ვიცოდი მე იმ უძირო ორმოს შესახებ, რომელშიც ფატიმა ცხოვრობდა? როგორ შემეძლო მისი და დედამისის დამცირება?

ბრაზი დავიოკე და ფული მივეცი. გამომართვა, მაგრამ თვალი ამარიდა, თითქოს გულში რაღაც ჩაწყდა. სისუსტე ვიგრძენი და ვთხოვე, ჩემთან ახლოს მოსულიყო. შავი ჩანთა იატაკზე დადო. მომიახლოვდა. მოვეხვიე. ღმერთო! რა გამხდარი იყო!

— ფატიმა, არაფერს ჭამ? — ვკითხე მე.

— კი, ყოველ საღამოს ვჭამ, როცა შინ ვბრუნდები.

— დღისით?

— იშვიათად. თუ ძალიან მომშივდა, ლობიოს ვყიდულობ.

— კი მაგრამ, როგორ გაიზრდები, თუ არ შეჭამ?

ფატიმა შეირხა, მისი ლოყა ჩემსას შეეხო და ჩამჩურჩულა:

— დედაჩემს ველაპარაკე შენზე.

— რა უთხარი?

გაიცინა და მითხრა:

— საყვარელი რამეები ვუთხარი.

— რატომ არ ცდილობს დედაშენი მუშაობას, — ვკითხე მე.

— არ ვიცი. ჩემი ძმები პატარები არიან, ვისთან დატოვოს?

— მამაშენი რას აკეთებდა?

— ავტობუსის მძღოლი იყო.

— მუშაობდა?

— კი.

— მამის გარდაცვალების შემდეგ მის ხელფასს არ გაძლევენ?

— დედაჩემი იღებს ხელფასის ნახევარს, 2000 ლირას.

„ორი ათასი ლირა არ არის საკმარისი ხუთი ობოლი შვილის გამოსაკვებად", — გავიფიქრე მე.

— ფატიმა, გიყვარს დედაშენი? – ისევ გავიმეორე სულელური შეკითხვა, თითქოს ველოდი, რომ ამჯერად მაინც მოვისმენდი უარყოფით პასუხს.

ისე შემომხედა, თითქოს მადანაშაულებდა, და მკითხა:

— არის ვინმე, ვისაც დედა არ უყვარს?

ფატიმასთვის დედა მთელი სამყარო იყო. ის მისი სამშობლო გახლდათ და განა სამშობლოს დედის სახე არა აქვს?

ძალა იმ სიყვარულისა, რასაც ფატიმა დედის მიმართ გრძნობდა, აშკარა გახდა, როცა გადავწყვიტე, იმ ქალისთვის წერილი მიმეწერა. დარწმუნებული ვიყავი, სწორად ვიქცეოდი, და ბევრი არ მიფიქრია. მონყალება უნდა მოეღო თავის ქალიშვილზე და მათხოვრის ხვედრი აეშორებინა, უნდა დამერწმუნებინა, სამსახური ეშოვა და თვითონ ერჩინა შვილები.

მხატვარი ნინო მამაცაშვილი

რასაც ვაკეთებდი, ყველაფერი ფატიმას უბედურების გარშემო ტრიალებდა. იმ დილით შევხვდი და ნაჩქარევად მივეცი ფული. შუადღეზე ძლიერი ქარი ამოვარდა. პალტო კარგად მიცავდა. ტაქსის მძღოლს ვთხოვე ფრთხილად ყოფილიყო ამ ულმობელ ქარიშხალში. შემდეგ ანაზდად ფატიმა დავინახე, მოჩვენებასავით იდგა ერთი შენობის შესასვლელთან, ერთ ხელში შავი ჩანთა ეჭირა და მეორეს სულს უბერავდა, რომ გაეთბო. ჩემი ოფისიდან შორს ვიყავი. ფატიმა ნეტავ ყოველთვის მოდის აქ? მისმა დანახვამ შემძრა და მთელი დღე ველარ მოვისვენე. იმავე საღამოს ფატიმამ თავისი სტუმრობით გამაოცა.

— ისევ გარეთ ხარ? როგორ დადიხარ ქუჩაში ასეთ ქარიშხალში?

თავი ვერ შევიკავე, ჩემი სიტყვები ისევ დაუნდობელი იყო. მისი ცრემლიანი სახე რომ დავინახე, გავჩერდი. ფატიმამ რადიატორთან მიირბინა, სიცივისგან დაწითლებული ხელებით მიეკრა, ცხვირი სახელოთი მოიწმინდა. ყურადღება არ მიაქცია ჩემს პროტესტს და თქვა:

— ხო, დღეს საშინლად ცივა...

— როგორი იყო დღევანდელი შემოსავალი? — ვკითხე სარკაზმით.

— ცუდი არა, — დედას ასი ლირა შევუგროვე.

„დედის" გაგონებაზე ავფეთქდი. სწორედ მაშინ გადავწყვიტე წერილის მიწერა. არ მახსოვს, რა დავწერე, მაგრამ ჩემი სიტყვები სასტიკი იყო. პირველად ვიგრძენი, როგორ განიცდიდა ყველაფერს, როგორ ეშინოდა, როგორი საფრთხის ქვეშ იყო. სახე შეეჭმუხნა, სირცხვილით და ტკივილით შემომხედა, მაგრამ მე დაჟინებით მოვთხოვე, წერილი დედისთვის გადაეცა. თვითონ მინდოდა მენახა დედა, ვინც თავის შვილებს ვამპირს უგდებდა კლანჭებში.

ფატიმამ წერილი წაიღო და წავიდა. როცა ოფისის კარის დასაკეტად მივედი, დავინახე, ფატიმას წერილი პატარა ნაკუწებად ექცია და კართან დაეყარა. ბრაზი ჩავიხშე და გადავწყვიტე, ეს მათხოვარი ჩემი ცხოვრებიდან ამომეშალა, რადგან მაინც ვერაფრით დავეხმარებოდი. რამდენიმე კვირის განმავლობაში ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ სინამდვილეში სწორედ ის არ მაქცევდა ყურადღებას. ფატიმა ჩემთან აღარ დადიოდა და, როცა ქუჩაში შემხვდებოდა, უსიტყვოდ ჩამივლიდა. სასაცილო მდგომარეობაში ვიყავი. საკუთარ თავს გამოვუტყდი, რომ მას ზიანი მივაყენე. ჩემი ხელგაშლილობით, ფაქტობრივად, მათხოვრობისკენ ვუბიძგებდი.

ჩუმად თვალთვალი დავუწყე. როცა ქუჩაში დადიოდა, მისი ციცქნა სხეული უფრო ამაყად და საკუთარ თავში დარწმუნებულად გამოიყურებოდა, ვიდრე ოდესმე. ეს ყველაფერი სევდიანი და, იმავდროულად, თავშესაქცევი იყო. ვუყურებდი, როგორ იჯდა საფეხურზე ან მზესუმზირას ფცქვნიდა, რაც ალბათ ერთადერთი ფუფუნება იყო მისთვის, ათვალიერებდა სამყაროს თავისი ნათელი, ფართო თვალებით, რომელთა მსგავსი არასოდეს მენახა. ერთხელაც არ დამინახავს რამე ეჭამოს.

ფატიმა გახდა ჩემი ცხოვრების მუდმივი თანამდევი და ამასთანავე მუდმივად შორს მყოფი. მან თავისი ანაბეჭდი დატოვა და წავიდა, მისი ნაწილი კი ჩემს ოფისში დარჩა, გამუდმებით იქ იყო, რომ მოსვენება არ მოეცა ჩემთვის. მისი სუფთა მზერა, რომელიც იმაზე დიდ ტკი-

ვილს ფარავდა, ვიდრე მის მყიფე მკერდს შეეძლო დაეტია, თაფლისფერი თვალების ტყვედ მხდიდა.

ვცადე საკუთარი თავი დამერწმუნებინა, რომ ფატიმა და მსგავსნი მისნი ცხოვრების ის გარდაუვალი რეალობაა, რომლებიც ისევე უნდა მივიღოთ, როგორც სოციალურ პრობლემათა ბევრ სხვა გამოვლინებას ვიღებთ. ტკივილს და დისკომფორტს იწვევს მათხოვარი ბავშვების ყურება. ეს ტკივილი ძალიან ჰგავს იმ ტკივილს, რომელსაც იმ თაღლითების მდიდრული მანქანების ყურება იწვევს, ადამიანები რომ გაუძარცვავთ და საარსებო წყაროს გარეშე დაუტოვებიათ. „მედლის ორი მხარე" – ვუთხარი საკუთარ თავს.

ეს არსება რამდენად იყო შემოჭრილი ჩემს ცხოვრებაში, მხოლოდ მისი ჩამოშორებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ მივხვდი. ყასაბთან ვიყავი, ჩემს შეკვეთას ველოდებოდი. მაღაზიიდან გარეთ გავედი, რომ უმი ხორცის სუნს გავრიდებოდი. მოულოდნელად მაღაზიის ვიტრინაში მისი ანარეკლი დავინახე. ქუჩის მეორე მხარეს, ტროტუარზე იდგა და დაჟინებით მიყურებდა. არ მივბრუნებულვარ. ისიც იდგა და ნაზად, მაგრამ დაჟინებით მიმზერდა.

ფატიმასკენ ზურგით ვიდექი, თვითონ კი სახით იდგა ჩემკენ. ერთმანეთს ვიტრინაში ვუყურებდით. ერთი ადამიანი მეორეს უყურებდა და საკუთარი თავი ეგონა. ასეთი რამ მანამდე არასოდეს განმეცადა. გამაჟრჟოლა და მისკენ მივბრუნდი. ერთმანეთს არც დავლაპარაკებივართ, არც ხელი დაგვიქნევია. ქუჩა მტკიცე ნაბიჯით გადმოჭრა და თავისი გამხდარი სხეულით ჩამეხუტა. ძალიან მოკლე, ხუჭუჭა თმა ავუწეწე.

— რა უყავი თმას? – ვკითხე. ბანალური შეკითხვა მხოლოდ ნიღაბი იყო.

გაიცინა:

— დედამ შემჭრა.

— რატომ შეგჭრა თმა ასე? გაუშნოებს.

ისევ გაიცინა:

— ასე არავინ შემაწუხებს.

— მომიყევი შენზე, ფატიმა, ისევ ქუჩა-ქუჩა დადიხარ?

— ხო.

რა გულუბრყვილობა იყო ჩემი მხრიდან დედამისისთვის წერილის მიწერა, რა სულელი ვიყავი! სოციალური რეფორმატორი ხომ არ მეგონა თავი, ან ჯადოქარი, რომელსაც ამ ოჯახის ბედის შემობრუნება შეეძლო? ფატიმას ხელი ჩავკიდე. წინააღმდეგობა არ გამიწია, მზად იყო უსიტყვოდ, შეკითხვების გარეშე წამყოლოდა, თუნდაც ქვეყნის დასალიერში.

ოფისში ფული მივეცი, როგორც ადრე, თითქოს ძველი მეგობრები ვიყავით. ვთხოვე, ეჩვენებინა, რა ჰქონდა შავ ჩანთაში. ძველი, გაცვეთილი შარვალი ამოიღო, რომლის გაყიდვის იმედიც ჰქონდა. კოკა-კოლა დალია და ცოტა ლობიო ჭამა. მითხრა, როგორ ნანობდა თავისი ქოლგის გაყიდვას, რადგან ეგონა, რომ ზამთარი უკვე გავიდა. ხელი ხელს შემოჰკრა სინანულის ნიშნად:

— წარმოიდგინე, ქოლგა რომ გავყიდე, მეორე დღესვე კოკისპირულად გაწვიმდა. მედუქნესთან უნდა მივიდე და ქოლგა დავაბრუნებინო.

ახალი, იაფფასიანი ფეხსაცმელი შევუქე. მითხრა, სადღესასწაულოდ ვიყიდეო. ვკითხე, დღესასწაულის დღეებშიც მათხოვრობდა თუ არა და რამდენად შემოსავლიანი იყო.

— რა თქმა უნდა, — მიპასუხა მან, — და საკმაოდ კარგი თანხა მოვაგროვე.

თითები გაატკაცუნა. შემდეგ დედასა და იმ ოთახის მეპატრონესთან კამათზე მომიყვა, სადაც ცხოვრობდნენ. მითხრა, რომ გაგდებას უპირებდნენ, მან კი მიზნად დაისახა უფლება არ მიეცა, დედა ქუჩაში გაეგდოთ. სახე წამოენთო და თვალები აუელვარდა, როცა ამბობდა, რომ აღთქმა დადო, არასოდეს არავისთვის მიეცა უფლება, დედისა და ძმებისთვის ის ოთახი წაერთმია. ეს კერპი გოგო მომიყვა, როგორ უფრიალებდა ხოლმე მოხუცი მედუქნე ფულს ყველა გავლაზე და როგორ ბუტბუტებდა რაღაც სიტყვებს, რისი მნიშვნელობაც არ ესმოდა. გავაფრთხილე, მორიდებოდა იმ კაცს, მაგრამ ფატიმას ღიმილმა დამარწმუნდა, იცოდა, ფრთხილად რომ უნდა ყოფილიყო. ჩემი გაფრთხილება არ სჭირდებოდა.

ერთხელ, ჩემდა გასაოცრად, გვიან ღამით მეწვია. საათს დავხედე და ვუთხარი:

— ფატიმა, თითქმის ცხრა საათია. შინ რატომ არა ხარ?

— წავალ, მაგრამ რაღაც მინდოდა მეთქვა თქვენთვის.

შემეშინდა, რამე ცუდი ხომ არ შეემთხვა მას ან მის ოჯახს.

— რისი თქმა გინდა, ფატიმა?

— მინდოდა მეთქვა, რატომ დავხიე წერილი იმ დღეს, — წაიბორძიკა, მაგრამ ისევ მოიპოვა სიმშვიდე, – დედა მცემდა წერილი რომ მიმეტანა. რამდენიმე ხნის წინათ ერთმა, თქვენსავით კეთილმა ქალბატონმა, დედასთან წერილი გამატანა, მან კი უმოწყალოდ მცემა და მითხრა: „ნუ ელაპარაკები ხალხს, მხოლოდ ფული სთხოვე".

თვალები ცრემლით აევსო და ტირილით მკითხა:

— ჩემი ბრალია?

— ამის სათქმელად მოხვედი?

— ჰო. ყველაფერი ჩემი ბრალია?

ის თითქოს მე კი არა, მთელ სამყაროს მიმართავდა.

— არა, ფატიმა! შენი ბრალი არ არის. – სხვა ვერაფერი ვუთხარი.

მისი ხელი მეჭირა და ვუთხარი, რომ შინ წასვლის დრო იყო, ვაიძულე ცოტაოდენი ტკბილეული ეჭამა, რომლის ჩადებასაც აპირებდა ჩანთაში და მასთან ერთად ავტობუსს დაველოდე, რომელიც იმ უბადრუკ ოთახთან მიიყვანდა, სადაც ლეიბზე დაეგდებოდა და დაიძინებდა. მაგრამ ვიდრე ავტობუსში ავიდოდა, მომიბრუნდა და გულიანი სიცილით მითხრა:

— იცი, მე მიყვარს, როცა მეკითხები, ისევ თუ დავხეტიალობ ქუჩებში.

რა იყო ჩემს სიტყვებში ისეთი, რაც ფატიმას აცინებდა? ნუთუ სიცილისა და ტირილის გარჩევა არ შეეძლო? ვფიქრობდი ფატიმას ცხოვრებაზე, როგორ დადის ქუჩებში, შედის ოფისებში, მათხოვრობს, დამცირების და იმ სიტყვებისგან დაუცველი, რომელთაც არასოდეს არავის გაუმხელს. ფატიმა დაეხეტება ქალაქის ქუჩებში, რომელიც მას ყოველდღე შეურაცხყოფას აყენებს, მაშინ, როცა ის სითბოსა და სიყვარულს ეძებს, ბავშვურად ოცნებობს, რომელიც ყოველ განვლილ დღესთან ერთად ნელდება. მისი ოცნება, დღითიდღე ცვდება, იმ ნივთებივით ნაფლეთებად იქცევა, შავ ჩანთაში რომ ულაგია.

ფატიმა, ნეტავ რა არის შენი ოცნების ფასი?

არაბულიდან თარგმნა
ირმა მახარაძემ

* * *

ორიგინალური ყაიდის წიგნში „სტამბოლი (მოგონებები და ქალაქი)“ ორჰან ფამუქი ერთგან იხსენებს, თუ როგორ აღებდა ფანჯარას ბავშვობისას მისი დეიდაშვილი, ცნობილი ცუღლუტი, რათა აღმართზე მიმავალი მანქანისათვის დაეფურთხებინა, ლურსმანი ან თვითნაკეთი ასაფეთქებელი ესროლა.

ეს არ არის მარტოდენ ყოფითი დეტალი, სიყმაწვილის წლებიდან უნებლიეთ ჩამორჩენილი ხსოვნაში, რაკიღა ეს სურათი თხრობისას ასეთ გაგრძელებას, უფრო სწორად — განზოგადებას პოულობს:

— ახლა, როცა მაღალი სართულიდან ქუჩაში ვიყურები, ჩემდაუნებურად მეფიქრება — ხომ არ დამეფურთხებინა რომელიმე ქვეითისათვის?

„ჩემდაუნებურადო“ — რადგანაც მკაფიოდ ვერ აუხსნია ფამუქს, მისი აღზრდის კაცს რატომ უნდა უჩნდებოდეს ამგვარი სურვილი, ნუთუ ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილება არა და არ ეშვება?

როდესაც კოტე ხიმშიაშვილის რომანში „ჯონქა ხორნაული“ ალფეზ ჩიქოვანი მთავარ გმირს, ჯონქას არიგებს: შენი მიზანი ის უნდა იყოს, რომ სულ მაღლა, მაღლა აიჭრა არწივივითო, — ცხოვრებისეულ რეალობას ამ სიმბოლური სურათით წარმოუსახავს, რათა გონებაც შეუჯანჯღაროს და სულიც შეურყიოს უცოდველ ჭაბუკს, რომლის მფარველადაც და გზის გამკვალავადაც მოაქვს თავი:

— ამბობენ, ადამიანს ერთი უცნაური თვისება აქვს და ეს ბავშვობაშივე ეტყობა. რა გინდა კარგი გაზრდილი ბავშვი იყოს, ზევითა სართულიდან თუ გადაახედე, უსათუოდ გადააფურთხებს ქვევით მყოფ ტოლებს. ეს კი არც ისე სასიამოვნოა, ფშაველო, არა? ვიღაც ოხერი ზევიდან გაფურთხებდეს. დაბლიდან ჩვეულებრივ კენჭის სროლით პასუხობენ ხოლმე. და აი, მთელი ცხოვრება ეს არის — ქვევიდან ბრაზით ქვის სროლა და ზევიდან ზიზღით ფურთხება.

ამ ფილოსოფიის, ცხოვრების არსის ამგვარი განმარტების გამოძახილია ორჰან ფამუქის მხატვრულ-დოკუმენტური რომანის ის პასაჟიც, წრფელად რომ აცხადებს მწერალი იმ სურვილს, რაც — ბევრის აზრით — სულაც საყოველთაოა, მაგრამ აღიარება კი ძალიან უძნელდებათ ადამიანებს.

მარტოდენ სურვილი და უნებლიე კი არა, კიდეც გადმოგვაფურთხა, ნობელის პრემიის მოსაპოვებლად რომ აჭრილიყო ზევითო, — ბრაზით მოგიგებენ თურქები, მათ მიერ სამშობლოდან გაძევებულ ორჰან ფამუქზე თუ ჩამოვარდება სიტყვა, მაგრამ ეს თემა უკვე სცილდება ამ ჩანაწერის ჟანრულ ჩარჩოებს, ჩანაწერის, რომელიც ძალდაუტანებლად გამოიწვია სიჭაბუკეშივე აღსრულებული ქართველი მწერლისა და ეროვნული გმირის და თურქი ნობელიანტის „შეხვედრამ“ იმ წარმოსახვით სივრცეში, სადაც აღარ გრძელდება ყოფითი ცხოვრების ის მოდელი, ალფეზ ჩიქოვანის მიერ თეორიულადაც შემაგრებული.

შენ უცნაური თვისება ეძახე!...

* * *

ჯანო ჯიქიძე მემუარული ყაიდის წიგნს რომ ჩაუჯდებოდა, ჯერ ბოლომდეც არ იქნებოდა გასული, რომ დაწერილ თავებს თამარ ჩიხლაძეს მოუტანდა ასაწყობად. იცოდა, მის გაკრული ხელით ნაწერს თუ ვინმე წაიკითხავდა უშეცდომოდ და გასპეტაკებულ ტექსტსაც ჩააბარებდა, სწორედ „ჩვენი მწერლობის“ ოპერატორი.

სთხოვდა: ფურცლებზეც ამომიბეჭდე და „ფლეშკაზეც“ გადამიწერეო. და კიდეც გადასცემდა „ფლეშკას“, რომელიც, ეტყობა, საგანგებოდ შეერჩია თავისი მეორე პროფესიის პატივისცემით. შეხედავდი და... ვეება კბილი გახლდათ, ზედ ორი ფესვითაც.

ყველა მნახველს შეაცბუნებდა, დანტისტების გარდა, რომელნიც დიდადაც დაუმადლებდნენ მწერალსა და თავიანთ კოლეგას, მაინცდამაინც ასეთი „ფლეშკის“ შერჩევას.

ნეტა სად მოეძებნა?..

კი ეპოვნა და...

მეგობრული შარჟები ზაალ სულაკაურისა

ჟურნალის რედაქციაში სწორედაც შეცბუნებულნი და აჟრიამულებულნი ვათვალიერებდით ამ უცნაურ ნივთს და ვიღაცას წასცდებოდა:

— რად უნდოდა?!.

და ზოგიერთებსაც აიყოლიებდა: რა ესთეტიკური ესააო, როგორ არა ბეზრდება კბილების ნახვა, ლიტერატურულ ფიქრებზე გადართვის დროსაც რომ არ ეშვებაო.

მაგრამ ჯანოს თავისი გამომსარჩლებელიც გამოუჩნდებოდა:

— კბილის ექიმია და... უყვარს თავისი ხელობა, მისთვის კბილი ესთეტიკაცაა, რატომაც არა!..

თენგიზ რობიტაშვილი, ჩვენი ბაჩო, კომპიუტერს მისციებია, პავლე ინგოროყვას გარეგნულად ურთულეს ტექსტს აკაბადონებს მის სამეცნიერო თხზულებათა V ტომისათვის — ეს სქოლიოებიო, ეს სხვადასხვა ზომის შრიფტიო, ეს ძველი ქართული ასოები თუ ძველბერძნული, ლათინური, სომხური თუ არა-

ბული სიტყვებიო — და ჟრიამულში არ ერევა. გგონია, რომ არც არაფერი ესმის.

მაგრამ იმ რეპლიკაზე: კბილის ექიმია და... მისთვის კბილი ესთეტიკაცაა, — უეცრად თავი უნდა ასწიოს:

— კიდევ კარგი, პროქტოლოგებიც რომ არა მწერლობენ, ყოველ შემთხვევაში ჩვენთან არ მოაქვთ თავიანთი რომანები.

და ისევ კომპიუტერში ჩაიძირება.

* * *

ლადო მრელაშვილი და სოლომონ დემურხანაშვილი ერთი ისეთი ლიტერატურული ანეკდოტის პერსონაჟებად გადაიქცეოდნენ, ამ ჟანრის კლასიკურ ფონდში რომ დაიმკვიდრებდა ადგილს. ანეკდოტის სიუჟეტურ ქარგას კი განსაზღვრავდა ერთის ათლეტური აღნაგობა და მეორისა — ტანმორჩილობა (ფიზიკური სიმაღლე-სიდაბლე იგულისხმება და არა ლიტერატურული!).

იმჟამად „მერანის“ დირექტორის, კარლო კალაძის კაბინეტში ლადო მრელაშვილი რომ შეიტოქებოდა და სუსხიანად იკითხავდა: მგონი საგამომცემლო გეგმიდან ამოგიღიათ ჩემი წიგნიო, — დირექტორი დაფრთხებოდა და... დაფაცურდებოდა, სასწრაფოდ შემოატანინებდა გეგმას და მის თვალწინ ამოაგდებდა სხვის წიგნს და ამისას ჩასვამდა.

ეს გასულიც არ იქნებოდა მხრების თამაშით, რომ ზაქარია შერაზადიშვილი შემოარღვევდა კარს და თავზე დაადგებოდა ნირწამხდარ დირექტორს, ვინც შეკითხვას აღარც დააცდიდა, ისე ამოაგდებდა სიიდან ვიღაცის წიგნს და ამისას მოათავსებდა.

მაინც რა დღე იყო ამისთანა!..

ეს ის-ისაა გადააბიჯებდა კარის ზღურბლს, რომ იქ სილოვან ნარიმანიძე ჩადგებოდა და ისეთი რიხითა და ქშენით გამოემართებოდა, კარლო კალაძე ტანკის წინაშე შეიგრძნობდა თავს და: აგერ, მოგვარებულია შენი წიგნის საქმეო, — მიაძახებდა და მასაც სხვის ხარჯზე დააშოშმინებდა.

„კიდევ ვინმე რომ შემოვიდეს!“ — საავარძელზე გადასვენებულა და ოხრავს, რადგანაც გასაწირთა რაოდენობაც ძალზეა შემცირებული, არადა, გარეთ კიდევ მომლოდინეთა რიგი დამდგარა და ვაითუ ვინმემ მწარედაც აზღვევინოს საგამომცემლო გეგმაში ამგვარ ცვლილებათა შეტანა... ამ იმ ავტორებს რა პასუხი უნდა გასცეს, წინა დღით დაიმედებულები რომ გაეშურნენ შინ და მათ ზურგს უკან კი ასეთი ფანდი ჩაიხლართა?!.

კარი ნელ-ნელა იღება და კარლო კალაძეს გული უფრიალებს, კანკალებს და მაინც ამჯობინებს იმ წუთას კალამს მიწვდეს, ოღონდაც ახლა მოიშოროს ეს კიდევ ერთი გაგულისებული მწერალი და მერე რაც მოხდება, მოხდეს.

შეხედავს და... მის წინაშე სოლომონ დემურხანაშვილი დგას, რაღაცას ბრაზობს, რაღაცას ანჩხლობს, მაგრამ დირექტორს, სახეგადაბადრულსა და გამოხალისებულს, არაფრად ანაღვლებს მისი მრისხანება. თამამად წამოდგება, მიუახლოვდება და ისევე დახედავს ზემოდან, როგორც ის სამნი ამას დასცქეროდნენ. დახედავს და...

— მწერალი უფრო მაღალი არ უნდა იზრდებოდეს! — ამოიძახებს.

ამოიძახებს და აღტაცებას ხელების შემართვითაც დაადასტურებს.

მერე მარჯვენას სულაც წაჰკრავს და კარისაკენ უბიძგებს.

მწერალი უფრო მაღალი არ უნდა იზრდებოდესო...

და დარჩებოდა ეს ფრაზა ფრთიან გამოთქმად, ტრაგიკომიზმის კანთიელ გამოხატულებად და ეპოქის სულის წარმომჩენად.

ერთი ლიტერატურული ანეკდოტების პერსონაჟებიო...

სხვა ამბავიც მოქსოვილა ამ ორის ირგვლივ, აწ უკვე კარლო კალაძის გარეშე.

მეგობრული შარჟი
თენგიზ გოგოლაძისა

თენგიზ გოგოლაძე თავის განთქმულ მეგობრულ შარჟებს ვრცელ გალერეად რომ გადაჭიმავდა, ყველა მწერალს ცალ-ცალკე წარმოსახავდა და მხოლოდ ამ ორს — ლადო მრელაშვილსა და სოლომონ დემურხანაშვილს — ჩახატავდა ერთად, თანაც იუმორისტული სულისკვეთების გასამკვეთრებლად სოლომონს გოლიათურ აღნაგობას მიანიჭებდა, ლადოს კი ქონდრისკაცისას, და სოლომონს თავზე ისე დაედო ხელი მეგობრისათვის, თითქოს ის ბავშვი ყოფილიყოს.

ერთხელაც ლადო მრელაშვილს ერთ დაწესებულებაში მოუწევდა მისვლა რაღაც საქმეზე და უფროსს რომ გაეცნობოდა: ესა და ეს კაცი ვარო, — ის გაოგნებული გაამეორებინებდა ვინაობას და... უეცრად შეჰყვირებდა:

— აბა, ის რამხელაა, ის!

ახლა ლადოს დაბნევის დრო დადგებოდა.

ვინ „ის“?

ან ეს „რამხელა“ რას უნდა ნიშნავდეს?

ისევ დამხვდური ამოთქვამდა გაოცების მიზეზს:

— თქვენი და თქვენი მეგობრის შარჟი მაქვს ნანახი და... ის სოლომონია ვიღაც, სამმეტრიანია თუ... თუ სულაც ოთხმეტრიანი!!!

ნახატისეული შეფარდების მიხედვით მართლაც ასე გამოდიოდა.

...და უნებლიეთ წამოგაგონდება ერთი პასაჟი რეზო ჭეიშვილის რომანიდან „დალი“, ლექტორი რომ ამტკიცებს: ვახტანგ გორგასალი ასე დაახლოებით ექვსი-შვიდი მეტრი იქნებოდაო, — და სიცილისაგან ლამის გაგუდული აუდიტორიის შემხედვარე სასწრაფოდ რომ დააზუსტებს: თქვე გაჭირვებულებო, ყველაფერი პირდაპირ რომ გეყურებათ, სიტყვას მოჰყვა და იმიტომ ვთქვი, თორემ სამ-ოთხ მეტრზე მეტი რომ არ იქნებოდა, მეც ვიციო...

იქ — სიტყვას მოჰყვებოდა, აქ — ნახატს, იუმორით აღვსილი წარმოსახვების პაწია ფრაგმენტს.

შენ პაწია ეძახე!..

სადღეგრძელოები

ვალენტინ ბერეჟკოვი, თარჯიმანი სტალინისა მეორე მსოფლიო ომის წლებში, თავის მოგონებათა წიგნში დაწვრილებით მიმოიხილავს იმ მოვლენებს, რომლებიც წინ უძღოდა და ამწიფებდა საბჭოთა კავშირის მიერ თავდაუსხმელობის პაქტის დადებას ნაცისტურ გერმანიასთან (1939 წლის 23 აგვისტო). ესენია: ინგლის-საფრანგეთის უკიდურესი პასიურობა ჰიტლერული აგრესიის აღსაკვეთად; პოლონეთისა და რუმინეთის სასტიკი უარი საბჭოეთისგან სამხედრო დახმარებაზე; ხოლო თავის მხრივ — გათვალისწინება იმისა, რომ თავდაუსხმელობის პაქტი გარკვეული დროით გადასწევდა მოსალოდნელ და გარდუვალ ომს ნაცისტურ გერმანიასთან, რაც მალულად თუ დაუფარავად ენატრებოდათ და ეზმანებოდათ დემოკრატიულ დასავლეთში.

თავდაუსხმელობის პაქტს ამართლებდნენ, მიუხედავად თავისი სულისკვეთებისა და გეგმებისა, ინგლისელ კონსერვატორთა ერთ-ერთი ლიდერი და მომავალი პრემიერი უინსტონ ჩერჩილი, ვისაც ოცი წლით ადრე წყალივით წყუროდა, აკვანშივე ჩაეხრჩო სისხლიანი კომუნისტური რეჟიმი (კარგადაც ირჯებოდა საამისოდ) და საბჭოთა სამშობლოდან გაძევებული რევოლუციონერი ლევ ტროცკი, დაუძინებელი მტერი სტალინისა და მისი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის მუდმივი მძრახველ-მგმობელი.

როგორც აღნიშნავენ, ჰიტლერის წერილიდან სტალინის სახელზე (20 აგვისტო) უაღრესი სიცხადით ჩანს, რომ გერმანიის თავდასხმა პოლონეთზე უკვე გადაწყვეტილი იყო. და ეს გადაწყვეტილი იყო ჯერ კიდევ იმავე წლის 28 აპრილს, ოთხი თვით ადრე აღნიშნულ პაქტამდე, როდესაც ჰიტლერმა გამოაცხადა გერმანია-პოლონეთის თავდაუსხმელობის პაქტის დენონსაცია, ხოლო ერთი თვის შემდეგ გამართულ საიდუმლო თათბირზე ბრძანა: „ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, რომ დავინდოთ პოლონეთი“.

ასე რომ, სტალინს არ გაუჩაღებია მეორე მსოფლიო ომი, რასაც თავგამოდებით ამტკიცებენ ისტორიის ფალსიფიკატორები მოსკოვსა თუ ვაშინგტონში.

ზემოხსენებული ბერეჟკოვი აღწერს თავდაუსხმელობის პაქტის ხელმოწერის შემდეგ, შუაღამისას, გამართულ ბანკეტს და, სხვათა შორის, იმოწმებს სტალინის მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოს: „მე ვიცი, თუ როგორ უყვარს გერმანელ ხალხს თავისი ფიურერი, ამიტომაც მინდა დავლიო მისი სადღეგრძელო“.

აქვე დავუკვირდეთ: გერმანელი ხალხის ხათრით ვადღეგრძელებ, გერმანელი ხალხის ხათრითაო!

იმავე წლის 21 დეკემბერს ჰიტლერმა დაბადების სამოცი წლისთავი მიულოცა სტალინს და გამოთქვა „საუკეთესო სურვილები საბჭოთა კავშირის საკეთილდღეოდ და ასაყვავებლად“.

ცხონებული „პერესტროიკის“ მგზნებარე ტრუბადურები კმაყოფილებით ასკვნიდნენ, კაციჭამიებს ერთმანეთი უყვარდათო!

ვინ იცის, ეგებ არცა ტყუიან...

რა შეიძლება ითქვას სტალინის მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოზე?

ალბათ საჭირო არ უნდა იყოს ახსნა-განმარტება იმისა, თუ რას ნიშნავს თავისთავად სადღეგრძელო. ალბათ არც ეს იქნება „ამერიკის აღმოჩენა“, თუკი ვიტყვით, რომ კრიტიკული ან მტრული სადღეგრძელო დღემდე არავის სმენია.

სადღეგრძელოს რიტუალი უფრო ეთქმის, ვიდრე მანიფესტი.

და რაც მთავარია, სტალინის პირით, სამწუხაროდ, ღაღადებდა მწარე ჭეშმარიტება. გერმანელ ხალხს მართლაც უყვარდა თავისი ფიურერი. უყვარდა და მერე როგორ!

ამას თვალნათლივ ადასტურებს დიდებული ამერიკელი მწერალი ტომას ვულფი.

ჯერ ორიოდე სიტყვა მისი პოლიტიკური მრწამსის თაობაზე. ვულფის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „მე არა მწამს არც ფაშიზმი, არც კომუნიზმი და არც ის მჯერა, რომ მარტოოდენ მათგან უნდა გაკეთდეს არჩევანი. მაგრამ თუკი ჩემი არჩევანი ამგვარად შეიზღუდებოდა, მე ვარჩევდი კომუნიზმს. არ ვეთანხმები იმათ, ვინც ამბობს, რომ ერთიცა და მეორეც ერთნაირად მანკიერია... ფაშიზმი არის ღორმუცელა ცხოველი და მას ვერ გააძღობ მუდმივი დათმობებით“ (ვულფი ამას წერდა 1938 წლის მარტში — ჯერ კიდევ მიუნხენის გარიგებამდე, სადაც ინგლის-საფრანგეთმა ჰიტლერს გულუხვად გადაულოცეს ჩეხოსლოვაკია).

მაგრამ ახლა ისიც ვნახოთ, თუ როგორ აშუქებს ამერიკელი მწერალი გერმანელი ხალხის დამოკიდებულებას თავისი ფიურერისადმი. აღწერილია 1936 წელს ბერლინში ჩატარებული ოლიმპიური თამაშების დროინდელი ერთი ეპიზოდი:

„თითქოსდა ყველაფერი გეგმის მიხედვით კეთდებოდა, ყველაფერი გათვლილი იყო ამ წუთისათვის და ემორჩილებოდა ამ საზეიმო მიზანს. მაგრამ ადამიანები... ეს ადამიანები გეგმის მიხედვით როდი მოქმედებდნენ. ყოველ ცისმარე დღეს, ახალგაზრდა მხედრიონის [ე.ი. ესესელთა] გაუვალ კედელს მიღმა იდგნენ და ელოდნენ მოთმინებით შეპყრობილნი, მჭიდროდ დარაზმულნი. ეს იყო თვით გერმანელი ხალხი, გერმანიის ღარიბ-ღატაკნი, ცხოვრების გერები, მუშები და მათი ცოლ-შვილი, დედები და მამები — ყოველ ცისმარე დღეს მოდიოდნენ ისინი, იდგნენ და ელოდნენ“.

ნეტავი რას იდგნენ და რას ელოდნენ?

ვულფის სიტყვით, მოთმინებით იდგნენ და მოთმინებით ელოდნენ სულ რაღაც ორიოდე სანუკვარ წუთს, როდესაც ფიურერი ავტომანქანით ჩაივლიდა ოლიმპიური სტადიონისაკენ და გარკვეული ხნის შემდეგ უკან გამოივლიდა. და რაღაც ტალღა გადაუვლიდა ადამიანთა გროვას, რომელიც ფიურერის მოახლეებისას უფრო მაღლა და მაღლა აიქოჩრებოდა — ეს იყო ხმა და იმედი და ვედრება მთელი გერმანიისა. მანქანაში ფეხზე იდგა გაჭიმული ჰიტლერი, იდგა გაუნძრევლად, გაუღიმებლად და აწეული ხელით ესალმებოდა ხალხს, თითქოსდა ბუდასავით ან რომელიმე მესიის მსგავსად აკურთხებდაო.

ამას წერს თვითმხილველი ამერიკელი მწერალი, რომელიც სრულიადაც არ ეთაყვანებოდა მანიაკად შერაცხულ ჰიტლერს, მაგრამ მწარე სინამდვილეს ვერსად გაქცევია.

სტალინსაც თავის ლაკონიურ სადღეგრძელოში იმაზე მეტი ხომ არაფერი უთქვამს, გერმანელ ხალხს თავისი ფიურერი უყვარსო?!

და მას კვერს უკრავს ამერიკული მწერლობის მშვენება და სიამაყე ტომას ვულფი — რჩეული რჩეულთა შორის.

იმ ავადსახსენებელ ბანკეტზე კიდევ ერთი გამოსარჩევი სადღეგრძელო ითქვა და, თამამად შეიძლება ითქვას, თავისი ეფექტურობით გადაუჯოკრავდა იმ წყეული ჰიტლერის სადღეგრძელოს.

ინგლისელი მკვლევარი საიმონ მონტეფიორე თავის წიგნში „სტალინი. სამეფო კარი წითელი მონარქისა“ გადმოგვცემს ერთ კურიოზულ ეპიზოდს, ბანკეტზე რომ გათამაშებულა.

სტალინი წარმოთქვამს: „ახლა ვადღეგრძელოთ გზათა სახალხო კომისარი [ანუ მინისტრი] ლაზარ მოისეევიჩ კაგანოვიჩი!“ მონტეფიორე აღნიშნავს, რომ სტალინს, ყოველგვარი ცერემონიების გარეშე, შეეძლო მაგიდის მეორე მხარეს მჯდომი კაგანოვიჩისათვის ჭიქა მიეჭახუნებინა, მაგრამ საგანგებოდ წამოდგა ფეხზე, შემოუარა საკმაოდ გრძელ სუფრას, მიუახლოვდა კაგანოვიჩს და ასე ხაზგასმით მიუჭახუნა ჭიქა. ამის შემხედვარე გერმანელები, ალბათ, ვეღარ უგულებელყოფდნენ მასპინძლის მიერ ესოდენ პატივდებული პერსონის სადღეგრძელოს.

ამგვარად, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი, თავის ამალასთან ერთად, იძულებული შეიქნა, ედღეგრძელებინა ყველა მართლმორწმუნე ნაცისტისათვის საძულველი ებრაელი კაცი.

ინგლისელი მკვლევარი შენიშნავს, ამ გარემოებამ სტალინი ძაან გაამხიარულაო.

კაგანოვიჩი კი, ორმოცი წლის შემდეგაც, თავის შვილიშვილებს თურმე სიამოვნებით უამბობდა, ჰიტლერელებმა ჩემი სადღეგრძელო შესვესო.

ამას ამბობდა გოეთე

ოცდარვა წლისა იყო პიეტრო დელა ვალე, როდესაც 1614 წელს ნეაპოლის ნავსადგურიდან გასცურა და გეზი აღმოსავლეთის ქვეყნებისკენ აიღო. თორმეტი წლის მანძილზე სამშობლო თვალით აღარ უნახავს. არაერთი ფათერაკი გამოიარა, ლხინს ენაცვლებოდა ჭირი, ნეტარებას — მწუხარება, რასაკვირველია, სულით და გულით ენატრებოდა სამშობლოს ხილვა. უკვე ორმოცი წლისა მოიყარა, როდესაც დაბრუნდა მშობლიურ რომში.

არაერთი უცხო ქვეყნის მნახველსა და მრავალ ჭირგადახდილ იტალიელ მოგზაურს თანამედროვეებმა შეარქვეს „რომაელი ულისე“ (ანუ ოდისევსი).

თავისი ხანგრძლივი და შინაარსიანი მოგზაურობის წლებში პიეტრო დელა ვალემ შეიძინა არაერთი აღმოსავლური ხელნაწერი და გადასცა ვატიკანის ბიბლიოთეკას. ლათინურად თარგმნა კოპტური და არაბული ენების გრამატიკა, შეადგინა ლექსიკონები. დელა ვალემ ევროპულ მეცნიერებას შესძინა პირველი მოკლე ცნობები ბაბილონის ნანგრევებზე. მანვე ჩაიხატა პერსეპოლისის ლურსმული წარწერები და ევროპელ მკითხველს გააცნო პირველი ნიმუშები ძველი ირანული დამწერლობისა. მანვე, პირველმა ევროპელთაგან, გადათარგმნა სპარსული წიგნი, კერძოდ, იაჰია ყაზვინის (XVI ს.) საისტორიო თხზულება, რომელიც შემდგომ იტალიური ენიდან ლათინურადაც ითარგმნა და ორჯერ გამოქვეყნდა.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ხდება XVII საუკუნეში და არა — უაღრესად განვითარებულ და განსწავლულ XX საუკუნეში.

როგორც ჩანს, სწორედ ზემოხსენებული ფაქტების გათვალისწინებით გამოჩენილი რუსი არაბისტი იგნატი კრაჩკოვსკი პიეტრო დელა ვალეს მიიჩნევდა იტალიური აღმოსავლეთმცოდნეობის უპირველეს პიონერად.

სახელოვანმა იტალიელმა მოგზაურმა მოინახულა არაერთი ქვეყანა აღმოსავლეთისა, ეგვიპტიდან — ინდოეთამდე. თავისი მდიდარი შთაბეჭდილებანი მან ასახა თავისი მეგობრის მარიო სკიპანოს სახელზე გაგზავნილ ორმოცდათოთხმეტ წერილში, უცვლელი სახით რომ გამოქვეყნდა. სწორედ ამ წიგნმა („მოგზაურობა თურქეთში, სპარსეთსა და ინდოეთში“) გაუთქვა სახელი მწერალს მთელს ევროპაში.

დასახელებული თხზულება პირველად გამოქვეყნდა რომში ოთხ ტომად, 1650-1658 წლებში (პიეტრო მოესწრო მხოლოდ პირველ ტომს — თურქეთის აღწერილობას). ცოტა ხნის შემდეგ იმავე რომში განხორციელდა წიგნის მეორე გამოცემა. XVII საუკუნის სამოციან წლებში ზედიზედ ორჯერ დაბეჭდეს ვენეციაში, სამოცდაათიან წლებში — ბოლონიაში, ოთხმოციან წლებში — კვლავ ვენეციაში, XIX საუკუნეში — ტორინოში და აგერ, სულ ბოლო ხანებში (XX საუკუნის დამლევს) გამოჩნდა მისი ახალთახალი გამოცემა.

დელა ვალეს წიგნი თარგმნეს და გამოაქვეყნეს საფრანგეთში, ჰოლანდიაში, გერმანიასა და ინგლისში.

იწერებოდა დელა ვალეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ნარკვევები.

როგორც აღნიშნავენ, ერთობ იშვიათია მოგზაურის ჩანაწერები, ესოდენ მრავალ საკითხს რომ აშუქებდეს. მკითხველის თვალწინ იშლება აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია, გეოგრაფია, თანადროული პოლიტიკური მოვლენები, სხვადასხვა ხალხთა ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებანი. წიგნში აღწერილია ზღვა და ხმელეთი, ქალაქები და სოფლები, მთები და მდინარეები, დღესასწაულები და გართობანი, სამეფო კარი და ბაზრები, ვაჭრობა და რელიგია, სამოქალაქო და სამხედრო კანონები, ქორწილები და დაკრძალვანი, ომები და დიპლომატიური ურთიერთობანი. ერთი სიტყვით, აღწერილია ყველაფერი, რაც უნახავს და სმენია.

დელა ვალეს თხრობა მეგზურად ემსახურებოდა მომდევნო საუკუნეთა მოგზაურებსა და არქეოლოგებს. მისი წერილები წარმოადგენს ინფორმაციის დაუშრეტელ წყაროს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღწერილობა ირანისა, სადაც პიეტრომ მთელი ხუთი წელიწადი გაატარა.

ინგლისელი ისტორიკოსი ედუარდ გიბონი, ავტორი ფრიად პოპულარული წიგნისა „რომის იმპერიის დაქვეითებისა და დაცემის ისტორია“, რომელიც კომპლიმენტებს აგრე იოლად არ იმეტებდა, სხვათა შორის, ამბობს დელა ვალეს შესახებ: „არც ერთ მოგზაურს არ შეუსწავლია და არ აღუწერია ირანი ისე კარგად, როგორც დელა ვალეს“.

თანამედროვე ინგლისელი ორიენტალისტი ლოურენს ლოკარტი დელა ვალეს თხზულებას მიიჩნევს „ირანის ფასდაუდებელ აღწერილობად“. მისი აზრით, ირანის აურაცხელ აღწერილობათა შორის, უდავოდ, ყველაზე მნიშვნელოვანია იტალიელი პიეტრო დელა ვალესა და ფრანგი ჟან შარდენის ნაშრომები.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ გოეთემ თავის „დასავლურ-აღმოსავლურ დივანს“ დართულ სტატიებსა და შენიშვნებში საკმაოდ ვრცელი ადგილი დაუთმო დელა ვალეს ცხოვრებას და მოღვაწეობას (დაახლოებით ათჯერ მეტი, ვიდრე იმავე საუკუნის არანაკლებ ცნობილ მოგზაურთ: ოლეარიუსს, ტავერნიეს და შარდენს).

„რაოდენ ცოცხლად აღწერს ყველაფერს, რასაც ხედავს. რაოდენ ზუსტი და ძვირფასია მისი ცნობები!“ — აღტაცებით წარმოთქვამდა აღმოსავლური პოეზიის ტრფიალი „ვაიმარელი ბრძენი“, როდესაც კითხულობდა დელა ვალეს თხზულებას.

დასასრულ, საქართველო!

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ იმდროინდელ ევროპაში არავითარი სპეციალური ნაშრომი არ არსებობდა საქართველოს შესახებ, ვინაიდან კონსტანტინოპოლის დაცემის (1453 წ.) შემდეგ ჩვენი სამშობლო თითქმის მთლიანად მოსწყდა დასავლურ სამყაროს. ამდენად, XVII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველო ევროპელთათვის, შეიძლება ითქვას, „ტერა ინკოგნიტას“ წარმოადგენდა და მისი ხელახლა „აღმოჩენის“ პრიორიტეტი სწორედ პიეტრო დელა ვალეს ეკუთვნის.

1626 წლის აპრილში იტალიელი მოგზაური ეახლა რომის პაპს და მიართვა თავისი ხელნაწერი თხზულება „ინფორმაცია საქართველოს შესახებ“ (ითარგმნა ქართულად და დაიბეჭდა 1879 წელს), სადაც მდიდარი და საინტერესო მასალა მოიპოვება XVII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე.

ანონსი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა წარდგინება **სოსო მახარაშვილის** წიგნისა — **„წმიდა ეპიფანე კვიპრელი, ოთხმეოცთა წვალებათათვის“.**

ამქვეყნიდან უდროოდ წასული მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მონოგრაფიის განხილვას დაესწრნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, სასულიერო სემინარიისა და აკადემიის წარმომადგენლები, ბატონი სოსოს მეგობრები და ახლობლები.

სოსო მახარაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მისი წიგნის შინაარსსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა თბილისის სასულიერო აკადემიის რექტორმა, დეკანოზმა **გიორგი ზვიადაძემ**.

წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა **სერგო ვარდოსანიძემ** გაიხსენა მეცნიერთან ურთიერთობის ხანგრძლივი პერიოდი და, სხვათა შორის, ისიც აღნიშნა, რომ ბატონი სოსო იყო ერთ-ერთი, ვინც საფუძველი ჩაუყარა წმიდა ანდრიას უნივერსიტეტს.

პროფესორმა **მაია რაფავამ** ვრცლად განიხილა წიგნი. გამოყო ორი ძირითადი საკითხი: ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური კვლევა და იდეოლოგიური ანუ საღვთისმეტყველო ასპექტები. განსაკუთრებით აღნიშნა ის, რომ სოსო მახარაშვილმა ეპიფანე კვიპრელის შრომის მიხედვით დაადგინა საგულისხმო ფაქტი — არსებობდა ამ თხზულების ბერძნული დედანი, რომელიც დაიკარგა. ამიტომაც ქართულ ტექსტს დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზანტინისტიკის ისტორიაში.

სოსო მახარაშვილის წიგნზე, მის ცხოვრებასა და ღვაწლზე ისაუბრეს პროფესორებმა **გიორგი ალიბეგაშვილმა** და **ზურაბ ჭუმბურიძემ**, აგრეთვე **ივანე ამირხანაშვილმა**.

მეცნიერის მეუღლემ **მარინა თოფურიამ** მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტს თანადგომისა და ყურადღებისათვის.